



180

2

ცხოვრება

დ ა

მოქალაქობა (მოღვაწეობა) წმიდისა
ნეტარისა

კანონის

კრისტესთვის სალოსისა,

გ: მოცემა ითხება დეკადის № 38.

თავმისი.

მსწრაფულ-მჩეკდავი „ძმობისა,“ მოსკოვის ქ., № 5.

1907



ਫੇਰੂਰੀ ਪੰਡਾ

੮੦

ਮੋਹਾਲੀ ਪੰਡਾ (ਮੁਲਵਾ ਪੰਡਾ) ਨਿਮਿਤਤ
ਨੁਹਾਰਾਂ ਸਾ

ਕਨ੍ਹਾ ਪੰ

ਖੁਸ਼ਟੁਗਿਆਂ ਦੇ ਲੋਕਾਂ ਦਾ।

੧੦.੭੯

੮/੨

ਤਾਤੋਣੀ।


ਚੁਪੈ ਅ. ਪ੍ਰਤਾਪਗੜੀ, ਮਿਥੀਗੜੀ, ਪੰਜਾਬ।

1906





Дозволено Духовною Цензурою. Тифлисъ, 16-го Фев-
раля 1906 г.



ბანდუკი (სარჩევი) ამ წიგნისა.

88

თავში

— პირველი,	ენისობა წმ. ანდრიასი.	1
— მეორე,	ხევნება.	
— მესამე,	გახალოხება წმ. ანდრიასი და გაგზავნა მისი ეკლესიად წმ.	
	ანასტატასისა.	
— მეოთხე,	ხევნება პირველი, როდესაც ჯაჭვით იყო შეკრული და გამო- ეცხადა წმ. იოანნე მახარეველი.	11
— მეხუთე,	მისივე გამოცხადება მეორედ.	13
— მეექვსე,	ხილვა პალატისა და მეუღლისა.	14
— მეშვიდე,	განთავისუფლება მისი და ნაშეა ნიკიფორესი, თვისის მოძღვრისა.	16
— მეხუთე,	დაწყება მისგან სალოსობისა.	19
— მეცხრე,	შეორედა მისი იძულებით სამე- დო სახლად მეძავთაგან.	21
— მეათე,	შეხვედრა, გაცნობა სამთა ჭაბუ- თა, რომელთა შორის იყო ეპიფანეც.	24
— მეთერთმეტე,	მეორედ მისელა მისი ნიკიფორეს- თან ზამთარის დროს.	26
— მეთორმეტე,	მოთხრობა ანდრიასი, თუ რო- გორ დაიმინა საშინელი ყინვა.	28
— მეუამეტე,	ხევნება იმ ყინვის დროს — მეორე.	33
— მეთოხმეტე,	ხევნება მესამე — ცის შესახებ.	36
— მეხუთმეტე,	ხევნება მეოთხე.	40
— მეოცექსმეტე,	განცეციებება ნიკიფორესი ან- დრიასისთვის.	43
— მეშვიდმეტე,	შეტისძიება ეშმაკისა და გამო- ცხადება მისი დედაბერის სხედ.	44
— მეთერთამეტე,	შეხვედრა ეპიფანესი მეორედ და დამოწაფება მისი.	46
— მეცხრამეტე,	ბრძოლა ეშმაკისა ეპიფანესთან და ანდრიას-მიერ მისი დარიგე- ბა.	49
— მეოცე,	ეპიფანესთვის — მისის კეთილო- ბისათვის და გამოცხადებისათვის ანგელოზისა.	50

— მეოცდა ერთე,	ანდრიას მიწევევა სამლად ეპიფანეს-მიერ და მხილება საკურისისა,	53
— მეოცდა ორე,	შედეგი მიღლებისა მის	55
— მეოცდა სამე,	საუბარი ანდრიასი ასურულად მონასთან და ჩვენება,	58
— მეოცდა ოთხე,	მოქცევა მონათა და სიბრაზე ეშმაეის	61
— მეოცდა ხუთე,	განსლევა ანდრიასი ეპიფანეს სახლიდან და ტანჯვა მისი,	64
— :	ურმის გადაყლა	66
— მეოცდა ექვსე,	სიცხის მოთმენა	67
— მეოცდა შვიდე,	მისლევა მისი ლეთის-მშობლის ეკლესიად სალოცავად	68
— მეოცდა რვე,	ლევის ჭამა ანდრიასაგან და ცემა მისი ამისათვის	70
— მეოცდა ცხრე,	პერის ჭამა ჭაბუკოთათვანა და მათი მხილება, ერთისა მათგანის გამოტეხა კოშშის ქურადობაში,	72
— მეოცდა ათე,	დიღებით დამარხევისათვის მღიღრისა და მისი განჯიქება,	77
— მეოცდა თერთმეტე,	დიღებით ხილევა ანდრიასი ეპიფანეს-მიერ ეკლესიაში	81
— მეოცდა თორმეტე,	განსაცდელი გონებისა ლოცვის ღრმას და ხილევა-ჩვენება ეპიფანესი	83
— მეოცდა ტარმეტე,	შთაგდება ანდრიასი ჯურალმულში ეშმაეის-მიერ,	85
— მეოცდა ტარმეტე,	ხილევა წმ. ანდრიასაგან დანიკლისა	90
— მეოცდა თოთხმეტე,	მღიღრის ჭალის გარდაცვალა-ბისათვის	92
— მეოცდა ხუთმეტე,	ბერისათვის სათნოებით შემუშლისა და ხაშის ვნებით მოცელისა,	95
— მეოცდა თექვსმეტე,	მხილება მის შეტისა ანდრიასაგან,	100
— მეოცდა შვილმეტე,	ჭაბუკისათვის კეთოლისა მოქმედისა, მოსაჩენებელულად კეცოა	106
— მეოცდა თვიზამეტე,	ითანკისათვის — ეპიფანეს შეგობარისა	109

— მეოულა ცხრამეტე,	ანდრიას ბილეკა ეპიფანეს-შივრ ჩეენებით	114
— მეორმოცე,	დედაკაცისათვის მიარწმუნისა	118
— მეორმოცლა ერთე,	ბრძოლა ეშმაკისა ეპიფანესთან	123
— მეორმოცლა ორე,	გამოცრალებისათვის დაეთ მე- ფისა და რა მოელის საიქითს კაცის მკელელთ	127
— მეორმოცლა სამე,	შეძრწუნებისათვის ანდრიასა, ჩეენებისა გამო	132
— მეორმოცლა ოთხე,	ბრძოლა ეშმაკისა ეპიფანესთან	136
— მეორმოცლა ხუთე,	მარილის ჭამისათვის ეპიფანესგან	137
— მეორმოცლა ექვსე,	რატიველის, ეპიფანეს მევთბრისა, ავად გახდომისათვის	139
— მეორმოცლა შვიდე,	კითხვა-მიგება ეპიფანესი და ანდრიასი	142
— მეორმოცლა რვე,	შეხვეულრა ანდრიასი ჭაბუქა- ლიაკონთანა	151
— მეორმოცლა ცხრე,	ანდრიასი და მდიდრის შეხვეულრა	151
— მეორმოცლა ათე,	დედაკაცისათვის ლიტისა და წმიდისა	156
— მეორმოცლა ოურმეტე,	კვალალ ეპიფანეს წინასწარ- მეტველებისათვის	158
— მეორმოცლა თორმეტე,	ბრძოლისათვის ეშმაკისა ეპიფა- ნეს მიმართ	160
— მეორმოცლა ტაძეტე,	მდიდარის კაცის — მეძავის — მხი- ლება ანდრიასაგან	162
— მეორმოცლა თოსთმეტე,	სულისათვის კაცისა და მის ვან- კითხვისათვის	163
— მეორმოცლახუთმეტე,	სულისათვის კაცისა, ანგელოზ- თათვის და მათის მსახურებისა	166
— მეორმოცლა თექვსმეტე,	ქვეყნის შესაქმისათვის და ბუ- ნების მოვლენათა	168
— მეორმოცლა შვიდმეტე,	ღვთის განგება და მავალითი უელრება-ლოცვისა	182

— მეორიმოცულა თვრამეტე.	ეპიფანეს ლოცვა კალებისა ში- ნა წმ. აკაკი
— მეორიმოცულა ცხრამეტე,	187
— მესამოცულა, მესამოცულა ერთე,	შილვა, რომელი იხილა ანდრია ვლაქერნისა შინა
— მესამოცულა თრე, <td>190</td>	190
— მესამოცულა სამე,	მღილირისათვის წარჩინებულისა
— მესამოცულა თოხე,	წინასწარ-მეტყველება შესახებ კონსტანტინეპოლისა და რუსთა
— მესამოცულა თრე,	192
— მესამოცულა სამე,	სოფლისა აღსასრულისათვის
— მესამოცულა თოხე,	გამეტება შავის მეტისა
— მესამოცულა ხუთე,	გამეტება ეთიოპელისა მეტისა
— მესამოცულა ექვსე,	გამეტება სამთა ძმათა
— მესამოცულა შვიდე,	მოსველა ანტე ქრისტესი და მეტობა ურიათა
— მესამოცულა რევე,	211
— მესამოცულა ცხრე,	მოახლოება ნიშანთა სოფლის აღსასრულისათვის
— მესამოცულა ათე,	214
— მესამოცულა თერმეტე,	განსლეა კაცისა ქვეყნით
— მესამოცულა თორმეტე,	კეშმარიტის ქრისტიანე კაბუკი- სათვის
— მესამოცულა ტამეტე,	219
— მესამოცულა თერმეტე, <td>ალდგომისათვის მყედართა, სახი- სათვის ლეთაებისა და ჯოჯო- ნეთისა</td>	ალდგომისათვის მყედართა, სახი- სათვის ლეთაებისა და ჯოჯო- ნეთისა
— მესამოცულა თორმეტე,	226
— მესამოცულა ტამეტე,	საუბარი წმ. ანდრიასი და ეშმა- კისა
— მესამოცულა ტამეტე,	233
— მესამოცულა ტამეტე,	საუბარი ტილიოსთვისთა ეპიფა- ნება და ანდრიასათანა
— მესამოცულა ტამეტე,	235
— მესამოცულა ტამეტე,	ჩეენებისათვის ეპიფანესა
— მესამოცულა ტამეტე,	237
— მესამოცულა ხუთმეტე,	ანდრიაში წმ. ანდრიასი ეპიფანეს შიმართ
— მესამოცულა ხუთმეტე,	240
— მესამოცულა ტექვამეტე,	დარიგება ანდრიას-მიერ ეპიფა- ნესი ხელთ-დასხმისა და მოსსე- ნებისათვის
— მესამოცულა ტექვამეტე,	243
— მესამოცულა ტექვამეტე,	ანდრიას და ეპიფანეს ზოგად (ერთად) ლოცვად
— მესამოცულა შვიდმეტე,	244
— მესამოცულა შვიდმეტე,	წმ. ანდრიას აღსრულებისათვის
— მესამოცულა თვრამეტე,	246
	(დასასრული)
	247



სოლის და მოქალაქებას ნეფარისა ანდრიასი,
როგორი იქმნა საღოს ძრისცხასთვის.

გვაკურთხევ მამათ.

თავი პირველი.

Qმანო ჩემნო, საყვარელნი და მონანო
უფლისანო! ისმინეთ ვეღრებისა ჩემისა და
გაუწყო საქმე ესე, რამეთუ არს ტკბილ,
ვითარუა თაფლი და საყნოსელად სუნნელ და
ჰამო. და განშეადენით გულნი სმენად, რათა მე
უფროსლა განვძლიერდე და ვიწყო თხრობად კაცი-
სათვის საკვირველისა მოღვაწეობათა და შრომათა.

Qეფობასა ქრისტეს მოყვარისა დიდისა ლეონისა-
სა, იყო კაცი ვინმე წარჩინებული ქალაქსა შინა
კოსტანტინეპოლეს, სახელით ოეოლონოსტოს, და
აქვენდა პატივი პროტოს-პატრიობისა მეცის მიერ
ლეონისა. იგი შემდგომად მცირედთა დღეთა იქმნა
სტრატილატ (მართველად) კერძოთა აღმოსავლეთისა-
თა. და იყო იგი მდიდარ ფრიად, და ჰყავ სიმჩევლე მო-
ნითა და კვალად იყიდნა სხვანიცა მრავალნი მონანი,

და იყო მათ მონათა შორის ყრმა ერთი, შეიღლი წარმართისა, პისაკითა მცირე, — და იყო იგი სახით ფრიად, შეენიერ. და ვითარცა ნათელ-სცეს მის, უწოდეს სახელი მისი ანდრია. და უყვარდა იგი ფრიად უფალსა თვისსა. ვითარცა შეიღლი ეპყრა იგი და მისცა სასწავლოდ საღმრთოთა წიგნთა განსაბრძნობელი. ხოლო იყო ყრმა იგი გონიერი და მორჩილი, და მოკლეთა ემთა ისწავლა ფსალმუნი დავით წინასწარმეტყველისა სრულებით, და რიცხვი სათვალავისა, და გონიერებასა მისსა ზედა განკვეირვებულ იყო მოძღვარი მისი, არა გვემდა (სცემდა, სჯიდა), არამედ იყო იგი ბუნებით ფრთხილ და წესიერ, მოსწრაფე გამოწულვით სწავლისა. ხოლო უფალმან, სრულისა გონიერებისა მისისა დაჯერებითა, გამოიყვანა სასწავლისაგან და დაადგინა სამსახურებელსა თვისსა. და უყვარდა ფრიად დედოფალსაცა, ცოლსა უფლისა თვისისა და კოველთა სახლეულოთა მისთა, და მოხვიდეს სამოსლითა თვისითა (შეენიერითა), რომელთა იხილიან თქვიან, „უკეთეს და უშეენიერეს არს უფროს უფლისა თვისისა ყრმა ესე.“ და მოსწრაფე იყო ყრმა იგი კითხვად საღმრთოთა წიგნთა, — და უფროსლა წმიდათი მოწამეთასა, და ცხოვრებასა და მოქალაქობასა ლმერთ-შემოსილთა მაშათასა. და დაეთესოდა თესლი კეთილი გულსა მისსა. და უკვირნ მოქალაქობა შრომათა მათთა და მიერითა გან იწყო ხელ-ყოფად და მიმსგავსებად საქმესა მათსა, და აქვნდა შური საღმრთოსა სიყვარულისა მათისა გულსა შინა თვისსა.



თამი მითი.

ლიმებს ერთსა აღსდგა ყრმა იგი ონდრიაშვილისა, და დასდგა ლოცვად, სიტყვისა ებრ დაკა წინასწარმეტყველისა, ეკოთარმედ „შუალამე აღვსდეგი აღსარებად შენდა, ვან კითხვათათვის სიმართლისა შენისათა“. ხოლო იხილა რა ეშმაკმან, აღიშურვა (აღილო შური,) ეკოთარმედ არს ჩვეულება, ბრძოლიდ კეთილისა საქმისა, მოვიდა და დაუზრეკა კარსა მისსი ფიცხლად. შემინ შეკრთა ყრმა იგი შიშისაგან მის რეკისა და დაუტოვა ლოცვა და აღვიდა სარეცხვალსა თვისსა შეპრწუნებული და დაიმართა საგებელსა შინა თვისსა.

ხოლო ეკოთარმედ იხილა ეშმაკმან მან, განიხირა და სთქვა სიცილითა მოყვასთა თვისთა: „იხილეთ, რომელი ჰქონდა ბორცსა და სვამს ღვინოსა, ამას ნებავს ბრძოლიდ ჩემდა?“ შემდგომ წარსვლისა მის ეშმაკისა, მიერულა ყრმასა მას შიშისაგან და იხილა ჩვენება, ვითარმედ სდგა იგი აღგილსა ვაკესა, სახედავსა მას, რომელსა ჰქვიან კაპილონი-იპოდრომი. და იხილა ვაკესა მას შინა ერთ-კერძო კაცნი მრავალნი, მოსილნი სამოსლითა სპეტაკითა, და მათ შინა მღვდელნი, რომელთა ემოსათ სამოსელი სამღვდელო; და მეორესა კერძოსა სხვანი კაცნი შავნი და უშვერნი, ურიცხვნი ფრიად და ერჩდეს სპეტაკისანთა მათ და ეტყოდეს, ვითარმედ „მოიყვანენით კაცნი და გვარკინენით, (დაგვაჭიდენით) ანუ ვრბოდეთ, და ვინძი უსწრობდეს ურთიერთარს?“. ხოლო იყო შავ-

თა მათ შორის კაცი საშინელი და უდიდესი კომისარი
თასა ასაკითა, რომელი იყო ასის თავი ერისა მის ტე-
მაქთასა. და ნეტარი ანდრია ვითარუა განიცდიდა მას,
იხილა, რომეთუ ყრმა ერთი შვენიერი ზეციო-
გარდამოხდა და ეპურნეს ხელთა მისთა გვირგვინი-
სამნი: ერთი მათგანი ოქროსა წმინდისა და თვალი-
თა პატიოსნითა შემკული, და მეორე იგი ოქროთა
და მარგარიტითა შემკული; და მესამე იგი ყოვლითა-
ფერად-ფერადითა ყვავილითა ნაყოფთაგან სამოთხე-
სათა და დაუქნობელთა, რომელი არაეს კაცთაგან
უხილავს, რამეთუ საშინელებისა მისისა მითხრობად
ვერვინ შემძლებელ არს. წალიერ უკვე იქმნა
ანდრია და იტყოდა გულსა შინა თვისსა, „ვიძიო,
რათა მოვიღო ერთი ამათ გვირგვინთაგანი“. პაშინ
მივიდა ანდრია ყრმისა მის შვენიერისა, რომელსა-
ფერნეს გვირგვინნი იყო და პრექვა მას, ვითხოვ
მე გვირგვინთა მაგათ შეენიერთა, დალაცათუ მე
ვერ შემძლებელ ვარ მოსყიდვად თავით ჩემით, არა-
მედ ვუთხრა უფალსა ჩემსა და რაოდენიცა თქრო-
გენებოს მოგცეს შენ და იყიდოს და მომცეს მე
შენგან.

განილიმნა ვაბუქმან მან და პრექვა მას, „გრემე-
ნინ ჩემი, საყვარელო! უკეთუ მომართვა ყოვლისა
ქვეყნისა ოქრო, ამათ გვირგვინთა არცა შენ
მოგვიდი და არცა სხვასა ვის, რამეთუ გვირგვინნი
ესე არა არიან ამის სოფლისანი, არამედ ზეცისა
საუნჯისა გვირგვინთასა არიან, და არა ვინ არს ლირს
დადგმად ამათდა, გარჩა იგი ხოლო, რომელი

ერქინოს და სძლიოს შავსა ამას, რომელსაცა ჰქედა
და დათრგუნოს იგი. ხოლო შენ უკეთუ გნებიეს
მოღებად ამათვინი, მოვედ და ერქინე და დასთრგუნე
იგი, და უკეთუ სძლო მას, სხვანიცა რომელინი
გენებოს მოგანიჭო შენ». ხოლო რაეამს ესმა ესე
ნეტარსა ანდრიას, შეძრწუნდა, გარნა განიხარა
მათ გვირვევინთა მიღებისითვის და რქვა ქაბუქსა
მას:—გრწმენინ ჩემი, უფალო! რომელიცა მრჩევა,
ვჰყო, გარნა მასწავე შენვე, ვითარ ვებრძოლო?

მიუგო ყრმამან მან და რქვა: „შენ ეგერა რო-
მელსა ხედავ, მოქადული არს და უსუსური და მო-
შიშიცა ფრიად. რამეთუ ყოველი მოქადული უსუ-
სური არს და მოშიში. ნუგეშინინ მასაჟისა მისისა
სიღილისაგან, რამეთუ არს იგი უძლურ, ვითარცა
მხალი“. და ვითარცა ესე პრქვა, უპყრა ხელი და
ასწავა ბრძოლა მისი და რქვა: „რაეამს შეგიპყრას
შეემან იმან უშვერმან, შენ ნუ შეძრწუნდები, არა-
მედ ხელნი განიპყრენ ჯვარისა სახედ და ეგრეთ
ერქინე და მერმე იხილო დიდება დეოთისა“.

მაშინ წარემართა ლირსი ანდრია ბრძოლიდ
მისსა და ხშა-ჰყო ხმითა დიდითა და პრქვა მას:
„მოვედ შეჩვენებულო, რათა ვირქინნეთ!“ მაშინ
მოუხდა შავი იგი განრისხებული, შეპყრობად მისსა.
მყისვე განიპყრნა ხელნი თვისნი ლირსმან ანდრია-
მან ჯვარის სახედ და დასცა შავი იგი ქვეყანასა
ზედა, და მყის უჩინო იქმნა. მაშინ იქმნა სიხარუ-
ლი დიდი ერსა მას შორის სპეტაკითა მოსილსა

და ამბორს უყვეს ანდრიას და პატარეს მას ნერია-
ცხემელი კეთილ-სუნნელი. მაშინ უჩინო იქმნეს
შევნი იგი და განჯარდეს, ვითარცა ნისლი პირი-
საგან ქვეყანისა.

და მოვიდა ყრმა იგი უვირგვინითა მით და
მისცნა სამნივე იგი გვირგვინნა ანდრიას. შეიტკო
და ამბორს უყო და პრქეა მას: „ამიერითგან საყვა-
რელი ძმა ჩემი ხარ, ისწრაფე სრბად გზასა კეთილ-
სა, განშიშვლებულმან სალოსით ჩემთვის.“

ხოლო ყრმა იგი, თვით უფალი იყო დიდები-
სა, რომელი გვირგვინთა მიანიჭებდა. და კვალად
პრქეა უფალმან: „ვითარცა მეუფებამან ჩემმან,
დიდთა კეთილთა უფალ გუო შენ“. და, ვითარცა
განიღებია წმიდამან ანდრია, განკვირდა ხილვისა
მისთვის. და რაეამს განთვენა, მოვიდა ჩემდა, ულირ-
სისა ამის მოძღვრისა თვისისა, და მაუწყა ჩეენება
ეს, რომელი ეხილვა. ხოლო მე ესე რაეამს მეს-
მა, ფრიიდ შევსძრწუნდი და მეცემოდა მისგან
სული რაიმე სუნნელებისა, რომელი არა სადა მე-
ხილვა. და ვეტყოდი, თუ, რაი არს, ანუ ვითარ
იყოს განსრულებად ჩვენებისა შენისა, რომელი
გიბრძანა უფალმან, ვითარმედ „დიდსა კეთილსა
უფალ გუო შენ? ვითარითა სახითა უფალ იქმნე
დიდთა კეთილთა? რამეთუ მონა ხარ და მონაზო
ნებად არა გიტევებს უფალი შენი, არამედ სალოს
ყოფა დეოსათვის ჯერ არს, რამეთუ მაგისთვის გი-
ბრძანა სიტყვა იგი!“.

ତାତୀ ପାଇଁପାଇଁ.

କଥିଲେବା ଗରିବା, ଗାଥିବା ଶ୍ରୀଲାଭିନୀବା, ଅଲ୍ଲିଦ୍ଵାରା
ଲାଭିପାଇ ବିମିଳା ବନ୍ଦରିବା. ତା, ରାଜାମିଶ ବିଲାବିନୀରୁଲା
ଲାଭିପାଇ, ବିଲିଲି ରାନ୍ଧାର୍ଯ୍ୟ ଦା ବିଶ୍ଵାରୀଲା ବିଶ୍ଵାରୀଲା
ନେଇବା, ବିଲମ୍ଭେଲି ନୁହ ବେଶଲ୍ଲବା ଉତ୍ସଲିବା ତ୍ୟାଗିବିଶିବା.
ତା ଗାନ୍ଧିମାର୍କପାଇ ସାମିଲିବିଲି ବ୍ୟାପି ଦା ଦାଖିବା ପ୍ରାଣ-
ଲାଭ ବିଶ୍ଵାରୀଲି. ଦା ନିର୍ମିଳ କ୍ରିଏଲ ସାମିଲିବିଲି ମିଳ
ରାନ୍ଧାର୍ଯ୍ୟିତା ମିଳ ପ୍ରାଣଲାଭିବା, ପିତାର ବାଲ୍ବିଲିବିନିମାନ,
(ବିଶ୍ଵାରୀନିମାନ) ଦା ତାନ୍ଦାପାଇ ଉତ୍ସବିଭାବିବା, ପିତାରପାଇ ବ୍ୟ-
ଲିବା (ବିଶ୍ଵାରୀ), ଦା ପ୍ରାଣଲିତିଭାବି ବିଲିମାଲିଲିବା ବିଭାବ
ତ୍ୟାଗିବିଶିବା.

ବେଶଲି ମିଳିବିଲି ଉତ୍ସଲିବା ତ୍ୟାଗିବିଶିବା ବିଲିଦ୍ଵାରା
ପାଇମାର୍ଦ (ମିଳିବିଶିବାର୍ଦ) ବାନ୍ଦିପାଇଗ୍ରେତା, ଦା ପିତାରପାଇ ମିଳିଦିଲା
ବିଶ୍ଵାରୀଲି ମିଳ ବିଲିମିଳିବିଶିବାର୍ଦ ବିଲିବିଲିବା, କିମ୍ବା ମିଳି
ରିବା ବିଶ୍ଵାରୀଲି—ଦା ବିଭାବ ମୁଣି ପିତାରମିଲିବା ବନ୍ଦରିବା ଗାନ୍ଧି-
ଲେଖିବିଶିବାର୍ଦ (ପାଇଗ୍ରେବିଶିବାର୍ଦ) ବିଭାବ. ଦା ପିତାରପାଇ ଗ୍ରେମିଆ ବିଭାବ,
ମିଳିବିଲିବା ମିଳ ଉତ୍ସବିଶିବା ମିଳିବା, କିମ୍ବା ବିଶ୍ଵାରୀଲିବା ଫରିବାର୍ଦ:
ବିଲିଦ୍ଵାରା ଦା ପାଇମିଳିଲା ବେଶଲିବା ମିଳିବା, ଦା ପାଇ
ପ୍ରାଣଲିଲି ବେଶଲିବା ମିଳିବା. ରାଜାମିଶ ନିଷିଳିବା, କିମ୍ବା ବିଶିବ-
ଦ୍ଵାରା, ପିତାରମିଲିବା କ୍ଷେତ୍ରିମାରିବାର୍ଦ ଗାନ୍ଧିଲିଲା, ଦା ନିର୍ମିଳି
କ୍ରିଏଲିଲାଭ ମିଳିବିଶିବାର୍ଦ. ଦା ପିତାରପାଇ ଗାନ୍ଧିତିବିନିମାନ, ବିଶ୍ଵାରୀଲା
(ପାଇଶିବିନିମାନ, ବିଶ୍ଵାରୀନିମାନ) ନୁହ ଉତ୍ସବିଶିବାନ ମିଳିମାନ ବିମିଳିଲିବା
ମିଳିମିଳିବା ଏନାବ୍ରାତିବିନିମାନ ପ୍ରୟାଣିବିନିମାନ, ବେଶଲିବା ଏକବିନିମାନ ବାନ୍ଦି-
ପାଇଲିଲିବା (ମିଳିମିଳିବା ବେଶଲିଲାଭ) ମିଳିନି ଦା ପ୍ରୟାଣି
ବିନିମାନ ମିଳିବା ବିଲିମିଳିବିଶିବାର୍ଦ ବିଭାବ ଲ୍ୟାନି ମେଲିବା ମିଳି,
ବିଲମ୍ଭେଲି ନୁହ କିମ୍ବା ପାଇପାଇ ମାକ୍ରିଲାରିବା, (ମେଲ୍ଲିକ୍କେ, ମିଳିଲିବା-
ବିଭାବ) ଦା ବିଭାବିନିମାନ, ରାଜାମିଶ କିମ୍ବା ବିଶ୍ଵାରୀଲା ନୁହ ଜାପିବା

შინა, და მისცა მსახუროთა ეკლესიისათვის, რამეთუ
ფრიიად უყვარნ ყრმი იგი. და იყო იგი ეკლესიი-
სა შინა დაბმულ ჯაჭვითა. დღისი ზრაბავნ, ეკლესი
ცა ნაღვლიანი, (ზნედიანი), ხოლო დამე უოვლად
ილოცავნ და შესტირინ ღმერთსა და ევედრებინ
წმიდასა მოწიმესა ანასტასიას, რათა გამოუქა-
დოს მას რად ყოფად არს სალოს ყოფისა მისისათვის.
და კითარცა მცირედ განისვევნა, იხილა მღვდელი
მოკაზმული და მისთანა დედანი ხუთნი, და მოვიდა
ხილვად სულოთა მათ. და მერმე მოვიდეს ხილვად
ანდრიასა პირველ მღვდელი იგი, და შემდგომ წმი-
დანი იგი დედანი. მიხედნა მღვდელმან, განიღიმნა
და პრქვა წმიდასა მოწიმესა ანასტასიას, „ვითარ არა
განკურნებ ამასცა?“.

მიუგო წმიდამან მოწიმემან მღვდელსა და
პრქვა,— მასწავლელმან მაგისმან, რომელი მო-
ვიდა პირველად მაგისსა, მან განკურნა ეგე, და
არღარა უხმს კურნება ჩემ-მიერ და არცა ვის სხვი-
სა, არამედ, რომელმან პრქვა მაგის, ვითარმედ „იქმენ
ჩემთვის სალოს და დიდხა კეთილსა მთავარ გყოს
მეუფებამან ჩემმან“, მას განკურნებია და სხვა მკურ-
ნალი არა უხმს მაგის, არამედ იქმნა ეგე კურ
ჩემეულ კურთხევისა და საყვარელ სულისა წმი-
დისა.

რქვა მღვდელმან წმიდა ანასტასიას, „ვუწყი მეტა
ფრიად.“ და რაეამს აღასრულეს უბნობა ესე, თაყვა-
ნი-სცეს ღმერთსა აღმოსავალით, და დასწერეს
ჯვარი, და შევიდეს ეკლესიად ლოცვად. მაშინ

განკვეირდა ნეტარი ანდრია, რამეთუ ცხადი ხილ
ვა იყო ესე და არა ჩეენება სისმრისა. და ადილებ-
და ღმერთსა, და წმიდას მოწამეს მისსა ანას-
ტასის, რამეთუ გულ-სავსე (გულ-დაჯერებული)
ჰყო იგი საქმისა მისთვის, რომლისა ხელ ეყო. და
ზინ ყრმა იგი ჯაჭვითა მათ შინა უზმად (უქმელი),
ხოლო ლამე აღსდგის და დაფგის ლოცვად ვიდრე
განთენებამდე და ეველრებოდა ღმერთსა და წმიდას.
მოწამესა ანასტასის.

თავი მოოთხო.

ლიმესა ერთსა აღსდგა ლოცვად წმიდა ანდრია
და მოვიდა მისა ეშმაკი სახითა ბერისა კაცისა
მოხუცებულისათა, შევი, და იყვნეს მისთანა სხვანიცა
მრავალნი ეშმაკი და ეპურათ ხელთა შეთთა შახეო-
ლები, და ზოგთა დანაკები, და სხვათა ხრმლები,
და სხვათა მორიოლები, და სხვათა საბლები. და
შევი იგი მთავარი ბრდლვინვიდა და იზახდა ფრიად
საშინელად. და მოუხდა წმიდასა მას, რათამცა სკა
მახევილითა მით, რომელი ეპურა ხელთა მისთა და
ყოველნი იგი შეუდგეს მას. ხოლო ნეტარმან
ანდრია აღიპყრნა ხელნი თვისნი ღვთისა მიმართ
და ხოქვა: „უფალო! ნუ მისცემ მხეცესა სულსა,
რომელმან აღვიაროს შენ“. და კვალიად თქვა: „წმიდაო-
ითანე მახარობელო და ღვთის-მეტყველო, შემეწიე
მრძოლისა შინა ამის მტერისსა!“ და მსწრაფლ
ვედრებისა მის აღსრულებისა თდენ, ესმა ხმა, ვითარ-

კა ერისა მრავლისა. მოყიდა კაცი მოხუცებული
ჰასაკითა დიდი და თვალითა შვენიერი, და პირი მისი
ბრწყინვიდა, ვითარცა მსე. და შეუდგა მის ერთ
მრავალი, იღიმდელლა მარჯვენე თვისი და დასწერა
ჯვარი ჰაერთა მიმართ. და მერმე მიეგო (მიუბრუნდა)
ერსა მას, რომელნი იყვნეს მის თანა და ჩქვა: „დაბშე-
ნით კარნი, ნუ უკვე განვიდეს ერთიცა მათ შავთავა-
ნნი გარეგან ბქეთა!“ ხოლო მათ ჰყვეს ეგრეთ, და
რაეამს დაბშენეს ბქენი, იწყეს ეშმაკთა ურთიერთობის
სიტყვად: „ვაი ჩვენდა, რამეთუ ითანე არს კაცი ძე-
ლი და უწყალოდ ტანჯვად ვართ მის-მიერ!“ უბრძანა
პატიოსანმან მოხუცებულმან: „ვანუხვენით ბქენი და
გამოუხვენით ჯაჭვი ანდრიას და მომვეარენით აქა!“
ხოლო თვით იგი განვიდა გარეგან ბქეთა მათ
დაბშულთა და უბრძანა, რათა თითოეულიდ გამოკ-
ვარონ შავნი იგი. პირველიდ მოიყვანონ თავიდი
იგი შევთა მათ და დასცენ ქვეყანასა, და
განართხეს და მიამთხვიდს (დაარტყეს) ასი არგანი
(ჯოხი, — როზგი) და მოიყვანეს კვალად სხვა და ჰყვეს
ეგრეთვე, და ყოველნი ეგე სახედ დასცნეს ქვეყანასა.
და ესმოდა წმიდასა ანდრიას ხმა ტირილისა და
გაებისა მათ ეშმაკთასა. და განიცინა მან და ალიესო
სიხარულითა დიდითა. ხოლო ეტყოდეს მცემელნი
იგი ეშმაკთა მათ, „წარვედით და უჩვენენით წყლულ-
ნი თქვენნი მამასა თქვენსა სამოელსა, რათა დაჯერე-
ბულ იქმნეს შრომისა თქვენისათვის წარმომგზავნელ-
ნი თქვენნი“. და განიბნინეს ყოველნი იგი ეშმა-
კნი.

თავი მისურთი.



ღ. მოუიდა პატიოსანი იგი მოხუცებული მონისა ლეთისა წმიდა ანდრიას მიმართ, და კვალიდ დასდევა რკინი იგი ქედია მისსა, და პრქვა, „იხილეთ, რამეთუ სწრაფით მოვედ შეწევნად შენდა, და მეურვების შენთვის! რამეთუ მიბრძანა მე ღმერთმან და რაცა გნებავს მაუწყე მე, რათა ვჰყო კეთილი შენთანა. რამეთუ უყვარს უფალსა კაცი კეთილი და ცხოვრება სულისა უხარის; დაითმინე მცირედ გამ და წარწყმდენ ტანჯვანი ეგე და მოიგნე საუკუნენი განსვენებანი და შეებანი, და შენ მცირეთა დღეთა განთავისუფლდე და, სადაცა ენებოს თვალთა შენთა, მუნ იქცეოდე.“

მიუგო წმიდამან ანდრია მოციქულსა:—უფალო, ვინ ხარ შენ მაუწყე? ხოლო მან პრქვა: „მე ვარ ითანე მახარებელი, რომელი ბივეყრდენ საღმრთოსა მას და ცხოველს-მყოფელსა მკერდსა უფლისა ჩვენისა იქსო ქრისტესსა.“ და ვითარცა ესე თქვა, მიეფიარა თვალთაგან მისთა. ხოლო იგი განკვირვებული იღილებდა ღმერთსა და იტყუდა: „დიდება შენდა ღმერთო, რომელი ხარ შემწე მოლვაწისა და ბრძოლისა შინა, მიხსენ მე პირისხევან მახევილისა და განმარინე ხელთაგან ეშმაკისთა. უფალო იქსო ქრისტე! დიდ არს ძალი შენი და შეწევნა შენი,—რამეთუ მე საწყალობელი ესე არა უგულებელს-მყავ. დამიცევ მე, უფალო, სიმართლი-

თა შენითა და ლირს მყავ მე პოვნად წყალაბისა,
მრავალ მოწყალეო, უფალო.”

თავი გევგვევ.

წყალად ლამესა ერთსა ილოცვიდა რა წმიდა
თვი, მიეძინა მცირედ და იხილა პალატი მეუფისა.
და იყო იგი მდგომარე შორის პალატთა მათ.
მოუწოდა მეუფემან და პრქვა მას, „გნებავსა მსახურე
ბად ჩემდა ყოვლითა გულითა შენითა? და გუ
შენ დიდებულ შორის პალატისა ჩემისა.“ მიუგო
წმიდამან და ჩქვა:—ვინ არ იგი მეუფეო,
რომელსა არა ენებოს კეთილი თვისი?! მე ფრიად
მსურის მსახურებად შენდა და მოლებად შენ-მიერ
კეთილისა. მოუკო მეუფემან: „უცოუ გნებავს, ის-
წავე მეუფებისაგან ჩემისა. და გამოიღო ხელითა
თვისითა სპეტაკი რაიმე, ვითარცა თოვლი, და მისცა
და ჩქვა, „იხილე გემო!“ ხოლო მან მიიღო და
შექამა და იყო ტკბილი და პამო, რომელ არა
სადა შესძლებელ არს მითხრობად გემო მი-
სი. და რაეამს გემო იხილა, ევედრებოდა და ითხოვ-
და, რათა მისცეს კვალად მისგანი. ხოლო მან მისცა
სხვა იგი, რომელი იყო ვითარცა კიდონატი (შავი
ქვა ოქროსი და ვერცხლის გამოსაცნობი). და
პრქვა, „მიიღე და შექამე!“ და იღილო და შექამა, და
იყო ფრიად მწარე და ფიცხელ, ვითარცა იბზინდი.
და რაეამს იხილა გემო მისი, დავიწყდა გემოდ
პირველისა მის.

ხოლო ვითარცა იხილა მეუფემან, ვითარშეც
ემწარა გულ-კლებულ იქმნა და პრეცა მას, „ვითარ
ვერ იტვირთე სიმწარე ეჩე გემოსა მაგის? რამეთუ
ეჩე ტკბილი და მწარე—სახე არს გზისა მის იწროი-
სა და საჭიროსა. რომელმან მოითმინოს სიმწარე,
მან იხილოს გემო ტკბილისა მის!“

რქვა წმიდამან ანდრია,—მწარე იყო, მეუფეო,
მეორე ესე, რომელი მომეული, რომელ ვერ ვინ უმძღვ-
ბელ არს ჭამად ამისსა და მსახურებად შენდა. მიუგო
მეუფემან: „მწარე გახსოვს და ტკბილი დაგავიწყდა?
არა მოგეცა პირველად ტკბილი და მერმელი მწარე?“
მიუგო წმიდა ანდრია და პრეცა:—წმიდაო მეუ-
ფეო! მივიღე, გარნა სიფიცხლემან სიმწარისამან
დამავიწყა ტკბილი იგი. მიუგო მეუფემან: „ნუ იტყვი
მაგას! უკეთუ არა განასწორო ტკბილი და მწარე,
ვითარ უძლო შესლევად გზასა კეთილსა? რამეთუ მწა-
რე არს ლვაწლი და შრომა და ტკბილ არიან და
საწადელნი კეთილნი ჩემნი, და უოხვნოთა საყოფელთა
უკუნისიძე განსვენებანი, და ყოველთა თანა წმიდათა
ნუგეშინის-ცემანი. რამეთუ არა სადა შესძლებელ
არს მარტოდ ჭამად ტკბილისა მის, არამედ შეზავებუ-
ლი (ჰშვენის) ხამს ჭამად ორთავე გემოთა: ოდესმე იგი
და ოდესმე ესე. და აწ ვითარ გნებავს, მითხარ მე,
რათა ვუწეოდე?“ მიუგო ნეტარმა ანდრია—მომეც
კვალად ორთავენვე, რათა ვიხილო გემო და გითხრა
შენ კეშმარიტი. შაშინ მისცა კვალად მწარისა მისგან
და მერმეცა ტკბილისაგან. და ვითარცა შექამნა
ორნივე, სიფიცხლისაგან მწარისა მის შეძრწუნდა.

მთევგო ანდრია და პრეზა, — ვერ შემძლებელ ვარ
მსახურებად შენდა მწარითა ამით? განიღიბნა მეტყვე-
შან და მოილო კვალიად ფარავისაგან (ჯიბე) თვისისა,
ხილვითა წითელი რაიმე, ვითარცა შანთი ბრწყინვა-
ლე, მშვენიერი და ჰამო ფრიად და პრეზა, „აღალე და
შექამე ესეცა, და დაგვიწყოს გემონი ყოვლად ჭამად-
თანი, რაიცა თდენ გიხილავს“. მაშინ მიპყო ხელი
წმიდამან ანდრია, აღილო და შექამა. ხოლო სიამისა
და გემოვნებისაგან მისისა ეამ რავდენმე ვერ უძლო
სიტყვის თქმად. და ვითარცა მოეგო ცნობასა თვისისა,
დაეცა ფერხთა ქვეშე მეუფისათა, ევედრებოდა და
ეტყოდა, — წმიდაო მეუფეო და სახიერო, ნუ განმი-
შორებ მე მონებისაგან შენისა, რამეთუ ვუწყი ქეშმა-
რიტად, — ვითარმედ ტკბილ არს და ჰამო მონება შენი.
მიუგო მეუფემან და რქეა: „გრწმენინ ჩემი ინდრია,
რაოდენიცა კეთილნიცა მქონან უნარჩევესი და
უქვენაესი, გიხილავს შენ. ამისთვის დაჯერებულ
იქმენ, ვითარმედ უკეთუ მმონო გულითა, ჩემი ყოვე-
ლი შენი არს, და ვყო შენ მკვიდრ მეუფებისა
ჩემისა!“ განიღვიძა წმიდამან ძილისაგან და განკუირ-
ვებულ იყო ხილვასა მას ზედა, რომელ იხილო
მოწყალება ლვთისა აურაცხელი.

თავი მიზანიდა.

 ვითარცა დაპყო თვე თხის ეკლესიასა წმი-
დისა მოწამისა ანასტასიასსა, იხილეს მსახურთა ეკლე-
სისათა, რამეთუ არა განიკურნების, არამედ უარესად

იხილვების მხილველთაგან. აუწყეს საქმე მისი უფალის 96
მისსა; ხოლო მას, ვითარცა ესმა ესე, უბრძანა განხსნა.
მისი რეინათაგან და განთავისუფლება, ვითარცა ნაღვ-
ლიანისა. ხოლო მათ განუტევეს იგი. და იწყო მიე-
რითაგან სიჩბილიად ადგილითი-ადგილიად, ვითარცა
ჰქონა პირველ წმიდამან სეიმონ საღოსმან.

და ვითარცა შემწუხრდა, მოვიდა ჩემდა, ულირსი-
სა მოძღვრისა თვისისა, ოდესუა ესჯედ მარტო სენაკ-
სა შინა ჩემსა. განილიმნა მცირედ ჩემდა მომართ და
კვალიად იწყო ცრემლვად ფრიად. ხოლო მე მოვეხვიე
სურვილით და შევიტქე და ამბორს ვუყავ და ქვე
დავვარდი. მივუგე და ვარქვი, „ვითარ განერე რეინა-
თაგან, რომელთა შინა იტანჯებოდი?“ მაშინ მითხრა
მე ყოველი, რაიცა შემთხვეოდა მას. რამეთუ მე
ოდენ (ჩუმად, ძლიეს) მოძღვარსა მეუბნებოდა
ბრძნად, ხოლო რაეამს განეიდის გარედ, იყვის,
ვითარცა ნაღვლიანი. და ვითარცა მოვახლა განთა-
დი, ამბორს მიყო მე და განვიდა რონინ ებად. ხოლო
სამოსლიად ემოსა მცირე რაიმე ძონძი. მოვიდა უბან-
სა არტოპოლისსა, და მოუხდეს ვინმე მოედნის
რომელნი იარებოდეს უჯეროდ. და ვითარცა ახალი
ანდრია, შეიძყრეს და შეიყვანეს კაპილონს და
დასხდეს და მოიღეს ლვინო და იწყეს სპარს და
იცინოდეს უწესოდ და იმღერდეს და სუმული
ქედის ანდრიასა, და — იჭირეიდეს და არა განუტე-
ვებდეს განსლვად, რამეთუ ვითარცა ხელი შეერთასათ,
და არა მისცეს მას ყოვლადვე სრულებით საზრდელი
და არცა თუ წყალი ასვეს. ხოლო იგი განიზრახვიდა

გულისა შინა თეისსა, „ვითარმედ რად პყოფალ არს
ჩემ შორის ამათხა?“ და ერთხმან მათგანმდენ აღალო
ქიქა ნახევარ-სხმული, რათა შეასვას. მაშინ შეეტყუა
წმიდა იგი და მოსცრაცა ქიქა იგი. შეპერა თავსა
მისსა და ივლობდა; — ხოლო იგინი მიეწივნეს და
შეიპყრეს და სცეს ქედსა და კვალად შემოიყეა-
ნეს კაპილონადვე. დასხდეს და იწყეს სმია და
არა მისცეს საზრდელი წმიდასა მას თვინიერ
ცემისა ყვრიმალთასა. ხოლო რავამს შემოხვე-
ვძმი მწუხრისა — ენება მათ განბნევა თეისად ხალ-
გურად. გამოვიდეს და წმიდა იგი პყვა ჯერუა
მათთანავე. და ვითარცა მოიზიდვიდეს, პრქვა
მათ ანდრია, „ურცხვნო, პილწნო და მედვარნო!
აწ რა ვუყო უეამოდ, უკეთუ მემთხვიოს კერკეტნი,
რომელ არს ლამე მავალი ერი, მცველი ქალაქისა?“
და ესე სიტყვა მათთვის რქვა, რათა გულის ვა
პყონ და განეკრძალნენ იგინი. ხოლო მათ არა
გულის-ხმა-პყვეს ამისავან, არამედ განუტევეს იგი.
წარვიდა ანდრია და სცნა რაი შემთხვევად იყო
ყრმათა მათდა. ხოლო მათ განიზრახეს, რათა წარვი-
დენ იგინი მეძავთა დედათა თანა. და იყო ეძმი
მეორე ლამისა. ხოლო ნეტარი ანდრია მიიქრა
ყურესა ერთსა ბნელისა და შეურაცხსა. და მაღლობდა
ლშერთსა, რომელმან იხსნა იგი სოფლისა საკოუ-
რთავან. ხოლო ჭაბუკნი იგი გამოვიდეს მეძავთა-
ვან და უნდა, რათა წარვიდეს სახიდ თეისსა. შეემ-
თხვინეს კერკეტნი (დამით მცველნი ქალაქისანი), და
შეიპყრნეს იგინი, შეკრნეს და მოიყვანეს. და, ვითარცა

წარმოვლიდეს აღგილისა მას, სადა მიწოდილ იყო წმიდა
იგი, განძარცვეს მათ და ჰსუემდეს უწყალოდ. ვითარცა
იხილა ნეტარმან ანდრია, შეეწყალნეს და ეველრებოდა
ლმერთსა მათთვის. შეემთხვია ვინმე მოყვარე ყრმა-
თა მათ და გამოიხსნა ყრმანი იგი. მაშინ ერთი
ყრმათა მათგანი ეტყოდა მოყვასთა თვისთა: დამტა-
წყეულ არს ეშმაკი! არა გახსოვსთა რაი იგი გვრჩვა
ჩვენ სალოსმან? მიუვო მოყვასმან: „ხელო, (ვიქო)
ვითარ არა უწყი, რამეთუ მომავალსა ეშმაკი აუწყებს
შტრერიანთა (გიუთა)*)? ჩვენ მას ვსტან ჯევდით და ეშმა-
კი, რომელი დამკვიდრებულ არს მისთანა მან აუწყა“.
და პრეზა მესამემან: — არა არს ეგე ეშმაკისაგან,
არამედ ტანჯვისა მისისათვის ლმერთმან გვიყო
ჩვენ ნაცვალი! პრეზა მეოთხემან: „განალა ლმერთი
იურვის ხელისა მავის საურავსა? იგი ეშმაკეულად
გაუხდია და ჩვენ ვემდერდით მას. რა ბრალი იყო,
უკეთუმცა წმიდა ვინმე ყოფილიყო? ჰე ეგრეთ
არს, ხოლო იგი ხელი არს. ჩვენ რა ცოდვა გვაქვს
მისთვის?!“

თავი მესამ.

 ვითარცა მოიწია ცისკარი, აღდგა ან-
დრია აღგილისა მისგან და რბილდა შორის შუკათო
(ფოლორცი-ქუჩი) და უბანთა, და დღე უოველ იმარხევნ

*1 სივიური განიყოფებიან ათერთმეტად: შმაგად, ხე-
ლად, სულელად, ცოფად, ნაღვლიანად, რეგვნად, ტერტეჩად,
შლეგად, შტერად, ფეთიანად, შეთიანად, (საბ, სულბ, ირბ,
ლეჭი, 58 გ.).

შეურევნელად. ხოლო ვითარცა შემწუხრდის, კაჩე-
ბინ ფოლორცთა შინა ქალაქისათა და ეძიებნ აღ-
ვილთა, სადა ძალლნი დაწევიან, რათამცა დაწევ
მათთანა. და განასხნის ძალლნი იგი და თეით დაწევის
აღვილსა მათსა შიშველი, რამეთუ არა რაი აქვნდა
გარნა ძონძი, რომლითა დაიფარეის სიშიშვლე. და
რაეამს იქმნის ეამი ცისკრისა, განვიდის კვალიდ
სირბილად და ეტყვინ თავსა თვისსა, „ში ანდრია
საწყალობელო! ვითარ ხარ ძალი ძალლისათან
სწევ, გვალე და ვრბიოდეთ, რომელთა გვედეს
სიკვდილი, რამეთუ ნუ ვინ გონებს შეწყვენასა
დლესა მას საშინელსა ურთიერთარს. რამეთუ „ყოვე-
ლი კაცი ნაყოფსა ნაშრომისა თვისისასა სჭამს“,
არამედ ჩვენ ნაშრომითა ჩვენითა ესტონდეთ,
და ვისწრაფოთ ზრუნვად სულისა ჩვენისათვის, რა-
თა დაჯერებულ იქმნას ლმერთი ჩვენ ზედა და
გვადიდნეს დიდებასა მას მისსა. მიხედენ ნეტარსა-
პავლეს, ვითარ დაუტყვნა პირველნი იგი და უკანას-
კნელნი მოიპოვნა კეთილნი. და ესრეთ რამ იქცე-
და ნეტარი ანდრია, მოქალაქენი, რომელნიცა არა
იცნობდეს, იტყოდეს, ვინ არს ესე ახალი ხელი
ყრმა? სხვანი იტყოდეს: ქალაქი ესეოდენი არს უნაღვ-
ლოდ და რომელნიმე სცემდიან და რომელნიმე ნერ-
წყვილიან პირსა მისსა და ეძიებინ შეხედეად.
ხოლო იგი ყოველსავე ქრისტესთვის მოითმენნ
შიმშილითა, წყურევილითა და სიცივეითა და შეურაც-
ხებითა იყოფინ და ილოცავნ ფარულად და
ნებავნ, რათა არაეის ესმას არამედ შორს ესმინ

სმა ლოცვისა მისისა, და კაცნი ჰერონებლენ, ვითარ-
მედ სახელით ვისმე ზრახვესო.



თავი მისარი.

ლდესა ერთსა გარდავლიდა კაჩსა სამე-
ძოსასა. იხილა იგი მეძავმან სახლით ვამო და
ჰსონება: ვითარმედ „იგი სალოსი არსო!“ ეწია და
შეიპყრო და შეითრია სახლსა თვისსა. ხოლო
იგი იყო ვითარუა წმიდა და უბიწო. შემუშა
შას და მოვიდეს სხვანიუა მეძავნი ხილვად
მისსა: ეცინოდეს და ჰკითხვიდეს, „ვითარ გახედ
შენ ეგრე სალოსად?“ ხოლო იგი არა რასა მიუვებდა
სიტყვასა, არამედ მცირეოდენ განიღიმნის. სცემდეს
ქედსა მისსა და აიძულებდეს, ვითარმედ მოვედ
და შემოგვეხე; და ხორცო მისთა უედლემდეს, და
შეიხებდეს ხორცო მისთა და ეტყოდეს: „ხელო (გი-
ეო)! დაქსწევ ჩვენთანა და აღასრულე ნებად ხორცო
შენთა!“, და უკვირდათ მეძავთა მათ და იტყოდეს:
„ფიცხელ ნაღვლიანი არს, რომელი იძულებასა
ჩვენსა ზედა არა შეძრწნეს ხორცნი მისნი! ქრისტი-
რიალ, ანუ მკვდარი არს განსრული ხორცოაგან, ანუ
შემა უტყვია!“ ხოლო ერთმან მათგანმან ჰრქეა სხვათა,
ჩვენ ვართ ხელნი, რომელნი ვზრახვავთ ბედისთვის.
კაცი, რომელი არა სჭამს, არუა სვამს, რად უნდა
შას ნება ხორცო? განუტევოთ და წარვიდეს გზასა
თვისსა! და იხილა წმიდანმან შორის მეძავთა მათ
ქრისტი მდგომარე, შემწე მეძავთა, შავი და უთმო.

და იყო თვესა მისსა ზედა ნაცარი და ბავლით
მოდებული და თვალნი მისნი ვითარცა მელნისამი,
და ზურგსა მისსა ზედა ეკრა ტყავი ძღირბლისა
საძაგელი და სქელი და საშვინელთაგან მისთა
ვამოვიდოდა სული სიმყრილისა და საძაგელისა.
ხოლო ნერწყავნ მას ეამ-ეამ წმიდა ანდრია და
იგინი ვონებდეს, ვითარმედ სიხელითა იქმს. და
ვითარცა იხილა ეშმაქმან ფრიად საძაგელი და
შეურაცხი, მაღლითა ხმითა იწყო ყიყილად (ყვირი-
ლად), ანდრია: „არიან კაცნი საძაგელნი და
შეურაცხნი, რომელთაცა გულსა შინა ვაჭვ
(ყვევარ) მე, ვითარცა თაფლი ტებილად, ხოლო
შენ სოფელისა ემდერ და ჰყიცხევ საღოსო-
ბითა შენითა და მე შემნერწყავ? რამეთუ შე-
ნი ეგე საღოსობა არა თუ სიკეთისა შენისათვის
თავს გიცს, არამედ ზარმაცობითა შენითა რბი-
ლულა!“ და ესმა რა ესე ანდრიას, განიცინნა.
მერმე შერისხნა ეშმაქსა და განხადა ვარე ვანქიქ-
შული. იტყოდეს დედანი იგი ურთიერთარს: იხილეთ-
და შტერი ესე, ვითარ ერჩის ეშმაქთა, რამეთუ
იგინი ვერ ხელვიდეს და უბნობა მისი ოდენ ესმო-
დათ. მაშინ ვანიზრახეს მათ, რათა აღხადონ
სამოსელი მისი, რომელი ემოსა და ვანყილონ იგი
ლეინოდ. და აღხადეს იგი და ვანჭყიდეს იგი ოცდა
ოთხ ფულად, და ვანიყვეს ორ-ორი და წმიდა იგი
და შთა სრულიად ტოტველი. ერთმა მათ მოყვასთაგანმა
სოქვა: „არა ვანუტევოთ ეგე შიშველი, არამედ მივს-
ცეთ კელმენი (შსხვილი ქილობი) ძეელი, რომელი მო-

ისხას. მოილეს კელმენი იგი, გახვრიტნეს და გარდა აცვეს ყელის მისხა, და გამოაძეს გარე, ხოლო მან იწყო სირბილიად კელმენითა შუა-უბანთა, და რომ მელნიცა ხედევიდეს, ეტულეს: „კარგი ფლასი (ზალნის ძაღა) გახურავს ხელო!“ მიუგო წმიდამან ერსა-მას და რქვა: „დღეს მეფემან პატრიარქედ შემქმნა შე და ესე სამოსელი შემმოსა. უკეთუ ვინმე იყვის ლვის მოყვარე, მოუპყრის ფული, ოღილის იგი და თვით არავისგან ითხოვდა. ხოლო დღე ყოველ ოცნები ფული ანუ უმცირესი მისციან, ხოლო იგი ეძიებნ იდგილსა ფარულსა, სადა იგი იდვის გლახაკი; თანაწარსელი პყვის და მისცის და კვალად დაჯდის შორის გლახაეჟთა და ფოლორცთა და იმღერნ. უკეთუ ვინმე მოსტაცის ფული იგი, მიეწის და მიამოხევის ხელითა. სხვინი აღდგან და სციან მას, ხოლო მოფანტის ფული იგი ყოველი და წარევიდის. მაშინ მოპყრიბიან ვლახაეჟთა მათ, განიყვითან და წარვიდიან.

უბანსა, რომელსა პრქვიან ნატიფორთ, დღესა ერთსა იმღერდა წმიდა იგი მახლობელიად კაპილიონისა (სახლი-მოგზაურთა სადგური). პსხდეს ვინმე კაცნი და სმიდეს დვინოსა წურვილსა (დაწურულს). მიდგა ანდრია კარსა და ვანიცულიდა (ათვილიკერებდა, უმზერდა) და ვითარ იხილა იგი მეღვინემან, დაუბრუნდა (მიუბრუნდა), შეუფრთხო და რქვა: „რასა გვევრეტ ხელო! წარვედ და მიეგე კლდეთა. მიუგო წმიდამან და რქვა: სიძვისა ეშმაკი, ვითარცა ციდა-მტკაველა, ვინის მხარ-

თა ზედა და ვითარება დათვი ჰყავხარ აღვარის-
თა. ეგრეთვე შენ ეშმაკია მას ჰყავხარ მოსაბლუ-
ლი! მომეც მე ფული ერთი! მიუგო კაცმან მან:
„არა მაქვს ფული. პრევა ანდრია: შოთ უბალრუკო!
შვილი ფული გეპყრნეს სახლთა შენთა: ერთითა
იყიდე მხალი და ერთითა ლოპინარი, რომელ არს
ცერცი, და ხუთნი გქონან ფარავსა (ჯიბესა
შინა) დაფარული და ლიმი (პფიქრობ, გინდა)
მაგით ლეინის შესმასა. და ესერა თქვა, ვაკე
ცა და წარვიდა. მაშინ პრევა კაცმან გაეკირე-
ბულმან სხვათა მათ მსხლომარეთა: ყოველივე მართა-
ლი მრევა მე ხელმან მან. ესმა მეტაპილონესა და
რევა: „გხედავ შენ უხელეს ხარ მისსა; არათუ იგი
უბნობნ, არამედ უბნობს ეშმაკი, რომელი არს
მისთანა, რონინებს და ზრახავს მარადის მისთანა.
რამეთუ ეშმაკმან არა იცის ვინ ისიძავს, ანუ ვინ
იპარავს, ანუ ვისა აქვს განძი. ეშმაკი მისთანა რონი-
ნებს და იქმს ნებასა მისსა და ყოველსავე მიუთ-
ხრობს“. და ვითარცა ესმა მეტაპილონისაგან, აწმენა
კაცსა მას.

თავი მათი.

ჭვალად სხვასა ეამსა რონინებდა წმიდა
იგი. შეემთხვიერეს მას სამნი მოყმენი ქმნულნი
კეთილნი და შვენიერნი ხილვითა და იყვნეს
იგინი ლვთის მოყვარენი და მორწმუნენი. ერთსა
მათგანსა ეუწყა რაიმე ლვთისა მიერ წმიდა-

სათვის. და მოვიდა სარწმუნოება გულსა მისსა და
ჰრქვა სხვათი მათ, „გრწმენინ ჩემი, საყვარელნო,
სალოსი იგი მონა არს ქრისტესი!“ ჰრქვა მეორემან:
— გეველრები, რათა მოვუწოდოთ და ვეუბნოთ. და
ჰრქვა პირველმან: „უკეთუ გნებავს, მოვუწოდო.“ და
წარვიდა მოწოდებად წმიდისა და რქვა, „ძმათ უკეთე
გიყვარ, მოვედ და დაჯედ ჩვენთანა მცირედ,
რამეთუ მე და ჩვენთანა მათ დიდი სურვილი გვაქვს
შენდა მომართ. ხოლო რაეამს იხილა წმიდამან
ჭაბუები იგი, განიღიმნა და რქვა, „არა ეპიფანე ხარ,
მოყვარე ჩემი და შეილი ჩემი?“ და ამბორს უყო მას
და ჰრქვა: «პატრიარქობასა ლირს იქმნები კოსტანტი-
ნეპოლეს». უპყრა ხელი და წარვიდა მოყვასთათანა;
ხოლო მიუთხრა ეპიფანე საკვარველი იგი მოყვას-
თა თვისთა, ვითარ უწოდა მას სახელით, და რაეამს
ესმა მათ, მაღლობდეს ლმერთსა, და შეიყვანეს
სახლსა მეტაპილონისასა და დასხდეს. ოძულებდეს,
რათა პირი იხსნას მათთანა. მოილეს პური და თევ-
ზი და დაუგდეს. ხოლო რაეამს იხილა წმიდამან
სარწმუნოება მათი, დაიწყო ფარული ლოცვა. და
იგინი ძრვისა თდენ ბავეთასა ხედვიდეს, და მერმე
ხელითა თვისითა განანაწილი და მისცა თითო-
ეულსა. „კეშმარიტსა გითხრობთ, ძმანო ჩემნო, და
ისმინეთ ჩემი, რამეთუ დღითი - დღე ნახევარი
პაქსიმადი (ორუხობილი, „სუხარი“) იყო საზრდე-
ლი მისი, და მაშინცა იგივე მიიღო. ხოლო დვი-
ნო რაოდენიცა იწვიეს, შესვა. ხოლო მარტოდ
არა თდეს ესვა ლეინო. გარნა თუ კვირიაკით

კვირიაკესა, და უკეთუ ვინმე თბილის, ახა-
ლის გემო ლვინისა, რამეთუ ეშმიქა ესის
აღყლო შური, რომელ მოაგონოს კაცთა, რათა
არა რას მისცემდენ და შესჭირდეს, ანუ შიმშილითა
ანუ წყურვილითა და ითხოვოს. ხოლო იგი მოით-
შენდა, მრავალ გზის შეკინდის (დასუსტდებოდა)
შიმშილითა და წყურვილითა, აჩამედ მაითშენდის,
და ოდესმე პპოვის მწვირესა (შეურაცხა) წყალი,
დაღვის პირი ჯვარის სახედ და სვის, და რომელთა
ისილიან ეძაგებინ და ნერწყვიდიან და რომელ-
ნიმე სცემდიან. ხოლო მან არა რა სიტყვა მიუვო.
რაეამს კაპილონსა ეპიფანესა და მოყვასთა მისთა-
თანა იყო, წარვიდა მოძლვარი მისი და, ვითარცა ესმა
ხმა წმიდისა მის კაცთა შორის, მთ ვითარცა
პირი იხსნეს, ამბორს უყვეს და დაუტევეს მუნ და
წარვიდეს. და მექაპილონელნიცა განვიდეს საქმისა
რასათვისმე, და დარჩა წმიდა იგი მარტო. და ვითარ-
ცა არა საღათ ვინ იყო, აღსდგა და აღიპყრნა ხელნი
ზეცად, და ევედრებოდა ღმერთსა სამთა მათ-
თვის. მემოწმების ღმერთი, რომ ქეყნისაგან ამალლ-
და და პატართა ზედა ეკიდა და ესრეთ ილოცევიდა;
ხოლო მე შემიპყრა შიშმა და ძრწოლამან. და
რაეამს აღასრულა ლოცვა, გამოვიდა კვალად
სირბილად კეთილსა მას გზისა.

თავი მითითებით.

ლ ვითარცა მოიწია ზამთარი ძნელი, და იყო
ყინელი ფიცხელი და საშინელი. რამეთუ მოსწყდე-

ბოლეს კაცნი მოსილნიცა სიფიცხისაგან სიცივისა და
სახლები აღივსო თოვლითა, კუცები გადმოსცვითა-
და თოვლისაგან და ქარისა სასტიკისა და წმობ-
დეს, ვითარმედ ავსწყდებით სიფიცხისაგან ზამთრი-
სა და სხვანი მოსწყდებოდეს შიმშილითა, რამეთუ
ვერ ეძლო უძლურთა განსლვა და თხოვა პურისა.
პურველნი დაილეწებოდეს და ხენი განიბძინვი-
დეს ნეფხვისაგან (ხმელი ყინვა) და ფრინველნი ჰაერითა-
გან გარდამოსცვითოდეს ქვეყანად. ხოლო მე დიდი
წუხილი მაქვნდა ანდრიასთვის, თუ ვითარმე იტვირ-
თავს ჰაერსა მას საშინელის შიშველი და უხამური, უზია
და წყურიელი; არა აქვს სართულა, არცა ადგილი
სადა თავი მიიღორიკოს, არცა კელმენი (მცირე სენაკი),
სადა მიიკრის და ადგილი არა ვუწყი, თუ სადა იყო-
ფის, რათამცა მივედ და ვიხილე, არამედ ვგონ ებდი-
ცა, ვითარმედ აღსრულებულ არს. ჩამეთუ მრავალ-
თა დღეთა არა მოტკბა ჰაერი, არცა დაყუდნა სიმძვინ-
ვარე მისი, ხოლო შემდგომად ორისა კვირისა
დადგა ქარი და რაგამს შემწუხრდა დღე, მოვიდა
იგი ჩემდა სახლად. ხოლო მე ვითარცა ვიხილე,
შეძრწუნდა სული ჩემი, აღვსდევ და მოვეხვიე ქამ
ერთ. მაშინ მრქვა მე, „დავსჯდეთ, მოძლვარო, და
დაყუდენ ტარილისაგან, რათა მოვითხრა. და ვითარ
დავსხედით, მრქვა, „მოილეთ ტრაპეზი, რათა პირი
ვიხსნათ (პური ვჭიმოთ) და მერედა ვიტყოდი. ხოლო
მე სიტყვისა მისისაებრ ეუბრძანე მოდებად. არამედ ესე
ამისთვის სთქვა, რათამცა ვუბრძანე მსახურთა ჩემთა
განჩნევა ტრაპეზისა დაგებისათვის და შემცა მარტოდ

და მეუბნა. და ვითარება განვაძნიენ ყოველნი მსახურებად, მრქვა მე, „რად მწუხარე იყავ ჩემთვის და პგონებდი, ვითარებდ მომკვდარ ვიყავ სხვათათანი? არა გრწამსაა წინასწარმეტყველისა, რომელი იტყვის, ვითარებდ „მახლობელ არს უფალი მათდა, რომელნი განკაფულ არიან გულითა და მდაბალნი სულოთა აცხოვნეს“. არა უწყის ოდეს მრქვა მე უფალმან: უკეთე შმასხურო მე ყოვლითა გულითა, რადენსა კეთილსა და ნუგეშინის-ცემასა მნებავს პყოფად შენი, ხოლო ამიერითგან გეველრები არა სწობე ჩემთვის და ნუკა იტყვი თუ ვიტანჯები, ანუ მელმის რადმე ჭირისათვის, ამეცაუ დიდი სიხარული არს კაცისა აქა ამა სოფელსა შინა, რაშეთუ მუნკა რაეამს განსაცლელი თუ რაიმე შეემთხვიოს ქრისტესთვის. ხოლო მე რაეამს მესმა მისგან, რწმენა სულსა ჩემსა და ვსთქვი, ვითარებდ „დიდი რაიმე საკვირველება ქმნილ არს მისთანა, და ამისთვის მამუნებს მე ამას. ვეველრებოდი და ვეტყოდი, სიყვარულისათვის ქრისტეს ღვთისა. მაუწყე, სადა იყავ სიფიცხესა მას ჰაერთასა? და ნუ დაშიმალავ რაიკა შეგმთხვევია.

თავი მათორიშვილი.

ქაშინ მომიგო წმიდამან და მრქვა მე, საყვარელო ჩემთ უფლისა მიერ, რასა ეძიებ პყოფასა ჩემსა? სადა იყოფიან სხვანი ყოველნი ხელნი, მუნვე არს დღილი ხელისა. ხოლო მე სიტყვისათვის შენისა მოგითხრა

ყოველივე საქმე ჩემი. ქეშმარიტად გაფუცებ შენ
ღმერთსა და შემოქმედსა ცისა და პვეყანისასა,
ვიდრემდის ცოცხალი ვიყო, ნუ ვის უთხრობ საქმე-
სა ჩემსა, რომელსა ვითხრობ. ხოლო მე ვეუცემ
დამარხვად მცნებისა მისისა. აღალო პატიოსანი
წმიდა პირი თვისი და იწყო თხრობად ჩემდა და
მრჯვა: ვეითარცა ვუწყი, საყვარელო მამაო, სიფიცხე
იგი ზამთრისა მის, და საშინელი სასტიკება, ვერ
შემძლებელ ვიყავ მოთმენად ძლიერსა მას ჰაერსა,
რამეთუ ვიყავ შიშველი და უხამური და თავ-ლიკა-
და ვითარ უღონო ვიყავ ყოვლით კერძო, შევიტერ
სართულსა ვისმე გლოხევისასა, რათამცა მცირედ
მელხინა. ხოლო იგი ვანრისხდა და მცა არგნითა,
ვამომდევნა ვითარცა ძალლი. მიერითგან არლარა
მქონდა ლონე, რათამცა ვანვერე ჰაერსა მას ფიც-
ხელსა. არამედ ვანვიწირე თავი ჩემი, ვგონებდი,
ვითარმედ მოიწია ალსახრული ჩემი და ვიტყოდი
ესრეთ: «კურთხეულ არს უფალი ღმერთი! უკეთუ
მოყედე მისთვის, შემერაცხების მე წამებად, რამეთუ
ღმერთი სიმართლისა არს! და წარვედ ფოლორცა
ბნელსა და ვიხილე მუნ ძალლი მწოლარე, და
ვსწევ მახლობელიდ ძალლისა მის და ვგონებდი,
ვითარმედ ძალლისა მის სიტყომან მცირედ ვანატ-
ფოს ხორცი ჩემნი. ხოლო რაეამს მიხილა ძალლმან,
იყლტოდა ჩემგან. ხოლო მე ვეტყოდი თავსა ჩემსა:
უბადრუეკო ანდრია ცოდვანი შენნი ძალლთაცა
უწყიან და ეძაგების და გელტვიან, და კაცო
ვითარცა ეშმაკეული უჩნ, და ვდევნიან, ვითარცა

ძალლისა. კეშმარიცად მოკვდინებად ხარ შენ, ანდრია,
ვითარცა ავაზაკი უსახლობით. და ვითარცა ვსოქვი
ესრეთ შეძრწუნებულმან, მოვიქეც სინაწულად და
ვიწყე ლოცვად, რამეთუ შევიშთომოდი. ხოლო
მწარისა სიცივისაგან მომიხდებოდის ცრემლნი და
ვეველრებოდი ღმერთსა. აღვიხილენ თვალნი ზეცად
მიმართ და ვიტყოდი, უფალო, რაი ჰყოფად არა
ჩემდა? და რაეამს განცივდეს ყოველნი ხორცია
ჩემნი და მომეხვით ყინელი პირსა ჩემსა, მოველოდა
ალსასრულსა ჩემსა. და მას რა განვიზრიახვდი ვულ-
სა ჩემსა, მყის მოვიდა პაერისა სიტყო რაიმე
მყუდრო და შემემოსა ვარემოს ხორცია ჩემთა.
და ვითარ აღვიხილენ თვალნი, ვიხილენ კაცნი
ვინმე შვენიერნი მოსრულნი ჩემდა. და იმას არა
ჩეენებასა შინა ვიხილევდი, არამედ მღვიძარებასა.
ხოლო პირი ჭაბუკისა მის ბრწყინვიდა, ვითარცა მზე,
და ეპყრა რტო ოქროსა და რტო იგი იყო მოთხზულ
გარემო ვარდითა დრაპენითა, რომელ არს შრო-
შანი. რამეთუ არს ვარდი იგი და უვავილი უვაუილ-
თაგან სამოთხისათა, და არა იმის სოფლისათა.
მომიგო და მრქვა: „ანდრია სადა იყოფოდი?“ ხოლო
მე ვარქუ:-ბნელთა და აჩრდილთა იმის სოფლისათა.
და რაეამს ესმა სიტყვა ესე, შემახო რტოთა მით
პირსა ჩემსა და მრქვა მე: „ მიიღე ამიერითგან ძალი
ცხოვრებისა, რათა გვამი შენი იქმნას უვნებელ და
არა რაი შეგეხებოდეს. და სიტყვისა მასთანა
მომეფინა მსწრაფლ სუნი სურნელებისა ძლიერად
და მსწრაფლი, ვითარცა ელვაი. და მისვე უაშსა

ვანგძლიერდი და მესმა ხმა ძლიერი ზეგარდამო, რომელი ეტყოდა კაცია მას, რომელსა ეპყრია ჩტო თქმოსა: „წარიყვანე ევე განსასვენებელსა სამოთხოსა ჩემისასა და მუნ განუსვენე თუ კვირიაკესა ოდენ, და მერმე მოყვანე აღვილსავე ამას, რამეთუ შეგბავს, რათა იქცეოდეს შევბათა შინა მისთა“, ხოლო იტყოდა წმიდა იგი, ვითარმელ მსწრაფლ მოვიდა ჩემდა ძილი ტკბილი და ლრმა და ჰამო. არა უწყი, თუ რა ვიქმენ ფრიადისა მის სიტყბოებისა და სიამისა. და თუ კვირიაკე, ვითარცა სახმილავი ერთი დამისა, წარხდა წინაშე ჩემსა. ეხელევდი სამოთხესა მას მშვენიერსა და განვისვენებდი და განკვირვებული ვიტყოდი: ესრედ მაუწყამცა, თუ ვინცა სადა ვარ, რამეთუ საყოფელი ჩემი არს კოსტანტინეპოლეს, და მე იქა რასა ვიქმე? და შემიპყრა განკვირვებამან, თუ ვითარ იქმნა ესე ჩემდა. და კვალიდ მოვეგმ ცნობასა და ვიტყოდი თავით ჩემით, თურე ვარ ნაღვლიანი თუ არა, რასა ვეძიებ საქმეთა ჩემთა, რაეამს ვხედავ კეთილთა მათ მიუწლომელთა, რად არა ვმაღლობ სახელსა უფლისა საგალოობელსა.

ხოლო მემოსა სამოსელი სპეტაკი და შემკობილი თვალებითა პატიოსნითა და ვიხარებდი მის მიერ, და გვირგვინი, რომელი მეღვა თავსა ჩემსა, შეთხშულ იყო ყოველთაგან ყვავილთა ფერად-ფერადთასა, და ხამლნი, რომელნი მესხნეს ფერხთა ჩემთა, იყო თქრო-ლვედულნი და სარტყელი მერტყა თქრო-ძოწეული ჩელთა

ჩემთა, და ვხედავდი პატისა სამოთხისათა, უითარუა
ცეცხლსა მნათობსა და ბრწყინვალესა, და სურნე-
ლება, რომელი მოაქვნდა ნიავთა სამოთხისათა, ვერ
შეძლებელ ვარ მითხრობად და ვერცა გულის-ხმის-
ყოფად სიამოვნისა მათისა. და ვრონინებდი მას
შინა, ვითარუა მეფე რაი რონინებნ მტილსა შინა
განსვენებად თვისსა; და ვხედავდი ნერგთა ხეთისა
ფრიად შვენიერთა დანერგულთა ხელითა ლეთისათა;
ხოლო არა მსგავს იყვნეს ხეთა მათ, რომელთა
აწ ვხედავთ სოფელსა ამას შინა, არამედ იყვნეს
ვრცელ და შვენიერ, და ცვარი მაღლისა წვეთინ
მწვერვალთა მათთავან ქვეყანასა ზედა, და აქვნდა
სურნელება ჰამო. ხოლო უფროს საკირველება
ესე იყო, რამეთუ არა ერთი სურნელება აქვნდა,
არამედ ყოველნი თითოეულად მოფენდიან სხვასა და
სხვასა სურნელებასა. ყვავილნი და ნაყოფნი მათნი მა-
რადის განუქარებელ და დაუჭინობელ იყვნიან, შეუც-
ვალებელ და დაუკლებელ ზეგარდამოსა ბრძანებისა
მიერ. და იყვნეს სხვანიცა ხენი, ნაყოფითა და
ფურცელითა შემკულნი, და ნაყოფი ესხა შვენიერი
და მოუგონებელი. და სხდეს ხეთა მათ ზედა
მფრინველნი ფერად-ფერადნი და ვვარიინითა
სახითა შვენიერად შემკულნი ფრიად. დასხდიან
ფურცელთა მათ ზედა, ლალადებდიან ხმითა ტკბი-
ლითა და შვენიერითა სხვითა და სხვითა და ხმათა
მათთა სიმაღლე განისმოდა კიდევთ კისათა, და
ფერთა მათ მფრინველთასა მენება განცდა და ვერ
შევუძლე, რამეთუ ყოველითა თითო სახენი და

თითო ფერნი ხილვანი უვიღოდეს. ვიხილე მათ შორის მფრინველი ერთი, რომელი უსიქსოდეს იყო მათ ყოველთა და უშვენიერებს და უცხო ყოველთა დაბადებულთა, რომელიცა უხილვას თვალსა ქაცისასა. და ვინმცა იყოს განცდად შემძლებელ შვენიერებასა მისსა! და ხეთა მათ, რომელთა ვითხრობ, ესრეთ სიღეს მწყობრიდ მიწყობილად, რაზომცა ლაშქარი მწყობრიდ და მწყობრად; და ვითარცა ვხედევდი უხილვასთა მათ კეთილთა, არღარი მწაღოდა ხილვად ბნელისა მის ხოფლისა. ხოლო რაგამს ვიქცეოდი გზათა მათ შორის ვრცელთა განფენილთა, ვიხილე მდინარე დოდი შორის სამოთხესა, რომელი მორწყვიდა ნაყოფთა მათ სამოთხისათა, და მფრინველნი შთამოვიდოდეს და სმიდეს მისგან და კვალად იქციან ხეთავე მათთა, და ხმობდიან ხმითა ჰამოთა, ვითარცა ეპნისა და ორლანოსათა.

თავი მიუამატო.

ღ იყო ვენახიცა გარემოს მდინარესა მას, და ფურცელნი ვაზისანი ყოველნი იყვნეს ოქროს ფერნი და ელვიდეს, ვითარცა სინოველი აღნთებულნი, და ტევანი ესხა ფრიად და ფურცელნი იგი ოქროსანი აგრილობდეს ტევანსა მას. და იყო ვენახი იგი განფენილ შეა სამოთხესა, და შეა ვენახსა მას იყო ლოდი დიდი, რომელი იქადაგების სახედ მხსნელისა ჩვენისა იქსო ქრისტესა, ლოდი საკიდური. და რაეგამს

ეიხილე ვენახი იგი, ალვივსე სიხარულითა და მხიარულება უცხო მოეფინა გულსა შინა ჩემსა. ესდევ მუნ ეძმ რაოსიენიმე და განვიკიდიდი. ამოხდა ნიავი მყუდრო და პამო და მოილო სურნელება რაიმე უხილავი. ხოლო მე ვჰვინებდი, ვითარმედ ჸეშმარიტად ანგულოზნი აკმევენ წინაშე ძისა ღვთისა და მიერ გარდამოხდა სურნელებად ესე. და რაეამს დასცხრა სურნელებად და ნიავი იგი, მესმა ხმად ქარისა დიდი და ძლიერი მრავლით კერძო. და რაეამს მიეჭხედენ ქირსა მას, იყო იგი ვითარუა თოვლი სპეტაკი და ღრუბელი ჩნდა და ვიხილე მის ქარისა კერძო სხვა ხედა. და მოილო ქარმან სუნნელება მის ხისა უამესი თა უხაკვირველები ყოვლითა მით, რომელნი პირველ მეყნოსნეს. და დამავიწყდა პირველი იგი და მექანეს უკანასკნელნი. და სხვანი ფრანველნი ვიხილე საშინელნი, რომლითა ალიძრა სული ჩემი, და გრძელენინ ჩემნი, მამაო, არა ვუწყი ჸეშმარიტად, რამეთუ ფრინველნი იყვნეს, თუ ანგელოსნი. და კვალად ვიხილე ჩრდილოთ კერძო ქარი სასტრიკი, ვითარუა ნათელი წითელი, და ბერევიდა მღუმრიად, და სძრავნ ფურტელთა მათ შეენიერთა, და ვამოვალნ სუნნელებად ხეთ, მათგან და მოჭვინის ნიავი პამო შორის სამოგხისა. და ვსიდევ და რაოდენმე ზირ-განხდილი და ვძრჩოდი საკვირველებისა მისთვის და სურნელებისა და ვიტყოდი, ვითარმედ „ვინ არს ესე ჩემდა, რომელ ლირს ვიქმენ ხალვად დაუსრულებელთა მათ კეთილთა?!“

და კეალად მოვიდა ქარი მესამე, და სხვანი ყოველნი დაუუღნეს. და ვითარუა განვიციდი ყოველსა საშვებელსა წმიდათასა და ღიღებასა უკვდავსა და უცვალებელსა *) მართალთათვის განშეაღებულსა, კვალიდ მოხდა ქარი სამხრით და ფერი მისი იყო, ვითარუა პორტირი, და სუნი მოაქნდა, ვითარუა ვარდისა და შროშნისა, და მშერვედა ნაყოფთა მათ, და იძეროდიან ფურცელნი მათ ხეთანი, და გამოვალნ სურნელებაა” და ვპვონებ, ვითარმედ არავის საღა ეყნოსა კაცთაგანსა სოფელსა ამას შინა ესე ვითარი სურნელებაა.

და სხვანი მრავალნი მომითხრნა წმიდამან ან ლრია მე ულირსსა მოძღვარსა მისსა, რომელი აწ თქვენ გითხრობ მის მიერ თქმულსა. და იტყოდა ესრეთ ვსთქვათ, თუ ვითარ სახედ ვიყავ ხორცთა შინა თვინიერ უხორცოთა, არა ვუწყი, ღმერთმან უწყის მხოლომან, რამეთუ თვალნი მესხნეს მე და არა ვუწყი თუ რა განვიცადე, ანუ რამ იყო ხილვა იგი, თუ სულმან თდენ იხილა, ანუ ხორცთა-ცა, გარნა ვპვონებ ხორცითაცა ვიყავ, არამედ სუ-ლი იხილვიდა.

და ქარმან მეოთხემან ოდეს მოპჩერა, გამოხდა სუნნელება, ვითარუა ნელ-საცხებელისა, და მოვიდა

*) სამშია „უცვალებელი”, მეოთხეშია „დაუსრულებე-ლი” — ეს უფრო მართლიად არის წახმარებული. სამშია „ნა-კუფი”, მეოთხეში „სამყოფთა”, რომელიც მართლიად უნდა ზაოთვალოს.

საყნოსელთა ჩემთა, და სიამოვნითა მისითა განვეღი
გონებისაგან. და ვუწყოდეცა ქსე, ვითარმედ სამოთ-
ხესა შინა ვარ. და მოვიდა სიხარული რ იმე
უზომოდ, და განიხარა სულმან ჩემმან, და ალი-
სო ნუგეშინისცემითა. და სხვაცა საკვირველი
ისმინე, რამეთუ რაოდენიცა დღე დაეყავ მუნ,
დამე არა ვიხილე ყოვლადე, არამედ დღე იყო
ყოვლადე ნათელი და სიხარული დიდი.

თავი ვათოთხვევი.

ქამსა ერთსა მოვიდა ჩემდა განკვირვება და
ვძგონებდი, ვითარმედ ცად ალვიტაცე სამოთხეს
ყოფასა მას ჩემსა. და ვიხილე ქაბუკი შვენიერი,
რომელსა ემოსა ქლამინდი და პირი მისი ბრწყინვი-
და, ვითარცა მშეგ. და უბრძანა ჩემთვის მსახურთა
მისთა, ვითარმედ წარიყვანეთ! და თვითცა წინა
მიძღოდა. ხოლო მე შევუდეგ და ვიხილე ჯვარი დიდი
და შვენიერი, რომელსა უმდერდეს (მიუძღოდა) ოთხ-
ნი დროშანი და ლრუბელი ნათლისა აგრილობდა,
და ჰყვებოდა ზედა ჯვარსა მას,— და დროშანი იგი;
შეწამულნი და ელვარენი, და ორნი სპეტაკნი,
ვითარცა თოვლნი; და გარემოს ჯვარსა მას
მოადგნენ მგალობელნი და გალობდეს ხმითა მშვენიე-
რითა და მიუთხრობელითა, და მოსილ იყვნეს
სპეტაკებითა შვენიერითა, და გალობასა ჯვარისასა
გალობდეს. მოვიდა წმიდა მოძღვარი იგი ჩემი, რომელ-
სა ემოსა ქლამინდი, თაყვანისცა და ამბორს უყო

წმიდასა მას ჯვარსა, და მიპრძენა მეტა თაყვანის—
ცემად და შემთხვევად. და ვითარუა შევემთხვევა,
მოვიღე სურნელება მისგან, ეგე ვითარი ჰამო,
რომელი სამოთხესა შინა არა მეყნოსა, და რაემს
ვიგზელენ გარემოს ჩემსა, ხადა ვსდევ, ვიხილე
სილრმე საშინელი, ვითარუა ზღვისა უფსკრულისა
და შევძრწუნდი საშინელად შიშითა დიდითა,
და ქლამინდოსანსა მას ვარქუ: «უფალო, რომელსა
ამას ვსტკებნი, ამა ქვეყანა არს და ფერხნი ჩემნი
არა მოეკიდებიან, რამეთუ ლრუბელსა ზედა ვრო-
ნიებ და ვხედავ სილრმესა საშინელსა, და მეშინის,
ნუ უკვე შთავვარდე მე ქვე, უკეთუ შენ არა
მიპყრა ხელსა ჩემსა?» ხოლო მან მრქვა მე,—ნუ გეში-
ნინ, რამეთუ კვალად უმაღლესსა ცალ აღსლვად
ზარ. და მიპყრა ხელი, რომელსა გმოსა ქლამინდი,
და აღმიყვანა მე სიმტკიცესა ზედა მეორისა ცისასა.
ხოლო იყო ხილვა ცისა მის, ვითარუა თოვლი
სპერაკი. და ვიხილენ მუნ თრნი ჯვარნი პატიოსნ-
ნი: ერთი იგი, რომელი მეხილვა ქვემოსა ცახა, იგი
იყო და ერთი სხვად, და გალობდეს გარემოს მისსა
ვალობასა მასეე, რომელი ქვემო მესმინა. და იყო
ცახა მას ზედა პატი წითელი, ვითარუა ძოწეული,
და ხაყოფელი და განსასვენებელი იყო უჩმათა
უმანქოთა, რომელნი იყვნეს გარემოს ჯვართა
მათთანა. ხოლო ჩვენ ამბორს ვუყავთ ჯვართა მათ,
რომელნი იყვნეს მუნ, დიდითა შიშითა და სიხირუ-
ლითა, ვითარ იგი პირველ ქვემოსა, და ვიყნოსე
პათგან სურნელება მიუთხრობელი. და ამა ესერა

შაერისა მისგან წითლისა გამოხდა ჰალი საშინელი,
და მეცნი, ვითარმედ მოსწვევდა ყოველსაფე
ქვეყანასა და კასა, და შემოურვა მე შიშმან და
ძრწოლამან, და ვარქუ ქლამინდოსანსა მას, „შემეწიე
მე ცეცხლისა მისგან!“ ხოლო მან მრჯვა, ნუ გვში-
ნინ, რამეთუ კვალიად უმაღლესსა ცასა აღსლეად
ვართ. მიპყრა ხელი და ვიპოვენით მესამესა ცასა
ზედა. ხოლო ხილვა ცათა არა ესეთი არს, ვითარ-
ცა ვხედავთ ქვეყანით აღმართ ზედა, არამედ
ცისა არს, ვითარცა ფიცარი ვაკმ, მსგავსი ოქ-
როსა გარდაფენილი, და პირველ აღსლებისა
ვართა მათ ცისათა, ვიხილენ სამნი პატიოსანნი
ჯვარნი, რომელნი ბრწყინვიდეს, ვითარცა ელვა-
ნი დიდნი და საშინელნი. ქვემოთა მათ ორთა
ზემორე ჯვარზედა უვრცელეს იყვნეს, და ვხე-
დევდ, ვითარცა ცეცხლისა რასამე და შორის
ცეცხლსა მას პდგეს. ჴ მოვიდა ქლამინდოსანი, რო-
მელი წინა-მიძღოდა მე და შევიდა შორის ბრწყინ-
ვალებისა მას და თაყვანი სცა, ხოლო მე
შევძრწუნდი ცეცხლისა მისგან და ვერ შევუძ-
ლე შესლეად მას შინა, არამედ შორით თაყვა-
ნის-ეეც და თანა-წარვპხედ. და რაეგამს აღვიწიენით
მესამესა ცასა ზედა, იყო კრეტსაბმელი, ვითარცა ელ-
ვა განცემილი, და კრეტსაბმელსა მას შინა სლვა სიმ-
რავლე მხედრობათა ზეცისათა, რომელნი აქებდეს და
აღიდებდეს ღმერთისა. წარველეთ იყიცა და მივიწიენით
კვალიად სხვასა კრეტსაბმელსა, რომელი იყო პორ-
ფიროვანი, იის ფერი. თანა წარველით მასცა და მი-

კელით ადგილსა რასამე წმიდასა. ტ ვიზილეთ მუნ შედა
ეზო მობმული საშინელი და შევნიერი; ვითარცა
ოქრო წმინდა ელვიდა და ხელი თდენ ბრწყინვა-
ლე ჩნდა, რომელმან შეგვიპყრნა ორნივე და შე-
გვიყვანნა და დაგვადგინა მახლობლად მის საშევ-
ლებელისა (საბურელისა). ხოლო დგეს კრეტის ბერე-
სა მას შინაგნით დასნი ურიცხვნი ანგელოსთა-
ნი ბრწყინვალენი, შიშით და ძრწოლით მო-
ჰეწრულნი, და იხედვიდეს სიმაღლედ მიმართ,
და ეპყრა ხელთა მათთა სამწერობლები საში-
ნელები, და ჰსდგეს განყოფილნი იმიტრ და ამი-
ტრ და მრეჭა შე ქლამინდოსანმან, „რაეამს უკუნ
ხადონ საბურველი ესე, მაშინ (იხილო) ძე კაცისა
მჯდომარე იქსო მარჯვენით მამისა, დავარდი ტ თაყ-
ვანის-ეკ ყოვლითა შიშითა და გულათა და გონები-
თა შენითა, მას შეხედენ და ისმინენ რასა იტყო-
დეს შენდა მომართ. “ და იგი თვით წირეიდა ჩემგან;
ხოლო მე ვხედევდი საბურველისა მას და ვიზილე
ტრედი ერთი დიდი და საშინელი, რომელი ჯდა
საბურველისა მას ზედა, ხოლო იყო თვით ტრედი-
სა მის ოქროისა და მკერდი ის ფერი და ფრთხენი წი-
თელნი, ძოწეულის ფერნი, და ფერხნი წითელნი, ვი-
თარცა ფერი გარდისა, და თვალთაგან მისთა ვაშოვი-
დოდა ბრწყინვალება, ხოლო მე, ვითარცა ვხედევდი
განკვირვებული, აღფრინდა ტრედი იგი სიმაღლესა
მას ცათასა, და ვითარცა ესე იქმნა, მოხადეს სა-
ბურველი იგი; ხოლო მე ვხედევდი სიმაღლედ მი-
მართ, გინაცა ჰხედევდეს დასნი ანგელოსთანი. და

ეიხილე საყდარი საშინელი დამოკიდებული პატიონ
შორის, რომელი არავის ეპური, არამედ თვით სდგა
თავით თვისით, და გამოვიდოდა მიერ ბრწყინვალება,
არამედ არა თუ ერთი იყო, ვითარცა ცეცხლისა, არა-
მედ იყო ვითარცა თოვლი სპერაკი და ფრიად უსპე-
ტაკესიცა. და შეჯდა საყდართა ზედა მათ უფალი ჩვენი
იქსო ქრისტე ძე ღვთისა. ხოლო სამოსელი, რომელ
ემოსა ჩნდა ვითარცა პორფირი და ბისონი. და
რაეამს ვიზილე, შევსძრწუნდი შიშითა დიდითა და
ესოქუ ესრეთ: „ჭი ჩემდა საწყალობელისა ამის, თუ
ვითარ სათნო იყო და მიჩვენა მე ღვთაება თვისი
უხილავი!“ არამედ არათუ ვითარცა კაცა ვხედევდი,
არამედ ვითარცა მზესა, რომელი აღმოდის აღმოსა-
ფალით და განსთხინის მწვერვალნი თვისნი, და ვერ-
ვინ ვანიცდინ, ეგრედ ჩნდა ხილვა მისი, და ვერცა
შემძლებელ ვიქმენ ვანცდად პირისა მისისა, არამედ
თაყვანის ვეც სამგზის და რაეამს აღვსდებ, მეგულ-
ებოდა, რათა ვანციცადო პირი მისი, არამედ ვერ
შევუძლე.

თავი მისათხოვა.

ბამოვიდა ხმა ბრწყინვალებისა მისგან
და მოვიდა ჩემდა. ხოლო ხმა მისი იყო, ვითარცა
გრგვინვა ქუხილისა, და პატიო იგი ცისა შეძრწუნე-
ბულ იქმნა. ხმისა მისგან, და გარდამოვარდა და
დაეცა ქვეშე. ხოლო ხმა იგი მისი ტკბილ და პამო
(საამური), და მესმნეს მისგან საშნი სიტყვანი და გუ-

ლის-ხმა-ვუკენ და განიხილა სულმან ჩემმან, და
კვალიდ მომიგნა, მეორედ სამნი სიტყვანი, ხოლო
შესამედ, რომელნი მომიგნა სამნი სიტყვანი, იყვნებ
იგინი საშინელნი და შესძრწენებელნი, და რაებში
ქმათ ანგელოზთა მათ მუნ მდგომარეთა, შეძრწენ-
დეს და ხმა-ჰყენს ხმითა მაღლითა და საშინელითა-
და ვჰვონებ, ვითარმედ ხმანი იგი ანგელოზთანი
ჩემდა მომართ იყვნეს.

ხოლო მე ვითარუა მესმნეს სიტყვანი იგი,
ვითარუა აღსრულ ვიყავ, ეპრეთვე გარდამო-
ვედ აღგილსა მას სამოთხისასა, ვინაცა (საიდანაც)
აღტაცებულ ვიქმენ. და მიკვირდა, თუ სადა ვიყავ,
ანუ სადათ მოვედ კეალიდ აქავე. რაებამს განვიცდი-
ლი აღგილსა მას და სიყრცესა მის მხოლოსასა,
ფრიად მიკვირდა, თუ კვალიდ მუნვე ვიპოვე და
ვიტყოდი გულსა შინა ჩემსა, თუ მე მარტო ვარ
აქა, ანუ სხვაცა ვინმე არს?! და რაებამს განვიზრახვ-
დი ამას, ვიხილე ვაკედ დიდი და არა იყვნეს ხენი,
არამედ მწვანეილნი და უვავილნი, ფერად-ფერადი
გარდნი და შროშინი, და სხვანი უვავილნი და
წყარონი შვენიერნი, რომელნი გამოსცემდეს ჩადესა
და თაფლსა, და სურნელება გამოყვებოდა ჰამო
და ტკბილი. ხოლო მე, ვითარუა ვიხილე განსასვე-
ნებელი აღგილი იგი, განვკვირდი ფრიად საკვირ-
ველებათა მათთვის ღვთისათა! ვიხილე კაცი ვინმე,
რომელსა ემოსა სამოსელი ბრწყინვალე და ელფარე,
ვითარუა თოვლი, და ეპყრა ხელთა მისთა ჯვარი. მო-
შეახლა და მრევა მე, „ჯვარი უფლისა ჩეენისა იქსო

ქრისტესი მართლის ჩვენთანა, არამედ ნეტარ არს იყო,
რომელი იქნეს სალოს, რამეთუ ფრიიდ შრმენი
არს იყი.“ და მერმე მრქვა „წარვედ მცირედ უმ
მუნჯე, საღით მოყვანებულ იქმნი!“ უცხო და დი-
დი ხაკვირველ არს ესე, რამეთუ არავინ მოსრულ
არს სოფლით და კვალიდვე ქცეულ არს მუნჯე სოფ-
ლად, გარნა ქრისტე ძე ლვთისა. არამედ შენ იმის-
თვის მოხვედ, რამეთუ ილასრულე მცნება მისი და
შეიყვარე იგი და სალოს იქმნე მისთვის. იწ რო-
მელნიცა გიხილავს კეთილნი ეგე მიუწლომელნი,
უწყოდე, რამეთუ მართალთა ყოველთა აქა ეგულე
მისთ მოხველად და დამკვიდრებად განსასვენებელსა
ამას. იხილე სამოთხე ქრისტესი, უწყი რამეთუ იხი-
ლე და გიკვირს! მაუწყე: ამას, უფრო ჯერებულ ხარ,
ანუ სოფელსა მას, საღით მოხვედ შენ? იხილე-ლა, თუ
ვითარისა ამის კეთილისაგან უნაწილო იქმნებიან და
განვარდებიან ცოდვილნი? ვინ საღად მოიყენა
ცოდვილთაგანი აქა, ანუ საღა იხილნა კეთილნი
ესე დაუსრულებელნი? ხოლო ამას რა მეტყოდა
მე ლიმილად — მხიარულ იყო ჩემდა მომართ; და
მრქვა მე, ვითარმედ რომელსა ჰედავ, არს საყოფელი
დედუფლისა. ჩვენისა ლვის-მშობლისა და მართლის
ქალწულისა მხიარისისა. ხოლო იგი არა არს აქა,
არამედ იქცვის სოფელსა შინა, ჰედავს და შფა-
რავს, რომელნი ეველრებიან ძესა მისსა სოფლისა
მრალთა შენდობისათვის. ჯერ იყო, რათა გეხილა
ადგილი, საღა იყოფის წმიდა ლვთის - მშობელი,
არამედ არა შესაძლო არს! წუთ წარვედ, საღით მოს-

რულ ხარ, ვითარცა ვიბრძინა უფალმან ღმერთმან
ჩვენმან! « და უბნობასა ამას შინა მიმებინა ძილი
ჰამო, ვითარცა მარალის ვიყავ სოფელსა ამას შინა.
აწ მმანო ჩემნო, განვითროთხოთ მოსწრაფებითა, რა-
თა ლირს ვიქმნეთ მიწევნად კეთილსა მას მოუწილ-
შელსა.

თავი მითვასმითი.

ლი რაეამს მომითხრა მე ესე ყოველი წმიდამან
ანდრია, მე მოძღვარსა თვისსა, განპვევირდი, რამეთუ
რომელი იგი მესმა მისგან, იყო საშინელ და საკურ-
ველ, და გარემოს მისსა ფშოდა სუნი შვენიერი სუნ-
ნელთა ყვავილთა, და ლამე ყოველ მითხრობდა
ამათ ყოველთა კეთილთა თხრობათა. და რაეამს
განცისკრნა, განვიდა კვალიად სირბილიადვე და სალო-
ხობად, და მიერ დღითგან ირლარა ეუწყებინ ძილისა-
თვის, არამედ სდგის მწუხრიდგან ვიდრე განთენებად-
მდე, ილოცვენ და ევედრებინ ღმერთსა, და დღე ყოველ
იქცევინ ერსა შორისდა აჩვენებნ თავსა თვისსა მთვრალ,
და იქირებინ მიღამო და რომელნიმე სცემდიან მის
და სხვანი თმითა ათრევდიან. არცა შიშისათვის
ლეთისა ერიდებოდეს და არცა ქრისტიანობისათვის
წყალობდეს და უწყალოდ სტანჯვიდეს. ხოლო
წმიდა იგი მოითმენდა ყოველსავე სი ხარულით
ხემოთხისა სურვილით, რომელი ეხილვა.

თავი მართლდებო.



ხოლო ეშმაკმან, მბრძოლმან კეთილისამან, აღიღო შერი ვნებად მისსა. გარნა ვერა რახა ავნებდა და ვერცა შეეხებოდა. ეამსა ერთსა იქმნა უძლეურ და ბერ დედაკაცად შეიცვალა. დაჯდა გზასა ზედა საერთოსა, სტიროდა და იტუოდა ესრეთ: ავარ გლახაკი და ბერი, და არავინ მიტევის. მიხილა მე ეშმაკეულმან ანდრია; ესე ვითარი ძვირი განიზრახა ჩემთვის, რამეთუ უნდა ჩემდა შეგინებად და მე არა ნება ვეც, და მგვემა მე და ეშმაკეულ ვიქმენ და არა მიტევებს ცხოვრებად და რამ ვჰყო უცხომან ბერმან გლახაკმან და მრავალთა სენთაგან ტანჯულმან? უგუნური იგი შემაგინებდა მე, მფხვრიდა (მაგლეჯდა) თმათა და მცემდა პირსა და კიოდა. ხოლო რომელნი წარვლიდიან, იხილიან რა იგი შემფოთებული, პგონებდიან, ვითარმევ ბერი ვინმე არს საწყალი, და არა უწყოდეს, რომელ ეშმაკი არს. და ეტუოდა იგი ერსა შას, „შემიწყალეთ მე ძმანო ქალაქისანო, რომელი უცხო ვარ მე ქალაქისა ამისაგან, რამეთუ სამართალი მეგულვა აქა, აღვიდე სიგლახაკე ჩემი და მოვედ, რათა ვისამართლო, და ესმოვე სენაკი მცირე იპოდრომსა, რომელ არს ცხენთა სარბიელ და მუნ დავჯედ. მოვიდა ვინმე ეშმაკეული ეამსა შუალამისასა და წარმილო სიგლახაკე ჩემი და ივლტოდა; და კვალად მეორესა დამესა მოვიდა და სხვა წარმტაცა. მესამესა ღამესა მოვიდა რა, შევიპყარ და ხმა ვჰყავ, ვითარმევდ მეძა-

ვი არს, მოიქცა და მითხოვ ჩე თშითა თავისა ჩემისა-
თა და შექმუსრა და დამტა მე ქვეყანასა ზედა. და
გამომიქრიბნა ნაწლევნი და კბილნი ჩალეჭნა. ერნო
ქალაქისანო! მითხარი, რათა ალვიარო სიგლახეაკე
ჩემი მისგან? რა ვჰყო? ვიცი, რამეთუ ანდრია არს
დამამდაბლებელი ჩენი!“

ხოლო ვითარცა ესმა ერთა მათ ზრახვა მისი,
ჰსოქვეს, ვითარმედ ეშმაკეული და ხელი არს ესე!
დაუტევეს და რომელნიმე ეტყოლეს, მორამოვეეც
და გიჩვენოთ მპარავი იგი შენი და რაცა ჰყოთხიან,
ყოვლისავე პასუხი მიუფის.

ხოლო ნეტარი იგი ანდრია ჰსლგა მახლობე-
ლიალ მისსა და ილოცვიდა ფარულად, რამეთუ გუწ-
ყა საქმე იგი და განზრახვა ეშმაკისა. და მერმე
მორბიოდა მსწრაფლ მუნ და იხილა ეშმაკი იგი,
რომელი ჯდა, ვითარცა ბერი დედაკეცი. ხოლო
სხვათა მათ ვითარცა იხილეს ანდრია განიბნინეს
მისგან, და წმიდამან მიხედნა რისსვით და პრეკა. „სტი-
როდე ბერი დაბნელებულო! სტიროდე მატყუარო
და ურცხვინოვო! მოიგონენ საქმენი შენნი ღმრთი-
საგან და წმიდათა მისთაგან დაწყებულო ეშმაკი!“ დად-
რკა ანდრია და აღილო მიწა და შეზილა, ვითარცა
ქვა, და შესტყორცნა პირსა მისსა და შეუბერა სამ-
გზის ჯვარის სახედ. ხოლო იგი შეიქმნა გველად
დიდად და შეხერა სახლსა ვისმე დედაკეცისას, და
ვითარცა იხილა დედაკაცმან გველი იგი, შეშინდა
და დაუტევა სახლი იგი და ივლტოდა და პემა უყო
შეგობართა და მეზობელთა თვისთა: „მოჰკალთ გვე-

ლი ქსე. ” და ვითარ შევიდეს საბლისა მას, მაგბა
ჰყვეს და ვერდარია ჰპოვეს გველი იგი, რამეთუ
ეშმაკი იყო და წარვიდა.

თავი მითვდამასთა.

ტვალი პრბიოდა ნეტარი ანდრია, ჩვეულე-
ბისაებრ თვისისა მღერად და სიტბილად იპოდრომ-
სა შინა, და როკებისა შინა შეემოხვევა მოყვე იგი ეპიფა-
ნე, რომელი იყო ერთი მათ სამთაგანი, რომელი პირ-
ველ ქხილვა მათ დღეთა წმიდასა მასთანა კაპილიანსა
შინა. დასხდეს და იუბნეს, და ვითარუა იხილა წმიდა-
მან ანდრია, გულის-ხმა-ჰყო, ვითარმედ ეშმაკი
მბრძოლი არს მისდა გულის-სიტყვითა, რამეთუ იყო
იგი შეშფოთებულ. ხოლო ვითარუა მიეხსლა ანდრია,
უპყრა ხელი ეპიფანეს და ეძიებდა აღვილსა, რათაც-
უა ეუბნა მას. და ვითარუა მიერდეს აღვილსა ფა-
რულსა კაცთაგან, იწყო სწავლად მისდა და პრქვა:
„იხილე შეილო საქმენი და მანქანებანი ეშმაკის, ან?
ოდესმე შეიქმნების დედაქაცად და ოდესმე სარუ-
ნოზად-შევად! იხილე, საყვარელო შეილო ჩემთ,
ვითარ შეგემოხვევა შენ, გაგანებდა და გრძებოდა
შენ აბაში იგი. ” ვითარუა ესმა ქსე ეპიფანეს, და-
უკვირდა უწყება იგი მისი, რამეთუ პირველ

*) პბა-შელნი ანუ აბისინელნი, რომელნიც უწოდებენ
თავიანთ თავსა შიონად, შოანად, სუანად, ხოლო ქვეყანას აბა-
შეთად, კანი აქვთ შევი.

ანდრიასა შემთხვევადმდე შემთხვევულ იყო ეპი-
ფანეს და ეშმაკი იგი სახითი შევითა პაბაშისა-
თა, ვითარცა ვაჭარი სარკინოზთა და შეშინე-
ბული იყო ეპიფანე, რამეთუ აღელო შერი ეშმაკა
ნას ეპიფანესთვის მარჩეისა, ლოცვისა და წესი-
რად ქცევისა მისისა და სიწმიდისათვის ხორცია
ვისთასა. ბრძოლა მას მეშურნე იგი კეთილისა, რამეთუ
იყოცა იგი ჭაბუკ, ვითარ წლისა ათშვიდმეტისა და
მოსწრავე ყოვლისა სიმართლისა საქმეთა. ხოლო
იყო იგი ხილვითა შვენიერ და სიტყვითა ბრძენ
და მოსწავლე გულის-ხმით-ყოფითა და შემუსყრი-
ლი ეუბნებინ, ვისაცა იხილვიდა და ეველრებო-
ლა მათ, რათა ასწავლის მას საღმრთო გზად,
ხოლო მოძღვარნი და ფილოსოფოსნი განკვირვე-
ბულ იყვნენ მისთვის, რომელ მახვილ იყო სიტყვი-
თა და პჰოვნიერ, რასაცა კითხვიდიან. და მრავალ
გზის გამოსტადეს იგი სიტყვის-გებითა ფილოსო-
ფოსთა სიტყვითა. სიტყვითა სიბრძნისათა. ქსრეთ
მიუვის, რომელ ყოველნი განკვირნის და ვერლა-
რა იყადრიან წინააღმდეგომად მისდა. ვითარ-
ცა პირველ ქსტეუ, ვითარმედ ანდრიამ უპყრია
ხელი ეპიფანეს და ეძიებდა აღვილსა ფარულსა,
რათამცა ეუბნა მას და რაეამს იხილეს ეპიფანე,
ვითარმედ ეპყრა ხელი წმიდასა ანდრიას, ეტყოდი-
ან მას „არა გეწყალისა სიყრმე შენი? რასა რონინებ
ხელსა მავასთან?“ ნუ უკვე შეიშუროს ეშმაკან
ქმნულეობამ კეთილი შენი და შემოეიდეს შენდა,
ვითარცა შესრულ არს მიგისთანა, რამეთუ ფრია-

დი ლონენი არიან ეშმაკისანი მაგის შოთავანია
მიუგო ეპიფანე მათ და პრეზა: „ღვთის მოყვარე-
ნო ძმანო ჩემნო! პირველ შემთხვევას ამის (ვნე-
ბის) მოყვარე იყო ჩემი და სულიერი სიყვარული
გვაქვნდა ურთიერთარს. ხოლო აწ, ოდეს შეემთ-
ხვია ვნებად ესე, ჯერ-არს, რათა იფიცე სიყვარული
გვაქვნდეს პირველ, ვითარცა წერილ არს: „თუ
ვისმე ესვის მოყვასი და იხილოს პირსა რასამეა,
ულირს მას, რათა დასდგას სული თეისი მისთვის“ და
ამით ესე ვითარითა სიტყვითა მიუგებდა ერთა მათ.

რამეთუ მცნება მიეღო ნეტიარისა ანდრიისგან,
რათა არავის უთხრას შრომა და მოქალაქობაა მი-
სი. და პჰოვეს ადგილი უდაბნო და დასხდეს მუნ
და იწყო ეპიფანე მითხრობად ანდრიისსა, თუ ვითარ
შეემთხვია მას ეშმაკი სახითა შევისა პაბაშისათა.
„და ესხნეს თვალნი, ვითარცა ველურისა რასამე
მხეცისანი. დამხვდა უბანსა, რომელსა პრეზიან
ისხინ, შეა ქალაქსა კოსტატინეპოლისსა, რომელსა
ემოსა სამოსელი შევი და ესხნეს მოგვუნი, საცმელი
რამე თიხის მიწისანი, ჯდა და ისხმიდა ფერხთა.
და ვითარცა წარვლიდა, მრევა მე: არა ეპიფანე
ხარ, ძე ითანესი, რომელსა იტყვიან კაცნი, ვითარმედ
წმიდა დასთრგუნავს ეშმაკსა? და აწ მე შენთვის ვპქმნა
ბადედ: და ვთხარო მთხრებლი (იმოვთხარო ორმო)
და დავბურო, რათა, რაებამს დათრგუნო, შთავარდე
ჯურლმულსა მას, რამეთუ იარები და იტყვი ჩემ-
თვის ძვირხსა!“

სოლო მე შრახვისა და სიქალულსა მის-
სა ზედა შეცეძრწუნდი და პასუხი ვერ ვუძღვ
მიგებად, რამეთუ ვიტყოდი, თუ ვინ არს ესე, რომე-
ლი შემემთხვია და სარჩელი იღმიღვინა? და შიში
დამეტა მე. და ვითარ განვიზრახვედი ამას და რეცა
რამე დამედგა, (ამის ფიქრში ვიყავი თუ როგორ
შეჰველნა ჩემის თავისთვის), და მუნთქვესვე (მაშინ-
ვე) შენ შემემთხვიერ და რაცა შემთხვევულ იყო
ჩემდა, ყოველივე მაუწყე მე.

თავი მიცხავთი.

ჭრქვა წმიდამან ანდრია: — შეიღო ანაში იგი, რო-
მელი იხილე, ასის-თავი არს ეშვაკთა, რომელნი მსა-
ხურებენ სამოელსა, — ფიცხელი იგი, რომელი ისწრა-
ფის განსაცდელთა მიცემად მრავალთა, რომელ-
თა უყვარს ლმერთი, მრავლისა გულის-სიტყვისა
ალძრვითა, მეძაობითა, მამათ-მავლობითა, არამედ
შენ, შეიღო ჩემო, ეკრძალე ვნებათა ამათგან და
უწყოდე საცოტურნი მისნი, ილოცვიდე და ცველრებო-
დე ღმერთსა, რამეთუ ყრმა ხარ შენ და დღითი-დღე
ამისთვის გემტერების, რამეთუ დაგიძს (გაქვს)
ღვთისათანა სახოება და სიყვარული. შერი აუღი
სიმღაბლისა და შემუსრევილებისა და სიბრძნისა მაგის
შენისათვის, რამეთუ პხედავს ამათ ყოველთა სათ-
ნოებათა შენთა და მისთვის განიხერხების (ძალზედ
იფხრიწება) და შეოთავს. და იხილე, თუ რაოდენნი
დონენი პქონან, უკეთუ არა ხვიღოდე კეთილად.

ხოლო შენ რაეამს ილოცვიდე, დაიმდინა
სული შენი მარხვითა და შეიმოსე სიმართლედ, სიმ-
დაბლე და შემუსრვილება, და დაიცვე მარადის ქმნა-
ლება ხატისა შენისა, და გონება შენი წმიდად და
უბიწოდ, რამეთუ, რომელმან ჰქმნეს ცოდვა, მონა
ცოდვისა იქმნების. რამეთუ ორნი საქმენი დამკვიდ-
რებულ არიან შორის კაცთა—სიმართლე და ცოდვა.
სიმართლე არს ღვთისა, ხოლო ცოდვა ეშმაკისა.
ხოლო შენ, შვილო ჩემო, უფლისა ჩეენისა იესო
ქრისტესა იქმენ საყვარელ, მუშაკ და დაგიცვას
შენ სიბოროტისაგან (საბრძისაგან) მისისა (ეშმაკისა).

რაეამს იგი ესმნეს სიტყვანი ესე ეპიფანეს,
ვითარცა მარგარიტნი სცრემლეოდა ფრიად, და-
დაალტო პატიოსანი პირი თვისი, რამეთუ ფრიად
შეძრწუნდა სწავლასა მისსა ზედა კეთილსა. რამე-
თუ მცნებანი მისნი ყოველნი მიუთხრნა დაფარუ-
ლად ყრმასა მას. და რაეამს აღასრულეს უბნობა
იყი საღმრთო და სულიერი, ამბორს უყვეს ურთი-
ერთარს სიყვარულითა მით სიწმიდისათა და განიყ-
ვნეს და წარვიდეს თვითოვეული თვისსა გზასა.

თავი მეოდე.

ტურედ რამე მნებავს სიტყვა ეპიფანეს-
თვისცა, რათა უწყოდეთ, ვითარ კეთილი და ღვთის
მოყვარე იყო; რამეთუ მარადის იმარხავნ პირველსა
კვირიაკესა წმიდათა მარხვათასა,—არა ჭამის და არცა
სვის, არამედ შეუჩევნელად აღასრულებდა, და
შებათსა თეოდორისისა ეზიარებოდა და ეგრეთ

ვითა მცირედი საზრდელი ისპნი დამხალნი, და
ამით წესით აღსრულებდა მარხვეთა.

დღესა ერთსა უნდა, რათამ უ შეეგბნო (შეედგა,
დაედგა) ისპი იგი ჭინუგეშინის-ეკა მითა. ხოლო მოი-
წია ეამი წირეის აღსრულებისა და იყო იგი სენაქსა
თვისსა მარტოდ, რამეთუ არავის სხვასა უტევებდა
მსახურებად თვისსა, გინა გბოლფად (შენედებად
შექმაღისა), არამედ თვით ქმნის იგი. ხოლო,
ვითარცა ჩეკეს ეამის წირეისა, წარვიდა ცელესიად
და არავის ამცნო ცერცვისა ნახვად. და ვითარ
ილოცვიდა, მთავრნა ეშმაქმან, მარადის მოძელებან
კეთილისამან, თუ ვითარ დაუტევი ცერცვი იგი
უკაცურად, რათა არა განიჩუვნეს ცეცხლსა ზედა.
და ერთის კვირიაკით მარხულსა გარდავივლის და
იგი არს ნუგეშინის-ცემა შენი. და ამით მიშენითა
უნდა განუვანება მისი ეკლესიით პირველისა ეამისა
განტევებისა. და პრექვა მას გულის-სიტყვამან: „წარ-
ვედ და იხილე იგი, განადათუ ეკლესია არა
სადა წარვიხდების და კუალად მოვედ და ილოცვე-
დი“, და სხვანი ესე ვითარნი გულის-სიტყვანი მთა-
ვონის ეშმაქმან. ხოლო ეპიფანე ჰსცნა, რამეთუ
ბრძოლა არს ეშმაქისა, მიუგო გონებასა თვისსა
და პსოქვა, „წყეულ იყავნ, შენ ეშმაქო! უკეთუ ენტ-
ბოს ლმერთსა, მან განავოს საზრდელისა ჩემისათვის,
რამეთუ იგი არს, რომელი მიანიჭებს ყოველთა
საზრდელსა და მანვე დაიცვას ცხოვრება ჩემი“. —
დიოწერა პირჯვარი და დაადგრა ვიდრე აღსასრუ-
ლადმდე წირეისა მის. და ვითარცა მივიდა სახლად

თვისსა, იხილნა ყოველნი სახლეულნი თვისნი გან-
კირვებულნი, რამეთუ სენაკის მისისაგან გამოი-
დოდა სუნნელება რამდე უცხო და ჰაშო. და ყო-
ველნი შეშინებულ იყვნეს და პრევეს ეპიფანეს;
„მოვედ, უფალო, და იხილე, სუნნელ ება რაიმე გამო-
დალს კელენით (ბურე სენაკი) შეწით.“ და კითარ-
ცა მოეხდია, ეკნოსა მასცა სუნნელება იგი და
განკვირდა. და რაგამს შევადა კელენსა თვისსა,
იხილა საცეცხლე იგი სავსე ნახშირითა, და ყრმა
ერთი შეენირი და გრძელი ჰასაკითა, და პირი მი-
ხი ბრწყინვალი, კითარცა მზე, და ემოსა სამოსელი
ფრიად პატიასინი და ჯდა მახლობელიად საცეცხლესა
მას და კაზმიდა საჭმელსა მისსა. განკვირდა ეპიფანე
და განაცდიდა და იხილის ეამ ერთ, კითარცა შანთი
და მარჯვენე ხელი მისი ეპურა გამოწვდით სამოსლისა-
გან თვისსი და კაზმავნ კოქობსა მას და იხილის
გემოსა საჭმლისასა, და ხელი შექუთ სამოსელსავე
თვისსა, და დაიკირა სახელითა და გამოილო მანდი-
ლი ბურე და განსსნა ნაკრავი და აღმოილო შუნით
საზაფებელი და ჯვრის სახელ მოაპკურა და განეყა-
რა კოქობსა მას. შეხედა ეპიფანეს და განიღომნა
და აღფრინდა ცალ. განიხარი ეპიფანე სიხარულით
დიდითა და დაპსლე აღმოსაველით კერძო და აღიპ-
ურნა ხელნი თვისნი ცალ მიმართ, სტიროდა მსურ-
ვალითა ცრემლითა და ოტყოდა, „ვინ ვარ მე, უფა-
ლო, უღირსი ესე, რომელსა მომივლინე ანგე-
ლოსი შენი მსახურებად ჩემდამ გმადლობ კაც-მო-
ყვარებასა შენსა, ქრისტე მეუფეთ, რომელი მწყალობ,

ვითარება გნებავს!“ და მიეიღო ხილვად კოჭობისა
მის, და პპოვა სუნნელი, ვითარება ნელსაცხებელი,
საჭმელი იგი და განკვირებული აღიდებდა ღმერთ-
სა. მიიღო და პირი იხსნა ცერემონია მით, რომე-
ლი შეენელა ანგელოზისა მას. ხოლო ვითარება
მხილა ესე ეპიფანე, განძლიერდა და სული წმიდა
შევიდა გვამსა მისსა. და მორქება ყოვლითა გულითა
მსახურებად ლეთისათ და უკვირდა თუ ვითარ ესე
მსწრაფულ დაუტევა სიყვარული სოფლისა და
ღმერთი მსოლო თდენ შეიყვარა.

თავი მიოცდავითი.

ღლესა ერთსა წარვიდა ეპიფანე ეკლესიად,
ილოცვიდა და რაეამს აღასრულა ლოცვა, მოვიდა
და დაჯდა პჲისა კარსა ზედა მამისა თვისისისას და
მამაცა მისი მისთანავე იყო. წარმოვლო ინდრია,
ვითარება აქვნდა ჩვეულება სიმღერით ჭ სალმობით.
იხილა იგი ეპიფანემან და იმბორს უყო და ეგულე-
ბოდა, რათამცა შეიყვანოს სახლსა თვისსა. და არა
უნდა, რათამცა სცნის კინმე, თუ იცნობს მას. პრქეა
მამასა თვისსა, კუფალო ჩემო მამაო, ჰეგდავ კაცია
იშის, თუ ვითარ რონინებს შიშველი? და ვგონებ,
ვითარმედ მტერისავან ივეემების და მეშინის, ნუ-
უკვე მოკვდეს! აწ თუ ჯერ არს, მოკუწოდოთ სახ-
ლად ჩემდა და რომელი მოვანიქა ჩენ სახიერმა
ღმერთმან, მისგანი დავუგოთ მას, და ვასვათ სასმე-

ლი მაღლისათვის სულთა ჩვენთა, რამეთუ პო-
ნად გვის ნაწილი მისი კათა მცუფისავან.

რაეამს ესმა მამასა მისსა, ამშორს უკო ძეს
თვისსა და რქვა,—შენ ხარ სული პირისა ჩემისა და
ნათელი თვითონ ჩემთა. განზრისხვისა მაგისთვის მე
რასა მყითხავ? და წარეცდ და რაიცა გნებავს იგი
ჰქმენ შენ, რამეთუ ჩემი ყოველი შენი არს. მიუგო
ეპიფანე და პრქვა: „ვიცი მეცა, მანაო, ეცე! არამედ
წერილ არს, ვითარმედ „არა არს ჯერობ შეიღისა-
გინ აღსრულებად საქმისა კეთილისა და არცა ბო-
როტისა, თვინიერ ბრძანებისა მამისა თვისისასა.„
განიხილა სიტყვასა ზედა შეიღისა თვისისა
საყვარელისასა და პრქვა,—მოუწოდე, შეილო! მა-
შინ ეპიფანე სრბით ეწია ანდრიას, უპყრი ხელი
მისი და უნდა შეყვანება სახლსა თვისსა. და ვითარ-
ცა მიიწინეს ბეჭთა ზედა სახლისათა, მამა მისი
არღარა იყო მუნ. ხოლო ნეტარმინ ანდრია არა
ინება შესლვად, არამედ ვარეშე ბეჭისა კართა ზედა
დასჯდა. ჸმელნიერნი ანდრიასანი და სხვანი, რომელ-
ნიცა წარვლიდეს, იხილეს რა შეშველი, ვითარცა
ხელისა, შემოქრბეს ხილვად მისსა. ხოლო რომელ-
ნიმე სწყევდეს ბოროტისა ეშმაკა და იტყოდეს:
ესე ვითარ-ლა ვანურყვნია კაცი?! და რომელნიმე
ფოლსა (ფულსა) მისცემდეს და რომელნიმე ღვი-
ნოსა და იგი შეუჩაცა იქმნებოდა, ვითარცა ხელი
და არა რას იღილებდა.

და რაეამს პსხდეს ბეჭთა ზედა მის კარისათა,
მოვიდა საქურისი ვინშე, რომელი იყო პატივითა

სპათარ-კოვიკლარი (მხედრობით აღმწერელი) მეტე-
საგან ჩარჩინებული ერთსა შორის. ხოლო იყო იყვანები
პირითა შეენიერ, ვითარუა ვარდი და სპეცია, ვითარ-
უა თოვლი, და თმითა მწითურ და მოკიმულ,
და სამოსლითა პატიოსნითა შემოსილ, და სუნი
შეშეისა ფრიად მოსდიოდა მისგან. ხოლო იყო იყი
თანა-ზრდილ და მეცნიერ ეპიფანესი, და აქენდათ
სიყვარული ურთიერთების. ხოლო აქვთ დეს საქურთ-
სხა მას ფინიკი ოცდა-ათი. რაფამს იხილა ნეტარი
ანდრია შიშველი, ჰკითხა ეპიფანეს: „საყვარელო
ძმაო ჩემო! ვინ არს ესე, ანუ რად რონინები შიშ-
ველი, რამეთუ არს ზამთარი ესე ფიცხელი და
ყინელი სასტიკი, ანუ ვითარ იტერთავს ეგე?!
ვაკონებ, ზღვისა შინა გეემულ არს. შოუგო ეპიფანე:
„საყვარელო ძმაო, რა ვითხრა? არა ვუწყი, ეშმაკა
წარუტვივნავს და იარების, ვითარუა ხელი. და
რომელნიცა ვნებულ იყვნეს ეშმაკისაგან, ესე ვითა-
რითა სახითა არიან.“ ხოლო ნებსით მას იტყოდა
ეპიფანე, რათა არა განტხადნენ საქმენი წმიდისანი.
და ვითარუა ესმა საქურისსა მას, გამოიხვნა ფინიკ-
ნი იგი და მიუპყრა ნეტარსა ანდრიას და ჰრეკა:
გამისად არა რამე გეპოდა ჩემთანა, უკეთუმცა მორა-
მო-მეცა (ამ გამად ამის მეტი არა მომეპოვება რაო),
ხოლო წმიდამან ანდრია უწყოდა საქმენი მის საქუ-
რისისანი, მიხედნა განრისხებულმან და ჰრეკა. და ე
ფასი არს ნასიძეისა შენისა და ხელნი მაგას არა
სქამენ! ხოლო საქურისმან ვერ გულის-ხმა-ჭყო,
თუ რად ჰრეკა. მიუგო საქურისმან წმიდასა მას:

ესე ფინიკი არს, და შენ იტყვი ნიჭი არს ნასინდა
გისა? მიუგო ნეტარმან: „წარვედ, მზაქვარი, და
დაწევ ცხედარსა ზედა უფლისა შენისასა: დაჭვერ
შრომითა ბოროტითა, მიიხვენ სხვანიცა ფინიკი
საწყალობელო! არა იშილო ნათელი ღვთისა! ვუწყო მე
რასა იქმ, ანუ კითარ არა ვრცხვენინ ინგელოზისა
მისგან, რომელი ზედა აღვა ქრისტიანეთა? შ (პოი), რამ-
მე ჰყოფად გიძს საქმისა მისთვის, რომელსა შენ იქმ?
რამეთუ ეშმაკი ეგველვების შეყვანებად შენი სამოე-
ლისათანა ჯოჯოხეთს, უკეთუ არა შეინანო! და
ვჰგონებ საქმესა მაგას უკეთურსა, რომელსაცა შენ
იქმ, მოიწიოს შენზედა საშინელი განსაცდელი
და გარდამოხდეს ზეცით ელვად და დაგწვან შენ,
და მერმესაცა ცეცხლისა ვერვე განერე!“

თავი შეოცდაოს.

რევემს ესმა საქურისსა მას, შეშინდა და იქმნა
შირი მისი, ვითარუა ცეცხლითა ვანწიოთლებული და
დაავკრა უტყვად. პრევა ეპიფანე საქურისსა მას:
ურასაოვის ეგრეთ სირცხვილეულ იქმენ, საყვარელო
ძმაო? ამის ხელისა ზრაზვასა რასა ისმენ? მე განა-
ლა გითხარ, ხელი არს და რასაცა იტყვის, არა
უწყისი? და შენ უკეთუ გაქვს რას მაგათ საქმეთაგა-
ნი,— დაუტევე და მოიქეც კეთილისა მიმართ. და
ნუ გიყვირს, საყვარელო ძმაო, რამეთუ ყრმა ხარ
და ეშმაკი მანქანა არს და მზაქვარი. და ყოვ-
ლადვე გვპრძეს, რათა შეკვთხიზეს გულისთქმანი

კოლვათანი, რამეთუ არა უძს მას სხვა საქმეები, არცა საურავი, გარნა ჩვენი ოდენ პრატლია! და რაეგამს ესმა ესე საჭურისსა მას, წარვიდა სირცხვილეული.

ხოლო უპყრა ხელი პატიოსანშან ეპიფანე ნეტარსა ანდრიას და შეიყვანა სენაკიად თვისად, და პლივეს ტრაპეზი დავებული, და დასხდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა და მიიღეს საზრდელი და შემდგომი პირის ხსნისა, ჰრევა ეპიფანე ნეტარსა ანდრიას: „რად ეხრეთ ფიცხელად ამხილე და შეაძრწუნე მოყვასი ჩემი, საჭურისი იგი? მიუგო ნეტარმან! — გრწმენინ ჩემი, საყვარელო, ნებსით (განვებ) ჰექმენ, რათა განეყენოს სიყვარულისაგან შენისა და არლარა მოვიდოდეს შენდა. და უკეთუმტა არა ყოფილიყო მოყვარე შენი, არამცა ასმიოდა ჩემგან!

ჰრევა ეპიფანე: „ვუწყი მეტა, მონაო ღვთისაო, გარნა ყრმა არს საჭურისი იგი და მონა არს უფლისა თვისისისა. და უკეთუ უფალი თვისი თიძელებდეს მას რასამე ბოროტსა, მას რად ხელეწიფების წინა აღდგომად მისა?“

ჰრევა მას წმიდამან: — ვუწყი, რამეთუ ზედა ას მონასა მსახურება ხორციელი და მოთმენა ულირს ყოველსავე ჭირსა შინა, გარეშე (გარდა) ვნებასა სულიერსა (სულიერს ვნებაში თავისუფალია მონაო) არა აქვს მორჩილება და სმენად უფლისა თვისისა და მსახურებასა ეშმაკისასა შესლვად (შევრდომა).

მიუგო ეპიფანე: „რამეთუ მონასა, რომელსაცა საჭირო აღსრულება ებრძონოს უფლისაგან ხორციე-

ლისა, გინა სულიერისა, პორტისა, ანუ კეთილისა, ვითარ არა აღასრულოს და შევარდეს ტანჯვასა უფლისა თვისისისასა?

პრეზე წმიდამან:— მაგისთვის, შეიღო, უკი-
თუ იტანჯოს კაცი სულიერისა საქმისათვის,
უფლისა ჩვენისა იქსო ქრისტეს მოწამე არს, ვითარ-
ცა წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა: „ნეტარ იყვ-
ნენ თქვენ, რაეამს გდევნიდნენ და გყველიდნენ,“
და მერმე იტყვის: „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმარ-
თლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფლებლი ცათა,“—
ესრეთ ულირს მონასა.

თავი მოცდასახვ.

წოლო ეპიფანეს მამისათანა იყო მონა ერთი
და მსახურებლი სალვაწლის საქმესა, და პკაზმიდა
დღითი-დღე. წოლო იმას ეუწყა რაა წმიდისათვის,
ვითარმედ მონა არს ქრისტესი, დაუცა ფერხთათანა
წმიდისათა და იწყო ტირილად. ევერებოდა მას
და ეტყოდა: „წმიდაო ლეთისათ, „მნეპავს, რათა
ვიქმნე მე ესრეთ, ვითარ შენ ხარ!“ ვითარცა ესმა
ნეტარსა ანდრიას, ეუწყა სულისა წმიდისა-მეერ,
რამეთუ რომლისაცა სათხოველისა ითხოვს, მიანი-
ჭებდა ლმერთი მას. და უნდა რათამცა ეუბნა
მარტოდ მონასა მას. და მასცა (მისცა) სულმან
სალმრთომან წმიდისა ანდრეახს ენად სული, რო-
მელ მონასა მას ესმოდა. და ეუბნა მას, რაოცა ენება.

პრეზე მონამან, უკეთუმცა ვუწყოდე 080 უოველი,
არამცა ვექენებოდე (ვეხვეწებოდი) სიწმიდესა შენსა?

პრეზა წმიდამან: „ნუ უკვე ეჩი შეუძლე მომინე—
ბად ლვაწლთა და ტანჯვათა და სიმძიმე? იწრია
არს გზისა ამის და ძნელ; ვითარ ჰყოფელხარ, ეგ-
რეთ იყოფოდე, სიწმიდით და შემუსრეილებით,
ვითარუა სათნა. არს უფლისა ცხოვრებითა კეთილი-
თა. ევლტოდე მექაობასა, მამათ-მავლობასა, მოვრა-
ლობასა და ძვირის მოხსენებასა და სხვათა ცოდვისა
საჭმეთა და ნუ შეხვალ სავიროთა და განსაცლელთა
ამათ!“

მიუგო მონამან: „უკეთუ არა გნებავს სმენა
საწყლისა ამის ვედრებისა ჩემისავან, მაუწყე მე,
რათა არლარა გაწყინებდე!“

და ვითარ უბნობდეს, ანუ რომლითა ენითა,
უციირდა ეპიფანეს, რამეთუ ინდრიი იკული ისურუ-
ლი და რადცა ოდენ მონისეგან მოესმინა, და ვითარ
სიტყვას უგებდეს ურთიერთარს. ჰსთქვა ეპიფანე, „ეშა
დიდი საკვირველი ღმერთი, რამეთუ ვეშმარიტად
არს სიტყვა იყი წინასწარმეტყველისა, ვითარმედ
„საკვირველ არს ღმერთი წმიდათი შორის მისთა!“
ხოლო ნეტარი ანდრიი ევედრი ღმერთსა შონი-
სა მისთვის, რათა მოანიჭოს სათხოველი ურმი-
სა მის და ესმა ხმა ზეგარდიმო, რომელი ეტყოდა,
„განუტევე ურმა ეგე, არა მოვალს საზომსა მავდეს
და მე გიჩვენო შენ მაგისთვის, რათა სცნა, და
სცნას მაგან ურმამანუა: ნუ უკვე ჰგონებდეს შენ-
თვის, ვითარმედ—ეკრ შემძლებელ ხარ შოლებად
სათხოველსა შენსა ზეცით, რადცა გინდეს.“

მიუვო ნეტარმან ანდრია ანგელოსსა შას, რომელი მისთანი მარადის სდგა: „მოილე ჭიქა თვი და ალავსე და შეასუ ყრმასა მაგის, ვითარ მე შემასუ, რაეამს მეცულებოდა ყოფად ესე ვითარად.“ და შეასვა ანგელოზმან უხილავად ყრმასა მას და მასვე უამსა იწყო მსგავსად, ვითარუა ნეტარი ანდრია, ეგრე იქმოდა ყრმა იგი. ხოლო ვითარუა იხილა ეპიფანე, შეშინდა, ნუ უკვე განუწყრეს მამა მისი ყრმასა მას და პრექვა წმიდასა ანდრიას: „გვევედრები, მონაო ლეთისაო! ნუ იქმ საქმესა მას მონასა ზედა მამისა ჩემისისა, ვითარმედ ნუ უკვე გახელდეს და წარწყმდეს, და კეთილისა წილ თქვას მამამან ჩემმან, ვითარმედ მონა ჩემი წარსწუმიდესო, და მეცა მომიძულოსა!“ არცა ნეტარს ანდრიას ენება, რათამცა გულკლებულ იქმნა ეპიფანე.

მიუვო კვალიად წმიდა ინდრია ანგელოზსა მას: „ალილე ნიკი ესე, რომელი მიინიკე ყრმასა მას!“ და ალილო ანგელოსმან მან უფლისამან ნიკი იგი, რომელი მიეცა, და მოევო ყრმა იგი ცნობასა, ვითარუა იყო პირველად. ხოლო გულკლებულ იქმნა მონა იგი ფრიად და ევედრებოდა წმიდასა მას, რათა იყოს სალოსადვე. მიუვო ნეტარმან ანდრია და პრექვა: „ყრმათ, შენ პგონებდი, ვითარმედ მე ვერ შემძლებელ ვიყავ ჰყოფად ნებასა შენსა? აწ იხილე და გრწმენინ ჩემი, უკეთე მენებოს სახელითა უფლისა ჩემისა იქსო ქრისტესითა, სხვა უფროსილა ამისა ვჰქმნე, არამედ უფალი შენი ეპიფანე არა პლამის, რათა იქმენ შენ სალოს!“ მაშინ

მოვინმევიდა (ვინმე მოვიდა) მოყვასთაგანი მის ურმისა და ჰრქვა, ვითარმედ „გიწესს (ვიძახის) შენი უფალი“ და წირვიდა ყრმა იგი მიერ.

და ვითარცა შემწუხრდა, ეველრებოდა ეპიფანე ნეტარსა მას, რათა დააღვრეს მას ღამესა სენაკესა მას მისსა. ხოლო მან პყო ეგრეთ. და ვითარცა მოიწია ეამი მესამე ღამისა, იყვნეს მონანი იგი ეპიფანესა მსახურებასა შინა უფლისა თვისისისასა, რაგამს მოიცალეს მსახურებისაგან და დალვნენ წინაშე მისსა. ხოლო მან უბრძანა მათ დასხლომა. და რაეამს დასხდეს გარემოს ეპიფანესა, ანდრია ხელვიდა თვითოვეულისა საქმეთა კეთილთაცა და ბოროტთაცა, და უნდა, რათა ასწავოს მათ კრძალვა. იწყო უბნობად, ვითარცა მაგალითოთა და უთხრობდა ყოველთა საქმეთა მათთა. ხოლო მათ, ვითარცა ესმა ესე, შეძრწუნდეს და იღივსნეს სირცხვილითა, და რომელთამე პირნი განწიითლდებოდეს და რომელნიმე თრთოდეს სირცხვილითა, და რომელნიმე გარე განვიდოდეს მხილებულნი სინიდისისაგან, რათა არა ესმოდის, რამეთუ უთხრობდა კაცად-კაცადსა საქმეთა მათთათა, რაც უა ექმნნეს, ანუ რომელთა ალგილოთა. ხოლო მათ თვითოვეულად უწყოდეს, ვითარმედ ჩემთვის ოდენ იტყოდა. შეშინდებოდეს და მოვიდოდეს სინანულად.

თავი ვითოდაოთხს.

წოლო რაეამს იხილა ეშმაქმან, ვითარმედ მონანი იგი სიტყვითა წმიდისათა მოიქცევიან სინანუ-

ლად და ლაუტევებენ ბოროტთა საქეთა, განრიცხ-
და ფრიად და იღრენდა კბილთა თვისთა. მოუწოდ-
და სხვათა ეშმაკთაცა და იწყეს სიცილიდ, რათამ-
ცა დაახრწივეს (დაბრევა — დაშლა) წმიდა იგი სწავ-
ლისაგან სულისა სარგებელისა.

ხოლო ნეტორსა ანდრიას ესმა რო სიცილი
იგი მათი, მანცა განიღიმნა. ხოლო რავაში ისილეს
(მონათა მათ) სიცილი იგი ანდრიასი, განკუკირდეს
და იტყოდეს, თუ რამე იჩს სიცილი ესე? და უნ-
და ცნობად მიზეზი სიცილისა მისისა, რამეთუ
არა ესმოდა მათ სიცილი ეშმაკთა. და ვითარცა
გულის-ხმა-ჰყო, რამეთუ პნებავს ცნობად სიცილი-
სა მისისა ერთა მათ, მიექცა მარჯვენით კერძო
და პრეცა ანგელოსსა მას: „განახვენი გულნი მსმე-
ნელთა მაგათთანი, რათა ესმოდესთ სიცილი იგი
ეშმაკთა!“ და ვითარცა აღუხვნა გულნი მათნი
ანგელოსმან, მაშინ ესმოდათ სიცილი იგი ეშმაკთა
და უბნობად. რამეთუ, ვითარცა უჯერონი დედანი
და მებავნი, ეგრეთ ზრახვიდეს. მიუგეს მონათა
მათ ეპიფანეს: „უფალო, ვინ არიან ურცხვინონი
იგი დედანი, რომელნი ესრეთ უჯეროდ პზრახვენ
და პსდგანან გარემოს ჩენსა?“

მოუგო ეპიფანე და პრეცა: — ესენი ეშმაკნი
არიან ცოდვათა ჩენთათვის მოხარულნი და გვეკიც-
ხიან ჩვენ. და ვითარცა ესმა მონათა მათ, ინან-
დეს და ბრალთა მათთა აღიარებდეს. და მერმე
თაყვანისცეს წმიდასა მას და წარვიდეს თითოეული
ადგილისა თვისსა, და იტყოდეს ურთიერთარს: „კეშ-

ვარიტად დიდი საკუირველი ვიზილეთ დღეს, რამეთვე
ყოველნი ცოდვანი ჩვენი მოგვითხრინა ჩვენ გლობური
ხაյმან მან! პრეზა ერთმან მათვანმან მოყვასთა
თვისთა:—გრწმენინ ჩემი, ძმანო, რამეთუ რაოდენიცა
რამ მექმნა დაფარული საიდუმლო გულის ჩემი-
სა, ყოველი მითხრა! და იტყოდეს ზოგნი მათვანნი,
ვითარმედ „წმიდა ვინმე არს,” და სხვანი იტყო-
დეს, ვითარმედ „გშმაქეული არს და იგი აუწყებს
გულის-სიტყვათა ესე ვითართა.” დაწვეს ძილიად
ყოველნი სარეცელთა მათთა ზედა. ხოლო ეპიფანეს
აქენდა კანონი, რამეთუ დაუტევის ცხედარი თვისი
ჯ დაწვის ქვეყანასა ზედა (დედამიწაზედ) ეამსა ძალი-
სასა და წმიდისა (ანდრიასათვის) გარდაეგო თვისი
ცხედარი, რათა ვანისვენოს. ხოლო მან (წმიდამან
ანდრია) დაუტევა და შთავისა ველინსა (სანავეესა)
და მიწვე სკორეთა (განვალი) ზედა, და რაეამს
მოიწია ეამი ცისკრისა, ვანეიდა კვალად შრომად
კეთილისა მის სარბიელისა.

მოუწოდა ეპიფანე ყრმასა მას, რომელსა
ეუბნებოდა წმიდა იგი ასურულიდ და პიოთხა, ვი-
თარმედ „რასა ეტყოდა იდუმალ ასურულისა ენითა?”
ხოლო მონასა მას უყვარდა ეპიფანე, და ყოველი-
ვი უთხრა და პრეზა:—უფალო, ამიერიდგან შენ
ილვაწე სულისა ჩემისა ცხოვრებისათვის, მაჩვენე
მე გზა ნებისა ლვთისა. და ვითარცა ესმა ეპიფანეს,
ცრემლეოდა და უკვირდა. მოეხვია ყრმასა მას და
ამბორს უყო და ეტყოდა: „იხილე წყალობა
ლვთისა, რომელ გიჩვენა შენ გზა კეთილი. აშ,

მშომ, იგივე შემძლებელ არს სულისა შენისა
ცხოვნებად. მე ამიერითგან, კითარუა ძმა ჩემი
საყვარელი და შვილი სულიერი ეგრე მიპყრიე
შენ,” და შეიყვარა ეპიფანე ყრმა იგი ყოვლით
გულითა, და შეეწეოდა ყოველსა გზასა საღმრთოსა.

თავი მოცდახათო.

წოლო ნეტარი ანდრია, რაეამს განვიდა ეპი-
ფანეს სახლისაგან, ისწრაფდა მისლვად აღგილსა ფა-
რულია, რათა აღასრულოს ლოცვა თვისი, და არავინ
უწყის თუ სადა არს. სიცივეთა და ყინელთა-
ნეფხვისათა (ნეფხვა ხმელი ყინვა) იტანჯებინ იგი
და ყოველნი სძულობდიან მას, და ყრმანი
ქალაქისანი პნეტუფიდეს პირსა მისსა და სცემდეს
თავსა მისსა და მოაბიან საბეჭლი ქედსა და ითრევ-
დიან შეა ფოლოცა შინა და ნაბშირითა მოუსვა-
რიან პირი მისი და თითო სახედ სტანჯვიდიან
ყოველნი მოქალაქენი.

მოვიდა უბანსა, რომელსა პრევიან არტოპო-
ლი, და ლვითის-მოშიშთა კაცთა მისციან ფული,
რამეთუ ეწყალოდათ მათ. იხილიან რა იგი
მაყლიანთა (მწიკვლიანი, გასვრილი) ძონძთა მიერ
მობლარდნილი, და ეტყოდიან: „სადა იყვა,
ცოტო, (გიეო) ამათ დღეთა!“ მიუგის ანდრია და
პრევის:— „ხელნო, ვითარ არა უწყით, რამეთუ ვარ
შე ურცხვინოდა და აღვიჩიერე თქვენებრთა სხვათა
ურცხვინოთა რეინობად (ბრძოლა, ჭიდილი) და

ვერკინ ებოდე მათ (ეშმაკთა). — და თქვენ ხართ
ხელნი, რომელნი მკითხავთ მე! » და ესმოდათ რა ეს გადა
გისგან, ვანიცინიან, რამეთუ უწყოდეს საქმე მისი, რა-
მეთუ უწყოდეს რეინობასა, რომელსაცა იტ-
ყოდა, რამეთუ ღვთისმთვის დღე ყოველ ებრძო-
და იგი ეშმაკთა. და მისციან მას რომელთამე
პური და რომელთამე ფოლი და რომელთა
ცერცვი და ხილი, ვითარცა ვინ ჰყიდდა სახმარსა
თვისსა. ხოლო მან წარიღის და განუყვის გლაბაკ-
თა, და რომელთამე ეწყალოდა და მისციან სამოსე-
ლი. ხოლო მას ღამე მორაუეიდის გლაბაკი, შეს-
ტყორცის სამოსელი იგი და თვით განიქცის, და
გლაბაკმან მან მიიღის სამოსელი იგი და შეითხოსის,
და მოქალაქენი უწყოდეს მას მთავარ-ეპისკოპოზის
ყრმად.

ძვიალიდ დღესა ერთსა, ეპილონისა სიიხლოვე-
სა მიუქცია დათხევად წყლისა, რომელ არს სახ-
მარი ხორცთა. წარვლიდა ვინმე ურშა და იხილა
იგი და ხმა უყო მეკაპილონესა მისთვის. გამოვიდა
მეკაპილონე იგი და იხილა, აღიღო არგანი (კვერ-
თხი, ჯოხი) და სცა წმიდასა მას (ანდრიას), ვიღრემ-
დის განძლებოდა იგი ცემითა მისითა. წარვლიდეს
სხვანიცა ვინმე უწყალონი კაცნი, ვითარცა მხეცნი
(მძვინვარენი), რომელთა ეპყრათ არგანები და
სცემდეს იგინიცა უწყალოდ, განზრახვითა ეშმაკი-
სათა, ვითარცა უსულოსა რასამე. სულთ-ითქვნა
(ამოიხვნები) წმიდამან მწარედ ტკივილისა მისგან

ფიცხელისა, მიეიღა და მოგხვია ფერხთა მის მუშა-
ლისათა და მშორს უყოფუდა და იღოცვიდა მის-
თვის. ხოლო რომელთა იხილეს, იტყოდეს: „ნახეთ
უფი ეგე, ვითარ ეხვევის ფერხთა, ვითარცა ძალ-
ლი.“ და წარვიდა ნეტარი ცემული და ტანჯული
უურესა ერთსა ბნელსა, რათა მცირედ განისაკენოს.
და ვითარცა წარვლიდეს ერნი, იხილეს და იტყო-
დეს ურთიერთარს: „იხილეთ უფი ივი, რამეთუ
დედაქაცა წარპერდებია!“ ხოლო ღმერთმან იცო-
და უოველივე საქმე მისი, რომელ კე ბმარიტი მონა
მისი არს, რომლისათვისცა მოითმენდა უოველსა
დვაწლსა.

ურავა ბალავლა.

დღესა ერთსა იყო მწოლარე და მისძინებოდა
და წარვლიდა გზისა მას ზედა ურემი. ხოლო
იყვნეს მეურმენი იგი მთერალნი და არა უწყოდეს
თუ წევს ვინმე იქა. გარდავლეს პირველ ხართა და
დატყეპნეს და შემდგომად ურემბან გარდავლო
საშვალ-ოდენ მუცელი წმიდა ანდრიასი. ხოლო
ვითარცა იხილეს ერთა ქალაქისათა, შერისხნეს
მეურმეთა მათ და პრქვეს: „ვითარ ვერ ნახეთ და
დატყეპნეთ კაცი იგი?“ ხოლო მეურმეთა მათ პრქვეს:
„ვინ დაქპატიერ ეგე, თუ დაწევ გზისა ზედაო?“
ხოლო ერთა მათ დასწუყევნეს იგინი: „ღმერთმან
თქვენ მოგეცინ ცნობა და სული მისი!“ ხოლო
მართალსა მას არა რად ევნო მაღლითა ლვთასათა.
მაშინ განკეირდეს, რომელთა იგი იხილეს და

იტყოდეს უჩითიერთანს: „რაა არს ესე, რამეთუ უჩემმან გარდავლო და არა მოკედა? არამედ ლმერთმანვე დაიცვა, ანუ ეშვაქმან, რომელი დამკვიდრებულ არს მისთანა, ზე იტვირთა სიმძიმე იგი უჩმისა მის და განარინა იგი? და სხვანი იტყოდეს: არა, არამედ უფალი მოწყალე არს და იხილნა უძლურებანი მისნი და დაიცვა.“ ხოლო იგი ყოველსავე ამას ნებსით თავს იდებდა, ქრისტესთვის მოითმენდა და მოეძულა სოფელი ესე და ყოველი-ვე რაა არს სოფლისა ამის (ითან. 2, 15).

სიცხის მოთხოვნა.

სხვა საკვირველი ჰქენა ნეტარმან მან უზე-თავსი შეწევნითა ღვთისათა. რამეთუ დღესა შინა შეისათა, რაეამს იყვის სიცხე ფრიიალი და ყოველნი ჩრდილოთა ადგილთა ეძიებდიან, მოიმოვრია ლის თავი თვისი და მივიღის შესატაუნებელთა სიცხისათა და დაეცის მუნ და არცა საზრდელი მიი-ლის და არცა სასმელი, და იდვის გზასა ზედა, ვითარ-ცა მოერთალი, და რომელნი წარმოვლიდიან, გარდა-მოეკიდნიან (გადაალაჯებდნენ) მის ზედა, განწყრიან და სციან არგნითა; ზოგთა ფერხითა დათრგუნიან და სხვათა გაითრიან გზისაგან კიდე და იგი არავის მიუგებნ პასუხსა. ხოლო ვითარცა შემ-წუხრდის, აღზგის და წარვიდის ეკლესიის კართა ზედა და ილოცავნ მუნ, ვიდრე განთენებადშევე.

თავი მოიცდა მავა.

ლამესა ერთხა ჩვეულების ეგბრ თვისისა დღლებ
ფარული და ეზულებოდა წარსელი და, რათა ილო-
ცოს ეკლესიისა შინა, და ენება რათამცა თავის
იხილა იყი. ხოლო მიეიღო რა ეკლესიისა წმიდასა
ღვთის-მშობლისასა, რომელი არს ფორთხა მა-
რჯვენით კერძო ფოლოცისა,—ამა ურბა ვინმე
წარელენილი უფლისა თვისის ევან საქმისა რა-
სათვისმე, პირი უკანა ანდრიას, ხოლო
მან არა უწყოდა ყრმისა მისთვის. და რაემს
მიიწია ნეტარი კართა ეკლესიისათა, დასწერა ჯვარი
და განეხვნეს კლიტენი. შეფილა და დადგა ლოცვად
და ვერ იგრძნი (ვერა სცნა) ყომისათვის, თუ მომიდგა
ვინმე უკანაგან ჩემსა, ხოლო ყრმასა შის ენება
ცნობად, თუ რასა იქმს ანუ რად ნებავს (ვგულვ-
ბის). იცნობდა, ვითარმედ ცოფი იყი არს, რომელი
რონინებს ფოლორებთა და, ვითარება იხილა კლი-
ტენი იგინი განხმულნი, განკვირდა და შეძრწუნდა
ფრიად და ოტყოდა ქსრეთ: „ესე სასწაული დიდი
არს და კაცი ესე წმიდა არს ღვთისა. ვითარ
სდევნიან ყოველნი ამას და ხელ-ჰყვიან (სცემენ),—
მომცა-ვინ-იყვნენ მცემელნი და მტანჯველნი
ამისინ,—იხილონ, თუ ვითარი წმიდა უტანჯავსთ,
და ჩვენ, ცოდვილთა, არა ვუწყით, თუ რაოდენნი
დაფარულნი მონანი უსხენ ღმერთსა, ნების
მისისა აღმასრულებელნი!“ და ამას რა განი-
ზრახვიდა, შევიდოდა მაღა ეკლესიად, რათა სხვა-

ცა იხილოს სასწაული. და იხილა ნეტარი ანდრიკი ზე
ჰეგრთა დამოკიდებული, ვითარ წყრთა ერთ, და მიზ-
რეთ მლოცველი გარე შემოსილი იყო დრუბლითა ნათ-
ლისათა და სუნნელება მიეფინებოდა მას მიუთხრო-
ბელი, და განკვირვებამან შეიძყრა ყრმა იგი, და
განვიდა გარე, რათა წარვიდეს და ოღასრულოს
საქმე იგი უფლისა თვისისა. ხოლო რაეამს ოღასრუ-
ლი წმიდამან ანდრია ლოცვა, გამოკიდა და დასწე-
რა ჯვარი და ეს კარნი და დაესწნეს კლიტენი, ვი-
თარკა იყო პირველ. მაშინ სკრა ანდრია სულისა-მიერ
წმიდისა, ვითარმედ ეუწყა ყრმასა მას საქმე მისი. გულ-
კლებულ იქმნა და დადგა ერმ ერთ და ელოდა, რათა
შეიქცეს ყრმა იგი და ამცნოს დაფარვად ხილვისა მის
და, ვითარკა შეიქცა, მოუწოდა და ამცნო და პრეცა
მას: „შეილო ჩემო! დაიმარხე მცნება ჩემი და ნუ-
ვის უთხრობ რად იგი იხილე, რათა გაქვნდეს მოწ-
ყალება ღვთისა. უკეთუ კტრლა ინებო ხილვისა
ამის გამეღავნება, მოგველინოს შენ ეშმაკი და გარო-
ნინებდეს განქიქებულსა ქალაქსა ამას შინა,
არამედ მე ვრქვა ანგელოსა შენსა, რათა დაგიც-
ვას და არა გიტეოს თხრობად ეისდამე, და მე
მელოდეს საურავი მაგისი, და სიტყვა მისი ოდენ
ესმოდა ყრმასა მას, ხოლო კაცსა არა პხელვიდა,
და ოლუთქმიდა, ვითარმედ, „ჰე, უფალო, ორავის
უთხრა და ეპუო მცნება შენი!“ და წარვიდა ყრმა
იგი განკვირვებული და იტყოდა: „დიდ არს ღმერთი
ჩვენი მხედველი დაფარულთა, თუ რაოდენნი
წმიდანი პყვანან დაფარულად, ვითარკა მესმის

სასწაული წმიდათაგან, — აწ მე ვიხილე თვალის
ჩემითა. ” და მოვიდა უფალსა თანა თეობისა და
უთხრა საქმე იგი, რომლისათვის წარელენილი იყო.
მერმე განიზრობენდა სასწაულისა მითხრობისა, რო-
მელი ეხილვა წმიდისაგან, ხოლო ვითარე ენება-
ღლება პირისა, იხრლა ქაბუკი შეენიერი და შესინ-
და მისგან. და პრეზიდენტი კაბუკმან: „დადუმდი საწყალო-
ბელო, ნუ უკვე (რათა არა) შეგიძლიას შენ ეშმაკ-
მან და იქმნე საცინელ ყოველთა. ხოლო ყრმისა
მას ენები კითხვალ მისა, ვითარე მედ ვინ ჩახ
შენ? ხოლო მან დასდგა ხელი მისი მარჯვენა პირისა
და პრეზიდენტი, „დადუმენ, შერლო! ” და მიციარა მისგან.

თავი მაოცდაზოდე.

ლდეს ერთსა, ერთსა წნებისასა, (ყურძნის წურვი-
სასა) ქულბასა (ბაზრის სახლი, ლუქანი) შინა-
ოვისსა და ედვა მეხილესა ლელვი, დარჩეული
გასასყიდვად, და მეხილესა მას შისძინებოდა მჯდო-
მარესა, და ნეტარი ანდრია რონინებდა. შეხედვი-
დეს ერნი ლელვსა მას კვეთლასა (მშვენიერი,
ლამაზი) და უკვირდათ შეენიერება მისი. შოუწო-
დეს ანდრიას და უჩეენეს ლელვი იგი და ეტყო-
დეს: „სძინავს მეხილესა მას, ხოლო შენ მივედ და
მოპჰარე ლელვი იგი და სჭამე და განძელ, ნუ
უკვე ესე ვითარსა ლელესა არღარი სადა შეხვ-
დე შენ! ” ხოლო მან პრეზიდენტი: „ხილნი ჰამო-
არსა? ” და მათ პრეზიდეს: „ჰამო არს, სჭამე! ” მაშინ

მიერთა და დაჯდა ლელესა თანა და იწყო ჭამალ
ხოლო იგინი აწვევდეს და ეტყოდეს, „სკამე, ნუ
გეშინინ!“ და ვითარცა შექამა ლელვი იგი ყოვე-
ლი სრულიად, განიღებიძა მეხილემან მან, და კაცნი
იგი ყოველნი განიბნინეს, რომელთა ეუწყა ჭამა
მისი. ხოლო ნეტარი ინდრია დგა და ლიმიოდა.
და იხილა რა მეხილემან, განსწყურა და აღილო
არგანი და სკა მას უწყალოდ. და დასკა ქვეყანად
და გაგლიჯა და გახადა საწყლად და განხადა მიერ
(გაგლო იქიდგან). ხოლო მოუხსლა ყრმა იგი მცირე, რო-
მელსა ეზილვა მლოცველად ტე ვითარცა იხილა შესვა-
რული სისხლითა, განკვირდა, მოეხვიო და ამბორს უყო
ტე პრევა: „ვინ ვიყო ესე?“ ხოლო წმიდამან მიუვო:—
„შეილო, ნაყროვანებამან (უწესოდ სიმაძლრე) ჩემმან
მიყო ესე, რომელსა ჰქედავ. ვიხილე ლელვი
რჩეული, და ვსჭამე და შისთვის მცეს სამარ-
თლად!“ პრევა ყრმამან: „რადმე უყოს ღმერთმან
ძლიერთა, რომელნი სტანჯვენ უსუსურთა, თუ
არა მოიქცენ სინანულად?“ მიუვო წმიდამან: „ესე
დაიცევ მცნება ჩემი, რომელი გამცენ შენ: უკეთუმ-
ცა არა მოსრულ იყო ჭაბუკი და დაედვა ხელი
პირსა შენსა, აწმუა ეშმაკელლი იპოებოდი.“
ხოლო ყრმასა მას განუკვირდა, თუ ვითარ ნახა
მან ჭაბუკისა ხელის დაფება პირსა ჩემსა! და
მოსხესენა პირველი იგი ხილული სასწაული და
ადიდებლა ღმერთსა, და წარვიდეს ზოგიდ ინდრია
და ყრმა იგი ადგილსა ფარულსა, რათა იუბნონ.
და ვითარცა იხილა ეშმაკმან, ვითარმედ უყვარს

ყრმა იგი წმიდასა მას, და ვითარ უჩვენა ღრებო-
მან სასწალლი მისი, აღიხენა სხვანიცა შემწენი
თვისნი ეშმაკნი, შურითა ხავსემან, და შეემთხევენეს
ფოლორცა შინა ბნელისა ნეტარსა ანდრიას ჭყრმასა,
ჭ რისხვით პრქვეს წმიდასა: „არა კმა არს შენდა, რო-
მელ სოფელსა ემლერ? შენ აწ სხვათაცამიმიხვემ ჩემგან,
რომელნი პყოფენ ნებასა ჩემსა? არა კმა გეყვნესა
ეპიფანე და სახლეულნი მისნი, რამეთუ აღიხევნ და
განსწმიდენ კოდვათაგან და შეაწყნარენ ლმერისა?
და აწ გეგულვების მაგისიცა განწმედა და მოყვანე-
ბად სინანულად?!” და წარმოიტყოდა ყოველთა
კოდვათა მის ყრმისათა მაღლიად.

მაშინ განრისხდა წმიდა იგი და მიუგო ეშმაკ-
სა მას: „ეკე ყოველნი ცოდვანი მისნი აღიხოუკნენ
და წარწყმლეს ველრებითა ჩემითა ღვთისა მიმირთ.
შენ უჩატვინოო, რა გიძა ამასთანა საბრძოლველი?
მე სული ჩემი ამისთვის დავსდვა, და არა გაქვს
ნაწილი სულისა ამისისათანი, წყეულო!“ მაშინ
განრისხნეს ეშმაკნი და ეგულვებოდათ გამოტაცება
ყრმისა მის ხელთაგან წმიდისათა, ხოლო მან
შეჩისხნა მათ და დაპყო ხელი და აღილო ქვა
და შესტყორცა ეშმაკთა მათ, ხოლო მათ იცივირეს
და ღორითა სახე შეიმოსეს და განქარდეს ჰაერითა
შინა. და მიერ მოვიდა ნეტარი სხვასა კაპალონსა
და მიიღეს საზრდელი მან და ყრმამანცა.

თავი მიოცდასი.

მოვიდა სხვაცა ვინმე ჭაბუკი და ივლებდა

ხელსა წვერთა თვისთა, და ჰყება სხვაცა ეინშე მოყენებული და შევიღა ქაპილონსა მას და დასხვებს შეხველებად წმიდისა და იწყეს ჭამად პურისა. შეხედნა წმიდამან და ეუწყა საქმენი მისნი უკეთეურნი და ენება, რათამცა ამხილნა ცოდვანი მისნი. იწყო სიმღერად და სალოსობად, ხოლო მათ რაგამს იხილეს ცოფად და მომღერალად, განიხილეს და იწყეს სიცილად, ჰუმნებდება განფრთხობასა (გამოფხიზოებასა) მის-მიერ სალოსობითა. მიჰყო ხელი წმიდამან ტრაპეზისა შათსა და აღიხუნა პაქსიმანი (ორუბობილი, — „სუხარი“), და იწყო ჭამად. აღმფუონა ჭაბუკი ივი და პრეცა ვას: „არა სჯდე შენსა წინა (რატომ შენ ალაგის არ ზიხარ?), ხელო ეშმაკეულო? საღაცა პპოვთ უცხო ტაბლა, განმარტებ ხელსა აღებად რასამე!“ მიუგო ნეტარმან: „კეშმარიტად შენ ხელო და მპარაო! არა დაბყოთ ხელი (დააყენებ შენ ხელსა), რომელმან განიპარე კომში სიმონისი?“ და უხეთქნა ყვრიმილსა ვაბუკისასა და მეუყსეულად დაიყო უერი შისი, რომელსა რქწმა რაც (ლაპარაჟი), — ყოვლადვე არა ესმოდა. ხოლო ვითარება იხილო მპარაგმან მან გამოცხადება საქმეთა თვისთა, დადუმნა და იტყოდა განკვირვებული გულსა (შინა) თვისსა, სადათმე (საიდგან) უწყის იმან საქმე ესე?

მიემთხვედა მოყვასსაცა მისსი (ამხანავს იმ ჭაბუკისას) და პრეცა: „შენცა, მეორეო ხელო! ესრეთ ურიდიდ პზი და სკამ ნაპარევსა?“ ხოლო ივი შეშინდა, უარ-ჰყო და პრეცა: „არა ეიცი მაგისგანი.“ პრეცა წმიდამან:

„გრძელების ჩემი, უკეთო კვალიად იქმ ხაქმაში მა-
გას, ეშმაკიულიად განხვალ! მოიქცა და მოუგებდა
კაცია ვისმე და ეტყოდა, უკეთუ მოლაგონის
კვალიად პარვა, ესხნენ ესენი ეშმაკსა,“ (ეშმაკი
კერძნი გახდებიანო). და დაუტევა იგინი და წარე-
და. და ვითარცა რონინებდა წმიდა ივი ყრმისა
მისთანა, კვალიად შეემოხვინეს მას მრავალნი გუნდ-
ნი ეშმაკთანი, განრისხებულნი ყრმათა მათუები
შპარავთასა, რამეთუ წმიდისა-მიერ მოვიღოდეს
სინანულიად და იზახდეს მის ზედა, შფოთებ-
დეს და ეტყოდეს: „რად გვავნებ წვენ შენითა
მაგით სალოსობითა, ჭოი ანდრია?“ ადა ეითარცა იხი-
ლნა იგინი, პრექა მათ გულის-წყრომითა: „კვალიად
გნებავსთა, დაწყეულნო, შფოთი მზაკვარებითა თქეე-
ნითა? ვითარ იკადრებთ მიახლებად ხატისა ლეთისა? ვ-
ჰუცუცავ უფალსა ჩემსა იქსო ქრისტესა, უბადოდ
და დადგრომილ არს თქვენდა! მიეგენით, უსუსურ-
ნო და შეუძლებელნო, კლდეთა! მე არა მეურვების
სმისა თქვენისაგან და ფერხთაგან!“ მიუგეს ეშმაკ-
თა მათ და პრექვეს: „ანდრია! უსამართლოდ გვდევნა
წვენ შეურყეველმა საყდარმან და ძალმა მისმან! მ-
ძლავრებით წაგვვირი კაცთა მაგათ, რამეთუ უ-
ვენებ საქმეთა და შრომითა შენთა, და იგინი
ხედვენ და მოვლენან სინანულიად! წარვედ, განგვე-
შორე ჩეენგან, დაუტევენ, რომელნი პყოფენ ნება-
სა ჩეენსა! ნუ ამცნებ მათ სინანულიად! არა კმა-
არს მათდა, რამეთუ იქვსთ თქმული სახარება და სა-
მოციქულო, რომელი მარადის სწავლის?! შენ რომ-

ლითა სახითა გებრძევ ჩენ, საღოსო, სოფლისად ახ-
ლად შუამდგომელიდ გამოჩინებულო! წარეც ჩენ-
გინ, რამეთუ სკამ საღაცა მოგვხდეს, ვითარცა
დათვი. ვითარცა ვითხოვე უფლისაგან იობისათვის
და მომცა ხელმწიფება, ეგრეთვე ვითხოვო შენ-
ზედაცა და მოვილო”.

მიუვო ინდრი: „მეცნიერ ვარ შენდა, დაწ-
ყეულო, რამეთუ იქრებიან ნაწლევნი შენი,
ვითარცა ხერხითა! რომლითა მიზეზითა გნებავს
ჩემისა შრომისა ამისგან გამოყვანება, ანუ რომლი-
თა მიზეზითა მომითხოვ მე უფლისაგან? მე ვესავ
მასევ მოწყალესა, რომელმან მისსნას მე უკაველოა
მანქანებათა შენთაგან. რომლითა სახითა მომითხოვ
მე? ვეცხლის-მოყვარებისათვის, ანუ ოქროსა სიმ-
დიდრისათვის, ანუ მონათა მოსილობისა და
დიდთა ნაქონებისათვის მამულისა?! აწ ნუ შეიწ-
ყალებ მონაგებთა ჩემთა, ალაოხჩენ და დაარღვიენ
სახლები ჩემი, მოსწყვილენ ხვასტაგნი (საქონელი,
ხარ-ძროხა) ჩემნი, ანუ გასკრენ თავისა სახ-
ვაველნი ჩემნი, ანუ მოგვნი (ჩექმა) ჩემნი გან-
გლესილნი და ჩაფულანი (ფეხთ-საცმელი) ჩემნი
შვენიერნი, ანუ სართულნი ჩემნი შემუობილ-
ნი! რა გშურს ჩემთვის საძაგელო და უსუსურო
და ყოვლად მილწო? სამოსელი ესე ძველი ჩოხისა,
რომელ მმოსიეს, ნუ უკვე მას ეშურები? მოგცე
შენვე, თუ გნებავს.“ და იღისსნა და შესტყორუნა
პირსა მათსა და შიშველმან იწყო სირბილად. ხო-
ლო ყრმამან აღიღო სამოსელი იგი და კვალიდ

შთააცეა. მაშინ ნეტარშან ამბორს უყო ყრმასა და წარვიდა სახიდ თვისსა. ხოლო იგი კიდებული ესრეთ მშიერი და წყურიელი, განტევებელი და უძილო და განუსვენებელი და ყოველთა დღეთ მისთა ესრეთ ადასრულებდა.

ხოლო ჭიბუქსა მას, რომელსა ამხილა პარეისა-
თვის, დაავიწყდა მცნება მისი და იპარა სხვა უფროსი.
და რავამს იხილა წმიდამან, რამეთუ სულგრძელება
არა რას ეჩვების, მივიდა სახლსა მისსა, სადა იყოფოდა
და უბრძანა ეშმაკსა შესლვად მისსა და განცოცნა
იგი. ხოლო რბინ ფოლორუთა და ოლიარებდა საქმე-
თა თვისთა და იტყვინნ, ეითარმედ ამათ ცოდვათათვის
წამეკიდა მტერი ესე. და ვითარუა განუტევა იგა
ეშმაკმან, მოეხსენა ყვრიმლის ცემა იგი წმიდა-
სა და გულკლებულ იქმნა. მივიდა და შევურდა
წმიდასა ლვის-მშობელსა მონასტერსა შინა, რომელ
სა პრეკიან მიროლეონ და შესტირა საკვირველო-
მოქმედსა მას ხატსა. ოლილო ზეთი კანდლისაგან
და იცხო ხორუთა თვისთა და ეველრებოდა წმიდა-
სა ლვის-მშობელსა. და ლოცვასა შინა მცირედ
მიერულია, და იხილა დედაკაცი ვინმე, რომელი
დგა საკურთხევეელისა წინა, მოსილი პორტირით
და შისონითა და მიხედნა განრისხებულმან მის კერძო
და პრეკა: „დაშავებულო ეშმაკო, წუთ ერთ მანდა
ხარაა? განვეღ დაბადებულისაგან ძისა და ლვის
ჩემისა, რამეთუ შემომევედრა ეგე მე.“ პრეკა ეშმაკ
მან პირითა მის კაცისათა: „რომელი ძისა შენისათ-
ვის სალოს იქმნა, მან მიბრძანა შესლვა ამისსა და

ტანჯვალ.“ მიუგო დედუფალმინ და პრქვე: „ვანეყლ
მსწრაფელ წყელო და ნუ ზრახვ!“ და შეის განვითარება
და ეშმაკი იგი და უჩინო იქმნა. ხოლო კაცი იგი
მოეგო ცნობასა და აღიდებდა წმიდასა ლვითის-მშო-
ბელსა მარადის და იტყოდა მისსა მიმართ: „შენ
თავს-მდებელ მექმენ ამიერიდგან, რათა არღაჩა
ვიპარო, არცა განვარისხო ძე შენი, ღმერთი ყოველ-
თა.“ და წარვიდა იგი სახიდ თვისსა, ღაურევა უოვე-
ლი უკეთურება და იქცეოდა იგი შიშითა ლვითის-
თა და კრძალულებითა. და რომელნი იცნობდეს,
ჯანკირადებოდეს მისთვის და იტყოდეს: „ვითარი იყო
ჭაბუკი ესე პირველ ურჯუკი (ურჯულო) და თავ-
ხელ, და აწ ვითარ მოიქცა და შეიმუსრა?“ და სა-
დაც შეემთხვევინ წმიდა ანდრია, არა ნებავს ჭაბუკ-
სა მას ხილვა მისი, არამედ მოერიდის და დაიმა-
ლის და იტყვინ, ფიცხელ არს წმიდა ესე, არამედ
მე დიდად სარგებელ მეყო.

თავი მიოცდაცხენე.

 ლესა ერთსა წარვიდა წმიდა იგი და მოაქვნ-
დათ მდიდარი ვინმე გარდაცვალებული დიდითა
პატივითა, ერთთა და გალოობითა, კეროვნებითა
(კელაპტარი) და საცეცხლურებითა, და სტიროდეს
მას თვისნი და იგლოვდეს. ხოლო იხილა რა იგი
წმიდამან დასდგა და ვანიცდიდა მათ, და იხილა
ერსა მას შორის წინა კაცნი შავნი, ვითარცა
ჰინდონი, რომელნი იყვნეს ეშმაკნი უკეთურნი,
და რომელნი უმრავლეს იყვნეს ერთა მათ შორჩიშუ-

ნეთა და უკეთეს წიგასა (გამშვილი ნებენ), და ეპურათ,
ვითარება თხიერი (ტიკეორი) რადებე, სავსე ნაცრისა,
და ასხურებდეს პირსა ზედა მის მკვდრისასა, და იკინო-
დეს და განსცხრებოდეს წინაშე მისსა, ვითარება მეძავნი
დედანი, და სხვანი ძალუებრ პყეფდეს, სხვანი ღო-
რებრ ქვეიროდეს, და სიხარული დიდი იყო მათ
შორის. მთადგებოდეს ცხედარსა და სკორესა
მჩლეირსა ასხურებდეს მას და სკემდეს პირსა
მისსა. და ესმა წმიდათა მას ზეგარდამო, რომელი
ეტყოდა: „მგალობელინო, არა იხილოს თქვენგანმან
ნათელი წემი, რამეთუ გალობათა იტყვით ძალისა
ზედა: უფალო წმიდათა შენთათანა განუსვენე სულ-
სა მიცვალებულისა იშის შესვენებულისასა, რა-
მეთუ ყოველი ცოდვანი დაუკლებელად პკიდავნ
მას.“ მერმე მოვიდა მთავარიცა ეშმაკთა განბორო-
ტებული თვალითა, ვითარება მხეცი. იხილა რა
წმიდა ანდრია, შეეშინა და ხელთა იქვნდა ნაკვერ-
ცხალი და წუნწუმა, და მიჩრბილდა საფლავსა მას,
სადა დაფლვილენ მკვდარსა მას, და ეგულვებოდა
დაწვა მისი სახილველად ყოვლისა ერისა. ხოლო
რაეამს დაფლეს მკვდარი იგი და შემოიქცნეს ერნი,
იხილა წმიდამან ანდრია კაცნი ვინმე მშვენიერნი,
მდგომარე მცმუნვარედ. პგონებდა ანდრია, თუ სახ-
ლეულნი მისნი არიან, და არა უწყოდა, თუ იგინი
ანგელოზნი არიან. მოუხდა მათ და ეტყოდა: „რადა
უზომოდ მწუხარე ხართ მკვდარსა იმას ზედა?“
მიუვეს ანგელოზთა მათ და პრეცეს: „ამისთვის
ვსტირთ და ვსწუხო, რამეთუ აღსრულებული ესე

ეშმაკმან წარიყვენა. ” მაშინ წმიდაბან ანდრიას ცუნა ვითარმედ ანგელოსნი ღვთისანი არიან, ეველრებოდა მათ, რათა აუწყონ მას, თუ რაჯ იყო ბოროტი იგი ცოდვა მისი. მიუგეს ანგელოზთა მათ და პრეზეს: „ისმინე მონაო ღვთისაო ანდრია, და გაუწყოთ ცოდვად მისი, ვითარცა ხარ ერთგული მსახური წმიდისა სამებისა. ”

„მაცი ესე იყო მთავარი და წაოჩინებული მეფისა ქალაქება ამას შინა, ხოლო შეყოფილ იყო ცოდვისა ბილწებისასა, რამეთუ იყო მსიძვ უცხოსათანა და თვისთათანაცა ნათესავთა, მამათ-მავალ, ამპარტავან და მტყუარ და ძვირის-მომხსენე, მომხევე-ჭელ, კაცა-მოძულე და მფუცავ, რომელი ირა განიძებდა პურითა მსახურთა თვისთა, და ყოვლად უწყალო იყო მონათა მიმართ და მსახურთა სახლეულთა, რამეთუ სკემდა მონათა შიშველთა და მოპკლვიდა მათ და დაფლვიდა ფარულად ქვეშე საღვურთა. აწ მოიწია სიკვდილიცა მისი, და იპოვა განფრდილი (ნებსით თავის გაყიდვა) ყოველთა ცოდვათა შინა უნანელად, და მიითვალეს იგი ეშმაკთა, და რამეთუ არცალა ლირს იყო გვამი მისი დამარხვად მიწასა შინა. ამისთვის მწერებრე ვართ, რამეთუ იქმნა სამღერელ ეშმაკთა საწყალობელი იგი და უბადრუები. ”

და რაეამს მიუთხრეს ყოველნი ნეტარსა ანდრიას, პრეზე მათ: „ბრწყინვალებითა შემოსილნო! ნუ მწერებრე ხართ, მიიღეთ ნუგეშინის-ცემა, ” და წარვიდეს მისგან ანგელოზნიცა იგი. ხოლო თანა

წარმადებულთა კაცთა ესმოდა სიტყვა იგი ინდუსტრია და
სხვასა არა რასა პხელვილეს. იტყოდეს ურთიერთ-
ორს: „იზილუთ ცოფი ესე, ვითარ მიღეომილ არს
და ეუბნების ყურესა იმას?“ და ერთმან მათგანმან
აქენა (ხელი ასწიო, წაპურა) მას. ხოლო მან პრექვა
მათ: „წარუედით ხელნო გზასა თქვენსა“, ხოლო
მათ რქვეს: „ხელი შენ ხარ, რომელი ეუბნები
მაგას.“ განიცინა წმიდამან და მივიდა აღვილსა
ფარულსა, და მოიხსენა კაცი იგი ცოდვილი,
და იწყო მდუღარითა ცრემლითა ვეღრებად
დვთისა და ილოცვიდა მისთვის ესრეთ: „ლმერთო
დიდო და საშინელო, შემოქმედო ცათა და ქვეყა-
ნისაო! გვევედრები ულირსი ესე, რათა ისსნე
გვამი იგი ცოდვილი დაწვისაგან ეშმაკთასა, რათა
არა განკიცხონ სრულიად და განიხაროს მძლავრმან
ჯოჯოსეთმან და ვეშაპშინ უწყალომან შთამთქმელ-
მან. ისმინე ვეღრება ჩემი ცოდვილისა ამის მონისა
შენისა“.

ხოლო ამას რაც ილოცვიდა წმიდა იგი, გამოჩნდა
ზეცით ლრუბელი ნათლისა და აღიტაცა იგი და
დაადგინა საფლავსა ზედა. მის ცოდვილისასა. და
მოვიდა ანგელოზი ზეცით და აქვნდა ხელთა მისთა
კვერთხი ცეცხლისა და განიოტნა ეშმაკნი იგი და
არა უტევა მათ დაწვად გვამისა მისისა ლოცვითა
წმიდისა ინდრიასითა.

თავი მოცდაათა.


 ღ ვითარება შემწუსრდა, წარვიდა ლოცვალ
 ტაბარსა ყოვლად წმიდისა ლეთის-შმობელისასა და
 ილოცვიდა მას შინა განთენებამდე, ვითარება ჩვე-
 ულ იყო. და ვითარება დარეკეს ცისკრისა ეპი,
 მოვიდა ეპიფანეცა მუნვე ეკლესიად ლოცვალ-
 ხოლო ესრედ იტულდა ფიცით: „ვითარმედ ჩა-
 უამს მივხედენ წმიდასა ანდრიას, მდგომარესა ერსა
 მას შორის სამოსლითა მით ძევლითა, ოდესმე
 ჰსნანან ქვეყანისაგან ამაღლებულად მდგომარე,
 შგზებარე, ვითარება ალი ცეცხლისა, და
 ოდესმე სპეტაკ, ვითარება თოვლი, და პირი მისი
 ნათობნ, ვითარება მზე.“ ხოლო ეპიფანე განკურვე-
 ბული აღიდებდა ლმერთსა, და აღიკა სული მისი
 სიხარულითა. და ვითარება გიჩიყარი კრებული იყო,
 მიმო-იხილა და არავინ იხილა. შეუვრდა ფერსთა
 ნეტარისა ანდრიასთა და პრეზა, „მაკურთხე, მამათ,
 სულიერი შეილი შენი!“ და ვითარება იხილა იყი
 ესრეთ ლმობიერად, პრეზა მას ანდრია: „შენ ლოცვა
 ჰყავ ჩემთვის, მეუფეო, და მაკურთხე, რამეთუ შენგან
 მისმს კურთხევად და შენი ჯერ არს, რამეთუ ვახი-
 ლე დღეს ძალი დვთისა, რამეთუ მდგომარე იყავ
 შენ მხიარულითა პირითა წინაშე მისსი, შორის
 წმიდასა ეკლესიასა დიდსა სოფიასა, და გემოსა შენ
 სამოსელი სამღვდელო, და მოვიდა შენზედა ხე-
 ლი უფლისა და შეგმოსა შენ ომფორი მხართა შენ-
 თა შედა. და კვალიად ვიხილენ თრნი კაცნი ბრწყინ-

ვალენი და გეგხალეს სამოსელი, და ლაპტერები
და განაშენეს და იტყოდეს ურთიერთარს: „ვითარდა
შეგაპეს და შენის სამოსელი მიმათ-მთავარს ეპიფა-
ნეს, და რამეთუ არს შინაგანიცა მისი შენიერ.“
და ერთმან მათგანმან გამოსახა ჯვარი შებლსა ჰე-
და შენსა და ამბორს გიყო და წარვიდა. და ეგრეთ-
ვე მეორემან გამოსახა ჯვარი ყოველთა. ასოთა
შენთა და ამბორს ვიყო და წარვიდა. და ესე რომე-
ლი ვიხილე ქეშმარიტიდ ეკლესის მოძღვრად და
მასწავლელ ერისა მორწმუნისა დაიღვინო შენ, რამე-
თუ ესე ყოველი ვიხილე მე შენთვის, ხოლო შენ
არა ვიხილავს ჯერეთ. ამისოვის ვითხოვ კურთხევისა
შენსა, რათა ლოცეა შეც ჩემთვის საწყალობელისა!“
და ვითარცა მიუთხრა ესე ყოველი, ამბორს უპყვეს
ურთიერთარს და დასხდეს. იწყო წმიდამან სიტყვად
ეპიფანეს და წესსა ეკლესისახა ზწყემსობისათვის
და თქვა: „გეველრები შენ, საყვარელო შეილო
ჩემო, სიყვარულისათვის ღვთისა, რათა ცრემლი
შემატე ფრიადი კვალიადცა განწმედისათვის
სულისა შენისა და ხორცია. და იყო მწყემ
ქეშმარიტ, კეთილის მოყვარე და შეიმოსე სიმ-
დაბლე და ლუმილი, რათა განწმდეს გული შენი,
ვითარცა ოქროს, ნათელო და სიხარულო ჩე-
მო და შეენიერებათ, და სიტყბოებათ ჩემო, და სუ-
ლისა ჩემისა საწყურალო მოიგე უმეტესი შემუს-
რევილება გონებისა, უბიწოება, ძვირ-უსენებლობა,
კეთილის-ყოფა; ისწრაფე სწავლა მშვიდობისა; სიყ-
ვარული გაქუნდინ ყოველთა მიმართ, და ლოც-

ვა სამარალისო გაქვნდინ პირსა შენსა. იყვა გლო-
ხაკ-მოწყალე, მონაზონთ-მოყვარე, ლვის მოში-
ში, ჰეშმარიტებისა ზედა მდინალ, მუცულო, მომოში-
ნე, სულ-გრძელ; ნუ ვის განსჯი, ნუცა განიკითხავ,
ნუ იქმნები მრისხანე, ნუცა იმპარტავან, ნუცა
მცონარე და ღმერთმან გადიდოს შენ. ყოვლითა
გულითა შენითა მოიგე სიყვარული ლვისისა, რათა
უმეტეს აღვამალლოს შენ. და იყვა ყოვლითურთ წესი-
ერ და განკრძალულ, ვითარცა შვენის მწყემსსა ეკლე-
სიისასა, რათა ყოველნი მხილველნი სახისა და
ქცევისა შენისანი იდიდებდენ ღმერთსა, და იყო
მწყემს საყვარელ და პატივცემულ და იხირებდენ
შენზედა. უკეთე ესე ყოველი მცნებანი ჩემნი
დაიმარხნე, არა გრძევენეს არცა საწუთოსა ამას
და არცა საუკუნესა წინაშე ქრისტესა. და ესე ყო-
ველ, რაოდენი გარქვ შენ, ნუვის გამოუცხადებ
კაცთაგანსა და ღმერთი მშვიდობისა იყვან შენთა-
ნა!“ და შევიდეს ეკლესიად და იკითხვიდეს წიგნ-
თა, და დაჯდა ეპიფანე სკამთა ზედა, ხოლო
ნეტარი ანდრია ქვეყანასა ზედა, ვითარცა გლახევი
მოსილი ძონძითა დაბებულითა. და პხედვიდეს
რა ერნი იგი, იტყოდეს ურთიერთარს: „რად მოვი-
და ცოტი ესე? ეკლესია არს ესე და სახლსა რახა-
მე შემოვიდა, და სხვანი სხვისა რასამე იტყოდეს,
რეცა კაცისა მიერ ვნებულიად.

თავი მიოცდათორთავთ.



ვითარცა დაჯდა იგი ეკლესიასა შინა, ინი-

ლა მაცორი ეშმაკი განმძლივრებული საერთო
შორის ეკლესიისასა, რამეთუ ებრძეინ კაცთა მიწებ-
თა საჭიროთა საქმეთათა, რათამცა განიყვანა ეკლე-
სიით და დაკლებულ ყვნი იგინი ნიჭით ღვთისათა.
რამეთუ მოაგონებნ, ვითარმედ განვედ იწ და ჰქმენ
იგი რამე, და კვალიად მოვედ და იღოცე, რამეთუ
ეკლესია აქვევ არს და საჭმისა აღსრულებისათვის
რაა ბრალი გაქვნდეს? და მრავალნი განიყვანაცა
და დააჭირენა ნიჭინი ზეცისანი და დაავიწყა სიტყვა
იგი სახარებისა, რომელსა იტყვის: „ნუ ზრუნავთ
თავისა თქვენისათვის, რაა სჭამოთ და რაა სტათ,
ნუცა ხორცთა თქვენთათვის რაა შეიმოსოთ,
არამედ ეძიებდით პირველიად სასუფეველსა ღვთისა-
სა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგვეძი-
ნოს თქვენ.“ (მათ. 6, 25, 33)

და კვალიად იხილა სხვა ეშმაკი, რომელმან
მოაუძლურის და დააძინის, გინა თუ აზრაბებნ ცუ-
დად, რათა არა ისმენდეს სიტყვასა წერილთასა.
იხილნი რა ეშმაკნი იგი ესრეთ მოქმედნი, შერის-
ხნა მათ და პრეკა: „ყოველიად მზადებინო ვიდრებ-
დის ლონე პყოფთ და დააკლებთ კაცთა სმენიდ
სიტყვათა წიგნთასა სარგებელთა სულისათა, არა-
მედ განამზადებთ ზრუნვათა ცუდთა?“

მოიქცა ლოცვად, ილოცვიდა და იტყოდა:
„შენ, უფალო ძლიერო! მოვლინე რისხვა შენი
ჲა განასხენ მაცდურნი ესე.“ იმას რა იტყოდა
ანდრია, ცეცხლი გამოვიდა საკურთხეველით და
შეწვნა და განაბნივნი ეშმაკნი იგი. მაშინ განიფრ-

თხვეს კაცთა მათ ეშმაკთაგან მომავალისა ზრდებისა
და საცოტურისა (ძილისა მისგან და სიმძიმისა) და-
ისმენ დას გულს-მოდგინედ სიტუაცია წმიდათა წე-
რილთასა.

და რაეამს განუტევეს ეამსა, ამბორს უყო ეპი-
ფანეს და წარვიდა რონინებად, იმდერინ და რო-
კევნ და იტუკელებნ ხელთა (ხელთა ხელზედ მიიღებ-
და, ტაშს უკრავდა) და უკველნ ხელვიდეს მას, ვი-
თარცა ნალვლიანსა, ხოლო ეპიფანეს მოებსენებოდა
სწავლანი იგი წმიდისანი, და განკვირვებულ იყო
სიბრძნესა ზედა მისსა. და პზინ რა თვისევან სახლსა
შინა, სულთ-იქვამნ და იტყვინ: „დიდება შენდა
ლმერთო, თუ ვითარი ნათელი მოგიცემია კოსტან-
ტინოპოლის და არა უწყიან კაცთა! კეშმარიტ არს
სიტყვა იგი შენი: „ვითარმედ ჰელვით ხელვიდენ
და ვერიხილონ“ (მათ. 13, 14). და ვითარცა შემწუხ-
რდა, ეველრებოდა ნეტარი ეპიფანე ლმერთსა, რათა
გამოუცხადოს ანდრიასთვის, თუ რომელი შრომათა
მისთავანი უფროს სთნავს ლმერთსა, რომელსა იგი
ჰყოფს ქვეყანასა ზედა, ანუ სადა არს სამკვიდრებე-
ლი მისი კათა შინა, წინაშე შენსა მეუფეო.“ ამას
რა განიზახვიდა ეპიფანე, მცირედ მიერულა და
იხილა ადგილი შვენიერი და იყვნეს ნერგნი,
რომელნიმე განხმელ და რომელნიმე დამწევარ, და
რომელსამე აქვნდა ნაყოფისა წილ ეკალი, და
სხვათა აქენდა ნაყოფი ტყბილი, და რომელთამე
მწარე, და რომელთამე აქვნდა ნაყოფისა წილ
უურცელი დაბზარილი, ხოლო იყო მათ შორის

ხე მაღალი და შვენიერი და რტო-ფენილი და კუ-
ყოფიერ და ყოველთაგან ნაყოფთა ქვეყანისათვი
იყო მის ზედა. პხედვიდა და უკვირდა ხის შის ყოვ-
ლად ნაყოფიერებად. მივიღდა ძორთა მისონა და
იხილა მერცხალი მჯდომარე ხესა მას ზედა, დიდად
შვენიერი იყო მერცხალი იგი, ხოლო შეგვეხბითა,
არამედ თავით ფიდრე მკერდამდე იყო მერცხლისა
და სხვა გითარუა იადონისა, და ხმობნ, გითარუა
მერცხალი, და ოდესმე ვითარუა იადონი, და იყო
საკეირეველი და შვენიერი. და მასევ ხესა ზედა
სხდეს სხვანიუა მფრინველნი, ვითარუა ვარსკულავნი
ბრწყინვალენი და იცხებდეს ფერხთა თვისთა.

ზან კვირდა ეპიფანე ხილვისა მას და სიხარული-
სა მისგან სლოოდეს ურემლნი თვალთაგან მისთა.
და ვითარუა ხედვიდა იგი, მოვიდა მღვდელი პშვე-
ნიერი, ბრწყინვალე პირითა და მოსილი სპეტაკითა
ფრიიად პატიოსნითა და პრქვა ეპიფანეს: „შენ გეტ-
ყვი, კაბუკი! ვინ გიწოდა შენ შემოსველად აქარი“
პრქვა ეპიფანე: „ისმინე მონისა შენისა, პატიოსანო
მღვდელო, რამეთუ მოვიდოდე გზასა ჩემსა, მივემ-
თხვიე ადგილისა ამას და ვიხილე საკეირეველებად
ესე და შევიძეც განცდასა მისსა და დავშო აქა.
და მესმა ხმაა შვენიერთა ამათ მფრინველთასა, რო-
მელი ესე შენუა გესმის, უფალო ჩემო!“ პრქვა
მღვდელმან: „წარმოვედ ჩემთან და სხვა უკეთესი
გიჩვენო უენ“. და შეუდგა მას და წარვიდეს. ხო-
ლო მღვდელსა მას ეპყრნეს ერთსა ხელსა შინა
სახარება და ერთსა კონდაკი. მოვიდეს მტილსა მას

უინა და იხილეს პალატი ჰშევენიერი და სხვანიცა პა-
ლატი ბრწყინვალენი. და შევიდა მღვდელი იგი, ხო-
ლო ეპიფანე შეძრწუნებულ იყო. და შევიდეს სახლსა
ერთსა კოვდითურთ შემულსა, რომელსა შინა დგა
საყდრები ჰშვენიერი, რომელი გამოსცემდეს კლვა-
რებისა. ხოლო უმაღლესსა მას საყდარსა შედობარე
იყო მეუფე სამინელი და განუცდელი ხილვითა
და ბრწყინვილი, ვითარება მზე, დიდებითა და შევ-
ნიერებითა, და სდგეს გარემოს მისხა ბევრი ბევრე-
ულითანი და ათასნი ათასეულთანი ინგელოსნი და
განწყობილი ძალი მხედრობითანი. ხოლო ეპიფა-
ნე შეიპყრა შიშმან, და დავარდეს მღვდელი იგი
და ეპიფანე და თაყვანისცეს მეუფესა მას. და
იყვნეს ვითარება ემ ერთ ქვე-მღვდებარენი. და ვითარ-
ება ალდგეს, პრქვა მეუფემან მღვდელსა მას: „ესე
არსა ყრმა, რომელი მევედრებოდა საყვარელისა
ჩემისა ანდრიასთვის ჩეენ გმად?“ მიუგო მღვდელმან
მან: „ჰე მეუფეო!“ პრქვა მეუფემან ეპიფანეს: ხე იგი,
რომელი გიხილავს სავსე ნაყოფითა კოვლითა, სახე
მისი არს, რომელმან ალასრულა ნება ჩემი და
მერცხალი იგი და იაღონი სული არს წმიდა,
რომელმან წმიდა ჰყოს კოვლითა სიტკბოე-
ბითა სულიერისა მის ხმისათა, რაეამს დაემ-
კვიდროს ლირსთათანა“. და პრქვა მეუფემან მღვდელ-
სა მას: „წარიყვანე და უჩვენე, თუ სადა ვანისვე-
ნებს ანდრია წმიდათათანა“. ალიყვანი იგი მღვდელ-
მან სახლსა ბრწყინვალესა, და მუნ იხილა ნეტარი
ანდრია ხილვითა შევნიერითა, ვითარება მზე

ბრწყინვიდა პირითა, ხელნი მისნი ელფარე იქნა,
გითარუა ოქრო წმიდა, ფერხთა მისთა ესხნეს ხამ-
ლნი, ვითარუა ალი ცეცხლისა, და სამოსელი მისი
აჩვენებდა ფერად-ფერადთა ყვავილთა და გვირვევი-
ნი თავსა მისსა, რომელსა იქნდა ბრწყინვალება
ჯვარისა. და ხელსა ერთსა ეტვირთა ჯვარი და
მეორესა სკიპტრა, რომელი გვყრა ანგელოზთა,
რომელსა ზედა წერილ იყო წათლითა: „წმიდა
არს, წმიდა არს, წმიდა არს.“ იხილა რაა
ესე ყოველი, ეპიფანე ღიღად განკვირვებულ იქმნა,
ხოლო მღვდელმან პრეზე მას: „რასა განკვირვებულ
იქმენ ხილვისა მისთვის და ჩვენებისა? უკეთუ
ცხადად იხილო მღვიძიარემან, რაა ყოველ ვის?
ვითარუა გენება და ეველრე უფალსა, აღვისრულა
თხოვა შენი. ისწრაფე, რათა შენცა ლირს იქმნე
მოსლვად აღვილსა აშას.“ ესერი თქვა, განილვის
ძილისაგან, და გალომბდეს საცისკროსა და შეიპ-
რა განკვირვებამან ხილვისა მისთვის და იტყოდა, თუ
ვითარმე ლირს ვიქმენ ცოდვილი ხილვისა ამას, და
აღიდებდა ლმერთსა. აღსდგა და წარვიდა ეკლესიად,
და ეამსა განთიადისასა მოვიდა სართულად თვისსა
და დასდგა ლოცვად ვიდრე მესამედ ეაზადმდე
და მხურვალითა ცრემლითა იტყოდა: „გმადლობ
შენ უფალო ლმერთო ჩემთ, რომელმან მიხეენე მე
უდირსსა ამას ცოდვილსა ესე ვითარი დიდება!“
და აღასრულებდა რაა ლოცვასა, მოვიდა ნეტარი
ინდრია და მიუთხრა მას ყოველი იგი ხილული
თვისი. განიხირა ინდრია და პრეზე: „ვინ არს

ლმერთ დილ, ვითარ ლმერთი ჩვენი, რომელმან
კუნის საკვირველი მხოლომან?» (ფუალ. 71, 18).

თავი ვითოდათოს მით.

ცითარუა აქვნდა ჩვეულება ნეტარსა ან-
ლრიას სრბიდ გზასა ზედა კეთილსა, ღამესა ერთსა
მოვიდა ეკლესიასა წმიდათა მოციქულთასა (ეკლე-
სია იგი არს აღშენებულ ღილისა კონსტანტინე
მეფისაგან), და რაეამს მოიწია მახლობელიდ მისა,
ლამდე იყო უკუნი (ბნელი), გზასა ზედა ხნარ-
ცი (ჯურდმული) ფრიად ლრმა და ძნელი. ვამოვიდა
ეჭმაჟი ხნარცისა მისგან, ვითარუა პინდო, შეუპყრნა
ფერხნი და შეუბრემა წმიდასა მას და შთააგდო
იგი ხნარცესა მას. ხოლო მან აღიპყრნა ხელნი
და ხმა-ჰყო წმიდათა მოციქულთა მიმართ და
იტყოდა: „წმიდანო მოციქულნო, რომელთა ყოვე-
ლი სოფელი განანათლენით, შემეწიენით მეცა
საწყალობელსა იმას და აღმომიყვანეთ ჯურდმუ-
ლისა ამისგან!“ მაშინ ვამოვიდა და ვამოჩნდა
ეკლესიით გამო ჯვარი ბრწყინვალე და გამოკიდე-
ბული პაერთა ზედა, რომელმან განანათლა ჯურ-
დმული იგი. იხილა რა წმიდამან თქვა: „ვამოვეინ-
და ჩვენ ნაოელი პირისა შენისა, უფალო.“ და
იხილნა კაცნი ბრწყინვალენი შემდგომად ჯვარისა
მომავალნი მისსა, ჯურდმულსა მას, და უპყრეს
ხელი მისი და აღმოიყვანეს მიერ და დაადგინეს
გზასა ზედა მართალსა და წარვიდეს. ხოლო ჯვარი
იგი წინა უძლოდა მათ და წმიდასა მას ვიდრემდის

შევიდოდა ფოლორცა მას დიდია. და მეტაზე ჩაუ-
ფარა ჯვარი იგი. იხილა მცირისა მის ეკლესიების
ადგილსა სახე დიდისა ეკლესიისა ხუთ კამარისად
ზედ ჯვარისა და მას შინა მჯდომარე იყო მეუფე
წევნი იქსო ქრისტე საყდართა ზედა საშვალ ეკლე-
სიისა, და დასწი ანგელოზთანი და სერაბინნი და
ქერაბინნი გარე მოადგეს და განწესებულნი მხედ-
რობანი და ძალნი ზეცისანი დგეს წინაშე მისსა
შიშით და ძრწოლით. ხოლო ნეტირმან ანდრია
იხილა რა, სმა ჰყო: „მომიხსენე მე უფალო სასუ-
ფეველსა შენსა.“

მოვიდა მისსა და პრეზა: „ვითარმედ მცირედი-
სა გამისა განსრულებისა გამოჩენდეს მეფე მორწმუ-
ნე, რომელმან აღაშენოს ეკლესია, ვითარ ეს ხედავ
შენ, რომელსა შინა აღიდებდენ წმიდასა სამებასა.“

თავი მოცდაცაშეთვ.

ლა რაეამს დიდი იგი სრვა მოიწია კოსტანტი-
ნეპოლეს შინა, მწუხარე იყო წმიდა ანდრია, და
რბილდა ადგილითი ადგილად, და დაჯდებოდა
და სტიროდა და ევედრებოდა ლმერთსა და იტყო-
და: „შენ ძეო ლვთისაო, შეიწყალე ქალაქი ესე და
ერნი ესე მორწმუნენი და რომელნი მოისრნეს,
მოიხსენენ.“ ეამსი ერთსა მიერულა დამაშვრალ-
სა ფრიადისა მისგან ტირილისა. იხილეს იგი ვიეთ-
მე მოქალაქეთა და იტყოდეს: „იხილეთ ესე ცოფი,
ვითარ მწუხარე არს? ნუ უკვე მეგობარი მისი მოქ-
ვდა?“ სხვანი იტყოდეს; მოთურმე-მკვდარ არს დედა-

ბერი მისი და მით ტირის, “ და კვალად სხვანი იტყო
დეს: „იხილეთ, ცოდისტის ცოდვათათვის, ვითარე
ცა იტყვის, ვითარმედ ცრემლნი ეშმაკთანი არიან,
და ესეცა ეშმაკეულ არს და მით ტირის.“ და სხვანი
იტყოდეს: „მომცა-ვინ-სცნა ცრემლნი ესე?“ (ნეტავ
თუ სცნას ვინმე იმის ცრემლნი). ცრემლნი ესე ბრძენ-
თა ვის მიეცემოდეს, რომელმან იტირაშცა ცოდ-
ვათა თვისწათვის და პლეის შენდობად.“ სხვა-
ნი იტყოდეს: „ვინ უწყის, მოეხსენებიან ტანჯვანი
და ქირნი, რომელთა შორის არის და მისთვის ტი-
რის,“ და თანა-წარხლიან მას. ხოლო იგი არა
დასცხრა ტირილისაგან და ველჩებისა ღვთისა,
ვილჩების დასცხრებოდა სიკვდილი და ტირილი,
და ტირილსა მას შინა ალტაცებულ იქმნა, და იხილა
თავი თვისი, რამეთუ იპოვა მონასტერისა ანაპოლი-
სისა, სადა იგი მოქალაქობდა წმიდა დანიელ მეს-
ვეტე, რომელი იქმოდა სასწაულთა ურიცხვთა და
ევედრებოდა ღმერთსა ყოველისა სოფლისათვის. მი-
სრულიყო ველჩებად წმიდისა მის დიდი მეფე ლე-
ონ და დედოფალი.

ხოლო ჩაეძის იხილა წმიდამან დანიელ ნე-
ტარი ანდრია, პრეზა მას: „მოვედ, მონათ ღვთი-
სო, სარწმუნო, რომელი ბრწყინვაჲ ქალაქსა-
ამას დიდსა, ვითარცა მზის თვალი, რათა ზოგიდ
ველი ლერნეთ ლმერთსა, რომეთუ მოწყალე არს და
შემწყნარე, რათა შეიწყალოს ქალაქი იგი სე-
ნისა ამისგან დიდისა და დააყენოს სრვა ესე.“
და ვითარ ილოცეს, მყოფარ-ეამ ორთავე იხილეს.

ცანი განხშულნი და გარდამოვიდა ელვა, და აღი-
სვნა ეშმაკნი შავნი, ვითარუა ჰინდონი, რომელთა
ხელნი შებლალულ იყვნეს სისხლითა კაცთათა, და
განხადნა იგინი შორის ქალაქისაგან, და მყის
დასტაცია სიკვდილი ერისა მის ლოცვითა წმიდათა
მამათა დანიილ და ანდრიასითა.

თავი მოცდათოთხმით.

ბარდაიცვალა ქალწული ვინმე, ასული მდიდ-
რისა მოქალაქისა, ქმნილი კეთილი და მოშიში
ღვთისა. ხოლო ცოცხალ-და რა იყო იგი, ეკედრა
მშობელთა ოფისთა: „ვითარმედ რაფაშს აღვესრუ-
ლო, დამფალო მე ეკლესიასა, რომელ არს გა-
რეშე ქალაქისა, შორის ვენახსა, რომელი იყო სამ-
კვიდრებელი მშობელთა მისთა. დარაეამს აღვესრულა,
მოეხსენა (მოაგონდათ) მშობელთა მისთა სიტყვა მისი,
და წარიღეს და დაძულეს მუნ ქალი იგი. და იყო
მას ეამსა შინა ვინმე მპარავი გამოჩინებული, რო-
მელი შეუღვა ერსა მას, რამეთუ განყვანებასა შე-
სვენებულისასა განიცდინ აღვილსა მას, სადაცა
დაფლვიდენ მკედართა. და ვითარუა შემწუხრ-
დის-რა, მოვიდის და განძარუების. მას ეამსა იყო მუნ
და განიცდიდა ქალწულისა მის დაფლვისა, რათა-
მცა განძარუა, და რაეამს შემწუხრდა, მა-
შინ ნებითა ღვთისათა წარვიდა წმიდა ანდრია
აღვილსა მას. იხილა მან კაცი იგი და ეუწყა, ვითა-
რმედ საფლავის მკრებელი არს. პრქვა მას ანდრია
ფარულად: არა უწყია რისა იტყვის სული წმიდაში

„რომელმან იპაროს მკვდრისაგან, არა იხილოს შეგ,
არცა დღე, არცა ნათელი, არცა კაცი, რამეთუ და-
ებშას კარი სახლისა შენისა და შენ ნათელი არა
იხილო.“ ხოლო მან არა ირწმუნა სიტყვა მისი,
არამედ მირიდა, და პრქვა მას წმიდამან: „წარველ
და პოიპარე, რათა არა იხილო ნათელი.“ მიექცა
მჰარავი იგი და პრქვა: „წარველ ხელო, ეშმაკი
არს შენთანა და მის მიერ პზრისავ ჩაგას; აწ ვიხი-
ლო, უკეთუ ჰეშმარიტ არს სიტყვა შენი.“ და ვი-
თარ შემწუხრდა, მოვიდა მჰარავი იგი მკვდრისა
მიმართ და იღხადა საბურველი საფლავისა მის და
შთანადა განსაძარცველად მკვდრისა მის და მოხალა
საბურველი იგი პირსა მისსა და სახვეველნი იგი
ტილონი და მერმე ეგულებოდა რაც გამოსლევისა,
კვალად დაარწმუნა ეშმაკმან, რათა შინაგანიცა
იგი სამოსელი განძარცოს და დაუტეოს ყოვლად
შიშველი, და კვალად იქცა და განძარცვა იგიცა;
და ახალნი პერანვიცა, და ვითარცა ეგულებოდა
გამოსლევა საფლავით, ეჭა საკვირველი, რამეთუ
ბრძანებითა ლეთისათა აღდგა ქალი იგი ზე და ჰსცა
ყვრიმალსა მისსა ხელითა ფიცხლად და დაბ-
რმავდა იგი, და შეიპრა ქალმან მან და დააგდო
ქვეყნად და დათრგუნა იგი ფერხითა ძლიერად,
ვიდრემდის ხმა იგი ბრძოლისა მათისა შორად გა-
ნისმა და თქვა მისსა მიმართ: „საწყალობელო,
ვითარმე არა გეშინის ლეთისაგან?! ვითარ განმძარ-
ცვე ესრეთ უწყალოდ ურცხვინოო?! არა უწყით,
რამეთუ დედა-კაცი ვაჩ? არა კმა გეყოა იღძარ-

ცვა სამკაულისა და ტილოსა? ვითარ ესე უწყებლო
შექმენ და სჩულიად განმაშიშვლე და გმგულებოდა,
ნემი სიშიშვლესა წარდგომა შორის ქალწულთა.
დღესა მას სასჯელისასა? აწ იცან ღმერთი, რომელი
აქამომდე არა უწყოდი, და რომელთაცა გიხილონ
შეშინდნენ და მსახურებდენ ცოცხალინი მკედართა,
რამეთუ შენ მსიჯული სიმართლისა იქვსთ ცხოველ-
თა და მკედართა.“ ესე რა სთქვა, ვამოაგდო სამართ
კაცი იგი და პრექვა: „წარვედ და სტიროდე ცოდვა-
თა შენთა.“ ხოლო მან აღილო სამოსელი თვისი და
შეიმოსა ვითარცა იყო პირველ, და მოირტყა და
დაიბურა პირი თვისი ხელითა თვისითა და დაწვა
და პრექვა: „მშვიდობით იმას ზედა დაეჭმსწევე და
დავიძინო, რამეთუ შენ უფალმან მხოლო სასორ-
ბით დამამკვიდრე მე,“ და დაიძინა საუკუნოდ. ხო-
ლო კაცი იგი ოლსდგა მიერ ზარ-განხდილი შიშისე-
ვან და შიცვრვიდა (იცემდა) პირსა ზედა თვის-
სა, ვიღრე ზღუდედმდე ქალაქისა. და შეემთხვინეს
რად ამას მეცნიერნი მისნი და პკითხვიდეს, თუ
რაი შეგემთხვია? ხოლო მან ირა ვის უთხრა ქეშ-
მარიტი, არამედ სხვად-და-სხვად მიზეზი. მიე-
რითგან კაცი იგი თხოვით იზრდებინ და სწყევნ
თავსა თვისსა და იტყვინ: „სამართლად შემემთხვია მე
ესე ვითარი რამე, რამეთუ ესე ვითარივე შეემთხვიოს
მათ, რომელთა გული უთქვამს განძლომად ნაპარევი-
თა.“ ხოლო უკანასკნელ ყოველივე ქეშმარიტებით
აღიარა მან. და ვითარცა ესმათ სხვათა შპარევთა
და საფლავის მკრებელთა, დაუტევეს საქმე იგი

პორთტი და მოიქცეს და შეინანებ; ხოლო ბრძასა
მას კაცსა მოეხსენა სიტყვა იგი წმიდისა ინდრისა,
ადიდებდა ლმერთსა და იტყოდა: „ვითარმედ წმიდა
ლვთისა არს სალოსი იგი, რომელი მასწავებდა.“

თავი მოცდათა უთმეთ.

წოლო დღესა წმიდათა მარხვათისა, ვითარტა
აქვნდა ჩვეულება, მოვიდა საშუალ ფოლო-
რუსა წმიდა ინდრია, და ოდესმე ხლდებინ, და
ოდესმე იმდერინ. და მივიდა ალგილსა მას, სადა
სხენინ მკერავნი, და არს კართა მათ ზედა გამოსა-
ხულნი კაცნი სპილენძისანი შეურაცხნი, და დად-
გა და შეხედვიდა კერპთა მათ, ხოლო ერნი იგი სცემ-
დეს ქედსა მისსა და ეტყოდეს: „ცოფო, სადა პხე-
დავ კერპთა მათ?“ მიუგო წმიდამან: „ხელნო, ამას
რომელსა ვხედავ ესე ვითარნივე ხართ თქვენ
პრმანი. ვად თქვენდა ნაშობნო გველთანო, რამე-
თუ თქვენ ვერ მოგაქცივნა ლმერომან. თქვენთა
ცოდვათათვის ვანულიან კარნი სიმოელს, ჯოჯოხე-
თისა პეტსა (უმფროსი, გამგებელი), და ნებავნ ჯო-
ჯოხეთად შთანთქმა მებაობისა თქვენისა, რომელნი
ისიძავთ ქრმოსანთა დედათა თანა და რომელნიმე
ეკრატისთა და რომელნიმე სეინდიქნოზთა თანა, და
ამისთვის ეგულვების შთანთქმა თქვენი.“ ვანკვირ-
დეს კაცნი იგი და იტყოდეს: „ლვთისა-მიერ იტ-
ყვის, ანუ ეშმაკი ზრისავს მისგამო ესე ვუწ-
ყით, რამეთუ მოქმედნი მისნი ვართ, რომელ-
სა იტყვის, ხოლო მან სადათი სკნაზე წარ-

მოვიდა მუნით და მოვიდა საშეალ ფოლობისა,
რომელსა ჸქვიან ხალკიდონი, სადაცა პყიდიან
დედანი სამყაულსა თქროსასა და მარგარიტისა
მოკაზმულსა, და დასდგა მახლობლიდ მათხა და
ეტყოდა: „ვითარ კეთილ არს ბზე ესე და ნაცარი,
რომელსა ყიდიან! დიდება შენდა ღმერთო!“ ხო-
ლო იგინი ეცინოდეს, სცემდეს ქედსა და ეტყო-
დეს: „ხელო, ესე რომელსა ამას ხედავ თქრო და
მარგარიტი და თვალნი პარიოსინნი არიან და არა
ბზე და ნაცარი. უკეთუ ბზე გინებს, წარვედ უბინ-
სა, ანუ მინდორსა, სადაცა ბზება პყიდიან.“ სხვა-
სა ვისმე ბერსა ეკიდა მხარსა ზედა სამოსლები და
ყიდდა. პრქვა წმიდამან: „რასა პყიდი თივასა მაგას?“
განრისხნა ბერი იგი და პრქვა: „წარვედ, ხელო,
ესე სტავრი (ნაქსოვი სირმისა) არს და არა თივა!“
მიუგო წმიდამან: „წარვედ, ბერო, და იძიე საფლავი,
რამეთუ მესამესა ღლესა აღესრულები!“ და იქნია
ეგრე, და აღესრულა კაცი იგი მოხუცებული მესა-
მესა დღესა, და ვითარცა დაჯდა წმიდა იგი, თდებ-
მე იხედავნ ზე, თდესმე ქვე, და თდესმე
იმიტრ და ამიტრ. მოვიდა მისსა ყრმა ვინშე
მცირე და პრქვა: „რასა პხედავ, თდეს გარემო
იხედავ, ხელო?“ მიუგო წმიდამან: „შეიღო, სიზმარსა
ვხედავ ნისლისა და ბნელსა და კვამლისა ამის სოფლი-
სასა და არა სხვასა.“ წარვიდა მიერ ნეტარი იგი
უბანსა, რომელსა ეწოდების სტაურინოს, სადა იგი
მონათა პყიდიან. და იყო მუნ მონაზონი ვინშე
სათნოებით შემკული, და იყვნეს მისთანა სამნი

ვნებანიცა, — რამეთუ რომელნიცა მოვიდოდეს შისა
იღსარებად, მისცემდეს სახმარსა, რათა განუყოს
გლახაეთა. ხოლო იგი თვითა შეიკრებნ და არავის
მისცემნ. რამეთუ უყვარდა სიმღილედ უფ-
როს ლეთისა და კაცისა და სხვითა ყოვ-
ლითავე საქმითა სრულ იყო მოღვაწებითა:
მარხვითა და ლოცვითა, სიმღაბლითა და სიწმიდი-
თა, არამედ ვნებანიცა ესე სამნი იბრკოლე-
ბდეს მას. მოვიდა წმიდა ანდრია მონაზონისა მი-
სთანა და იხილა ვეშაპი, რომელი მოხვეულ
იყო ქედსა მისსა, და ბოლო მისი შთავლიდა
მხარითა მისთა და წელთა მოხვევეოდა და ფერხთა.
ხოლო ვეშაპსა მას ესხნეს თავნი სამნი: ერთსა
თავსა ზედა ეწერა სიძირე, ერთსა მრისსხნება და
ერთსა უწევდოება. ხოლო რაგამს იხილა წმიდამან,
დაუკვირდა. მოვიდა მახლობელად და განიც-
დიდა მას. ხოლო მონაზონსა მას ეგონა, კითარმედ
გლახაეკი არს და ითხოვს მისგან რასმე, ხოლო მან
მიუგო და პრქეა: „წირეულ კითილად, უფალმან შე-
გიწყალენ შენ!“ მაშინ მცირედ მირიდა წმიდამან,
და იხილა ზედა კერძო მონაზონისა მის შრგელიց
ბნელი რამე და უკუნი და ასონი წერილნი, რო-
მელნი იტყოდა: „შოი ვეშაპო ვეცხლის-მოყვარები-
სო, ძირთ ყოვლისა ბოროტისო!“ და კვალად
მივიდა ზურგით კერძო მისსა და იხილნა ორნი
საქურისნი მღვმარენი—ერთი შევი პინდო და ერ-
თი სპეციაკი და სჯილეს ურთიერთიარს მონაზონისა
მისთვის, პრქეა შეგმან მან სპეციაკსა მას: „უდად

შდგი და სკავ მონაზონსა, ამას, რამეთუ წერილი
და ნების ჩემისა აღმასრულებელი, ცრიულობადა
ვეცხლის-მოყვარე, რამელ არს მეტანე კერპი-
მსახურება. და დეთისათანა არა უძა ნიწილი,
და მე მმორჩილებს და უუყვარ ფრიად. რამეთუ
საქმენი მავისნი შემწე ჩემი არიან და გვაში მავი-
სი არს ყოვლითურთ სამკვიდრებელი ძალია ჩემთა.
მიუვი, ანგელოზმან ეშმაქა: წარვედა შეგრ—საძ-
გელო და განეყენე სამკვიდრებელისგან იყო
ქრისტიანისა, რამეთუ ვგე წემი არს წარჩინებული.
კეთილი მოღვაწე და შმარხველი, მდამალი, მშვიდი
და მყუდრო, მლოცველი და ძეირ-უსაქნებელი.
პრქვა კვალიად ეშმაქმან: „რომელი იყი შეა-
ჯული არს სიმართლისა, ესრეთ იტყვის: „რომელი
იყი არს ვეცხლის-მოყვარე და უწყალო, იყი ეშმა-
კისაგან არსო.“ და კვალიად, „რომელი უფროს შე-
რაცხილ არს? — უწყალო, ანუ შმარხველი და მლოცვე-
ლი, ანუ მოწყალე და წყლული ცოდვითა? ანუ
შემყვარებელი ვეცხლისა? ანუ რომელსა უწესნ
ბერდ სიმართლისა, მონად სარწმუნოდ, — მოწყალე-
სა, ანუ უწყალოსა?“ მიუვი ანგელოზმან: — არა ამა
იტყვის უფალი: „ვის მიეხედნე, გარნა მშეიღსა
და მდაბალისა და რომელი ძრწოდეს სიტყვათაგან
ჩემთა“ (ისაია 66, 2). და კვალიად იტყვის, „ნეტარ
იყვნენ მშვიდნი, ნეტარ იყვნენ წმიდანი გული-
თა“ (მათ. 5. 5, 8). მიუვი ეშმაქმან: „სიტყვი-
სა მაგისთვის ძრწის ესე, რამეთუ არა არს
მოწყალე. სანატრელნი მოწყალენი არიან და

უერწყნარებელნი, და ეგე არა არს მოწყვალე, ვა-
თარ იტყვი მაგას სანატრელად?“ და კვალად იტყვის; ცა-
„მოწყვალება მნებავს და არა იგი, რომელი ხელით
თვისითა არა მიუპრობს, არცა განიძღებს მშიერთა“
(ოსია 6, 6). და უმეტესსაცა ამცნებს ლმერთი, რომელ-
სა ვერ შემძლებელ ვარ თქმად,— შენ ვითარ გიპურიეს
ლირსად?“ პიუგო ანგელოზმან და პრეზენტორი დი-
ლი მისს შენთანა, და არავანგიტეო, ვიდრემდის არა
ვკითხო მსაჯულსა.“ ხოლო რაეამს ესმა ეშმაქსა მსაჯუ-
ლისითვის, გულკულებულ იქმნა და პკითხი ანგელოზსა
მას: „ესემცა ვუწყი, რამეთუ მოვალს კაცო-მოყვა-
რება თვისითა კაცო-მოყვარებითა და ასწავებს
სიყვარულსა და კეთილის პყოფისა. შენ რასა მირ-
ბი მისსა და პკითხევ? ვუწყი, რამეთუ ჩემთანა
უძს სისჯელი და თვით ლმერთი ჩემ კერძო არ-
სა? იგი განიბჭობს სამართალსა! მე არა დაჯერე-
ბულ ვარ და არა წარვალ ამიტრ!“ კვალად პრეზენტ-
ანგელოზმან უფლისამან ეშმაქსა: „მზაკვართ და მაც-
ოურო! მასწავლელი ყოვლისა კეთილისა ლმერთი
არს, რომელი ასწავებს ყოველთა სამართალსა,
ვითარმედ ნუცა გლოახაქსა შეეწევი უსამართ-
ლოდ და ნუცა მდიდრისაგან გრცხვენის. ესე არს
სამართლისა სიტყვა და ბჭობა, და შენთვისმცა
აქცია სიტყვა თვისი? მოვედ ჩემდა სამართალსა
ზედა, ანუ ირწმუნე ჩემი და ანუ ვირწმუნო შენი!“.
რაეამს ესმა ეშმაქსა სიტყვა იგი ანგელოსისა, განიხარა
და რპეზა: „მოვედ და ვკითხოთ მსაჯულსა (უფალსა)
შეგისთვის.“ მოიქცეს აღმოსავალით კერძო და პკი-

ოხցეს უფალსა სახელისა მისთვის. ხოლო ერთგვა
ჰყო პირი თვისი დახველით კერძო. და პეტერ-ჩა
ანგელოსმან უფალსა, ესმა შმა, რომელი იტული,
„მე ვამცენ მოციქულთა ჩემთა და ვარქუ: მიიღო
სული წმიდა და რომელთა მიუტევნეთ ცოდვენი,
მიტევებულ იყვნენ წინაშე ჩემსა, და რომელნი შეი.
ყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ“ (ითან. 20, 22-23), და ასა
ვარქუ, თუ სულისა წიმიდისა წილ მიიღებდით ოქტო.
სა და ველხლსა და მიუტევებდით ცოდვასა კაცისა. რო.
შელსა აქვს მოწყვალება, მე ვარ სახლი და განსახულე.
ბელი მისი. ხოლო უწყვალოთ მივსცემ უწყვალოთ
ანგელოსთა, რათა მათთანავე დაისაჯნენ.“ ესე რაა
შმა ესმა ზეცით და იხილეს საბჭო სამართალი,
რაა იქმნა, მაშინ თაყვანი-სკა ანგელოსმან უფ.
ლისამან უფალსა და განეშორი მონაზონისა
მისგან და მიეცა იგი ეშმაკსა.

თავი ვაოცდათეძმებელი.

წოლო ესე ყოველი რა იხილა ნეტარმან ანდრია,
განკვირებულ იქმნა სული მისი და შეძრწენდა
ფრიად: — ვითარ ბოროტი იგი ეშმაკი მძღე ექმნა
ანგელოსსა მას და სულთ-ითქმიდა მონაზონისა მის.
თვის და იტყოდა: „შოი ჩემდა, ვითარილა ბერი ესე
სწავლულ არს და მეცნიერ წერილთა და ვითარ
იძღია ეს ცხლის-მოყვარეობისავან და დაისაჯა
უწყალოებისათვინ და იძღია ანგელოსი ეშმაკის.
მიერ უკეთერისა? არამედ, შოი სახიერო,

ნუ სრულიად განსწირავ და ნუ მისცემ მას ხელმ-
წიფებასა ეშმაკისას, რამეთუ დაბალებული ჰქონდა
არს.“ მაშინ წარიღიდა და დაჯდა გზას ზედა, რო-
მელისა წარმოივლიდა მონაზონი იყი, და მოფ-
ლოდა, რათა მოვიდეს და ეუბნოს მარტოდ; და
გითარცა მოვიდა, განიხარა წმიდამან, რამეთუ
მარტო იყო. ალსდგა და მიევება მონაზონსა მას.
ხოლო იხილა რამ ეშმაკმან, რამეთუ მოვალს
სწავლიად მის მონაზონისა, იწყო ყიფილიად და იტ-
ყოდა: „რახა მოხვალ ბრძოლიად ჩემდა, ან დრია?
მიკირდა მე, რაეამს ისმენდი შენ სარჩელსი ჩემსა
და ანგელოსისასა და ვესმა ხმა ზეცით, რამეთუ
ნაწილიად ჩემდა იქმნა მონაზონი ესე. აწ ვი-
თარ გნებავს მიღებად ჩემგან? წარვედ ამიერ და ნუ
გბრძევ უსამართლოდ! აწ თდენ გიხილავს ეგე დლე-
სა და ართუ მეცნიერ ხარ მაგისი და სწავლა შე-
ნი არა უნდს.“

და რაეამს ესე ვითართა სიტყვათა იტყოდა
ეშმაკი იყი, წმიდა ან დრია სდუმნა. და ვითარცა
მოეხსლა მონაზონი იყი, იწყო წმიდამან ცრემლით
ვეღრებად უფლისა მიმართ, რათა არაერა იხილნეს
იგინი; უპყრა ხელი მარჯვენე და პრქვა: „გევედრები,
ისმინე ჩემი ყაფლითა გულისა შენითა, გლახეკისა
ამის და პითო დიდი სასყიდელი და სარგებელი,—
რამეთუ დლეს დიდი გლოვა და მწუხარება
მოიწია შენ ზედა და შენ-მიერ ჩემ ზედა. ვსწუხ
და ვერ დავუთმობ მწიარესა მას ლმობასა გული-
სა ჩემისასა, რამეთუ, შენ, ლვთის მოყვარე კაცი,

ვითარ იქმნენ ნაწილ ეშმაკისა? რამდეოუ ფიციალუ
მსგავსი ქერძობინთანი ფრთხენი გესხნეს (ჯქონდა) და
მიეცა მტერსა ფლობა მოახლებად შენდა ჭროვადონა
იგი სრულიად? კვალიად იყავ ბრწყინვალე და შეენიჭ-
რი, ვითარცა ელვა და აწ იქმნენ დაშავებულ და
ბნელ? ვად ჩემდა! რამდეთუ გესხნეს თვალინი, ვითარცა
სერიაბინთა-ქერძობინთანი და აწ დაგიბნელნი ეშმაკ-
მინ და ვეშაპმან! ბრწყინევდი, ვითარცა მთიქში,
და აწ დაშრიტა ბრწყინვალება შენი მთავარმან
ბნელისამან. რად გნებავს, მამაო, მოკედინება სუ-
ლისა შენისა? რად მისდერკ და იქმნენ მოყვარე ვე-
შაპისა მის—ვეცხლის-მოყვარებისა? არა უწყის,
ვითარი სახე გმოსია, ანუ რად წესი უხმის მონაზო-
ნებისა? შოი მამაო! რად შეიკრებ თქმოსა და იუნ-
ჯებ ჭრის შენისა? რომლისა მიშეზისო-
ვის ჟყოფ უსჯულოებისა მაგის? გილიტდა (უმჯობესი
იყო), როთამცა შეგეტქბო უპოვარება, მონაზონება
და სითნოებანი! ხოლო შენ თქრო შეკიტების და
შისი პატივი აღვირჩევის. მოიხსენე, მამაო, დღი
განკითხეისა და დღე განკოფისა სულისა ხორცია-
ვან, რაეძმს სიკედილი გარე მოგადგეს! და რომე-
ლნი შენ შეიკრიბენ, მტერნი შენნი განიყოფენ.
შევიდრები, მითხარ მე, რომლითა შრომითა მოი-
გე და გნებავს, რათა თანა წარიტანო სიკედილს
შენისა? ანუ გიშრომია თყვლითა და მუშაკობითა,
რათამცა დაუტევე იგი შეილთა? ანუ მამულისა შე-
ნისა სიმართლისაგან გაქვს სიმღლიდრე თქმოსა?
რად დართვე უცხოთა ცოდვათა შენთა ზედა და

მოიპოვებ ყოვლითურთ უწყალოებასა? ხნევთა შინა
და სწყურის, და ვანცივნებიან, და შენ გარჩუავა
დი ფრიადსა განძსა და გიხარის? ეგი არს წესი შონა—
ზონებისა?! რაეამს განხვიდე სოფლისა ამისგან, უწ-
ყია, რაა პყოფად გიძს? ესრეთ უყვარსა ღმერთისა
სიმღილრე? მას ბაძვაა? ანუ სოფლისა ამისთვის
ჯვარს ეცვა მხსნელი წვენი? არა გრძიამსა, რასა იტ-
ყის: „ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა
თუ ორსა სიმოსელსა“ (ჩით. 10, 9—10). მიკვირის, თუ
გითარ დაივიწყენ მცნებანი ესე, რომელი არა უმეცარ
ხარ წერილთა? რამეთუ დლეს, ანუ ხვალე
კეშმარიტად მიცვალებად ვართ ამიერითვან, და
რაა ვსოესოთ იქა, მუნ მოეიმუოთ. არა ჰხედავა,
ვითარ ეგე მდევმარე არს ეშმაკი წინაშე შენსა
და სული შენი შეპყრობილი ხელთა უპყრიქს,
და მცველი იგი ანგელოზი შენი მწუხარე შორს
არს შენგან და ტირის შენთვის? არა ჰხედავა ვე-
ცხლის-მოყვარეობისა ეშმაკს—ვეშაპსა სამ-თავსა,
რომელი მორტყმულ არს ქედსა შენსა და ვანის-
ვენებს შენ ზედა?!

იხილე, ძმო, რომელსა ესე გითხრობ და ისმი-
ნე ვედრებანი, ტკივნეულნი სიტყვანი ჩემნი, რამეთუ
მე საწყალობელსა ამას მესმა ხმა უფლისა, რამეთუ
უარ-გუო შენ და ვანგიტევა ტკბილთა მათ კვ-
თილთა თეისთავან და იტყოდა ესრეთ: „რომელსა
აქვს მოწყალება, იგი ეზიარების მეუფებესა ჩემსა,
ხოლო ეგი ანგარებისა მისისითვის ხძეგს სულსა
ჩემსა.“ აწ გვეცდრები, მამათ, ისმინდ გლოხავისა

ამის და განაბნიერ, რომელი ეფე შეგიურების პროცენტი, ობოლთა და ქვრივთა ზედა ხელითა შენი-
თა და დაიუნჯე საუნჯე ზეცისა გლობურთა და
ულონოთა და უცხოთა მიცემითა, რომელთა იყი-
არა იქვნეთ სართული, საღა თვეი მიიღორიყონ.
ისწრაფე, რათა იქმნე დევთის მოყვარე კეთილითა
საქმითა. რამეთუ ესე არს მანაზონება, რათა არა
სახმართ-მოყვარე იყოს, თვინიერ კეთილისა, საჭ-
მითა იყოს სახმართ-მოყვარე. ნუ ვეშინინ დაკლე-
ბისათვის ხორცთა სახმარისა. რამეთუ არცა თუ
მხახურთა უსჯულობისათა მოაკლებს უფალი საზრ-
დელისა, და უწყოდე, რამეთუ მეუფე იგი ყოველთა,
სახიერი ღმერთი ჩეენი, ყოველთა მეძავთა და მემ-
რუშეთა და ცოდვილთა, — ამას სიაფელსა შინა ზრდის
მოწყალებითა. შენ ნუ უჩწმენო ხარ სიტყვათა
ჩემთა, რამეთუ პირველი სიტყვა და ვეღრება
ჩემი ესე არს: ნუმცა რად მოგაქეს მისები საქმი-
სა იმისთვის, რომელსა ესე გეტყვი შენ! და უკეთე
ისმინო ჩემი, ძაღლბან ლვითისამან შემუსროს ეშმაკი
იგი ქვეშე ფერხთა შენთა. რამეთუ ამა ესერა
დგას უკეთური იგი წინაშე შენსა და ისმენს, თუ
ვითარ შეიწყნარებ სიტყვათა ჩემთა და სწავლათა. *
და იხილა მონაზონშან შავი ეშმაკი იგი, ვითარცა
ჰინდოვა, რომლისა თვალთავინ გამოვიდოდა კეამლი,
და უჩვენი ანგელოზიცა იგი მწეხარე ფრიად და
განშორებულიდ მდგომარე და ეტყოდა: „უკეთე
უგულებელს-პყო მცნება ჩემი, ვუბრძანო, რომელსა
ესე ხედავ ეშმაკსა, რომელმან განვაქიქოს ქალაქსა
ამას შინა.“

ესმა რა ესე ყოველი მონაზონსა, შეძრჩუნდა
იგი ფრიცი და სწავლა იგი მისი მიიღო და შეცვალა
ბა მისი აღსრულებად აღუთქვა. მაშინ იხილა წმი-
დამან აღმოსავალით, რამეთუ გამოვიდა ელვა
მხურვალე, კითარცა ცეცხლი და მოვიდა ზედა
ვეშაპსა მას, ხოლო იგი ყიოდა, კითარცა ყორანი,
გამოვიდა მონაზონისა მისგან და წარვიდა. მაშინ
მოვიდა ანგელოზი უფლისა და შერთო მონაზონი
იგი რიცხვება პირველ წარჩინებულთასა.

ხოლო წარვილოდა რა მისგან ნეტარი ანდრია,
ამცნებდა და ეტყოდა, რათა, რომელი იგი ესმა და
იხილა, არავის აურეცს კაცავანსა. კრწმენინ
ჩემი, დალაცათუ ცოდვილ ვარ, არამედ ევველრო
შენთვის ღმერთსა, რათა წარმართოს საჭმე შენი
კეთილიდ. ხოლო მონაზონშინ მან აღუთქვა აღსრუ-
ლება ყოვლისა, რად იგი ამცნო წმიდამან, და ამბორს
უყვებს ურთიერთარს და წარუიდეს. და კითარცა მივიდა
მონაზონი იგი სახიდ (სახლად, შინ) თვესსა, იწყო
განბნევად ყოვლისა მის სიმღიდრისა გლახაკთა და უღო-
ნოთა ზედა, და მიერიდვან მოეცა მას მაღლი და უმეტე-
სი დიდება მოანიჭა მას ღმერთმან. ამისა შემდგომად
უკეთუ მოართვის მას ვინ განსაყოფელი გლახაკ-
თა, მცირე რამეს მიიღებდა, სხვასა უბრძანებდა,
რათა ხელითა თვესითა განეყოთ გლახაკთათვის.
და მოიხსენებნ იგი მცნებასა მას ნეტარისასა ან-
დრიასა და იტყვენ: „რად სარგებელ არს ჩემდა აღმო-
ფხვრად ეყალთა სხვისათა? მოვილებდე და ვიმარხვიდე
და არცა მივსცემდე? არა მიხმს და არცა აღვილო,

არამედ მივსცებდე გლოხავთა, რათა შნარისძენ, კუთარება ჩემისათვის. ტიგი იყო უცხო მიერიდვნ, კუთხუ შექმენებინ და არღარა ვისგან რას მიიღებნ. და ვითარება შეენის მონაზონთა, მოქალაქობითა სითნოთა აღასრულა ცხოვრება თეისი.

დამესა ერთსა ძილსა შინა იხილა წმიდა ან-დრია: რეცა (ვითოშ) დვა და ხედვიდა შხიარულითა პირითა და უწევნებდა მას ხესა შეენიერსა, მარტოდ მდგომარესა უვავილ-შემოსილსა და ნაყოფ-ტკბილსა და ეტყოდა მონაზონსა მას: „არა ვაქვს ჩემდა მომართ სიყვარული, რამეთუ მე ვიყავ სული შენი ვითარება ხე იგი შეენიერი ყვავილ-შემოსილი, და ვანგარინე ვეშაპისა მისგან ვეცხლის-მოყვარებისა! ამა ისწრაფე, რათა ნაყოფი ტკბილი ვამოილონ ხეთა შენთა. ვითარება ხელავ ხესა მას, ეგრე მდგომარე არს სული შენი მიერ უამითვან, რაეამს ისშინე ჩემი და ვანგაბნივ თქრო იგი შენი.“ განიღებიძა მონაზონ-შინ მან და მოიკვეთა მისგან ყოველი ვნება სული-სა და წარემატებოდა კეთილად.

თავი მიოცებასიდეთ.

შესყო ჭაბუკი ვინშე ეპიფანეს კეთილისა სწილად, რომელიცა პირეელ ვასხენეთ, რომელი იყენეს სამნი და ისწივებნ ეპიფანე ყოველსა ქეთილსა საქმესა და სიმდაბლესა. ხოლო იგი არა საღმრთოდ, არამედ ქებისათვის კაცთა-მიერისად ჰყოფდა მას ყოველსავე; ვითარ იგი ყოველთა-მიერ საქებელი იყო ეპიფანე, რათა იგი-

ცა უგრეთვე იქებოდეს და ეგრეთცა იქმნა /
ხოლო იხილეს რა იგი ეპიფანესთან მიმავალია,
მღლოცველად ეკლესიად, ჰსტევეს მისთვის: „იჩილეთ-
ლა, ვითარ კეთილად იქცევის ჭაბუკი ესე? რამეთუ
არცა ისიძვის და არცა რამ უწესოსა იქმს!“
ხოლო იგი არა იყო ეგრეთ, ვითარ იგინი ჰეონე-
ბდეს მას წმიდად და იგი ისიძვიდა იდუმალ და
სჩანდა იგი მარხველად და მღლოცველად, და არა
იყო ეგრეთ, არამედ იგი უდებ და დასინილ იყო,
და იქებდიან რამ, იგი ზეოთბნ და ამპარტავნობდინ.

დღესა ერთსა აღსდგა ეპიფანე ციხერისა
გალობასა და იგიცა მისთანავე, ხოლო გან-
გებითა ლეთისათა მოფიდა წმიდა ინდრია, და
ვითარცა იხილა ეპიფანე, მოფხვი და ამბორს უყო
თვალთა მისთა. და სხვა სიტყვა არა რამ მიუგო,
რამეთუ არა უნდა, რათა სუნის ყრმაშან მისთვის,
თე ვინ არს; ხოლო ანდრია პხელეიდა ეამ ერთ
მკვირნედ (დაკეირდა, დააცეკერდა) ყრმასა მას,
მერმე მიაშთხვია მჯიღრთა (მუშტი შეცა) პირსა მისსა
და პრქვა: „წარვედ, არა ლირსო, ეპიფანესგან, რამე-
თუ არა კეთილად ჰელლობ არცა მართლიად ჰსლედი!“
ხოლო განრისხნი ჭაბუკი იგი ნეტარისა ანდრიასთვის
და შესტევირნა (მიღრინდა), რათამცა უპყრია
თმანი მისნი (ანდრიასი). მიიწივა ეპიფანედ და არა
უტევა მახსლებად მისსა და პრქვა მას: — არა გასმიეს,
ნალელიანო (გიგო) სიტყვა იგი წერილისა: „ნუ
მიაგებო ბოროტისა წილ ბოროტსა?“ რამეთუ ესრეთ
იტყვის უფალი: „უკეთუ ვინმე გცეს ცვრიმალსა,

მიუპყარ ერთ კერძოცა^ა (მათ. 5, 39). რა სოდეან
ერთა მით აქ მდგომარეობა? ორა განვეძენ ჩეკენ და
უფლისა-მიერცა მოვილოთ სისჯელი და კვალად იტ-
კეის უფალი: „ვიდ თუ კაცისა მის, რომელსა აქვა
ბოროტი გულსა თვისსა.“ აწ უკეთე გრძებს ყო-
ფა ჩემთანა,—ეგე ვითარსა საქმესა განვეშოჩე და
ნუ ვისთვისმე განრისსნები, ნუკა ბოროტსა მიაგებ,
არამედ დაიმდაბლე სული შენი და შეიმუსრე
თავი შენი და იყავ მშეიღ და მონაზონთ-მოყვარე
და იყოფოდე მარადის უფლისა გზისა. მის წილ
ევლობდე ზვაობასა და ამპარტავნებასა, და სი-
ძეასა, და მრუშებასა და ყოველსა არა წმიდებასა,
ხორცა ნაყროვანებასა და მთერალობასა, რამეთუ
მით საქმეთა-მიერ მოვალს რისხვი დეთისა კაცთა
ზედა. უკეთე მცნებათა ჩემთა დაიმარხევ, იყავ
ჩემთანა, რამეთუ ურმა ხარ და დიღსა შრომის
გიღირს შესლევა.

ლმერთი მდაბალთა მიანიჭებს მაღლისა, ხო-
ლო ამპარტავანთა განსლევნის რისხევით. ხოლო
გულსა მის ყრმისასა ეშმაკი შესულიყო და ყოვე-
ლი ესე სწავლა მძიმე უჩნდა.—დაუტევა და წირ-
ვიდა, რამეთუ რქვა გულსა შინა თვისსა, „ვითარ
განვიხილო სოფელსა ამას შინა?“ და მიერიდვან იყო
(მორჩილ) ბოროტთა საქმეთა. ეამ ერთ მოიგონის
კეთილიცა და კვალად მიიქცის ბოროტსავე. მოი-
წიონის მისზედა განსაკლელნი დიღნი და გულის-
კლებანი და სიგლიახავე, რამეთუ ითხოვნ პერსა
და მით იშრდებინ. ხოლო ეპიფანეს შეეწყალა და ეკველ-

რა წმიდასა, რათა პულ წყალობა მისთვის. ბოლო
მან სთქვა: „არა, შეიღო, რამეთუ—ხორცია ღვაწ-
ლნი და ტანჯვანი სულსა ფრიად არგებენ, და
რაგებს იხილოს უფალმან და სუნას, ვითარმედ შეი-
მუსრა და მოვიდა სიმდაბლესა, შეიწყალებს პირ-
ველსავე საზომსა. რამეთუ სახიერ არს და მოწყალე
და არა ნებავს სიკვდილი ცოდვილისა. რომელი
ოდესმე მოიქცეს გულითა წმიდითა, უოველთავე
ცოდვათა აღუხოცს და პირველსავე პატივსა მისცემს,
სახიერი ჭრებილი,—არ აყვედრებს პირველ-ქმნელ-
თა ძეირთა. პრქვა ეპიფანე: „მაუწყე მე, მონათ
ღვთისაო, თუ ვითარ შევიდა მსწრაფლ განხაც-
დელსა მას?“ მიუგო წმიდამან: — შეიღო ჩემო, საქ-
მენი მისნი, რომლითა განარისხა ღმერთი, ესენი
არიან: ცული (ტყული) ფიტი, შეფოთის-მოყვარეო-
ბა და იმპარტავნება. რამეთუ ცოდვანი მისნი მსგავს
არიან კაცა, რომელი იქმოდის საკმელთა და
აქვნდეს ზოგი (სიმრავლე) სანოვავეთა, (რის გა-
მოც იგი) განირყვნების და შეიგინების და უხმის
(უნდა კიდეც), რათა მართალიცა იყოს! თავი უოვ-
ლისა სიკეთისა სიწმიდე და სიმდაბლე არს, და სიყვა-
რული. აწ (საჭიროა), რათა ჭირითა ამით ხორცითა
წუთ ერთ ეამისა განველოთ მოთმინებითა და ემად-
ლობდეთ ღმერთსა, და ეგრეთ ლირს ვიქმნეთ მიწევ-
ნად ზეცისა სასუფევლესა.

თავი მოცდათობამით.

(ითანხმესთვის ეპიფანეს შევობრისა).

ცუო ეინშე ჭიბუკი სახელით ითანე, საყვარელი
შეგობარი ეპიფანესი, რამეთუ ზოგად ესწავა

მას ფილოსოფოსობა. დღესა ერთსა სხდეს კანკელი
გზასა ზედა და უპირობდენ. წარმოუვლიდა დასტუაცი
ვინშე, და რაეამს იხილნა იგინი, იწყო შეკრებად
ტანისა და სლიისა,—რათაშე აცურნა ვანშე
მათგანი სიძვად მისთანა. ხოლო რაეამს იხილა
იგი ეპიფანე, მიიქცია პირი მისგან და სოქვა;
„იხილეთდა საწყალობელი, ვითარ აღუძრავს ეშმაკ-
სა ცოუნებად ვისდამე?!” ხოლო ითანე შეხედვა-
და მას ვნებულიად.

ხოლო ვითარება იგრძნა ეპიფანე მეძავი იგი,
განაძო რისხვითა მიერ. და ვიდოდა მუნით მეძავი
იგი რისხვით. და პრექვა ითანე ეპიფანეს: „დედაკაც-
მან მან აღძრა გული ჩემი გულის სიტყვითა სიძვისა-
თა. კეთილ არს, უკეთუ აღიძრას, წინა აღვუდგე?”
პრექვა ეპიფანე:—„უკეთუ კულა მიაყოვნო თანა გონება
და დაიტკბო იგი გულსა შენსა, შერაცხილ არს
იგი ცოდვად—სიძვად. პრექვა ითანე: „ვუწყი,
რამეთუ დედაკაცი ეშმაკსა არა დაუბალებიეს და
უკეთუმცა ღმერთსა არა სონდა, ეგე ვითარედ
არა დაბადებდა დედაკაცსა. პრექვა ეპიფანე:—ნე
იტყვი სიტყვასა უგუნურსა! ჰეშმარიტად არა იცი
რასა იტყვი! მითხარ მე, რომელსა გკითხავ: უფალმან
დანაკი მოვვეცა, არამედ არა უბრძანებიეს თუ
დაასობდით ერთი-ერთსა და მოკლვიდითი, არამედ
მისი სამსახურებელი გვიჩენა, რათა ხორცსა და
შეშესა ესე ვითარსა განვეკვეთდეთ. და კვალად
საბელი მოგვეცა არა თუ იმისთვის, რათა მოგიშ-
თობდეთ თავთა ჩენთა, არამედ ვიმსახურებდეთ,

სადაცა იგი სახმარ იყოს. კვალიად კვერთხი მიუნდა
არა ურთიერთარს საგვემელიად, არამედ შემწედ უწ-
ლურებისა. ეგრეთვე დედაკაცი დაბადია, არათ
განმრავლეს კაცთა ნათესავი წესითა სჯულიერისა
ქორწინებისათა და არა სიძეითა და ტეცებითა,
არამედ იყოს რად კაცი უამსა სიჭამუკისასა, მოყ-
ვანოს თავისია თვისისა ცოლი ქალწული და ბრძე-
ნი, განზრისხვითა (რჩევითა და კითხვითა) სახლე-
ულთა და ნათესავთა თვისთა და დასლვას მის
ზედა ცხოვრება საღმრთოითა სიყვარულითა; კვა-
ლიად არა მიხედვითა სხვისა დედაკაცისათა, არამედ
ვითარება არიან გვრიტნი შეუღვლილნი,—ეგრეთ
ჯერ-არს მეუღლეობად უბრალო და წესიერი, რამე-
თუ იტყვის სჯულთა დაცვასა შიშითა ღვთისათა.
ეგრეთვე დედაკაცი ნებითა ღვთისათა შეეფლლოს
რად ქმარისა თვისისა და შენეს შეილნი და
განსწავლოს იგი ნებითა ღვთისათა. ხოლო უკი-
თუ შევირდეს მრუშებისა, იქმნა ვარდისავალ სჯუ-
ლისა და დაისაჯოს, უკეთუ მას შინა მოკვდეს.
რამეთუ კაცი საქმეთა ბოროტთა, ვითარება დაბრ-
მობილი, განა ვითარება პირუტყვი, მცომა არს.
არამედ უკანასკნელისა მას დღესა ცხადად ემხილე-
ბიან საქმენი მისნი. ესე ვითართა სიტყვათა სარ-
გებელთა სულისათა იტყოდა ეპიფანე ითანეს-მი-
მართ და ითანე მიუგო: „ნეტარ არს პირნი და ბაგე-
ნი შენნი, შვენიერნი და პატიოსანნი, რომელნი ესე
ვითართა სწავლათა აღმოიტყვიან, და მნებავს, რათამ-
ცა ვიყავ, ვითარება შენ, არამედ ვერ შემძლებელ

ვარ. მნებავს მიცემა გლოხაკთა, არამედ არცა რაჭ-
რო მაქვს, არცა ვეცხლი. პრქვა ეპიფანე: სიტყვათი
მაგათ შენთა ძალი არა რად აქვს, რამეთუ შისაცე-
მელსა უმჯობეს არს გული კეთილი და მოწყოლე,
ფითარუ იტყვის უფალი: „სასმელი ერთი გრილი
უმჯობეს არს სახიერებით და სიყვარულით, ეიღო
მრავალთა სანოვაგეთა (მრწოდება, მიცემა) შეფოთით
და გულის-წყრომით, და სიტყვა კეთილი უმჯობეს
არს შისაცემელსა—შერისხვითა და მანკიერებით.“
და კვალად, რომელსა ეგე იტყვი: „მნებავს სიწმიდე
სორცი, ხოლო ეშმაქი მბრძავს.“ ეშმაქსა არა
აქვს ძალი უნებლებით ქმნისა ბოროტისა ვისამე,
არამედ იგი მოაგონებს ოდენ (მარტო). რაეამს შენ
თანა მიმყვე, კვოებს ადგილსა და იქმს ნებისა თვისსა
შენ-ძლით, და უკეთუ განავდო მის-მიერ მოვონე-
ბი მსწრაფლ და არა უსმინო, მყის ივლტოდეს
შენგან. ანუ რასა ჰსედავ მძიმესა, რომლისა შენ
ვერ შემძლებელ ხარ ქმნად? არა ძალ-გიძსაა
მისლვად ეკლესიად ეამსა ლოცვისასა, გინა
მარჩვა და სიყვარული კაცთა და გონება ღვთის მო-
შიში მოვებადი ესე უწყოდე, რამეთუ ლმერთი უფროს
ძალისა ჩეენისა არა რას ეძიებს ჩეენგან, არამედ
დაიცევ, რათა არა უშიომოდ ნაყროვანობდე, არცა
დაითვარებოდე ღვინითა; ევლტოდე სიძვასა,—უკეთუ
ვერ დაუთმობ, შეიჩრთე ცოლი, რამეთუ ვაბუკი
ხარ. ლოცვად. შემძლებელ ხარ, არა გაყენებს
სიბერე, არცა უძლურება, არამედ ჰყვავი, ვითარუ
ხე. კვალად ესეცა ირწმუნე, ძმაო, ვითარედ

სოციელსა მას შინა არცარა შემოვიდეთ (შემოვიტანეთ) და ვერცა რახსა წარლებად ხელგვეწიუების, თვინიერ კეთილთა საქმეთა, — და არა რად გვაქვს მიზეზი ამისთვის. აწ უკეთე გიყვარს ღმერთი, ივლტოდე სიძვისაგან, ნაყროვანებისა, მოერალობისა, გულის-თქმისა, განციხესგან პირთასა, და ყოველთაგან სახეთა მავნებელთა სულისათა. და უკეთე იმით და ესრულ ვითართა საქმეთა განეშოროთ, პოვო ლვოისაგან სისყიდელი, რამეთუ უჩქელად ყოველნი საქმენი ჩეენნი წარმოვიდგებიან დღესა მას სასჯელისას, კეთილნიცა და ბოროტნიცა, და ყოველი პირი დაიყოს მაშინ, რაგამს ღმერთი იყოს მსაჯელად.

და ვითარ იგი ამას ასწავებდა ეპიფანეიოანებს, მოვიდა წმიდა ანდრია, სადა იგი სხდის, ხოლო ეპიფანებმ იხილა რა იგი, ალსდგა და მიეგება და მოკითხეს ურთიერთარს და წარვიდეს ადგილსა ფარულსა. პრექა წმიდამან ეპიფანეს: „საყვარელო! მცნებანი, რომელთა ეტული ყრმასა მაგას, წარსწყმიდენ ცუდად, რამეთუ არა ყურად-იხდამს იგი.“ პრექა ეპიფანე: — ვითარ სახელ, მამთ პატიოსანო? მიუგო ნეტარმან: „რამეთუ არა ოდეს ისმინოს შენი და არცა მოიქცეს ბოროტისაგან, რამეთუ ყოველი, რომელი ასწავე მას, მესმოდა მე, რამეთუ აქა ვიყავ სულითა შენთანი. აწ ისმინე, თუ რა არიან საქმენი მისნი: რამეთუ არს იგი მსიძავ, და მეტრუშე, და მამათ-მავალი, და ანგარ, და ენება უფალსა განყვანება

მისი ამიერ სოფლით, არამედ ანგელოზის შეკვე-
ლმან მისმან გამოითხოვა იგი დეთისაგან, რათა
მიანიჭოს წელიწადი ერთი, ნუ უკვე შეინინოს. და
ისმინა უფალმან ანგელოზისა და მისცა წელიწა-
დი ესე ერთი, და ამ მიუღია ბრძანება ანგელო-
ზისა მას, რომელი ბუგრისა-მიერ მოსრუვს კაცთა.
უკეთე მოიქცეს და შეინანოს, იყოს კოცხალ მრავა-
ლთა წელთა. და ესეცა უწყოდე, შეიღო ჩემთი
რამეთუ ანგელოზი იგი მცველი კაცისა, მრავალ
გზის გამოითხოვს უფლისაგან დღეთა კაცისათვის,
რათამცა შეინანა და ცხონდა, და უფალი მია-
ნიჭებს თხოვნასა მისსა, ხოლო ვად არს მისსა,
რომელი არა მოვალს სინანულად და უჩნ არს
და ულმობელ, და სცოდავს ურიდად და მივალს
სისჯელსა საუკუნესა!“

პრექტა ეპიფანებ: „მამთ პატიოსანო! უკე-
თე ესრეთ არს, მიბრძანე, რათა ვამხილო მას,
ნუ უკვე მოვიდეს სინანულადა? პრექტა წმიდამან:
„შეიღო! არა ისმენს შენსა, არამედ ამზილო
რამ, ვანიცინებს და ვანგუცხავს, რამეთუ ღმერთ-
მან დალვა დღე იგი სიკედილისა საშინელიდ
მისსა, ხოლო მას არცა ეშინის, არცა ელმის!

თავი გაოცდაცხამეთი.

ღ ვითარცა ვანსრულდა წელიწადი იგი, იხი-
ლა ეპიფანებ ჩვენებასა შინა ნეტარი ანდრია:
რამეთუ უპყრა მას ხელი და წირიყვანა ადგილსა
რასამე წყუდიალსა ბნელსა, და იქვნდა მას სანთე-

ლო, რომელი უნათობდა ორთავე, და იყო აღვისული იგი ქვესკელი, ხაპყრობილე სულთა. და დგა მას ზედა შედა მცველი კაცი ვინმე, ფრიად უშვერი და სასტიკი და იყვნეს ხაპყრობილესა მას შინა: ეითარცა ხახედ მელნი და კვერნანი, და სხვასა აღვილსა,— ეითარცა გველნი და იქელნენი, და სხვასა,— ეითარცა ჭიანი და მხექნი მრავალ-ფერნი, და სხვა აღვილი იყო ბნელი, ხავსე სიმყრალითა საძაგლებითა და იყვნეს მას შინა შეწყვდეულნი სულნი, ვითარცა მელნი და ძალლნი.

პრეზა ეპიფანე ანდრიას:— რასა მოვედით აქა და ვხედავთ ხაძაგელსა ამას აღვილსა? ანუ ესე არს შრომათა ჩვენთა მოსავებელი? პრეზა მას ანდრიას: „არა თუ ჩვენი არს, შვილო, აღვილი ესე სიმყრალისა, არამედ მევობრისა შენისა ითანესი, რომელი დაუმჯოდრეს ხაქმეთა მისთა ბოროტთა; და სკორე ესე და მწვირე— მისი ნამუშაკევი არს, რომლითაცა ერეოდა სოფელსა ამას შინა. და ესე აღვილი არს ყოველთა მეძაცთა და მემრუშეთა, რომელთა არა შეინანონ. და ეკიდა ბნელსა მას შინა დაფიდ, რომელსა ზედა წერილ იყო: აპა ესე არს სახლი ითანე კელეფსტონისა, რომელსა შინა იტანჯებოდეს საუკუნოდ.

პრეზა ეპიფანე ანდრიას: „ვაძმე ცოდვილსა ამას! რა არს სკორე ესე, მამთო?“

პრეზა ანდრიას:— ესე არს ნაშრომი სულისა მისისა, რამეთუ, რომელი ესრეთ შეკრებოდეს მამაკაცი, გინა თუ დედაკაცი, ამით იზრდებო-

დეს ალდგომალმდე პკუდართა და შერშე სული-
თა და ხორცით მივალნ საუკუნეთი მათ სა-
ტანჯველთა.

პრექტ ეპიფანემ ანდრიას: „მამათ, რაისა სა-
ხენი არიან ჰიანი ესე, გინა ძალლნი, ანუ
შელანი და გველნი?“ მიუგო მას ანდრიას: „ესე
სახენი სულნი ცოდვილთანი არიან.“ პრექტ ეპიფა-
ნე: — ვამე, უფალო ჩემო, და ესე ჰიანი არიან
სულნი კაცთანი? მიუგო წმიდამან ანდრიას: „არა,
შეილო, ნუ იყოფინ, არამედ სხვა-და-სხვა არიან
ცოდვილთა სულნი, რამეთუ ჰიანი და ლრიანკელ-
ნი სახე არიან კაცის მკულელთა, და გველნი იგი
და ეეშაპნი, — კერპთ-მსახურთა, რომელთაცა იგინი
მსახურებდეს მათივე მსგავსება აქვსთ. ხოლო შეძავ-
ნი და მემრუშენი, — ვითარცა მტვერი მწულილი და
მწვირე ბნელისა მწარედ; არამედ მგრძნობელთა სხვ
— იქნენ იგივე. ხოლო მამათ-მავალთა სახე, —
არიან ძალლნი; მპარავთა სახე - მგელნი მტაცებელ-
ნი; მზავართა კაცთა სულისა სახე — არიან მელნი;
ვეცხლის-მოყვარებისანი, — არიან კეტნანი, რომელ-
ნი შეიქრებენ ბუდეთა უნდოსა რასამე ქვეშ
ქვეყანისა; ეგრეთვე ნაყროვანთა და მომთრევალთა
სახე — არიან ცხენნი, რომელთა მოქმედნი წარელქ
სატანჯველსა საუკუნესა.

განიღვიძე ეპიფანე ძილისაგან და შეძრწუნებულ
იქნა ჩეენებისა მისთვის. და რად ვანთენა, მოვალ
მისა კაცი და აუწყა, ვითარმედ მეგობარი შენი ითანე
კვაველისა-მიერ ბუგრისა (მომსერელისა) დამძიმდა და

ვანწირულ არს. ვითარცა ესმა ეპიფანეს, იწყო კრება-
ლვად და თქვა: აპა ჩეენება იგი, რომელი ვიხილე, ვა-
მოიწია, და ვითარცა მივიდა მისსა, ჰპოდა იგი
გრარესა სიმძიმესა შინა. და მოესხენა სიტყვა იგი
ნეტარისა ანდრიასი, რომელი პრქვა: „პირველ
წელიწადისა მოქცევისა მიიცვალოსთ.“ და ამა
იხილა ითანემ ეპიფანე და პრქვა:—ლოცვა ჰყავ
ნემთვის, წმიდათ ღვთისათ, რამეთუ მოიწია
ეამი ჩემი. ვან უწყის? მოთუაქციოს მოწყალებად
ჩემდა, რათამცა შემიწყალა უფალმან და მცირედი
დრო მცეს, რათამცა შევინანე ბრალთა ჩემთა სიმ-
რავლენი. პრქვა ეპიფანე: „ლმერთი მოწყალე არს,
ძმათ, და მან უწყის უოველივე, მე რისა შემძლე-
ბელ ვარ?“ და ვითარცა იყო სიმძიმესა მას შინა,
ელმოდეს ნაწლევნი მისნი და დაისხნეს ნასხამნი
ძვიალთა მისთანი. ხოლო მოკვდა რა იგი, შემდგომად
მცირედთა დღეთა, ეპიფანეს შეემთხვია ნეტარი
ანდრია უბანსა ფოროსასა, და რაცა იგი ეზილვა
ჩეენებით, უოველივე მიუთხრა. და რქვა ანდრია
ეპიფანეს: „იხილე, ძმათ, სადა იგი მივედით და
ვიხილეთ საყოფელი მეგობრისა შენისა ითანესი?
და წირიკისხე საშინელი იგი დაუა მის წერილთა-
სა? იხილნე სულთა ცოდვილთა სახენი და შინა-
განი იგი საყოფელი და აჩრდილი იგი ჯოჯო-
ზეთისანი? ვეველჩნეთ უკეთ ლმერთსა, ძმათ, რათა
გვიშსნეს მისგან! მიუგო ეპიფანე: ვიხილე, მამათ,
სულიერო! არამედ ევდორე ლმერთსა ჩემთვის,
რათა არა მივიდე მუნ! პრქვა წმიდამნ ანდრია

• მე ვესაც ლბერთია, რათა გეშინოდეს და იქცეოდა
კეთილად და დაიმუვიდებო სასუფეველი ცათას
ამისა შემდგომად ამბორს უცვეს ურთიერთობას და
წარვიდეს.

თავი მორისოც.

(დედაკაცისათვის მორწეულისა).

იყო ვინმე დედაკაცი უბანსა ნეორისასა, მორ-
წეუნე და მოშიში უფლისა, და ესეა მას ქმარი
სიძეის მოყვარე, და რაცა პპოვის სახლსა შინა,
ყოველივე განსცის მეძავთა ზედა. ხოლო დედაკაცი
იგი ფრიად მწუხარე იყო და ეძიებდა კაცა
სულიერსა, რათა ისსნის ქმარი მისი ხელთავან
ეშმაკისათა.

მოვიდა ვინმე დედაკაცი და ჰრევა მას,
„ვითარმედ არს ვინმე კაცი ხელოვანი, რომელი
შეფუტებით ჰყოფს ყოველსა, რადცა გენებოს“. მაშინ
დედაკაცი იგი მივიდა კაცისა მისთანა და ჰპოვა
მუნ ერი მრავალი, რომელნი იკურნებოდეს
მისგან. და რაეამს ყოველნი განვიდეს, მიუთხა
მას საქმე თვისი და ქმრისა თვისისისა, „ვითარმედ
მოიყეანებს მეძავთა, და დალია ყოველი მონაგები
სახლისა ჩემისა და მძღლობს მე. აწ მესმა
შენთვის, ვითარმედ კაცი ბრძენი ხარ და წმიდა,
და მოვედ შენდა, რათა ქმნა ქმრისაცა ჩემისა
კურნება, და მიიღე ჩემგან სასყიდელი შენი!“ ჰრევა
მას კაცმან მან: „ვითარ გნებავს ყოველივე ვქმნა,
რათა ანუ მოკვდეს, ანუ ნალვლიან იქმნას? მითხარ
მე და ვჰყო, ვითარ გნებავს!“ შიუგო

დედაქაცხან: — არა მნებავს მე სხვა, გარნა რათა
ვუყვარდე მე და არა მოვადეს სხვასა დედაქაცხანისათა-
ნა. პრქვა კაცხან მან: „ვჴყო ეგრეთ, ვითარ
გნებავს, ვარნა პირველად აღმიარენ სიყრმითვანი
ცოდვანი შენი და ყოველნი საქმენი შენი.“
და უთხრა დედაქაცხან საქმენი თვისნი ყოველნი. მან
(ხელოვანმან) წინასწარ უთხრის: „ესეცა გიქმნიეს,“
და ადგილიცა და ეამი ყოველიც აუწყის, რამეთუ ეშ-
მაყი უთხრობდა მას ყოველსავე, ხოლო დედაქაცხან გან-
კვირდის და ვერლარა მიუგო; პონებდა, ვითარმედ
წმიდა ვინძე არს და პრქვა: „დედაქაცხან, წირველ
სახიდ (შინ) შენდა და შეკაზმე კანდელი, და ზეთი, ტ-
ულელი, და პატრუქი, და სარტყელი შენი, და მე
მოვიდე დღესა თხშაბათსა და შევკაზმო, ვითარ
ჯერ იყოს!“ წირვიდა დედაქაცხანი იგი და ჰყო
ეგრეთ. მაშინ მოვიდა კაცხი იგი და შთაასხა ზეთი
კანდელსა და აღანთო, და იწყო ვედრებად ეშმაკი-
სა და ჩურჩნად (მკურავ ჩურჩული), და დასდგა კან-
დელი იგი ხატთა წინაშე, რამელნი იყვნეს და აღილო
სარტყელი მისი და დანასკვა თოხი ნასკვი და
მოარტყა წელთა მის დედაქაცხანისათა და რქვა:
„მომეც დრომაა თოხი და მის ცე შენთვის გლოხეავთა.“
ხოლო მან მისცა მას და მიერითვან მოსწყვეიდა
კაცხი იგი სიძვისაგან და შეიყვარია ცოლი თვისი.
და შემდგომად ექვსისა დღისა, იხილა ჩვენებით
დედაქაცხან, ვითარმედ ჭიდგა ვაკესა ერთსა მარტო დ
მოვიდა მისა პინდო (არაბი) ერთი შავი და შოეჭვია
შეს, და აკოცებდა და ეტულდა: „კეთილად გპოვი,

დედოფალო ჩემთ, მოვედ და დაესწევთ ერთად.
შენცა მოყმე ხარ ჭ მეტა. ღიღათ მსუროდა შენთვის,
ვითარცა თვისისა ცოლისა. აწ დაესწვე შენთან
და განვსძლე სიყვარულითა შენითა.*

ესმა რა ესე დედაკაცა, შეუვიდა ძრწოლა
და ეტყოდა მას: „წარვედ ჩემგან, წყეულო, რამეთუ
არა მივის მამაკაცი, თვინიერ ქმრისა ჩემისა,“
და ეშმაკი იგი აიძულებდა დაწოლად მისთან.
განიღვიძი დედაკაცმან მან შეშინებულმან და იტყო-
და, „თადათ მჰოვა აწ წყეულმან ეშმაკმან?“
და კვალიად მიიძინა და იხილა ძალი შევი-
ფრიად დიდი და დასდვა პირი პირსა ზედა მისსა
და ვითარცა კაცი აკოცებდა მას. ხოლო იგი გაპნ-
ქრთა და იტყოდა: „ვაა მე, ვაა მე, ცოდვილსა ამას!“
რამეთუ ეშმაკი მებრძევის და არა მიტევებს განსცენე-
ბად. რაიმე ჰყო, — არა კუწყი.“

კვალიად სხვასა ლაშესა იხილა, ვითარმცა სდგა
იგი იპოლრომსა შინა და აკოცებდა კურპთა მათ,
რომელნი მუნ მდგომარე იყვნეს და მოვიდა
ძალი მაღალი და სლევნიდა მას. ესრეთ სტანჯან
ყოველთა ღამეთა და არა უტევებნ მას ძილიად.
და ვითარცა შესჭირდა, იწყო მარხვად და ლოცვად
და ვეღრებად უფლისა, რათა აუწყოს, თუ ვინა
არს მანქანება იგი ეშმაკისა, რომელი ბრძევს მას,
რათა შეეწიოს და განათვეისუფლოს იგი?

იხილა ლაშესა ერთსა ჩვენებით, რამეთუ
სალოცავნი და ხატნი მისნი იყვნეს დასავლეთ
კერძო, და მისცა (იმასაც) დასავალით კუთ პირი

მისი. მოვინმევიდა ჭაბუკი და პრეზენტი: „იმარხავ და იმარხოთ ცავ და ითხოვ, რათა გამოვიცხადო! აწ იხილე რა არს საქმენი შენინი?“ და უწევენა ხატნი ივი და პრეზენტი: „რა გეთუ, რომელთა ხატთა დასავალით ხედავ, ივი მწამლველმან და გრძნეულმან ჰყო და რამეთუ განვაშორა ლმერთი შენვან და მივია ეშმარსა, და მიგაქცია დასავალით!“ ვითარება ესმა ესე დედაკაცასა, რამეთუ ხატნი ივი შესვარულ იყო მწვირითა და გამოვიდოდა შათვან სიმყრალე საშინელი, მიუვო დედაკაცან მან ჭაბუკასა მას შიშით და პრეზენტი: „უფალო, ეის უქმნიეს ესე?“ ხოლო მან პრეზენტი: — გრძნეულსა მას, რომელსა პრეზენტი ვირლინოს, მან ჰყო ესე, და პხედავ, რამეთუ არღარა სჩანს ძალი ხატთაში არა გედ განვაშორა სიმყრალისა მისგან საძაგელებისა. და რაებს მიხედნა კანდელსა, იყო ივი სავსე ფისითა, და ზედა უდელსა ეწერა სახელი ან ტესი და შესაწირავი ეშმაკთა. ხოლო რაებს იხილა ესე ყოველი, მიეფარა მისგან. განცლვიდა დედაკაცან და სცნა ძალი ჩვენებისა მის და თქვა: „რამე ვყო მე საწყალობელმან ამან. მე ვვონებდი სარგებლობისათვის, ვვონებდი, ვითარება კეთილსა მწევმესსა და ეგრე მივმართე და ივი იყო მგელი ბოროტი და მაკრთური. მენება, რათამცა მოვიდე შეწევნა, ხოლო მე ვპოვე წარმწეუმედა სულისა!“ და აპრალებდა დედაკაცი ივი თავსა თვისსა საქმისა მისთვის და ეძიებდა ღონესა კურნებისასა, ხოლო იყო სახლი მისი მახლობელის ეპიფანესა და იცოდა, რამეთუ კაცი პრეზენტი არს და უშეირდა, ვითარ-

ცა მოვიდოდა ექლესიით სოფია წმიდით, მოვიდოდა
პირველვე ბეჭის კართა ზედა მის დედაკაცისათვა.
და ვითარცა მორიგიდა ეპიფანე, შეუვრდა დედა-
კაცი იგი ფეხთა მისთა და მოუთხრა ყოველი შემ-
თხვეული მისდა, ხოლო მას, ვითარცა ესმა, სულთ-
ითქვნა და პრქვა: „შეჩვენებულმცა ხარ, ეშმაკო,
რომელი ბრძავ დაუძინებელად ნათეხავსა კაცისა.“
და პრქვა დედაკაცსა მას: „წარვედ და დასწვი
სარტყელი იგი, და კანლელი იგი შემუსრე და
ხატნი მომჯვარენ მე, და რადეა უფალსა ენებოს,
იგი იქმნას. მე ვუწყი, რომეთუ ეშმაკი იგი ბრძო-
ლისა ჰყოფს ჩემთანა, არამედ არა მეშინის მისვან,
შეწევნითა უფლისა ჩემისა იეხო ქრისტესითა და
ლოცვითა ლირსისა მაშისა, რომელი მარადის ჩემ-
თანა არს,“ რამეთუ იტყოდა წმიდისა ანდრიის-
თვის. ყოველი, რომელი უბრძანა ეპიფანე, ევრეთ
ჰქმნა დედაკაცმან მან და ხატნი იგი მიგვარნა მას.
მაშინ იხილა კვალიად დედაკაცმან ჩვენებით შევი
იგი, რომელი პირველ ეხილვა, რამეთუ იყო იგი
ყოველი შიშველი და ხორცი მისნი წყლულ.
და ადგა გარეშე კარსა მისსა თავ-დადრეკილი და
არა იკადრებდა შინა შესლვად.

მოვიდა მისსა სხვა მსგავსი მისი შევი და იხი-
ლი ას ფიცხელი წყლულება მისი, პრქვა მას: — რად
არს წყლულება ესე შენი? ხოლო მან მიუგო: „ეპი-
ფანებმან მიქმნა მე. დედაკაცსა ამის ეტრუი წელ-
თა მისთა, ხოლო მან დამწვა მე. დაფიცებულ
ვიყავ მოყვესისა ჩემისა ვირლინოზისაგან, რათა არა

განვეშორით მის დედაკაცისაგან. აწ დაწყვე მან
სარტყელი იგი და მე საწყალობელ ვიქმენ. გრძნა
რა ვუპო ეპიფანეს ნაცვლად მისსა, რამეთუ განმუჟ
მე ცოლისაგან ჩემისა? იხილე და ყოველი მტე-
რობა ჩვენი დავსდვათ მისთან!“ და ვითარცა გან-
სთენა, წარვიდა დედაკაცი იგი და უთხრა ესე
ყოველი ეპიფანეს; ხოლო მას, ვითარცა ესმი-
ესე, განიღიმნა და ჰქონდა: „ვენასსა მას, რომელსა-
სცავს ღმერთი, ვერ განიპარავს მპარავი ყურძენსა!“

თავი მორჩოცდასასთა.

ლამესა ერთსა უკეთურმან მან ეშმაკმან ილიუვა-
ნა ბოროტნი იგი ეშმაკნი, მოყვასნი თვისნი, არა
წმიდანი სულნი, ფრიად მრავალნი და შეა-ლამესა-
ოდენ მოვიდა სართულსა ეპიფანესა; ხოლო
უფალმან ილუხენა სასმენელნი მისნი, და ესმოდა-
ხმა ეშმაკთა; არა შეეშინდა და არცა შეიძრა, არა-
მედ ეშმაკნი იგი სდგეს შორით და მოუკლენდეს
მას გულის-სიტყვათა ბოროტთა, რათამცა შეარ-
ყიეს; ხოლო იგი მვედრებოლა ღმერთსა, რათა
იხსნას ბრძოლისა მათისაგან, და იღიპურნა სელნი
და ფსალმუნსა ამას იტყოდა: „აღგიარო, შენ
უფალო, ყოვლითა გულითა ჩემითა,“ და ვითარცა-
სთქვა მუხლი ესე: „შერისხენ შენ, წარმართთა და
წარსწყმდა ულმრთო“ (ფს. 9, 1, 5), მეყვსეულად იქმნა-
ხმა ზეცით, ვითარცა კართა ვანხმად და გამოვიდა
ელვა, და დაეცა ეშმაკთა მთ, და შეწვნა,,
და განაბნიერნი იგინი და უჩინო იქმნეს. ესერა-

იხილა ეპიფანე, განმხიარულებული იდიოგრადი
ღმერთსა. და ვითარება განსთენა, წირვიდა მო-
ძიებად ნეტარის ანდრიასა. შეემთხვია დედაკაცი
იგი და ჰრქვა ეპიფანეს: „ვიხილე, კეშმარიტად
ლოცვითა შენითა განიდევნეს ჩემგან ეშმაკი
იგი ბოროტნი, წმიდაო ღვთისაო! და ვიხილე,
რამეთუ ებრძოლე ლამესა ამას და სძლივ მათ.“
და მიუგო ეპიფანე: სარწმუნოებამან შენმან მოვა-
ნიქა შენ ძალი, ხოლო მე კაცი ცოდეილი ვარ
და არა ძალა-მის შეწევნა. შეემთხვია ეპიფანე
ნეტარსა ანდრიას ეზოსა ხილკოპრიაზისასა. ვითარ-
ცა იხილა იგი, მივიდა მახლობელიად მისსა და
ჰრქვა: იხილე ვითარ დაიცვა ვენისი კეთილი მევე-
ნახმან კეთილმან? გრწმენინ ჩემი, წმიდაო. რამე-
თუ ფრიიად შევსძრწუნდი მხეცეთა მათვინ საც-
ნაურთა, რაევმს ძლიერად ბრძოლა მიყვეს! ჰრქვა
ნეტარმან ანდრია: „უფალმან განაბნივნა იგინი
და უკეთება არა შეეგმთხვეოდა შენ ბრძოლა
იგი, დედაკაციცა იგი ვერ განეწერებოდა ხელთავან
მათთა, რამეთუ ურთიერთორს ჯერ არს სიმძიმეთა
ტყირთვა მოყვასთა“ (გალ. 6, 2). ჰრქვა ეპიფანე:
ვევედრები, მაუწყე სარტყელი ჭოთხნი იგი ნასკენი,
ანუ კანდელი და ზეთი და წყალი და უდელი და
პატრუქი,—რად არიან, ანუ ვითარ შეეწია ეშმაკი
დედაკაცსა მას მოქცევად ქმრისა მისისა? ესე ვეწ-
ყი, რამეთუ მოქცევა ბოროტისავან კეთილ არს და
ეშმაკი მოშურნე არს კეთილისა. მიუგო ნეტარ-
მან: უკეთუ გნებავს ცნობად, ისმინდ შეილო

ეპიფანი! ჩვიულება აქვს ეშმაკსა, რაეამს შეერ-
დეს პირველ კაცისათანა, აწუროთის ყოველსა-
საქმესა ღვთის მსახურებისასა განშორებად. არა-
თუ ღმერთი განეშორების ნებსით თვისით
კაცისაგან, არამედ რაეამს იხილნეს ცოდვანი
განმრავლებულად და ბოროტნი იგი სიმყრალენი და
სხდაგველნი, რომელსა შინა იქცევიან, ვერ თავს-
იღვას კეთილმან მცელმან და განეშოროს მის-
გან. მაშინდა პლოვის იგი ეშმაკმან მან მოკალედ
და შევიდის მისსა. რამეთუ ეშმაკსა ხელეწიფე-
ბის, რათამუა უნებლივოთმუა მიიყვანა კაცი ცოდ-
ვად, არამედ მოაგონებს და ვითარცა ქართი მკვი-
თების და წარეიდის, და სხვა ძალი არა აქვს
და მით ესჯების კაცთა. რამეთუ ოტყვის ეშმაკი:
თდეს მიგითხიე მძლავრებით, ანუ ოდეს მოგაბენ
ჯაჭვნი? მე მოგაგონენ თდენ და შენ ალასრულე
ნება შენი. ესრეთ მოვიდა ეშმაკი ღელაკაცისა
მის, რამეთუ პლელვიდა იგი, ვითარმედ მორწმუნე
არს ღელაკაცი იგი და თუ მოვაგონო ბოროტი,
არა მსწარაფლ ისმენს, არამედ მთავრებლო ვულსა,
რამეთუ მას კეთილ ეგონა (ეგონოს) მოქმედე ქმრისა
თვისისა და მით წარსწყმიდოს იგი; ამისთვის
წარიყვანა იგი ვრძნეცულისათანა.

იხილე რად ჰყო ეშმაკმან და ვითარ ებრძოლა
სულსა მართალსა და თვით დაემკვიდრა სულისა
წმიდისა წილ, და რადცა იგი უთხრა გრძნეცულ-
მან მან, ყოველივე ნებსით თვისით აქმნინა დედა-
კაცსა მას, რამეთუ პრქეა: შემიკმაზე კანდელი,

ზეთი და უღელი, და პატრიუქი, და სარტყელი,
და ცეცხლი, რამეთუ ეგულვა კეშმარიტად მოძარ
ცვა ნათლის-ლებისა. ხოლო კანლელი ივი—
იყო სახე ემბაზისა, და ფისი ივი—სახე წყლისა
ნათლის-ლებისა; ზეთი—მარსაბონისა, პატრიუქი
და ზეთი—სახე სანთელია, რომელინი იღან-
თიან ნათლის-ლებასა. ხოლო სარტყელი ივი—
იყო ნაცვლად სარტყლისა მის, რომელსა
მოარტყმენ ახალსა ნათელ-ლებულსა. და ყოველი
ესე, რომელი ითხოვა გრძნეულმან დედაკაცისაგან,
მიიღო ხელითა მისითა. და ყოველი ნათლის-
ლებისა სახე მიუღია ზაკვითა თვისითა და ენტ-
ბითა მოსძარცვა ქრისტიანობად. ამისთვის ეტყოდა
შეგი ივი: „დასწევ ჩემთანა, რამეთუ ცოლი
ჩემი ხარ და არა ქრისტესი.“ და ხატი ივი, რო-
მელი შებლალული უჩეენა, რამეთუ წყალობაცა
მისი იღწლილ იყო (დედაკაცისა). მისგან; და კანლე-
ლი, რომელი აღენთო, არა ცხოვრებისათვის იყო,
არამედ მსხვერპლი ეშმაკთა. და მორტყმა წელთა
(წიგალთა), ეშმაკეცლ ჰყო, რომელი შევიდა მისდა,
რათა არა განეშოროს ეშმაკი ივი.

ქრქვა ეპიფანემ ანდრიას: „საკვირველ არს ღმერ-
თი შენ-მიერ, მამაო, რომელ არა რამ დაგეფარების!
გარნა ვითარ იცი:—სიყრმითვან, ანუ აწ უსწავიეს
კაცსა მას ხელოვნება ივი გრძნებისა, რომელ
საქმეთაცა კაცისათა მიუთხოვს, რაც ივი ეჭმნას?“

მიუგო წმიდამინ: შვილი, ეშმაკი არაოდეს
დასცხარების ბრძოლად ქრისტიანეთი, და რაცა პქმნის

კაციან — უწყის ეშმაკის და რავაშის კინ შიგილის
გრძნეულისა მიმართ კითხვად რახსამე, კავკაცია
ჰქითხავს ეშმაკისა და ეშმაკი მოუთხრობს საქმეთა
მისთა და იგიცა მიუთხრობს კაცისა მის-მიერ
ქმნილთა. და მას კაცსა ესმიან საქმენი მისი
გრძნეულისგან და გონებნ მას წმიდად ღვთისა.
რამეთუ ვითარცა ინგელოსი უდგს კაცსა ღვთის
მოყვარესა და იუწყებს მოწევნალსა ყოველსა,
ეგრეთვე ეშმაკი იუწყებს მსახურსა თვისსა. ისმინა
რა ესე ეპიფანემ, განკვირვებული ადიდებდა ლმერ-
თსა, და იმბორს უცვეს ურთიერთარს და წარვიდეს.

თავი მომიმოცდაორი.

ტევამს ალესრულნეს დღენი წმიდათა მარხვათა-
ნი და მოიწია ბზობა, ვითარცა არს წესი ქრისტიანეთა,
ჯვარითა, და კერივნებითა, და ბაიამთა, გალობდა
ერი ურიცხვი ქალაქსა შინა სამეუფოსათა კონსტან-
ტინეპოლეს და მივიდოდეს სოფია წმიდად. და
იხილა წმიდამან ანდრია ბერი-კაცი კინმე შეენიერი,
რომელი იყო დავით წინასწარ-მეტყველი, და
სხვანი წინასწარ-მეტყველნი მისთანა, და ერი ფრია-
დი. და ეპყრათ ხელთა მათთა ბაია და ჯვარები.
ბრწყინვალე იგი მოხუცებული და ერი მისი
გალობდენ გალობასა შეენიერსა ხმითა ტკბი-
ლითა და იწვევდეს ურთიერთარს პირველ შეს-
ლვად საკურთხეველად. და ეპყრა შეენიერსა
მას მოხუცებულსა ხელთა მისთა ქნარი, — სკემდა
და შეაწყობდა გალობასა და ესრედ გალობდა.

ესმა რა წმიდას ანდრიას ხმაა იგი, აღიგვთ
სიხარულითა და მანცა იწყო გალობად ფსალმუნისა
(131, 1) ამის: „მოიხსენე უფალო დავით და ყოვე-
ლივე სიმშევიდე მისი. რამეთუ გვესმა დედუფლისა
ჩვენისა-მიერ და ვპროვეთ იგი ადგილსა სიბრძნისა
მისისასა დიდი შვენიერ.“ დედუფლისა-მიერ სმენა—
ითარებმანების ეკლესიასა შინა დიდია წმიდასა
სოფიასა, რომელი ესმა წინასწარ-მეტყველის და-
ვითის-მიერ ხმა სავალობელისა ებნისა. სიბრძნისა
მისისა,—სწავლა არს და გალობა სწავლითა, რომე-
ლი იგი ესმა ნეტარსა ანდრიას. და ვითარუა
იტყოდა ამას, ჰსლებს ვინმე მუნ ფილოსოფოსნი.
ესმათ რა ესე მისგან, განკიცხეს და ჰრქვეს: „არა
მართლიად ფსალმუნები, სალოსო, რამეთუ არა არს
სიტყვა ესე ფსალმუნი დავითისა, რომელსა იტყვა
„დედუფლისა ჩვენისა-მიერ და ადგილსა სიბრძნისასა.“
მიუგო ანდრია:—სახლი და განსახვენებელი დავთისა—
არს ეკლესია, მოკთომილნო! თქვენ, რომელნი
ფილოსოფოსნი ხართ, ხელნო? მე ვარ ლრმა და ბრძენი
ფილოსოფოსი! ჩემგან ისწავეთ ამიერიდგან! ხოლო
ზოთ განიცინეს და განეშორნეს მისგან. და იტყო
და წმიდა იგი ანდრია, ვითარებელ ვიხილე დავით
წინასწარ-მეტყველი სხვათა წინასწარ-მეტყველთა
შორის, უზესთაეს დიდებითა და პატივითა,
ვითარუა სთქვა პირველვე: „განვლო მე ადგილი
უფლისა და საყოფელი ლვოსა იაკობისი.“

და ვითარუა მოიწია დიდი აღვესებად კვირიაკესი
(აღდგომა), წარევიდა ნეტარი ანდრია სოფია წმიდას. და

զուտարկա ոլոռս, քամոցութ և գաջլա յահոտ նըլու
ըկլոցնուստու, Տաճա ոչո արոան յամնո (միուս սաստո) հրա-
լուսանո, և գանուպութ յրտո, հոմելոն Մըցուղուց
ըկլոցնուած. համբու ծհմանցնուլո ոչո լզտուս-մոյր,
հատա ոխոլնց յաբնո Կուզուլոն և մարտալոն. և
նելոցուց մատ, հոմելոտա յըտուլու ալասիւլոնց
գլոյնո წմուգատա մարեցատանո և հոմելոտա նընքմած. և
հայամի ալասիւլոց წմուգա յամու ինիցա և գանու-
թոց յրտո, նելուն წմուգա անդրու, լզտուս-մոյր,
համբու հոմելոտամբ პորնո Տէցրայ ոչցնուան,
զուտարկա տուցլո, և հոմելոտամբ ծհմինցնուլու,
զուտարկա միուս տուցալո, հոմելոտա ոչո ալասիւլոնց
գլոյնո წմուլատա մարեցատանո լուցուոտա, ցլո-
սայտ-մոնիպալուցնուտո, մլոցուսիրցնուտո և մարեցոտա. և
նելուն մատ և ալուցնու լմցրոտո. յըտուլու և նեցատա
մերգուցնու, հոմելոտա პորնո նաւուլ ահուն և յանուսցու-
նուն մատ նըլո և սուլո წմուգա, հոմելոտա წմուգա և գլու-
ցնուան տացնո տցուսնո սոմցուսացան, և մզորնու նընցնուսնո,
և սեցուս յուցլուս Կուզուսն. և սեցատա նելուն
մուսուլոտա ոյշու-յըտուլոտա և ծհմինցնուլու և
Ռիցլո Տէցրայո տացտա նըլո մատտա ասեւրցնու և յըր-
նուլունուսնո, հոմելո ոչո ոչո և անցուլոնուսնո. և
ոչցնուն սայմենո մատնո ոչո յըտուլոն, — յանձլուն մնոյր-
տա և յըմուս մնոյրուլոտա, լզիա պյուրմուլոտա,
սոմլունուլո և յըմուսիրցուլուն յըլուսն. և յըտուլու
սեցանո ոխոլնա, հոմելոտա յմուսատ սամուցըլո პարու-
սանո և ոչցնուս մուսիրց պորնո մատնո,
հոմելոտա տան յուլուցնու յինուլուցնու նըյենոյր-
9

ნი, რომელთა თავთა ზედა იყო გვიჩვენინი შეს. ზული რტოთაგან ზეთის-ხილთასა. და იყვნეს იყი-ნი, ვითარცა ასულნი მეფისანი, შექულნი მარგა-ლიტთა-მიერ და თვალთა ბატოსანთა; და იგინი იყვნეს, რომელნი სიწმილით ცხოვრებდეს და ნაშ-რომთაგან ხელთა მათთასა ჰყოფდეს მოწყალებასა.

და სხვათა პირებსა შედევიდა შემუსრეილსა და წყლულსა და უშეერსა და შებღალულსა მწევირი-თა. რომელთამე ემდერდიან ძალლნი და მხეც-ნი, და რომელთამე გველნი სწოვდენ გველსა ულხი-ნებელად, და მყვარნი (ბაყიყნი), და ჭიანი—უერხთა მათთა. და ესრედ უწყალოდ იტანჯებოდეს. და მცველნი იგი ანგელოზი მემუნვარედ მღვამიარე იყვნიან განშორებულად მათგან. რამეთუ იყვნეს კაცნი იგი მეზვერენი, უძლებნი, მამათ-მავალნი, გარდარეულად მცოდველნი, რომელსა შინა მარა-დის, ვითარცა ლორნი, იმწუპებოდეს და სამულ-ველ უჩნდეს დღენი წმიდათა მარხვათანი, რომელსა შინა ლეთის-მოყვარენი იშვებენ და განიწმედენ ბრალთა მათთა, ხოლო იგინი გარდაველიდეს ნაყრო-ვნებითა, მოერალობითა, სიძვითა და უწყალოებითა და არა ეშინოდათ მსაჯულისა მისგან საშინელისა,— ჭარცა ისწრაფეს განკურნებად წყლულებათა სული-სათა. არამედ ხორცნი მათნი მისცნეს მსხვერპლად ეშმაქთა და მას დაემონნეს. და მათ შორის განისვენებდა იგი (ეშაკი) გუნდით მისითერი. და რაეამს გარდაიცვალნენ, ვითარცა ძალლნი გარდაიცვალნენ, და განისრწნენ საფლავსა შინა,

და იქმნენ საჭმელ მატლთა. რომეთუ ხორცია
კულვილთანი სხიველ არიან, ხოლო შართალთანი
სუნელ და კეთილ.

კვალად სხვანი იხილნა შიშველნი, და
თვალნი მათნი და პირნი—კვამლიანი და დაშა-
ვებულნი, და ყითარუ მხეცნი განველურებულ,
რომელთა ქედთა მოებნეს საბელნი ეშმაკ-
თა და მიიჩიდვიდეს. და სხვანი უწერტდეს
შახვილითა და სცემდეს. ხოლო პაერთა შინა წე-
რილ იყო: „ესენი ართან გრძნეულნი და მწამლუკუ-
ნი,“ რომელთა ხილვისათვის ფრიად ცრემლებად
წმიდა ანდრია.

სხვანი იხილნა შავად და შიშველად, რომელ-
თა აქვნდეს ხელთა მათთა შახვილნი (დანანი) შესვა-
რულნი სისხლითა, და თავთა მათთა ზედა ასხდეს
იქედნენი, სავსენი მაკვდინებელითა წამლითა. და
იყო მათთვის წერილი პაერთა შინა: „ესენი არიან
კაცის მკელელნი და უსამართლოდ მომხვევენი.“ და
მას სახესა არა თუ მამათა ოდენ ხედვიდა,
არამედ დედათა, ყოველსა ერსა და ყრმათაცა.
და იტყოდა ნეტარი იგი, „ვითარმედ ფიცხელი
და ბოროტ არს გულისთქმა იგი ცოდვისა.“ ¹⁾
სხვანი იხილნა, რომელთა ემოსა სამოსელი ძველი
და შეურაცხი, და დედანი მავალად მათთანა,
რომელთა ტანთა ესხნეს ეკალნი, და ჭიანი ეხვეოდეს

1) მესამეშია „ვითარმედ უიცხელი გულისთქმა სი-
ძეისა გონებისა მიუვანებითა, სწორია კაცის კვლისა.“

ბორცუთა მათთა და სწოველებს ჩხოთა მათთა, როგორ მეღლნი იყვნეს მრისხანები, მცემელნი, უწყალონი და მწუნობარნი, ²⁾ რომელნი იგი არიან საქართვის ეშმაკისანი და ლმერთი არა დაიმკიდრებს მათ შორის.

სხვანი იხილნა, რომელთა გვაძნი (თავით-ფერხამდენ) სავსე იყვნეს ნაცრითა და მტკერითა, და პირნი მათნი, ვითარება მხეტა ეკლესიანი, სავსენი გულისწყრომითა. და კურთა მათთა დამოკიდებულ იყვნეს იქედნენი და ასპიტნი ბოლოებითა. დაიყვნეს პირნი მათნი და თეალნი, რათა არა იხილონ ნათელი და არება ესმნეს სიტყვანი წიგნისა ეკლესიანი შინა! ესენი იყვნეს შემასმენელნი მოყვასთანი და უსამართლონი, რომელთა მისცნიან კაცნი სატანჯველსა და საპყრობილება,—ძეირის მომხსენენი, მემტერენი, ამჰარტავანნი, მაგინებელნი, ბორიტისა მაბრალობელნი, მემობარნი და სხვათა ყოველთა ბორიტთა მომქმედნი.”

თავი მიოჩაოცდასამე.

ღ. განიყარა რად ერთ იგი, ალსლება ანდრია, განიპყრია ხელი და იწყო ლოცვალ და ოტყოდა,

²⁾ მესამეშია „იხილნა დედანი მრავალად მათთანა,—ესა დანთა მათთა ეკალი და კუროს თავი,—და ეხვეოდეს ქერწარმავალი წამლიანნი (შხამი-ნნი) და სწოველებს ხორცია მათთა ულხინებელად. ესენი იყვნეს: გულმწყრალნი, მცემელნი, ძნელნი, ძეირის მომხსენენი, ფიცხელნი, უწყალონი, ამჰარტავანნი, მწუნებელნი. და ესე ვითარები საქართვის ეშმაკისანი არიან და ლმერთი არა დაიმკიდრებს მათ შორის.

ვითარედ „ფრიად შეძრწუნდა სული ჩემი, უფალო, ხილებისა ამისთვის!“ და ესმა მმა ზეგარდამო, ვითარედ—მცირედისა ხილებისათვის შეძრწუნდი ან ურია?!

მე უმრავლესად ვხედავ ბოროტთა საქმეთა კაცთასა, არამედ მოველი მოქცევასა და სინანულსა და მნებავს, რათა ისწავნენ საქმენი ჩემნი და გზანი!—ესე რა ხმა ესმა, განიხირა და თქვა, „შოი, უფალო ღმერთთ ჩემო! კეშმარიტ არს მხჯავრი შენი, ვითარება იტყვის გულითადი შენი დავით: „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულის—ხშა—ჰყო, პნევიდა იგი პირუტყვთა უგუნურთა და მიემსვავსა მათ“ (ფსალ. 48, 13).

და წარვიდა მიერ და მივიღა ქულბაქსა მელეინისასა. იხილა რა იგი კაცმან მან, აღიღო გრწყილი (კრწყილი, რწყილი) და მიუჰყირა მას და პრქვა: — უოფო, რად უწოდენ იმას, ზოგნი გრწყილიად, და ზოგნი წილიად? პრქვა მას ანდრია: „ხელო, არა უწყისა გრწყილი უკბენს ხორცთა ძლიერიად და აქავნებს,— ამისთვის ეწოდების გრწყილი.“ ხოლო კაცმან განიღიმნა და აღავხო კიქა ლვინითა და მისცა მას. მიიღო იგი ანდრია და შესვა და დაპყრია ქვეყანასა და წარვიდა. და ვითარ რბილდა, შეემთხვია მდიდარი. პრქვა წმიდამან: „მომეც რამდე!“ მიუგო მდიდარმან—არა მაქვს, ცოფო!

მიუგო წმიდამან: „კეშმარიტად პსოქვა ლოდმან საკიდურმან (იესო ქრისტემან), „ვითარედ საბელი მანქანისა ვერ (შემძლებელ) არს განსვლად ხერელსა ნემსისა,— ეგრეთ მდიდარი შესლევად სასუ-

უკველსა ცათასა” (მთ. 19, 24). პრქვა მდიდარიან—
პეშმარიტად არსა ხერელი ნებისისა, სადამცა ვინ
განველო!?

პრქვა წმიდამან: „უკვეთუ ვინ არა წირვლის გზა
იწრო და საჭირო, ვერ მიიწიოს ცხოვრების! უენ
ხარ მსუქანი სიმდიდრითა—არა უწყი, რასა
ზრახვე? რამეთუ ვირი თუ იყოს მშვიდი,—განველის
ფოლორუსა იწროსა, ხოლო თუ მწიხნარი,—ვერ
ძაღლ-უძს განსლვად.” განიცინნა კაცმან მან და პრქვა:
—დაღათუ ხელი ხარ, კარგათ მაგინე!

პრქვა მას ანდრია: „მომეც მე დრაპენი, (თოხის
დრამის წონა თქმო), რამეთუ გლოხევი ვარ!”

მიუგო მდიდარმან მან:—არა შაქეს მე დრაპენი.

პრქვა წმიდამან: „მომეც მე კერმადა” (წერილი
ფული).

და პრქვა მდიდარმან:—არც იგი მაქეს.

და კვილად პრქვა წმიდამან, „მომეც კოტორი
(ნატეხი პურისა), ანუ ფოლი ერთი.” ამისთვის
ეტყოდა მას, რამეთუ იყო ძეირი და უწყებლი.

პრქვა მდიდარმან, რამეთუ—არა ხედავ მდიდარ
ვარ და დიდი წარსავებელი მისმე?

პრქვა წმიდამან: „მსგავს ხარ ფუტკართასა, რომელ-
ნი უქმად შეეღენ და გამოვლენ სკისა, ვითარუ-
ჯინ ჰველნი ფურცელსა. და ვითარუ ზღვას არა
განძლების შედინებითა, ეგრეთვე გული მდიდარ-
თა არა განძლების უძლებებითა.” და რაეამს იხილა,
ვითარმედ არა რას ერგების სიტყვა იგი მისი, დაუტევა
და წარვიდა, და ეტყოდა: „მაშინ ისმინო (მომიგონებ),

ოდეს უოველივე უნებლიერ დაუტეო და შიშეველი
განხვილეს.”

და იტყოდა გულსა თვისისა: მოი ვითარდა შეუკ-
უჩივართ ეშმაქსა და უბრძოვართ სრულიად? ვითარ
ვიზილოთ ღმერთი, ანუ რაც სიტყვა მივუვოთ,
რომელი არა ვიქმთ მოწყალებასა, ტვირთ უძრავ კე-
თილისა მიმართ, ვითარეთ ქვანი უსულონი! სოფელსა
ამას შინა ამაռსა ერშვენით ტსხვად სოფლად მივიყე-
ლებით. და რა სიტყვა მივუვოთ თვალ-უხვევსი
მას შსაჯულსა უკანასკნელსა მას დღესა? მოვედ,
საწყალობელო სულო ჩემო, და ვიქმოდეთ საქ-
მესა ჩეენსა, და ვფქვიდეთ წისქვილსა ჩეენსა იუქლსა
წმინდასა ულვარძლოსა. რამეთუ არა ვშორიავთ ერმია
წარსლვისისა, და საღა იგი მისლვად ვართ, მიგის-
წრაფოთ განსასვენებელად, საღა იგი მართალია
ვანისვენებენ. ვვალე, საწყალო სახედარო ჩემო,
ვისწრაფოთ, რათა არა ვვერწიოს ბნელი. რამეთუ
ხორცია აქა ვვისხენ დატევებად, და სული წარ-
უვანებად. მივეგებნეთ მეუფესა მომავალსა გრძლო-
თანა ანგელოზთასა!“ ამას რა იტყოდა, აღიმდერნა
და წარიციდა.

იხილეს რა იგი მექულბაქეთა მათ მომავალი
ხლდობით, იწყეს სიცილიად, და იტყოდეს:— „და-
ბით ვირი ესე.“ და პრექვა წმიდამან, „დაპლალთ ეგე,
დაპლალთ ეგე, რამეთუ მკვდარ არს. და კვალად
პრექვა: „ვირი ჩემი დალათუ მოკვდეს, ცოცხალივე
არს, ხოლო ვირი თქვენი, უკეთუ მოკვდეს და
არა დაპლალთ, ურ იტვირთავთ სიმყრალესა მისია.“



తాథి వెంకటమండలాచార్య.

(ప్రహమండలా గ్రథమాయిసా ప్రశ్నాపనాన్నిఖచి).

పీత లల్చుతా శినొ నీట్యు గ్రథమాయిసిన ప్రహమండల గ్రథమాన్నిఖచి స్వరూపితం సిద్ధుగాసాతా, రూతామృతా లాస్ప్రా ఒగి. బెంగాలు మాన అను దాంశ్రూఫారుం గ్రస్య ర్థమిల్లాసా ఏన్లార్హిస్, అనుమ్భవ నీట్యు ప్రధమిల్లాం వ్యేల్రాఫ్స్సాల శ్వాసించి, నిమించ్చెంద్రా లూ నిమించ్చెంద్రా, రూతా గాన్సెల్రైఫ్స్సి మిస్సెం ప్రహమండలా ఒగి లూ అను మిస్సెం లూప్రైమాల. బెంగాలు గ్రథమాయి ఎంపిక్రాల ప్రహమండలా మాస. లూ మిస్సెం లూమ్మె, మిల్లాసా శినొ, గొతాంచ్చుం ల్యోల్చాయాప్రా, లూ గ్రేఫ్స్ లూప్రైమాల శాంబర్యుంల్యుం మిస్సెం. బెంగాలు మాన గాన్సెల్రైఫ్స్సి మిల్లాసాగాన లూ అల్సింగ్ ల్యోప్రైమాల, న్యూమ్రెన మ్యూర్లాసా, లూ లూప్రైం క్వేయాన్సాసా, లూ నిమించ్చెంద్రా మ్యూశ్లాంతా, లూ అల్సిం మాంగిల్లాం మిల్లాంలితా (మ్యూపితా) మిస్సెంతా లూ శింప్యూంచ్చా మింసా, రూతా లాస్ట్రీషిస్ గ్యూల్లా, లూ మింప్యుశ్చాస్ లూ లూమ్మెంచ్చుల్లైస్ గ్యూల్లాస్-సిర్పుయ్యాస ఒగి. లూ క్షేమొ వ్యాఖ్యాత. మిస్సెం లూ లాస్ప్రెబ్రాం ప్రహమండలా ఒగి శ్వేర్పితా గ్యూల్లాసాతా మాంగిల్లాసా-మిగ్రెల్. లూ గొతాంచ్చుం మిగ్రెల్లా గ్రథమాన్నిఖచి, నిమిల్లా గ్రథమాయి ఒగి సిద్ధుగాసా, గొతాంచ్చుం ల్యోల్చా మ్యూమ్మెంబ్రైల్లా మ్యూపిర్చుయి మ్యూమ్మెంబ్రైల్లా మ్యూపిర్చుయి లూప్రైమాల.

మిస్సెంలూ క్షాంబ్రూయి శ్వేర్పితాయితా మిస్సెంలూ లూ క్షేమ్ములూ క్రిక్షా బ్యేల్లా శినొ త్వాసితా. లూ మిస్సెం ల్యోల్చాసా శాశ్వేసా మాస గ్రథమాయిసా, రూతా శ్వేసాసి. బెంగాలు ఒగి అను మిస్సెంలైఫ్స్ లూ క్రిక్షా ఏంగ్లేష్మాన్సా మాస: „ఏంగ్లేష్మాన్సా మిస్సెంలైసింగ్సిసా గ్యోబ్సాసి మాగిసి శ్వేసాసి మ్యూమ్మెంబ్రైల్లా?“

მიუგო ანველოსმან: „შენ პქმენ, რომელ
გსახურსა ღვთისასა მარილმან დამწევა, და დიუ
სასჯელი მიგებდების მისთვის დღესა მას
განკითხვისასა.“ მიუგო დაბნელებულმან მან ეშ-
მავმან: — ეაშე, რამეთუ მეგულეებოდა მომალება
მამისა ჩემისა და შევვარდი განსაცაველსა! და
ალილო ჭიქა იგი უნებლიერ ტ შესვა სავსე სიმწია-
რითა. და ვითარუა განილებია ეპიფანე, იყო გან-
კვირვებული ფრიად და აღილებდა ლმერითსა.

თავი მოსაოცდაზეთა.

ღ. შემდგომად მუირედთა დღეთა შეემთხვეთა
ნეტარი ანდრია ეპიფანეს, — განილიმნა და პრქვა მას:
„ცხვარი ვარ ჯოგთა კეთილთა და მიყვარს
მარილი და ვლოკ მას.“ და ვითარუა ესმა ესე
ეპიფანეს, განპეკეირდა და პრქვა — არუა ეგო დაზი-
ფარია, შენ, ნეტარი მამაო? ესრეთ დამიტევე მე,
შეილი შენია, რომელ ეშმავმან დამწევა მე გული
ჩემი. მიუგო ნეტარმან ანდრია და პრქვა: „თუ
არა გამოიყალოს მხედარი ბრძოლასა შინა, არა
იქნების. ეგრეთვე, რომელი ისწრაფულეს პოვნად
გვირგვინისა, უხმს დაომენა ღვაწლთა და თავსდე-
ბობა ჭირთა. სოფელი ესე, შვილო, მსგავს არს
კვამლსა განქარევებადისა, და კაცი, რომელი არა
იქირვოლეს ღვთისათვის, მკვდრად შერაცხილ არს
სოფელსა შინა. და რომელი არა პზრუნვიდეს სა-
შპუნესათვის, ცოფ-არს იგი. ხოლო შენ, შვი-

ლო ჩემთ, მცირისა მაგისვთვის ტანჯვესა და ჭი-
რისა, ტკბილი იყი სამოთხის ქება მოგეცემის.
ნუ სულ-მოკლე იქმნები, ძმო! არამედ მოვე
მოთმინებად, რათა დაიშვეიდრო სასუფეველი, რა-
მეთუ დღეს ვართ და ხვალე არღარა, და ვითარე
სისმარი პყოფილი, უნინო ვიქმნებით. და რომელ-
თა სძინავნ და არა ზრუნვენ მერმისათვის დღისა,
ვითარე ანრდილნი, წარელენ და, საუკუნესა
განსევენებისა წილ, მოელის მათ ჭირი და ტან-
ჯვა. ხოლო შენ, შეიღო, კირთა (მავათ) აქათ-
თა წილ,— მიიღო სიტკბოებად და განსევენებად.
მოითმინე, რათა მოიღო სასყიდელი და დამტ-
კვიდრო სასუფეველი ცათა. რამეთუ ამის სო-
ფლისა შეენიერება და დიდება, ვითარე კვამლი
და ნისლი, განქარდების, და მოსურნეთა და მო-
კვარეთა მისთა დაუტევებს კირთა და უბა-
დრუკებასა. და ჩვენა, უკეთუ არა ესრუნეიდეთ
სულთა ჩვენთათვის, მუნ საუკუნოდ ვიტანჯვ-
მოდეთ. არა აღმოგიყითხავსა წიგნსა, ვითარ-
ე დიდი გულის-კლება და წუხილი აქვსთ მარ-
თალთა სოფელისა ამის შინა? და, ვითარე
ფრთხილნი მარკინელნი (მოკიდავენი), ებრძეიან
მტერსა უხილივსა: სიმდაბლითა, და მოთმინებითა,
და მღვიძარებითა ისწრაფიან აღსრულებად მცე-
ბათა ღმრთისათა, ვითარე იტყვეის ეზერა
წინასწარ-მეტყველი: „რამეთუ კაცმან, რომელმან
არა ისიდეოს და არცა იმრუშოს, და ყოვლისაგან
გზისა უკეთურისა გარე მიაქციოს ალაგნი შინი,

იგი, ვითარუა საკმეველი სუნნელი, მოვიდეს წინაშე ლეთისა. ხოლო მეძვი და მემრუშე საძაგელად არა შერჩაცხილ წინაშე ლეთისა. *

და უფროსად,—რომელი მეცნიერ იყოს წილათა წერილთა, ისიძეიდეს და არა მოიქცეს, და არა შეინანოს ილსირებითა და ცრემლითა,— უჩერეს იტანჯოს იგი.

პრძნად იგი შერაცხილ არს წინაშე უფლისა, რომელმან შეინანოს ცოდვითი თვისნი, უმეტრებით და მეცნიერებით ქმნილნი. იგი მარადის სწერვს და დასწევს ეშმაკს. ხოლო ცოდვილთა და უნანელთა მოელის სასჯელი. და შენ, შვილო, მაგისტრის ნუ სულ-მოკლე იქმნები, ნუმცა მწუხარე ხარ, რამეთუ პბრძევ ეშმაკთა. უკეთუ არა თავს-იდვა პირი ხორცთა, ერ განსძლე პურისა მისგან ცხოველისა ზეცათხა. ** და რაეამს ასწევა ესე ურველი, მისცა მშეიღობა და წარვიდა.

თავი ვითაროდა მასა.

ლ ვითარუა წარვიდა ეპიფანე სახიდ თვისა, მოვიდა ვინმე და უთხრა, ვითარმედ ამეგობარი შენი საყვირელი, რაფიელ, სნეულ არს ფიცხელად და გიწესს (გიწოდებს), რათა გიხილოს შენ. *** ხოლო მან იწყო ცრემლვად და წარვიდა ხილვიდ მისსა, და ვითარუა შევიდა სახიდ მისსა, იხილო იგი დამძიმებულად და დაჯდა მახლობლიად მისსა და სკნასულითა, რამეთუ გარდიცვალების. იწყო მწუხა-

რებად, რამეთუ უყვარლა იგი ფრიალ, რა ხეველ
კისა შინა და კვნესასა ფიცხელსა, რამეთუ ჩა
ზრეინეისა, ვითარცა გრვეინვა, გამოვიდოდ
მისეან.

ჰეითხა ეპიფანე: „მთო საყვარელო! რა
გელმის, რომელ ესე გაიქრები და ლალადებს?“
ხოლო იგი მოეგო ცნობასა და მრქვა:—ეამე,
ტკბილო ძმათ ჩემთ! რამეთუ, რომელიცა რა
მექმნა კეთილთა საქმეთაგანი, ჰსძლეს ბოროტა
საქმეთა ჩემთა, და წარიღეს ეშმაკთა და ეუფლნეს
სულსა ჩემსა ძალნი ბნელისანი. რამეთუ ვიზილე
ანგელოსი უფლისა და ეშმაკიცა მისთანა, და
ჰსწონდეს საქმეთა ჩემთა. და ანგელოსი იგი უფ-
ლისა შესწუხნა და მრქვა მე, „შოთ საწყალობელო
ვერა რად იღვაწე სულისა შენისათვის, რათამცა
კვალიად შესძინებულია სასწორსა ამას?“ და წარეიდა
ჩემგან. ჴ ვაკონებ, ვითარმედ ვერ ვიპოვე სასუფლე-
ლისა კერძოთათანა, არამედ კერძოდ ჯოჯოხეთისა.“

და ვითარცა ესმა ეშმაკთა უბნობა იგი
მისი ეპიფანეს მიმართ, შერისხნა სნეულსა მას,
რამეთუ მიელო ხელმწიფება მის ზედა. და
შევიდა განრისხებული გვამსა მისსა და განაფიცა
გვამი მისი სენიორულ, და იწყო ვაებად
და ყივილად უძნელეს პირველისა. ხოლო
ეპიფანე, ვითარცა იხილა საწყალობელი იგი
და ტანჯვა მისი, იწყო უჩემლვად და ვეღ-
რებად ლვთისა ლმობიერად, რათა იხსნას სულ
მისი ხელთაგან ეშმაკთასა. იხილა რა ესე ეშმაკმან,

შეეგინდა ეპიფანეს სიტყვათაგან, „ნუ უკვე (ვაა თუ) ისმინოს მისი ლმერთმან და მოწყოლე ექმნას სნე-
ულსა!“ იწყო შექირვებად მისსა და უნდა გარ-
დამოგდებად მისი ცხელრით და შთაქრა გარდასხე-
ლავსა მას. ხოლო ლოცვითა ეპიფანესითა ვერლა-
რი იყალრა გარდამოგდება, არამედ განაფიცხა გუ-
ლი მისი და იწყო გლეჯად წვერთა თვისთა. და
წარმოაგდო ენა და, ვითარცა ძალი, შექ-
უფლა კაცთა. და დაეცა შიში, რომელნი
იყვნეს სახლსა მას და ჰეითხეიღეს ეპიფანეს:
„ვინა იქვს ეშმაქსა ესე ვითარი ხელმწიფებად და
შეენდობის ესრეთ ტანჯვად კაცთა?“

პრქვე მათ ეპიფანე:— „შემინდევით მე, ძმანო,
რამეთუ არა მიწევნილ ვარ საზომხა მაგას, რათამცა
ფუწყოდე საქმენი კაცთა კეთილნი, გინა ბოროტნი;
არამედ ამას ვაგონებ, ვითარმედ ყოფილ არს შორის
მაგისსა ცოდვა რაიმე დაფარული, რომელი არა
აღუარებია მოძღვრისათვის და არცა შეენანებია, და
ამისთვის იტანჯების კაცი ესე საწყალობელითა
სიკვდილითა!“ და აღესრულა კაცი იგი.

შემდგომად მცირედთა დღეთა შეემთხვია
ეპიფანეს ნეტარი ინდრია და მიუთხრა მას კა-
ცისა მის, რათავლისათვის, ყოველი იგი ხილული.
და ევედრი ეპიფანე, რათა აუწყოს საქმე მისი
და ეშმაკისა-მიერ ტანჯვა მისი. მაშინ წმიდა
იგი ანდრია სლუმნა ეამ ერთ. შეჩმე პრქვა:
„შვილო ჩემო! იგი საწყალობელი იყო—
შემრუშე და ძვირის-მომხსენე, რამეთუ ნითესავთა,

და სკონდიკონითა და ქმრის ცოლთა დედოფალის
თანა იმრეუშის, და დაუტევის ცოლი თვისთა და
შეუეალისათანა ისიძევნ! და უძვირესი ესე იყო,
რამეთა ეკენდა პატივი დიაკონობისა, და არა
გრძნობა დევთისა,—არამედ ურიდად მოუსტებებო-
და წმიდასა და პატიოსანსა ხორცისა და სისხლის
ქრისტესა, და ერევინ სამღვდელოთა პურპერლა,
შეონებდა დაფარვად დევთისაგან. ამისთვის იტყვის
მოკიქეული პავლე ეპისტოლითთა შინა თვისთა,
ვითარმედ მღვდელოთა და დიაკონთა, რომელთა
ნებავს ხელო-დასხმა მღვდელად, ვინა დიაკენად,
არსმუა წმიდა და შეუსტებელ პირველითგან, რათა
არა სახულსა ეშმაკისასა შევარდეს; და უკეთე
დაეპყრას ცოდვისა და დაეცდეს, ჯერ არს მისხა,
რათა აღუაროს სულიერსა მოძღვარსა თვისთა,
და ღირსებით შეინანოს სიმდაბლით და შემცვერე-
ლებით, რათა პპოვოს შენდობა, და ნუ იქნების,
ვითარმუა წყალი შეყინებული, რათა არა მიეცი-
ხელოთა ეშმაკისათა უნანელობით.“

თავი მიორისობდაზეიდე.

(კითხვა-მიეცება ანდრიასი და ეპიფანესი).

ჭეითხა ეპიფანემ წმიდასა ანდრიას: „მამთ
სულიერო! მაუწყე თარგმანი მუხლისა ამის: „რაშეთუ
სასმელი ხელთა შინა უფლისათა დეინო ურწყოთთა
სახე არს სხმულითა (სახმილითა), ტ მიღრეა მიიქა
მუნ; ხოლო თხლე მისი არა მთაკლდეს—წირმოიკა-
ლიერა, სეან იგი ცოდველთა ცოდვილთა ქვეყანისათა?“

მიუვა წმიდამან ანდრიამ:—ქრისტემან ლეგი
 თმან ჩვენმან თქვა: „მოვედით ჩემდა, რომელთა
 გწყვრისთ, და სვით.“ რამეთუ სასმელი არს—სიტ-
 ყვა, ხოლო ქრისტე—საჩულება და გამოცხადება არს
 ღვთაებისა და კაცებისა. ღვინო ურწყელი, სხმული
 ჸ სავსე, —მხოლოდ-შობილი ძე, უთესდოთ შობი-
 ლი—სიტყვად ღვთისა! და კვალალ, —ვითარცა ღვინო
 ურწყელი, თვინიერ პურპლისა ვერ შესაძლებელ
 არს დალგრომად, ეგრეთვე, უკეთუმცა ძე ღვთისა არა
 ხორცითა შემოსილ იყო კაცობრივითა, სიბრძნემცა,
 და სული ძეთა კაცოსა, ვითარ (როგორ შეიძლე-
 ბოდა) მოეცა? „სასმელი ხელთა შინა ღვთისა-
 თა,—ღვინო ურწყოდ,—რავამს იგი პსთქეა:
 „მამათ ხელთა შენთა შევვედრებ სულხა ნებ-
 საზ!“ და თარგმანება მაგისი სიტყვა აპა ესე
 არს, —განხორციელება და ვნება, ვითარცა იტყვის,
 „ვითარმედ სასმელი, რომელი მომცა მე მამამან, არა
 შევსვაა?“ და კვალად: ვითარმედ ღვინო ურწყელი
 შეურეუნელ არს წყლისაგან, —ეგრეთვე მოწყალება-
 სა ღვთისასა არა რაი შეერთვის, არამედ მარადის
 შოუკლებელად ჰერებ და აქვს „ცხოვრება-თვისი
 კოვლადვე სამება ერთ-არსება“.

მოვიდეთ აწ აქაცა: „პსვან იგი კოველთა
 ცოდვილთა ქვეყანისათა.“ რამეთუ, სიტყვა ღვთისა
 განხორციელებული მოვიდა ურისსტანად ისრაელ-
 თათვის, რათა ვულის-ხმა-ყონ ღვთაება მისი. და
 შეთ იხილეს და არა რწმენა. და, რავამს იხილა
 მამამან ურწმუნოება მათი, რომელთა იგი ჯვარს

„ცუკი და დამოქადეს, შის ეპის სასმელი იყი, რომელი
ეპურა ხელთა მისთა, რომელ არს მოწყველება,
მისცა ნითესებსა წარმართოთასა, რომელინი იყვნეს
კერპთ-მსახურინი და ცოდვილნი, — ხოლო ამ
მორწმუნებ და კეთილ! კვალიად: „და მიღრე ამიტ
მუნ; ხოლო თხლე მისი არა წარმომალიერია, — ეს კ
არს, რამეთუ სახარება და სარწმუნოება და მოცი-
კულნი მოღრუეს ქალაგებად და მისწავლელიად,
და ნიჭი სულისა წმიდისა ჩვენზედა მოეფინა.
ხოლო თხლე მისი — არს ურიათა იყი მოლოდებად,
რამეთუ განიბნინეს ყოველთა შორის თესლთა და
ნითესევითი-ნათესავად, სმენ თხლისა მისვან და
მოელიან მოსლებასა ან ტესასა.“

კვალიად ჰეიოთხა ეპიფანე: „რად არს ძალი
მუხლისა მის, — „ვითარცა პირუტყვი შევირაცხე
შენ წინაშე და მირადის შენთანა ვარ.“

მიუკო წმიდამან ანდრიამი: — ევე წინასწარ-
შეტყველმან თქვა ლეთისა-მიტრ, რამეთუ „სიტყვა-
ლეთისა განკუცნა. „ რამეთუ კაცია იტყვის პირუტყ-
ვად, ხოლო ძე ლეთისა იქმნა კაც და ჰრევა მამასი:
„მე შენ ძლით კაც ვიქმენ, ხოლო ლეთაებასა შენსა
არა განვეშოჩე.“

ჰეიოთხა ეპიფანემ ანდრიას: „რასათვის იტყვის
უფალი სახარებასა შინა, ვითარმედ „ნუ მრავლის-
შეტყველებთ, რაეამს ილოცვიდეთ?“

მიუკო წმიდამან: — მრავლის-შეტყველება არს,
შვილო: რაეამს ჰსდგე ლოცვად, ჯერ არს, რათა ით-
ხოდე ბრალთა შენდობასა და ცოდვათა განხსნასა, და

არა იტყოდე, მომხედვენ, უფალო, ჩათა გავმდიდრდე, გინა ვიქმნე მთავარ, ანუ შეიღლთათვის, ანუ საკმელთათვის და სასმელთა, ჩომელ ვითხოვდეთ და ვშრუნვიდეთ, იგი არს მრავლის-მეტყველებაა.

კვალიად პეითხა ეპიფანემ: — ესეცა მაუწყე, მამთო წმიდაო, უკეთუ ეშმაქნი და ანგელოსნი ერთ არიან — მსვავს სახითა, ანუ სხვითა-და-სხვითა სახითა არიან?

მიუგო წმიდამან: „ესე უწყოდე, შეიღლო, რამეთუ პირველ ერთ-სახედ დაებადნეს ყოველნი. არამედ უკანასკნელ ეშმაქნი იქმნა ბნელ და შევ, ხოლო წმიდანი ანგელოსნი არიან სპეცია და ბრწყინვალე.“

პეითხა ეპიფანემ: — გვიდრები, ჩათა მაუწყე ესეცა, სადა არიან აწ სულნი მართალთანი, ანუ ვითარსა განსასვენებელსა, ვიდრე მეორედ მოსლვალმდე?

მიუგო ნეტარმან: „სულნი მართალთანი არიან მახლობელიად სამოთხესა და ხელვენ სამყეიდრებელსა თვისსა და იხარებენ — ვიდრე აღსასრულადმდე. რამეთუ სულნი ოდენ მარტოდ ვერ მიიღებენ სრულსა დიღებასა, არამედ ჩაფამს აღსდგენ ხორუნი, მაშინ მიიღებენ სრულსა დიღებასა და პატივსა, ოდეს შეერთდნენ თვისსა ხორციათანა. ეგრეთ ვე ცოდვილთა არა მიუღებიეს სრული ტანჯვა, არამედ ხელვენ და ეუწყების მათ, ვითარსა ტან-

ჯვანი მიემთხვეოდიან. და რაებამს ალსდგენ, მიწლინ
მათცა სატანჯველი საუკუნო.

„ პეტება ეპიფანემ: „რასათვის იტყვის სოლომონ,
ვითარედ უფალმან აღმაშენა მე და პირველ
საუკუნეთა დამაფუძნა მე, და პირველ გზათა მისთა
დამალებინა მე?“

მიუკო წმიდამან, რამეთუ—სიტყვისა მაგისთვის
მოსკოა და მწვალებელ იქმნა არიობს, თდეს ხექვა:
„ვითარედ ძე, ვითარცა საფუძველი არს იღმენებუ-
ლი ღვთისა?“ უფალ ეწოდების მამასა, რამეთუ
მამა ღმერთი არს, რამეთუ უფალმან მოგონებითა და
განზრახვითა დავვბალნა კაცნი და მოგვცა ჩვენ სიბრძნე
თვისი და ყოვლითა სწავლულებითა ვანშესწავლნა.—
რამეთუ დასაბამი ყოვლისა—სიბრძნე არს. რამეთუ
პირველ ყოვლისა შესაქმისა, სიბრძნე დაებადა. რამეთუ
სიბრძნითა ვანაგნა უფალმან ყოველნი არსნი.
და ნუ ვინმე ურწმუნო არს სიტყვასა ამას, ვითარედ
ძისითვის არს თქმული—სიტყვა ესე, რომელ არს
ვანხორციელებული სიტყვა ღვთისა. და თქვა ესრეთ:
„უფალმან და მიმამინ აღმენა ჩემ შორის—კაცები
არა თუ ღვთიება. რამეთუ ღვთიებითა თანცსწო-
რი მამისა ვარ, და შექმნა მე ძედ კაცისა. და
ნებითა ჩემითა მომავლინა მე სოფლიდ და არა
უნებლივდ. და პირველ საუკუნეთა დამამტკიცა მე,
და პირველ ბორცვთა დამბადა, და პირველ ჩემსა
არა. რაჯ დაბადა.“ და თქვა ღმერთმან, „და იქმნე
ნებითა ძისა და სულისა წმიდისათა.“ რამეთუ ესე
ვანზრახვა საუკუნითვიანვე იყო, რომელიც უკანას-

კნელ ძემან ალასრული ხორცი-შესხმითა თვისითა,
ხოლო ლვთაებრ თვით ხელმწიფე და თანასწორი
არს მამისა და სულისა წმიდისა.

პრეზა ეპიფანემ: „ვითარ არა უწყოლა ქსე
უოველი არიოზ?“

მიუგო წმიდამან,—რამეთუ არა დამკეიდრებულ
აირ მის შორის სული ლვთისა.

პრიოთხა ეპიფანემ: „ვითარ სახედ იტყვის
წინასწარ-მეტყველი, „ლმერთო სახელითა შენითა
მაცხოვნე მე და ძალითა შენითა მისაჯე მე?“

მიუგო წმიდამან:—სიტყვისა მაგას იტყვის
ეკლესიად, და წინასწარ-მეტყველისა-მიერ მოვკი-
თხრობს, რამეთუ „სახელსა უფლისასა მოვკი-
თხრობს,“ ესე ივი არს, იქსო ქრისტეს შეუფეხა
ჩვენსა ხადის ეკლესია და იტყვის ქსრედ სახედ:
„რამეთუ შენ ხარ ლმერთი და გნებავს, რათა იქმ-
ნე კაც ჰეშმარიტად“. რამეთუ იქსო—ითარებანების
ებრაულითა ენითა, მაცხოვარი, ანუ ძალი (ძალად)
ერისა. და ისმინა ლმერთმან ვეღრებად ეკლესისა,
რაეძმს ცეცხლისა ენანი სულმან წმიდამან
გარდამოუყელინა სახელითა უფლისა ჩვენისა იქსო
ქრისტესითა სიონს შინა.

პრიოთხა ეპიფანემ: „რასათვის თქვა პავლე მო-
ციქულმან, რამეთუ „უოველი ცოდვა, რომელი
სცოდოს კაცმან, გარეშე ხორცია არს; ხოლო
რომელი ისიდვიდეს, ხორცია მიმართ თვისითა
სცოდავს?“

მიუგო წმიდამან: — ყოველი ცოდვა სულა-
სა ვნებითა ოდენ იშვების. ხოლო სული თქენ
მიიღებს ცოდვის ნაცვალსა და იქავე შეიგინე-
ბის, და ხორუნიცა ვერა რას სცნობენ. არამედ,
რომელი ისიძვიდეს სულისაგან, ხორუნიცა
განიხრნებიან. რამეთუ, უკეთუ ძვირი უკო-
მისა, ავნებ სულსა შენსა, და სხვაცა ესე ვითარი
არს. ხოლო რომელი ისიძვიდეს, წარწყმედს სულსა
და ხორუსა ხაუკუნოდ, უკეთუ არა შეინინოს.
ხოლო ქორწინებითა არა ცოდვა არს, უკეთუ
ეგნენ წვესიერიდ, არამედ არიან ერთ ხორუ და
არა აქვს დედაკაცასა ხელმწიფებად თვისთა ხორუ-
თა ზედა, არამედ მამაკაცას. და ეგრეთვე არა
აქვს ხელმწიფებად მამაკაცას თვისთა ხორუთა ზე-
და, არამედ დედაკაცასა. რამეთუ ხორუნი მათნი
ურთიერთისანი არიან. უკეთუ ისიძვოს მამაკაცმან,
შეიგინებიან ხორუნი დედაკაცისანი, და უკეთუ ისიძ-
ვოს დედაკაცმან, ეგრეთვე შეაგინებს ხორუთა
ქმრისათა, ვითარუა იტყვის სახარება: „რომე-
ლი განტევებულსა შეირთავს, მანცა იმრუშა.“

ჰერონ ეპიფანემ: „რასათვის იტყვის ანგარე-
ბასა, ანუ ვინ არს იგი?“

მიუგო წმიდამან: — ანგარი და უძლები არს,
მომხვეჭელი და მიმღებელი უსამართლოდ, და მაჟიორ-
ებელი გლოხეჟთა.

ჰერონ ეპიფანემ: „რად არს თარგმანი მუხლი-
სა ამის: „შეილნი შენნი, ვითარუა იხალ ნერგნი
ზეთის-ხილისანი გარემოს ტაბლისა შენისა?“

მიუგად დანაშან — იხილებ წმიდა კულტურის და
საკურთხეველი მისი ეპისა მსხვერპლის შეწირვისასა,
და იხილე გარემოს ტრაპეზისა წმიდასა ახალ-ნათელ
ლეგბულნი, დგომილ იყვნეს რაც კერძოვნებითა,
განათლებულნი და შობილნი სულისა წმიდისა-
მიერ,—იგინი არიან, ვითარება ზეთის-ხილი-
სანი, სიპოხითა სულიერითა, მსხმონი შორის
საკურთხეველსა.

პეითხა ეპიფანემ: „რასათვის თქვა წინასწარ-
მეტყველმან ესია: „ნუ უკვდი მკვდართა ცხოვრება
არა იხილონ და არცა მკურნალთა აღადგინონ და
აღვიარონ შენ?“

მიუგო წმიდამან: — წინასწარ-მეტყველი დავით
ლალადებს სმითა მაღლითა და იტყვის: „კერპნი
წარმართთანი ქვენილნი არიან და ცხოვრება არა
აქვსთ.“ და ვინმე არს მკურნალ? მღვდელნი მათნი,
რომელნი მსახურებენ, რომელნი უფალმან შემუსა-
ნი და არღარა იღდებიან.

პეითხა ეპიფანემ: „ვითარ გამოითარება-
ნების მუხლი ეს:“ „მუნ აღმოუცენო რქა
დაიგითა და განუმზადო სანთელი ცხებულსა ჩემ-
სა?“

მიუგო წმიდამან: მუნ აღმოუცენო რქა—ესე
არს ქრისტე, თესლისაგან დაეითისა, შობილი
ქალწულისაგან მარიამისა. ხოლო სანთელი განმზა-
დებული — ითანე ნათლის-მცემელი არს და წინა-
მორბედი, რომელმან უჩვენა ერსა თითითა თვი-
სითა და პრქვა: „ამა ქრისტე, ტარივი ლვთისა,

რომელმან აღიხვნი ცოდვისანი. * ჩამეთუ
ესე არს კრავი ლვოისა, და ყოლული ყოვლისა სოფლი-
სათვის და შეწირული მსხვერპლად მამისა, მოტე-
ვებისათვის პრალოთა ადამის ნათესავისათ. რამეთუ
დავით და სოლომონ, და ყოველნი წინაშეარ-მეტ-
ყველნი მას მოქლოდეს. და ჯოჯოხეთით-გამო დაღ-
დებდეს, რათა მოვიდეს მათდა რქად იგი საძლევე-
ლი მტერთა და იხსნეს იგინი. პირველ ყოვლისა
სოლომონ სთქვა: „ამა ძე ლვოისა მოვიდა.“ ხოლო
დავით და ისაია, და ყოველთა წინასწარ-მეტ-
ყველთა დაღად-ჰყვეს. და ადამ, ვითარცა ძილი-
საგან, განიღეიძა, გან კრთა და პსთქვა; „აღმოიყვანე,
უფალო, ჯოჯოხეთით სული ჩემი.“ და მყის ყო-
ველნი სულნი წმიდათანი მისთანა გამოი-
დეს.

ჟიოთხა ეპიფანემ: „რად არს თარიღმანება მუხ-
ლისა ამის: „წამებანი უფლისანი სარწმუნო
არიან და გონიერზ!“

მიუგო წმიდამან: — სული წმიდა რწოდების
წამებად სახელსა უფლისასა, ვითარცა ოტყვის
სახიარებად: „ვითარმედ მან პსწამოს ჩემთვის და
თქვენცა მოწამე ხირთ.“ და კვალად იორდანესაცა
სწამებს, რაეამს გარდამოხდა სული წმიდა სახელ
ტრედისა და ხმა ისმა ზეცით, „ეგე არს ძე ჩემი
საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავ!“ და მოს-
ლვისა სულისა წმიდისასა, რაეამს მოციქულთა
მოუვლინა და სხვათა მრავალთა წამებულთა ზედა,
— ესე არს მეტყველება ამის სიტყვისა.

და ვითარება ესე იუბნებს, ურთიერთობას
ამბორს უყვეს და განიკარნებს. შოლო ემილი
ფანე განკურებულ იყო სიბრძნეს მისსა ზე-
და და ოტყოდა: „სული წმიდა საქუთხად მკეიდრ
არს მისთანა და იგი იტყვის პირით მისით, და
ვინ შემძლებელ არს ესრეთ განმირცებად
სიტყვათა წერილთასა!?”

თავი მომსოფლასა.

ლ ვითარება რბილდა ნეტარი ანდრი ჩეგ-
ულებისმებრ თეისისა, შეემთხვია ჭაბუკა ვისმე
დიაკონს, და, რადამს მიეახლი, ჰერა წინ ხელითა
ფოცხლად ყვრიმალსა მისსა და ჰრქვა: „ესრეთ შევინება
სულსა შენსა? არი კმა გეყო, რომელ ისიდავ?
არამედ იქმ მრუშებასაცა და შეხვალ პორტუად
თვისთა შენთა თანა!?” ეფუცავ ღმერთსა, უკეთე არი
განეშორო საქმესა მიგის, მოგოვლინო ცხრო (ციგბ-
ცხელება,) რომელი გახურებდეს და გაძრწოლებდეს
სამ-წელ და გერ განთავისუფლდე, “ და წარვიდა მყრს.
შოლო დიაკონი იგი განპკვირდა—სულითა ცნო-
ბასა მისსა ზედა. რამეთუ ექმნა ცოდვა იგი მას ლამე-
სა შინა. და მიერითვან იწყო სინანულად დაუტევა
პირველი იგი უწესოებად. იმარჩავნ და ილოცავნ და
ვევდრებინ ღმერთსა, პირველთა შეთ ბრალთა
მისთათვის.

თავი მომსოფლასა.

წოლო წმიდა იგი წარვიდა ბჟეთა ზედა ვისმე მდიდ-
რისათა და იწყო როკვად. და იყო დღესასაწაული

წმიდისა მოწიმისა თვეირსოსი (14-ქრისტეშობისთვე), და იხილა კაცი ვინმე, რომელი მოვიდოდა კრებულისა, მისგან. და ეითარცა განიცადა წმიდამან და იხილა, რა-მეთუ დაბეჭდულ იყო პირი მისი და ფრიად უშ-ვერ, და ეშმაკი წინა და უკანა უვიდოდა, შევნი და საძაგელნი ხილვითა. და რომელნიმე შივიდიან, ხელთა იტყველვიდეს და განსცხრებოდეს გარემოს მისსა. ხოლო ნეტარი, ვითარცა ხელვიდა ამას, მწერალე იყო და გულის-ჩხა-ჭყო, რამეთუ აღსასრული კაცისა მის მოახლებულ არს და სული მისი წარვალს სატანჯველად. რამეთუ სოყრმით მისითვან ბოროტ საქმეთა შეყოფილ იყო: მეძომასა და მემრუშეობასა და ეკლესიასა არაოდეს შევიდის ლოცვად, გინა ზიარებად,—და კოველი მონაგები მისი მეძოვთა და მემლერეთა თანა წარეგო.

ხოლო ანდრია შეუდგა უკანით კერძო, რათა იხილოს სახლი მისი, და ვითარცა ისწავე ადგილი იგი, მოვიდა ხვალისა დღესა, რათა სკნას, თუ რა შეემთხვევა საწყალობელსა მას კაცსა. და შევიდა სახლ-სა მას, ჰპოვა უბალრუკი იგი კაცი სულთ-ბრძოლისა შინა და ტანჯვასა საზარელსა და უშეერსა. რამეთუ, ვითარცა იყო განსლება სულისა მისისა ხორცოვან, ზრახავნ და არა იცის, რასა იტყვეინ. და ჰგონებდა, რამეთუ ეშმაკი იქმოდესვე (ათქმევეინებდნენ) კოველსა მას სიტყვასა, რომელსა ხელვიდა წმიდა იგი. რამეთუ ხელვიდა კვალად, თაგვი შევიდის პირ-სა მისსა, გამოვიდის და ჰყეფავნ ძალლებრ და კუვირინ ლორებრ. ლმუინ, ვითარცა მგელი, და, ვითარცა

გველი, ისტვენნ. ტევანს ცოფნა იყო სრულიად ტექსტის
საჩვენებელ ყოფელია. და ესრუთ საწყალობელიად
აღესრულია. ვითარება იხილა ესე წმიდამინ ინდრიიშ,
ჰეითხვიდა ანგელოსსა მას, რომელი იყო მისთინა,
ვითარმედ „რაა არიან ცოდვანი უბალრუკისა ამის
კაცისანი, რომელ ესე ბოროტად აღესრულა?“

მიუგო ანგელოსმან: — პირველი არს მრუშება,
მეორე სიძვა, მამათ-მავლობა, ანგარება, უწყალოება,
პრაცებლობა, რისხვა, შერი, ძვირის-ზრახვა,
უდებება, ზაკვა, ვინება და სხვანი ყოველნი ბოროტ-
ნი საქმენი. და იმასთანა, დაბეჭდულ არს იღუარებ-
ლობა ცოდვათა, რომელი დამბეჭდველ ექმნა პირსა
მისსა. რამეთუ რომელმან არა აღიარნეს ცოდვის
თვისნი, დაბეჭდავს პირსა მისსა ეშმაკი და წარვალს
ბნელსა მას გარესარელსა.

და ვითარება დაფულეს გვაში მის საწყალობელისა,
მოვიდეს ნუგეშინის-ცემად მეუღლისა მისისა და
ჰეითხვიდეს, თუ „ვითარი იყო ცხოვრება მისი?“ ტე
იტყოდა მეუღლე მისი და თქვა: — მე რადგვან (რაც ხა-
ნი) შევეყავ მას, არა მიხილავს წარსლვა მისი ეკლე-
სიად, არამედ დღე და დამე ეშმაკთა უდგებინ სიძვად,
და მრუშებად, და მოტრალობად, და ყოველსავე
ბოროტსა მოსწრავედ აღასრულებნ. და ოდეს
მოვიდის შინა, მტანჯავნ მე და მგვემნ. გუშინდელსა
მწუხასა მოვიდა და დაწვა ჩემთანა. ხოლო მე ვუთ-
ხრობდი და ვეტყოდი სულისა ცხოვრებისათვის,
„ვიღიღებდის იქმ საქმეთა ბოროტა? სიკვდილი
მარადის თანა უდგა კაცა! დღესა, ანუ ხვა-

ლე . მოესწყდებით და ვინ გვიხსნეს ჩეკ
სატანჯველისა მისგან საშინელისა? გხედავ,
რამეთუ ორცა ეკლესიად მიხვალ, ორცა
გლოხაჟოთვის იღვწი, და კეთილსა ყოვლად
არას იქმ, არამედ მარადის ზაკვასა და ტყუილსა
იწვროთი: ორკა თდენ ხორცისა და სისხლისა ქრისტე-
სა ეზიარები! იხილე თუ რასა ინივთებ სულისა
შენისათვის! ? და სიკედილისა გამი უცნაური არს: ორცა
სიქაბუქესა პრიდებს, ორცა სიბერებს, ორამედ ყოველ-
სა სწორებით წარიტაცებს! და მეშინის შენთვის, ნუ
უკვე სასჯელად მიხვიდე, რამეთუ ყოველნი დღენი
შენნი ძვირთა საქმეთა შინა წარგივლიან! აწ
მცირენი ესე დღენი სინანულითა და კეთილითა
ცხოვრებითა აღასრულენ! ” და ესე რა ესმა ჩემგან,
მრკვა,— რად ვქუთ აწ მე?

და მე ვარქვ: „მნებავს, რათა ხვალე
ზოგად (ერთად) წარვიდეთ ეკლესიისა წმიდისა
მოწამისა თვირსოსა, რამეთუ დღესისწაული მიხი-
არს და ვევეზრნეთ მას, რათა შუამდგომელ
გვექვნეს წენ წინაშე ღვთისა, და ეზიარო და იქ-
ნა ქრისტიანე და შიში ღვთისა გულად-ილო და
შეგენდვნეს ცოდვანი შენნი, რამეთუ სახიერ არს ტ-
ელის მოქცევასა შენსა.“ და ვითარცა განთენა,
წარვიყვანე ეკლესიასა წმიდისა მოწამისისა, და მე
ვიღოცხვდე, და იგი ჰემობდა ეკლესიისა, ტ ხატთა, ტ
ჯვართა, და ორცა თუ ჯვარი დაისახა გულისა. არა-
მედ დამოუშვნა ხელნი ტ, ვითარცა მოკიცხარი, მდგო-
მარე იყო. ხოლო მე ვითარცა აღვასრულე ლუ-

ვა ჩემი, მივიქეც მისხა და ვარქვ მას: „საწყალობელო! არა სლგი, ვითარუა ქვად უსულო? არუა ილოცავ, არუა ეველტები ღმერთის? დაღაცათუ ღვთის არღა გეშინის, კაციხა ვითარ აღარ ვრცხვენინ?“ მომიგო და მრჯვა მე: „ვის ვეველრო, ინუ ვისა მიმართ ვილოცო?“ ხოლო მე ვეტვენენ ხატნი წმიდათანი. და ვითარუა მიხედნა, მრჯვა მე: „არამედ რაი ძალ-უძს შეწევნად ჩემდა უსიტყვთა და უსულოთა?“ და სიტყვასა იმის ზედა განვიდა ეკლესიით და ვიდოდა. ხოლო მე შემიძყრა შიშმან და ვეველრებოდი წმიდათა, რათა არა შეურაცხონ (ჩაუთვალონ) ცოდვად უგუნურებად მისი. და ვითარუა ვილოცევდ, დამეცა ვანკვირვება ხატისა გამო წმიდისა მოწამისა: „მე შევუნდო და არა შეერისხო, არამედ ღმერთი მართლ-მსაჯულ არს და არა თავს-იდებს შეურაცხოფასა ქმნილთა მისთავან. ამისთვისუა ხვალე მწუხრ იხილო, რად წინა-უძს საწყალობელსა მას, და ვითარმედ ვერვინ შემძლებელ არს შეურაცხოფად ღვთისა და თვით შეურაცხი იქმნების წინაშე უფლისა და კაცთა. რამეთუ რაიცა ვინ პსთეხოს, იგიცა მოიმკოს, კეთილი გინა ბორიტი. შენ შემოხვედ, რათხ კეთილი შესძინე ქმარსა შენსა, ხოლო იგი განდგა სრულიად ღვთისაგან და შეეწყნიარა ეშმაქსა.“ ხოლო მე ვითარუა მესმა ხატისა მისგან, შიშითა შეპყრობილ ვიქმენ და ვსტიროდი მწარედ. და ვითარუა მოვედ სახლიად ჩემდა, ვაჰოვე იგი, რამეთუ განეხურვა და ფრიად საწყალობელიად კვნესოდა. და ვითარუა ვანთენა, თქვენცა უწყით საქმე მისი,

თუ ვითარითა სატანჯველითა განვიღა ცხოვერებისა
ამისგან: « მაშინ ყოველნი, რომელთა ესმა, შეიძ.
ურა შიშმან და თქვეს, * ქეშმარიტად ვერვინ შემ
ძლებელ არს ფრი მოკიცხვად უფლისა! » ესე
ყოველი რაი გვესმა დედაკაცისაგან, მიკეცით
დიღება ღმერთსა.

თავი მორისოცდათა.

(დედაკაცისათვის ლირისისა და წმიდისა).

3 იდიდა რა წმიდა ან დრიკა მახლობელიდ
სვეტსა მას, რომელი შექმნა დიდმან მეუღმან
კონსტანტინებ საშუალ ფოლორცა, რო არს სვეტ-
სამას ზედა კაცი, რომელსა უპყრიეს ხელთავაშლი. რ
ზედა მას ვაშლისა — არს ჯვარი, და თავსა ზედა მის
კაცისასა — არიან ქრისტეს სამსახვილნი, რომელნი შემ-
სჭივალნეს უხრწნელსა გვერდსა მისხა, რამეთუ პფარიეს
და სცავს ქალაქსა მას ყოველისა მანქანებისა ეშმაკ-
თასა. ამის სვეტისა ძირსა ჰსჯდა დედაკაცი ვინმე,
რომელსა ელოცა მუნ. და იხილა სულითა წმიდა
ანდრიათ, რაეამს იგი ჩბიოდა, რამეთუ, ვითარცა
სვეტი ნათლისა, სჩნდა და ბრწყინვიდა. ხოლო
ურმანი ქალაქისანი, ვითარცა ცოფსა, ჰსღევდეს
და სტანჯვიდეს. ხოლო წმიდა იგი ყოველსავე
ულმობელიდ მოითმენდა. და მრავალ-გზის ფრიად
პვერმიან მრავალ-სახედ, რომლისათვის ყოველთა
უკვირნ ტანჯვასა მას შინა მოთმინება მისი, და
იტყოდენ: „უფალო, ნუ გვიჩვენებ, ნუცა მტერთა
ჩეენთა ესე ვითართა ტანჯულსა. ” რამეთუ არა უწ-

ყოლება, რომელ მას ყოველსაც ქრისტიანთა თავის
იღებდეს! ჟ დასლგეს ეშმაკნი, ეითარუა შევნი ინდონი
გათთანა, და იტყოდეს: „უფალო ისმინდ ლოცვის
ამთხისა,“ ჟ სხვა ამისი მსგავსი: „ნულარმუა აღსდგების
ხდომად ჩვენდა, რომეთუ ფრიად სასტიკად მხდომ
არს ჩვენდა, და სიფიცხლისა მისისათვის ვერ
შემძლებელ იყო მსახურებად უფალთა თვისთა,—
და ამისთვის მოიგონა სალოსობა ესე და ემლერის
სოფელისა.“ და იმის ყოველსა ხედვიდა ლირსი ივი
დედაკაცი და ესმოდა. რაოდენიცა მიამოხვიან კაც-
თა მათ, პსწერდეს ეშმაკნი. ესმა კვალად დედაკაცი-
სა მას ხინისაგან ეშმაკთასა, რომელნი იტყოდეს:
„რამეთუ ესე არს ჩვენი ნუგეშინის ცემა, რომლითა-
ვირგებთ, რომეთუ, რომელნიცა მას სკემენ და
სტანჯვენ, იგინი სულსა თვისსა ავნებენ, ჩვენსა
ნებასა იქმან და ჩვენ შეგვეწევიან.“ ესმა რა ესე
წმიდასა ანდრიას, პრქვა ეშმაკთა მათ,—ნუ სწერთ
მაგის თქვენთანი, რამეთუ მე ვეღრებულ ვარ
უფლისადმი, რათა მტანჯველთა ჩემთა არა
შეერთის ცოდვად, რომელსა იქმენ ჩემ ზედა
და ეითარუა ესე სიტყვა აღასრულა მან ეშმაკთა
მიმირთ, ისიღა დედაკაცმან ცანი განსმულნი და
კაცი ერთი ბრწყინვალე გრძელი (მაღალი), პასაკითა,
მდგომარე ბქეთა ცისათა, და მიერ გამოვიდოდეს
ფრინველნი შვენიერნი და შორის მათსა ტრედი
ერთი სპეციაცი, რომელი მოვიდა ზედა ანდრიასა-
და დაჯდა თავსა მისსა. და მისცა რტო შვენიერი
ნერვოსაგან სამოთხისათა, სავსე სუნნელებითა,

რომლისა სუნნელებამან ოდავსო ყოველი იგი დღილი და პრქვა, „მიიღე ესე, რომელი მოგანიჭი, მეუფებან ყოველთამან“. და ტრედი იგი იყ ვითარცა თქრო წმინდა, და თვალი აქვნდეს მარგარიტისა სახენი, და თავსა მისსა ზედა—ჯვარი ყვავილისა შრავალ-ფერისა, და გარემოს მისა მფრინველნი იგი ხბობდეს ტკბილად და ხმა შვენიერად. რაეამს განიცადა ესე ყოველი დედაკაცმან, განკუკირდა და თქვა, „დიდება შენდა ლმერთო, ვითარნი დაფარულნი მონანი გისხენ ქეყანასა ზედა და არა უწყიან კაცთა!“ და ენება დედაკაცსა მას, რათამცა გამოაცხადა საქმე მისი და ვერ უძლო აღმოთქმად. შეემთხვევი დედაკაცსა მას წმიდა ანდრია სხვასა დღესა და პრქვა:— დედაკაცო, დაიცვი, რა იგი იხილე და ნუ ვის უთხრობ ცხოვრებისა ჩემსა. პრქვა დედაკაცმან მან: „წმიდაო ლვითისაო, ვერ შემძლებელ ვიქმენ ვისამე თხრობად, რამეთუ არა ძალ-მის. არამედ გვევეღრები, ლოცვა პყავ ჩემთვის უფლისა-მიმართ, რათა ვქმოვო შენდობა ბრალთა ჩემთა დღესა მას განკითხვისასა,“ და წარვიდა თვისსა საქმესა.

თავი მიოჩეოთდათხრობი.

(კვალად ეპიფანეს წინასწარ-მეტყველებისათვის).

ლირსი ეპიფანე ეველრა წმიდასა ანდრიას, რათა ითხოვოს მისთვის მაღლი ლვითისაგან წინასწარ-მცნობელობისა,— და იქმნა ეგრეთ. რამეთუ

მოცეა მას მაღლი ლოცვითა წმიდისა ინდრიასითა. და იხილის რა კაცი, სცნის მისთანა კეთილი, გინა ბოროტი. რამეთუ ისმენს ლმერთი თხოვახა მვედრებელთა მისთასა, ვითარცა წერილ არს:

„ნება მოშიშთა მისთა ჰყოს უფალმან და ლოცვინი მოშიშთა მისთანი ისმინნეს ჭაუბოვნეს იგინი. იყვნეს გლიახაკნი ვინმე მეუღლენი, მახლობელი სახლსა ეპიფანიესა და არა ესვა მათ წული—შვილი, არამედ რაოდენიცა ესვათ, ყოველნივე ქალნი იყვნენ. და იურვოდეს და ეველრებოდეს ლმერთსა შეისათვის წულისა (ვაეგისა) დღესა ერთსა წარმოვლიდა ეპიფანე მახლობელი მის დედაკაცისა. ხოლო (დედაკაცი) იგი აღსდგა და თაყვანის-სცა. პრეზა მას ეპიფანე: „ვიხაროდენ დედაკაცო! რამეთუ წული—(შვილი) ვიტვირთავს მუცელსა შენსა, და სახელი მისი ეწოდოს ბასილი.“ ხოლო დედაკაცი იგი აღიგხო სიხარულითა და სთვა:—დადება ლმერთსა, იყავნ სიტყვისაებრ შენისა, წმიდაო ლვთისაო! და ვითარცა მოიწიო ეამი შობისა, შვა დედაკაცმან ყრმა წული. და ოდეს ნათელ-სცეს, მიმქმედ ექნა ეპიფანე და უწოდეს სახელი მისი ბასილ.

კვალი-დ იყო ეპიფანე სახლსა ვისმე მეგობრისა მისისა, ხოლო ცოლი მისი იყო მიღვომილ და ივეემებოდა ფრიალ და ვერ შვა. მაშინ შეუკრდა დედაკაცი იგი ჭ ეტყოდა: „შემიწყალე მე, მონაო ლვთისაო, და ლოცვა ჰყავ ჩემთვის!

შრევა მის ეპიფანე:—წარვედ მშვიდომინი,
დედაკაც და ნუ გეშინინ, რამეთუ ღმერთი აჩს
შენთანა! ამა ეპისკოპოსი გიტვირთავს მუცელსა
შენსა და შეა მშვიდობით. და განსწავლო მშვიდო-
ბით სიბრძნესა და ლირს იქმნას იგი პატივსა ეპის-
კოპოზისასა მიღებად!

ძვალად სხვასა ეამსა სჯდა იგი წინაშე ბჟეთა სახ-
ლისა თვისისათა. იხილა ჭაბუკი ვინმე შეენიერი, რო-
მელი წარვლილდა. და იხილა მის ზედა წერილი, ვითორ-
მედ „შემდგომად სამისა დღისა აღესრულების.“ და
ეპურათ კაცთა ვიეთმე მანგალი და ელოდეს აღსრუ-
ლებად სამთა მათ დღეთა, რათა მოჰკეეთონ იგი და
აღილონ სული მისი. იხილა რა ესე ეპიფანემ, ცრებ-
ლეოდა ფრიად და შრევა მას: „იხილე, ძმაო, რამეთუ
შემდგომად სამისა დღისა განხვალ სოფლით.
წარვედ და აღიარენ ბრალნი შენნი და ცოდვანია-
და შემდგომად სამისა დღისა აღესრულა ჭაბუკი
იგი. ესე ვითარი მაღლი მოეცა ეპიფანეს მაღლითა
და ველრებითა წმიდისა ანდრიასითა წინასწარ-ცნობათა
და სასწაულთასა!

თავი მიოჩეოდათოდერ.

(ბრძოლისათვის ეშმაკისა ეპიფანეს მიმართ).

ქლილო შური ეშმაკმან ეპიფანესთვის, რათამუ
განხერწნას სიწმიდე მისი. რამეთუ ხელვადა
კეთილთა მათ საქმეთა მისთა და მაღლითა, რომელი
მონიკებულ იყო მისდა წინასწარ-ცნობისა. და მივ-

ლინნა მთავარმან ბოროტმან და უკეთურმან მსახურა-
ნი იგი თვისწინი. და მიაჩოვეს მას ბრძოლა სიციხეს და
უკაურვეს ფრიად. და ვითარ ვერლარა თავს-იდვა,
ალსდვა და წარვიდა ძიებად ანდრიასა. პპოვა იგი
და მიუთხრა მას ყოველი.

ხოლო მონაბინ ქრისტესმან პრეზე: „იხილე,
ჟილო ეპიფანე, ვითარი მადლი მოგანიქა შენ
მეუფემან—ლაფარულთა ცნობისა? ხოლო, სცნა
რა ეშმაქმან ესე ვითარი მადლი შენ შორის,
და შენ აღზვავენ მას ზედა, ამისთვის მოუშეა
შენ ზედა ლმერიმან, რათა დამდაბლდე და შერაცხო
თავი შენი, ვითარუა არა რამ. რამეთუ უკე-
თუ არა შეგვეწიოს ლმერთი, ვერას შემძლებელ ვართ
და არცა რაი ძალა-გვიძს ბრძოლად მისსა (ეშმაკისა).
რამეთუ, ყოველი ძალი ჩვენი ლეთისა-მიერ არს.
აწ უკვე წარვედ ეკლესიასა წმიდისა მოწამისა
აკაკისა და პპოვთ მუნ ხუცესი ეკლესიისა.
და რაეამს ილისრულოს ეძმის წირვად, წარვალს
სახიდ თვისისად. და ნუ მიხვეალ მისსა ოჩგულებით,
არამედ მდაბლად და შემუსრვილებით. ხოლო
ესეცა უწყოდე, რამეთუ ხუცესი იგი ულის არს
და არა წმიდა, და არა გარდამოვალს სამწყებოსა მისსა
ზედა სული წმიდა,—რამეთუ ასწავებს მათ ბოროტ-
სა. მივედ მისსა და დღუარე ბრალი შენი და
აჩქვ, თუ ვითარ გბრძავს ეშმაკი, და მან მოგითხნეს
და აღვიარნეს ბრალნი და ცოდვანი თვისწინი, და
მანცა პპოვოს მოტევება და შენცა განისვენო
ბრძოლისაგან,—და აღესრულოს სიტყვა იგი უფ-

ლისა შენ-მიერ, „მოვიდეს მთავარი იყი აშის
სოფლისა და ჩემთანა ბრალი არა რად მპოვოს.“
და კვალად იტყვის წინასწარ-მეტყველი: „იძოს
ცოდვა მისი და არა იპოვოს.“ რამეთუ, რაგამს
აღვესრულებოდეთ, მოვილს მთავარი იყი ეშმაქთა
და ეძიებს საქმეთა და ცოდვათა წვენთა, და რაგამს
კვოვოს კაცი უნანელი, მიიღებს მთავრობისა
მას ზედა, რამეთუ ხელი უფლისა მცველ არს
კაცისა. და ეგოს რა მოუქცეველად და უნანელად,
აღიღებს ღმერთი მისგან საფარველისა და შეწივ-
ნასა მას მისსა და მაშინ უფლებს (მას ზედა) ეშმაკი. ნე-
ტარ არს კაცი იყი, რომელმან გულის-ხმა-ჰყუს შიში
ღვთისა და მოელოდეს განკრძალულად დღესა მას
მეორედ მოსელისა მისისისა. რამეთუ მარალის გვი-
ლირს მოსსენება, შეიღო, დღისა მის! ნეტარ არს
კაცი იყი, თდეს მოვიდეს მთავრი იყი აშის სოფ-
ლისა და მისთანა კვავოს არა რად ბრალი და
ვერა რაი ირგოს მან კაცისა მისგან,—არამედ ანკე-
ლოსმან წარიყვანოს იყი სუსევასა საუკუნესა!“

თავი მიორისოდა მით.

ჭვირია კენესა ცისკარისა წარმავლიდა კაცი ვინშე
შერაცხილთავანი (წარჩინებულ-მიჩნეული) და მოვი-
დოდა პალატად. შეემთხვიო მას წმიდა ინდრია
და განიცადა.—მერმე ჰრევა: „საწყალობელო, რად
შეაგინე ღამე ესე წმიდა ქრისტეს აღდგომისა
და არა შეიშინე მისგან? რამეთუ უფელთა

კრისტიანეთი ულირს კრძალულიდ დაცუა მისი. და აწ ბაყლიანითი (ჩირქიანი, უწმილური) გვამითა მიხვდო და შეაგინებ პალატსაცა!“ ბოლო კაცი იგი განჯევირდა, რამეთუ ღიამესა მას დაცუმულ იყო უცხოსათანა დედავაცისა. და უთხრობდა მოყვასთა თვისთა, ვითარმედ რაიცა მექმნა წუხელ, მომითხრია მე იმან სალოსმან. მიერითგან შევიდა გულსა მისსა სარწმუნოება წმილისა მიმართ და გულის-ზმა-ჰყო, ვითარმედ ცნობა ესე ღვთისა-მიერ იქვე. პკითხა ნეტარსა ანდრიას ეპიფანემ,—რაი იყო ცოომა კაცისა მის, რომელ ესე იმხილე ერსა შორის? პრეზე მას წმიდამან: „შვილო ჩემო! მე, პირველ ცისკრის დარეკისა, ვიზილე დედავაცი ვინმე, ვითარ-ცა დედოფალი (მორთული მდიდართა მდიდრის ცო-ლი) შემოსილი დიდებითა და მაგას კაცსა მოპყვებოდა, ამრალებდა და ეტუოდა: „სიძვის მუყვარეო, არა კა გეყოთ სრული შეიდეული ერთი? არამედ მოხველ განხერწნად ჩემდა კვირა-ძალსა იმას? უწყის მეუფემან ჩემმან, ვერდარა პქმნე კვალიდ! და უკეთუ იყადრო არღარა გაუფლო ცხოვრებად!“ და მე, შვილო ჩემო, შემეწყალა კაცი იკი და ვამხილე, —ნუ უკვე (ეგება) გინეყენოს ბოროტსა მას საქმესა და შეინა-ნოს, რამეთუ ღმერთი მოწყვალე არს!

თავი მარტოცდათოთათვე.

(სულისათვის კაცისა).

პკითხა ეპიფანემ ანდრიას და პრეზე: — გევედრე-ბი, მიმო, რათა მაუწყო, თუ რაი არს სული კაცისა?

ლალაცა თუ ვიცი, მცირედ, არამედ არა ეგრე, ვითარება
სიწმიდეზან შენმან!

მიუგო წმიდა ანდრიაშ: „შვილო! ქსრებ
გულის-ხმა-ჸყავ, რამეთუ სული—უფალი არს ხორ-
ცთა და ნაწევართა ძილსა შინა სულისასა. და
რაეამს განეშოროს სული ხორცოვან, ხორცი
ესე დაშთნენ, ვითარცა თიხანი უხმარნი.“

პრექა ეპიფანემ—ვეწყი ეგე ზეცა, წმიდათ
შემთხო! არამედ გკითხავ, თუ ვითარი სახე აქვს და
ანუ ვითარსა მსგავსებასა მიიღებს, რაეამს განეშო-
როს ხორცოვან, ანუ ვითარ იცნობების მართლი-
სა სული, ანუ ცოდვილისა სული, ამისი მნებავს
უწყება?

მიუგო წმიდამან ანდრია: „სახე სულისა არს,
შვილო, სატვირთავად—სუმბუქი და ბრძენი, უნივორ,
გონიერი, ყუდრო, ტკბილი, მშეიდი, შეენიერი
და წმიდა, და პსურის მას ხილვად და ყოფად
ანგელოზთა თანა. რამეთუ პირველ, რაეამს ნოთელს
იღოს კაცმან, არს განბრწყინვებულ, ვითარცა
მზის თვალი; და რაეამს აღორძინდებოდის, ვითა-
რითაცა სახითა მოქალაქობდეს, მითცა სახითა
შეიმოსების სული იგი კაცისა მის. რამეთუ უკეთუ
კეთილად წარვლნეს დღენი თვისნი, განბრწყინდე-
ბის, ვითარცა მზე, სული კაცისა მის, და განსპერა-
ნების, და, უკეთუ ბოროტად წარვლნეს დღენი
თვისნი, სული მისი უშვერ და შევ იქმნების. და
სული მართალთა, რომელიმე ბრწყინვეს, ვითარცა
მზე, და რომელნიმე, ვითარცა მთოვარე, და რომელ-

ნიმე, ვითარცა ნათელი, რომელნიმე, ვითარცა
ელვა და რომელნიმე, ვითარცა ოქტო. რამეთუ,
ვითარცა ვინ ისწრაფოს საქმისა კეთილისა მოვე-
ბაღ, ეგრედ სახელცა სული მისი მიიღებს ფეხსა
და შეენიერებასა. და რომელნი უდებ იქნება,
ეგრეთვე დააბნელებს, ვითარცა რეინა შავი და
ცივი. რაეამს შევიდეს იგი ცეცხლსა, განხურდების
და ნაბერწყალი გამოეცემის,—ეგრეთ სახედ არს
სული. რამეთუ ჩვენ ვართ, ვითარცა რეინანი შავ-
ნი. და უკეთუ შევუდგეთ სიწმიდესა, ლოკებასა,
მღვიძარებასა, მოწყალებასა, სიმღაბლესა და განვა-
ზურვოთ (იღვაურთოვანოთიგი) სული თეისი, იქნ ას
იგი, ვითარცა შენთი ბრწყინვალე. და აცხავნოს იგი,
რამეთუ დასაბამსა შექმნა ლმერთმან კაცი თიხისაგან ჭ
შთაბერა მას სული ცხოველი. და იქმნა კაცი სულად
ცხოველად და ბრწყინვიდა, ვითარცა მზე. ხო-
ლო, რაეამს ეუფლა ცოდვა, და განმრავლდა, მიე-
რიდებან იწყო სულმან კაცისამან დაბნელებად.
რამეთუ კაცი, დაცემული ცოდვათა-მიერ, მსგავს არს
ლორისა, რომელი იწუნპებოდეს მწვირესა მყრალსა.
და რაეამს განვიდის იგი ხორცთაგან, მსგავს
არს იგი გონჯისა, სავსესა მღიერითა (საშინელი მუ-
ნი). და სული ძეირის-მოხსენისა—საშინელ
არს.

და განიკითხოს კაცად-კაცადი და წირივ-
ლინეს საღვურთა საუკუნეთა:—კეთილის მომ-
ქმედნი და მართალნი—შვებასა და განსვენებასა
დაუსრულებელსა, ხოლო ბოროტის მომქმედნი და

კოდვილნი—საუკუნესა პნელსა და ცეცხლსა უკ-
რეტსა. კვალადცა ხორცი შეიცვალებიან და ჰუთ
განუხრწნელად სატანჯველისათვის, ვითარცა იტყის
წმიდა იგი გრიგორი, ვითარმცდ „აღსასრული საუკუ-
ნოსა მის მოსაგებელისა არღარა არს, არცა კეთილი-
სა და არცა ბოროტისა უკუნითი უკუნისამდე.“

თავი ვითქმით და თხოვთ მი.

(ანგელოზისათვის).

ჭერთხა . ეპიფანემ ანდრიას:— მაუწყე, მამო,
ანგელოზთათვის, თუ ვითარ მოვლიან და განავე-
ბენ ქვეყანასა!?

პრქვა ნეტარმან: „ანგელოსნი ქართანი და
ელვისანი, ტოველისანი, თუ თრთვილისა ზამთრი-
სანი და პატიანისანი, და ვამგებელნი ქვეყანისანი, რამე-
თუ, ვითარცა არიან ხორციელნი ქვეყანისა სახმარნი,
ეგრეთე ზეცათა შინა უხორცონი თითო სა-
ხედ.“

ჭერთხა ეპიფანემ,— ყოველნი მხედრობანი
ზეცისა ძალთანი ერთითა სახითა არიან, თუ განყო-
ფილ არიან, ვითარცა ხორციელნი?

მიუგო ნეტარმან: „უკეთუმცა ერთ-სახედ დაბა-
და, არა რა შეუძლებელ იყო მის-მიერ დაბადებამ,
არამედ ესრეთ სახედ დაპბადა, ვითარცა ხორციელნი
და განაწყვნა დასაღ-დასაღ. ხოლო ესევე უწყოდე,
შველო, ხილვა ქვეყანისა და სახე კაცისა არს
შვენიერ, რაიცა დაბადა ლმერითმან. ამისთვის

თვით თავადმან ხორცი კაცობრივნი შეისხნა
ქალწულისაგან და განაშვენა იგინი, ხოლო ძაღლი
ზეცისანი ჰაერისაგან შექმნა და არიან შევნიერ
წმიდანი სერაბინ-ქერაბინნი, საყდარნი, უფლებანი,
ხელმწიფებანი და ძაღლი, მთავრობანი, მთავარ-ან-
გელოზნი და ანგელოზნი, და უოველნი მხედრობანი,
უხორცონი ანგელოზთანი. ხოლო სამოელ თვი-
სითა უკეთურებითა იქმნა ეშმაკ და გარდამოვარ-
და ზეცით. არამედ სიტყვა იგი, რომელი გესმეს
მისთვის, თუ აღამს არა თაყვანი-სცაო, და მის-
თვის გარდამოვარდათ ზეცით, ნუ გრწამს! — არა
არს ესრეთ, არამედ აღიდო შური დიდებისათვის
ლეთისა და განიზრახა შორის გუნდისა თვისისა
განდგომილება და სთქვა: „დავიდგა ლრუბელთა
ზედა საყდარი ჩემი და ვიყო მე მსგავს მაღლისა და
ვსულევდე, ვითარცა იგი. და რაეამს გულსა მოიგონა ესე
ვითარი, მეყუსეულად გარდამოსთხია იგი (ლმერომან)
განმზრახთა მისთა თანა, და იქმნეს უოველნი ეშმაკ. რა-
მეთუ ოდესმე იყო სამოელ დიდი ანგელოზთა მთავარი
და ეწოდებოდა სახელი ეოსტროს. და ვითარცა გარ-
დამოვარდა მსახურთა მისთათანა, მიერიდგან სახელი
ეწოდა ეშმაკი და სატანა. ხოლო ზეცისა განწყო-
ბილნი ათორმეტნი დასნი, რიცხვით თუ რაზომი არს
დასი, ვინ შემძლებელ არს ალთლვალ? რამეთუ
მიუწოდეს და უთვალივ არიან, ვითარცა ეამსა
ვნებისისა პრექა მხოლოდ-შობილმან პეტრეს,
თავსა მოციქულთასა, ვითარმედ „არა უწყი პეტრე,
რამეთუ მყვანან ათორმეტნი დასნი ზეცისა განწყო-

ბილთანი, რათამცა ვსძლიერ? არამედ ვსულ-ვგრძელობ,
რათა წერილი აღესრულოს.* და რომელნი იყი
ვარდამოცვივეს ზეცით, დასი მეთობმეტეა, მათსა
აღვილსა აღავსებს რიცხვისაგან მართალთასა, რა-
თა მიწისაგანმან დაიმკვიდროს აღვილი იყი ზეცი-
სა, და ესე არა თუ ღირსებისათვის კაცისა, არამედ
ვარდამატებულითა სახირებითა ლეთისათა.

თავი ვეორეოდათემზე 8000.

(ქავერის შესაქმისათვის და აღსასრულისა).

ქმისა შემდგომად უპყრი ხელი ეპიფანებ
ნეტარისა ანდრიას და წირიყვანა ეკლესიასა წმიდისა
ოლათონიერსა, და დასხდეს მუნ აღვილსა ფარულსა.
და იწყო ეპიფანებ კოხვევად მისსა და პრექვა:—ამის
კოვლისათანა მაუწყე, მამაო პატიოსენო, პირველ
კოვლისა შესაქმისა, რაა შექმნა ლმერთმან უწინა-
რეს?

მიუგო წმიდამან: „ესე უწყოდე, შვილო, კოვ-
ლისა უპირატესად, რამეთუ ლმერთი დაუსაბამო
არს, ვითარცა იტყვის ითანე, ძე ქუხილისა:
„პირველიდგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო
ლეთისათანა და ლმერთი იყო სიტყვა იგი,“ ხოლო
დასაბამსა არა რა იყო ქმნულთაგანი, ვარნა ლმერ-
თი მხოლო, საშებით დიდებული მამა, ძე, და სუ-
ლი წმიდა, და დუშილი იყო და მყულროებაა.
მერჩე ვანიზრახა შესაქმე ქვეყანისა, რომელსა ესე
ვხედავთ. და ნისლი, და პაერი, და ლრუბელი, ვი-

თარკა იტყვის წმიდა ვასილი ექვსთა დღეთა
თარგმანებასა შონა, ყოველივე ესე ხილულნი ნაყოფ-
ნი, და ხენი და მცენარენი ქვეყანისა, და უოველი
იძრისი (მოძრავი) და მეტმე მნათობნი, და ყოველი ესე
ხილულნი და უხილავნი ვითარკა გვასწივებს პავლე,
ვითარმედ „მის-მიერ დაებალნეს უოველი ხილულ-
ნი და უხილავნი, გინა თუ საყდარნი, გინა თუ
უფლებინი, გინა თუ სერაბინ-ქერაბინნი და უოველ-
ნი მხედრობანი ზეციხენი,“ პირველიდგანვე დაებალ-
ნეს, რამეთუ მან პსთქვა და იქმნეს, თავალმა
ბრძანა და დაებალნეს. რამეთუ სიტყვამან ლვთი-
სამან, პირველ საუკუნეთა მამისა და სულისათანა
მყოფმან, შექმნა ყოველივე და უკანასკნელთა
ეძმთა ჩვენისა ცხოვრებისათვის ჯერ იჩინა შესლვა
საშოსა ქალწულისასა. და ვითარკა კაცი ლიტონი
იხილვა ქვეყანასა ზედა.“

პეტება ეპიფანემ:—მოკლედ მითხარ მე, რო ძა-
ლი აქვს სოფელსა ამას, ვითარკა იტყვის წინას-
წარ-მეტყველი: „წელიწალთა მისთა არა მოაკლ-
დეს, რომელი განუწესნა ლმერთმან პირველიდგან
და რომელნი არიან მას ზედა?“

მიუვო წმიდამან: „არკა მზესა, არკა
მთოვარესა, არკა ვარსკვლავთა, არკა წეიმასა,
არკა ქარსა არა მოაკლდების, არამედ ყოველნი
ესე იმსახურებიან და წესისაებრ მათისა მონებენ
კაცთა სახმარსა, ვითარკა ებრძანა მათ, მოუკლებე-
ლად რვა ათასსა მას წელსა. და არს ჭამო ფრიად
სოფელი ესე, გარნა მოყვარეთა თევისთავე, ხოლო

შეეწევის ლეთის მოყვარეთაცა საქმესა კეთილი-
სასა, რათა კეთილად და სიბრძნით განვევონ იგი.
რაეგამს აღამ დაიბადა ლეთისა-მისრ პირველსა წელსა
მერცე ათასისა, მისცნა ანგელოზი შცველად. და
აწ ყოველსა კაცსა ქრისტიანეთა ანგელოსი ჰყაუ
შცველად, ხოლო წარმართთა ყოველთა ნათესავთა
თოთო, რათა უძლოდეს აღსასრულადმდე სოფლისა.
ხოლო რაეგამს იღესრულნენ რვა ათასი წელი,
მოველენს ლმერთი სულსა საშინელსა ქვეყანასა
ზედა. და შეირყევის ქვეყანა და ყოველნი კაცნი
განახლდებიან. რამეთუ სული იგი ყოველთა ნას-
ხამთა შესძერწავს ერთად. და დაეცეს საყვირსა, და
ყოველნი იგი მკვდარნი ჰალსლგენ დაუკლებელად
საქმითა მათითა კეთილითა, გინა ბოროტითა.
და მას ეამსა გარდამოხდეს მსაჯული, არამედ
გარდამატებულითა მოწყალებითა მისითა. რამეთუ,
ვინაზღან ლეთაებისა მისსა თანა შეეზევა კაცები
და საყდართა დასვე მარჯვენით მამისა, რაიღა
იქვიმუა იყო ანგელოზთათანა წმიდათა მოდასე
ყოფილი? არამედ კეშმარიტ არს და მტკიცე სიტყვა
ესე, რათა სამოელის საღვური პირველი დამზ-
კვიდრონ კაცთა ცათა შინა.“

ჰეითხა ეპითანემ: — მესამედ რად დაბადა ლმერთ-
მან შესაქმესა შინა?

მიუგო ანდრიამ: „მესამედ დაბადა ქვესკე-
ლი ბნელი — საყოფელი სამოელისი, წყაროები და
მდინარენი, ცეცხლი და ნისლი. დასაბამსა მხოლოდ
ოდენ სული ლეთისა იქცეოდა ზედა წყალთა.

ესე სახელ იქცეოდა სული ღვთისა, ვითარუა ქარი და
სამშვინველი (ნიავი მაცხოველებელი). და ალავსებლა
წყალთა მათ ნაშობითა წყლიერთათა. ვითარუა სახელ
ფრინველნი რამ ატოობნ მართვეთა, ეგრეთ სახელ
მისცემდა მათ ცხოვრებასა და კეთილად განავებდა.²

პეითხა ეპიფანებ—რამ არს თარგმანი სამებისა
წმიდისა, ანუ ვითარ სახელ ვირწმუნოთ მამა, აյ და
სული წმიდა?

მიუგო წმიდამან: „იხილედა (ჯერ) იღმენებუ-
ლება კაცისა,— და მერმე გეუწყოს. ბუნება კაცისა
არს უხილავი—მამა,— და სიტყვა კაცისა, საცნა-
ური და ცხადი, არს მსგავსი ძისა; და სული
კაცისა, უხილავი, არს მსგავსი სულისა წმიდისა,
რომელსა აქვს მოგონება და სიტყვის გამოცხადება,
და გამოცხადებულისა აღსარებად, და მათ სამთავრებ-
ები ერთა იქმნების კაცი. და უკეთუ ამათ სამთა-
ვანი რომელიმე აკლდეს, არა არს იყი სრული კაცი.
და ესრეთ სახელვე არს ერთ-არსება სამებისა წმი-
დისა და შით სახით მსგავს არს ერთობა კაცისა
საფუძველითა გონებისათა და სიტყვითა. რამეთუ
სხვა არს განზრაბდა სულისა კაცისა და სხვა არს
გონებისა, და სხვა არს სიტყვისა. ხოლო სამნივე
ერთ არიან, და ერთ განზრაბდა, და ერთ ნება,
თვინიერ ხორცია. ერთსახედვე პპოვო ერთობად
სამებისა წმიდისა. სული ღვთისა, ბუნება მიმისა,
და სიტყვა—მხოლოდ-შობილი აე მისი. რამეთუ
ამათ სამთავრები სახეთა არს განგება და ღვთაება— და
არს გვამოვნებით სამი. ხოლო ღვთაებით ერთი და

იგი არს განუყოფელიცა და შეუჩენელი: მამა არა
იცვალების ძედ, ანუ სულად, არცა ძე სულად, ანუ
მამად, და არცა სული წმიდა მამად, ანუ ძედ,
არამედ ბუნება ერთ არს მამისა, და ძისა, და სულისა
წმიდისა: მამა არს მშობელი, ხოლო ძე არს შობი-
ლი და სული წმიდა არცა მშობელი და არცა
შობილი, არამედ მხოლოდ მამისევან გიმომავალი,
თანასწორი ხელმწიფებითა და სუფევითა.

ჰერთხა ეპიფანებ ინდრიას: — ნეტარო მამაო,
კაცთავანსა ვის უხილავს ლვთაება, ანუ მსგავს არს
კაცისა?

მოუგო წმიდამან: „ნუ იყოფინ! რამეთუ ლვთა-
ება არა ვის უხილავსა არცა არს კაცისა ხატი,
არცა ვის მგავს. ხოლო ვითარცა ენებოს და რომ-
ლითა ხატითა უნდეს, ეჩვენების წმიდათა. და უკე-
თუ ვისმე უხილავს, ვერეის განუცდია. არამედ
მცირედ რამე: რომელთამე სახედ განუდია,
ვითარცა კაცი, რომელთამე ვითარცა ინგელოსი და
სხვათა, ვითარცა ცეცხლი. რამეთუ, ვითარცა იტყვის
წინასწარ-მეტყველისა-მიერ: „ჩვენებით ძილსა შინა
განვეცხადო მონათა ჩემთაო.“ და კვალიად
იტყვის ითანე მახარებელი: „ღმერთი არა სადა
ვინმე იხილა, გარნა მხოლოდ-შობილმან ძემან.“
ხოლო სამებისა კაცებისთვის ხილვისა წმიდა
ვასილი იტყვის ექვსთასა დღეთა შინა, რამეთუ
სახლსა აბრამისა იხილვა ხატი კაცისა სამნი, ვითა-
რცა დასწერა მოსე წინასწარ-მეტყველი.“

ჰეითხა ეპიფანემ:— ეითარ უწოდებენ ქრისტესა
ღმერთად და კაცად, რამეთუ ღვთაება და კაცება
ერთი ძალი არს, და ერთი ღმერთი და კაცი?

მიუგო ნეტარმან: „იტყვის ითანებებელი, ეს
ქუხილისა: „სიტყვა ღვთისა განხორციელდა და
გვეზიარა ჩვენ და არა განეშორა ღვთაებასა თვისსა,
არამედ სიტყვა ღვთისა ხორც-შესხმულ იქმნა
ქალწულისა საშოსა შინა და შეიმოსა ბუნება
კაცობრივი და არა ოცალი ღვთაებისავან
და კოვლალვე ჰგიეს უკვალებელიდ სრული
ღვთაებითა და სრული კაცებითა. და ესე კაცო-
ბრივნი ხორცნი თვით მოწყალებითა ჩვენისა
სსნისათვის შეიმოსა, არა თუ მას რათა შეეძინა
ღვთაებასა შინა, არამედ კაცება ჩვენი ნაკლუ-
ლევანი იღიესო.

ჰეითხა ეპიფანემ:— ცა ესე, რომელსა ვხე-
დავთ, შხოლოდ ესე ოდენ არს, ანუ სხვაცა არს-
მას ზედა?

მიუგო წმიდამან ანდრია: „ვითარცა ვქსე-
დავთ ღრუბელსა ცასა ქვეშე მოწყველით
დამოკიდებულსა, ეგრეთ სახელ ამას ცასა ზედა
კერძო ჰეიდავს წყალი, ვითარცა იტყვის წინასწარ-
მეტყველი: „რომელმან გარდაათხნა ცანი, ვითარცა
კარავნი და დართნა წყლითა ზესკნელნი მისნი,
დასხნა ღრუბელი ალსივალიდ თვისა და იქცევის
ივი ფრთეთა ზედა ქართასა.“

ჰეითხა ეპიფანემ:— ცანი რავდენი არიან,
რამეთუ მოსე ერთსა ცასა გვითხრობს?

მიუგო ნეტარმანი:—მოსე წინასწარ-მეტყველ
ძველად ურიათა ეტყვის: „დასაბამად პქმნა ღმერთმან
ცა და ქვეყანა.“ ხოლო ნეტარი პავლე მოციქული,
ქადაგი იგი ახლისა მის მადლისი, ვკითხობს: „ვიცა
მე კაცი, რომელი აღიწია ვიდრე მესამე ცადმლე.“
ამ მოსე ერთი თქვა, ხოლო პავლე სამთა იტყვის;
ამ ვერწმუნოთ პავლეს სიტყვათა, რამეთუ უახლეს
ეჭმთა გვასწავებს, ხოლო მოსე მრავლისა ეჭმისა
იყო. და დავით იტყვის: „აქებდით მას ცანი
ცათანი.“ უწყოდე, ძმაო, რამეთუ მრავალ არიან
ცანი.

პეითხა ეპიფანემ:—ცათა ვუწყი, რამეთუ მას
შინა მხედრობანი არიან და საყდარნი ლეთისანი,
მხოლოდ მინებს ცნობად, ზედა კერძო მათსა რახ
არს, გევედრები რათა ესეცა მაუწყო.

მიუგო ნეტარმანი: „უწყის ღმერთმან, მძიმესა
და ღრმასა საქმესა იკითხავ, არამედ ისმინე ჩემი,
რომელი ყოველსა ძალსა ცათასა გარდაფენილ არს
და ყოველი შეუცავნ და ყოველსა გარემო არს.
ლეთაებად მისი, არს მამა, და დე მისი მხოლოდ-შობილი,
ჰ სული წმიდა, ჰ საყდარი საშინელი ლეთაებისა არს
სიმაღლესა მისსა, ჰ გარემოს მისსა ძალნი ცათანი და
ზედა შსდგას პაერნი პამო და ბრწყინვალე, ვითარ-
ცა შვენის ლეთაებისა, ჰ ვისაცა ენებოს ცნობად მი-
სი პაცრის სიშვენიერისა, განიწმინდენ გული თეისი
ყოველისავე ცოდვისაგან, რათა იხილოს იგი,
ვითარცა თვით ღმერთი იტყვის: „ნეტარ იყვნენ
წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.“

პეითხა ეპიფანემ: — შენ ერნა (საილგან) იტი ესე
ყოველი, რომელსა იტყვი?

მიუგო ნეტარმან: „რაეამს განუხვნეს ლმერთ-
გან კაცსა თვალნი გულისანი, მსწრაფლ მიიწევის
სილრმესა ცნობისასა.

პეითხა კვალად ეპიფანემ: — მაუწყე მე წვიმისათ-
გის — ვინა არს, ქვეყანით ამაღლდების, ანუ ზეცით
არს ცვარის გამომდებელი?

პრეზე ნეტარმან, „ვითარცა იტყვის უფა-
ლი, ვითარმედ „მშვილდი ჩემი გამოვაჩინო
შორის ჰაერია.“ ცის-სარტყელი ჩამოდგების
ზღვისა, ვინა მდინარესა, და ბრძანებითა
ლეთისათა აღივსების, ვითარცა თხიერი, წყალითა,
და ივი შთაასხამს ლრუბელთა შინა. რამეთუ
სიტყონი ივი ალვალს ჰაერია, და ქარნი შემოკ-
რებენ ლრუბელთა და მოსდგმენ ვარემოს ცის-სარ-
ტყელისა ლრუბელთა მათ, ვითარცა ზღვიდესა და
ივი შთაასხამს საშუალ წყალსა მას, და ლრუბელ-
ნი სიმატრისაგან ეცემიან ურთიერთარს და ვამო-
ვალს ქუხილი, და ესე პირველ მოახლებადმდე წყლისა
ლრუბელი ქუხს ხელად, ხოლო რაერმა მიეახლნენ
ლრუბელნი წყალსა და აღივსნენ სიპონგარნი, მიე-
რითვან იწყებს წვიმად, სადაცა ენებოს. და ვი-
თარცა დაიღიოს წყალი მის ადგილისა, ლრუბ-
ლითვან გამოსცემენ მერმე ქუხილსა წყალ-მოკლე-
ბულნი ივი ლრუბელნი, და სხვა ადგილი აღივსე-
ბის წყლითა, რამეთუ ადგილ-ადგილ დგას წყალთა
სიმრავლე და ქარი მძიფრი აღმოიღებს წყალთა

მათ და აცრევს, ვიღრემდის ყოველივე მოჩეკუნს, რომელიცა უფლისაგან ებრძანოს ანგელოზს მას, რომელი ამას ყოველსა განაგებს. და ოდესა თვინიერ ქუხილისა ცა წვიმს, რავაშს ინგბოს უფალმან, და მოავლინოს ანგელოსი იგი პატაგან და მრავალ-გზის ქუხს თვინიერ წვიმისაცა; ესე ყოველი ღვთისა განგებითა არს, ვითარუ სათნო იყოს წინაშე მისსა. ხოლო ცის-სარტყელი არს აღთქმისათვის, შეამდგომელი, ვითარუ „ტუკის მოსე წინასწარ-მეტყველი, რავაშს ნოეს აღუთქა“ და პრეზა: „ვითარმედ ხელვილენ კაცნი ცის-სარტყელისა. მაღალ არს მშვილდი ცისა, ნუ შეშინდებიან, დაქცევასა ქვეყანისასა არა მივლენ, რამეთუ მოვისხენებ აღთქმისა მას, რომელი დავსდევ შორის ჩემსა და შორის ქვეყანისა“.

პეტეა ეპიფანემ: — რასათვის უწოდა ითანებარობელისა მედ ქუხილისად?

მიუგო წმიდამან: „მოციქულთაგანმან არა ეინ იქადაგა ქსრეთ საკეირველიდ და ხმა-მაღლად ღვთაებისათვის, ვითარ ამან, ვითარმედ „პირველით-გან იყო სიტყვა“.

პეტეა ეპიფანემ: — რად არს ელვა, ანუ ვინად იქმნების იგი, ვინა თუ რომლისაგან გამოვალს იყი, ანუ რად სარგებელი მოგვეცემის მის-ზერ?

მიუგო ნეტარმან: „ლრწუბელი რომელი მოდგების, ვითარუ სვეტი ზღვისა ზედა და ტბას,

ვინა ალიღებს წყალსა მას ზედა ჰაერთა შინა და
 წარმოსთხევს მას და ალავსებს ალგილსა, რომელი
 განწესებულ არს საღვერად წყალთა ბრძანებითა
 მით ყოვლისა დამბადებელისათა. და რაეამს ალავსოს
 ალგილი იგი, თვით წარვალს ადგილსა თვისსა. წყალი
 იგი, რომელი არს ტბისაგან, არს მწარე და მარი-
 ლიანი და მისაღებელიად მწიკვლევანი; ხოლო ელ-
 ვა, რომელი ვამოვალს, წყალსა მას მწარესა და-
 წურავს და დაატებობს, და წურვისა მისსა იელვებს.
 ხოლო რაეამს ეგულვებოდის დატებობა იგი, მო-
 ვალს ანგელოზი უფლისა ჯვარითა პატიოსნითა
 და აკურთხებს წყალსა მას. ხოლო ელვა არს კი-
 და (სწრაფად-მქუცი) და ვითარება წამი თვეოლისა —
 შეწრაფულ მოვალს და შეწრაფულ მიეფარის. და
 არს იგი ლოთისაგან განგებულებითავე მიუწიდო-
 მელითა ქმნილი. და მრავალ-გზის უწეიმრად-
 ცა იელვებს და ვერ მისწვდების სიბრძნესა
 ღვთისასი. — ვითა მას უნდა, უქმნიან: ელვანიცა
 და ქუხილნი. ხოლო ხეენ, რაზომსა მიესწვდეთ,
 ვსოქვათ, და, რად ეიხილოთ, იგი ვირწმუნოთ.
 მან კულა ვითარ იცის, თვით მან უწყის, მხოლომან
 სამებამან. და ესე ვუწყოდეთ კვალიად, შვილო
 ჩემო, რამეთუ ესე, რომელ ფიცხელ-ფიცხელნი
 ქუხილნი იქმნებიან, მე ესე ვჰგონებ, ვითარმელ,
 რაეამს ქუხილნი იქმნენ ქარისაგან ძლიერისა, გა-
 ნიპყრენ (განიპენ) ლრუბელნი და იგინი ეცნენ

ურთიერთარს, მაშინ ხმა იგი კექისა ქარისაგან და-
ლრუბელთავან გამოვალს; ხოლო სხვანი მოძღვარნი
იტყვიან ელვისათვის, ვითარმედ — ალი იგი ცეცხ-
ლისა, რომელი პსლე ზედა ცასა, რომლისაგანცა
იღია ცეცხლი ზეცით გარდამოიღო, მისი ალი გარდა-
მოცემისთ და, ვაგონებ, თუ ეგრეთ არსო, და იგი
ცეცხლი დამტკიცებულ არს ზეცას, და მისი მან
იცის და უწყის მხოლომან ხამებამან. და ესეცა
უწყოდე კვალად, შვილო ჩემო, რამეთუ ესე,
რომელ ფიცხელნი ქუხილნი იქმნებიან, მე ესრეთ
ვგონებ, ვითარმედ იგი ცეცხლი ფრიად უმშურ-
ვალეს არს და მისგან იქმნებიან და მრავალ-
ნი სწამებენ. მისთვის. ხოლო, ვითარცა ზემო
ესთქუ, უაველი ღმერთმან მხოლომან უწყის,
ხოლო ჩვენ, ვითარცა კაცობრივ ესთქუთ, იგი
ვირწმუნოთ.

პეითხა ეპიფანემ: — რაც არს, მამო, პეშმა-
რიტი სიტყვა, რომელსა იტყვიან, ვითარმედ
იღია წინასწარ-მეტყველი არს ლრუბელთა ზედა
განმგე და ეტლთა მისგან გამოვალს ხმა
ქუხილისა, რამეთუ პსძლევს ვეშაპსაო?

მიუვო ნეტარმან ანდრია: „ნუ იყოფინ,
შვილო, ეგე ვითარნი, თუმცა ყოვლადვე, რა-
ცა იყო (თუმცა მუდამ აღრე სწამდათ, რაცა
იყო აქნომამდის), ეგე ვითარნი სიტყვანი
რამეთუ უმეტართა კაცთა არს სიტყვა მჩე, —
და გინა თუ მწვალებელთა, ანუ უსჯულთა.
და ყოვლადვე არა ჯერ-არს ქრისტიანეთა

ეგი ვითაროთა სიტყვათა ჩრდენებად. ჩამეთუ
ილია ცად არა აღსრულ არს, არამედ ფრიად
პატივ-ს უ ღმენოთმან პირველ აქაბ მეფისაზე,
და მისცა ხელმწიფება შავრთა ზედა ცეარისა
და სიხმელისა. და იწ, ოდესცა ვის ენებოს, ეველ-
როს, აქვს კადნიერება წინაშე ღვთისა, მიანიჭებს
თხოვასა მცედრებელთა მისთასა, გინა წვიმისათვის,
გინა სიხმელისათვის. ხოლო ცად არავინ აღსრულ
არს, გარნა ძე ღვთისა, მხოლოდ-შობილი, რო-
მელი იგი გარდამოხდა ზეცით და მოსცა ცხოვ-
რებად სოფელსა. ხოლო ესე ვეწყით ილიასთვის,
ვითარმედ ცხოველ არს ხორცითა, ხოლო ად
გილი არა ვინ უწყის, თუ სადა იყოფების. და
ეგრეთვე ითანე მახარებელი და ღვთის-მეტყველი
ხორცითა არს, არამედ ადგილი არავინ უწყის,
თუ სადა იყოფების და არცა ვინ ღირს არს
ჩვენ უღირსთავანი ხილვად მისსა, ხოლო მარ-
თალნი და წმიდანი კაცნი მრავალ-გზის იხილ-
ვენ. და ეგრეთვე ენუქ წინასწარ-მეტყველისა
ცოტხალ არს და იქცევის ერთა შორის და
ვერავინ სუნობს, თუ რომელი არს იგი? ჩამეთუ,
სამნი ესე, რომელნი ვახსენენ, ცოტხალ არიან,
ვიღრე მოსლვადმდე ქრისტესა ქვეყანად, და
მოსლვასა ანტესა, ესენი გამოჩნდებიან საცხა-
ლოდ ერსა შორის, და წინააღმდეგებიან, და ემრ-
ძეიან უკეთურსა მას, და სძლევენ უფელითავე სას-
წაულითა, და შემდგომად ამისა მოიკვლიან მის-მიერ.
ხოლო ვეშაპისათვის, რომელსა იტყვიან — თუ

არსო და ტეხისა-მიერ მოიკლვისო: მეტა ცაშიამება,
ვითარმედ ეგრეთ არს,—გარნა არა ილიას-მიერ
იტყვის, არამედ ანგელოსისა-მიერ, რომელი არს
დადგინებულ ღმრთისა-მიერ. და ვეშაპისათვის
იტყვიან მრავალნი, ვითარმედ არსო; იტყვის დავი-
თოცა წინასწარ-მეტყველი: „აქებდით უფალსა ქვე-
ყანით ვეშაპნი“, და ჰეშმარიტად არს იგი, ვი-
თარცა ბუდე ეშმაკისა, და ტყავი მისი არს
ბუნებით, ვითარცა გველისა, ხოლო ემსგავსების
ჰასაკისა კაცისასა. და რაეამს შევიდეს მუცელსა მისსა
ეშმაკი, განძვინდების და იქმნების, ვითარცა მთა დი-
დი, და ვითარცა კაცი ეშმაკეული, ეგრეთ ბორგი
და ვერლარა დაიდგამს ბუდესა თვისსა, არამედ
რონინებს ადგილითი-ადგილად, და იწყებს ენე-
ბად და ძიებად კაცისა, რათამცა შთანთქის, რა-
მეთუ ყოვლად ბოროტი ეშმაკი მარადის მტერი
არს კაცისა.

ხოლო ყოვლად სახიერსა ღმერთსა, რომელი
კაცთა ცხოვრებისათვის ყოველსავე უმჯობესი
ეძიებს, ესეცა მოწყველებითა განუგია: მოა-
ლენს ანგელოზსა მას, რომელი არს ტეხისა, და
აქვს მას ცეცხლი და დასწვავს მას ეშმაკის ძალი-
თა ლეინისა კაც-მოყვარებისათა, ხოლო ეკ-
თური სული იგი ეშმაკი, რომელ იყო ვეშაპსა მას
შინა, რაეამს იხილოს, ვითარმედ დაიწვის ბუდე იგი
მისი, აღიღებს მას (ბუდისა ტყავსა) და იყლტის, და ეძი-
ებს ადგილსა, სადაცა დაიმალა და სადაცა მახლობე-
ლად მისა იყოს კაცი, მიმართებს მას, რათა მის-

თან. დაიმალოს და განერეს დაწევისაგან. რამეთ
 თუ ესე უწყის მზაკვარმან, ვითარმედ კაცი კაცი კაცი
 ვარს ღმერთსა უფროს ყოველთა დაბადებულ-
 თასა, და ეწყალვის იგი, რამეთუ ამის მიზეზითამცა
 განერა კაცისა მისთანა, რომელი შელტოვილ იყო
 პირეელ ექვეპსა შორის. ხოლო ყოველისავე საქმისა
 მეცნიერმან ღმერთმან უწყის განზრახვა იგი ეშმაკისა
 და დონე, რომელი მოუპოვებიან დაცუისათვის
 ტყავისა თვისისა. ამცნებს ანგელოზსა და ეტყვის:
 „რაეგამს შეივლტოდეს კაცისა შორის ნუ პრიდებ
 ნუცა კაცა მას, არამედ დასწევი მოყვარეცა მტე-
 რისათანა,—გინა თუ მართლი იყოს იგი, გინა თუ
 კოდვილი, მან სასყიდელი მართლისა მიიღენ,
 რამეთუ უსამართლოდ დაიწვა აქავე ამა საწუთოსა,
 ხოლო ვეშაპი იგი წარველინ ბნელსა მას გარეს-
 კნელსა ჯოჯოხეთს. და მოყვასი იგი მისი ეშმაკი,
 და ყოველნი მისნი თანა შემწენი მიეცნენ სატან-
 ჯველსა საუკუნესა. ესე ყოველი ამცნო ღმერთ-
 მან მთავარ-ანგელოზსა მას ჰაერთა და ქუხილ-
 თასა, და ელვათასა,—არამედ სადაცა ჭველი ეკლე-
 სიათა შორის, ანუ სხვისა იდგილსა, ანუ სახლსა,
 ანუ ნავსა, და რაიცა არს ნაქმარი, დასწევი და ნუ
 რიდებ ვეშაპსა მას,—არამედ უჩინო პყავ სრულიად
 ქვეყანით და ეშმაკი იგი, რომელი შევიდა მას შინა,
 შექარ ბორკილითა და შთახადე ბნელსა ქვესკნელსა,
 ვიდრე მეორედ მოსლევადმდე, რათა მერმე დაისა-
 ჯნენ მთავრისა მათისათანა უკუნითი უკუნისამდე.

პეიონია ეპიფანემ: „თოვლი ესე, რომელ
გარდამოვალს, ვითარ განსპეციაჟნების თოვ-
ლად?“

მიუგო ნეტარმან: „რაეამს შემოკრძენ ღრუ-
ბელნი ყოველნი ერთსა თლვილსა, მოვალს ანგე-
ლოსი ივი, რომელ არს თოვლის საუნჯეთა ზედა
და განასპეციაჟებს, ვითარცა არს პრძანებულ მის-
და ღვთისა-მიერ, და ოდეს გამოვიდოდის საუნ-
ჯეთაგან თოვლი ივი, ვითარცა ნაკვეთი დიდრო-
ვანი არიან ძნისაებრ და ქარნი ივი, რომელნი არიან
ზე სიმაღლესა, ფრიად სასტიკი და ძლიერნი
არიან. და, რაეამს სცენ თოვლსა მას დიდროანსა,
დასკრიან და დააწვლილებენ და სიმძაფრისა მისგან
(ქარისა) გარდაიქცევის და იქმნების ქსრეთ, ვითარ-
ცა ვხედვთ.“

თავი მთარეობდა უაღილესი.

იხილეთდა სახიერება და კაცო-მოუვარება
ღვთისა, მიუთხრობელი, ჩვენ ცოდნილთა მი-
მართ და უღირსთა, თუ რაოდენითა პატივითა
პატივს გვცემს; რამეთუ აღიღებს ზღვისაგან
წყალთა მწარეთა და დაატკბობს, და შეჩმე უბრ-
ძანებს ღრუბელთა და გვიწვიმებს. და კვალად
სხვა პაერი მოვალს, და მოაქვს სეტყვა, და
სხვა პაერი მოვალს, და მოაქვს თრთეილი, და ყო-
ველივე წამის ყოფითა მისითა იღესარულების
და არა რამ არს, რათამცა დაეფარა თვალთა მისთა

დაუძინებელთა, და ხელავს და განვეტს, და უძღვის. ხოლო მრავალნი უგუნურნი არა ალიარებენ ამას და იტყვიან, ვითარზედ განუგებელად იქმნებიან საქ- მენი კაცთანი, არამედ ფრიად სკაებიან, რამეთუ არა არს არცა თუ თმა თავისა, რომელ არს კაცს ჟედა, რომლისაცა ლმერთსა არა განეკოს მისთვის.

მესმა, რამეთუ ოდესმე იტყოდეს კაცნი, ვითარ- მედ თიგი ვინმე უკეთური და უწყალო კაცი არსო და რად კეთილსა შვებასა შინა არსო? და იგი ვითა- რიმე მართალი იყო, რად პილწიგნეს მას ზედა გან- საცდელნიო, და სხვა ვინმე რად ბოროტსა შინა მოკვდაო?“ და ამათ ესე ვითართა მრავალ-სახეთა უნდოდ და უმეტრად იწვრთიან (იტყვიან) და ნებავს ცნობისა მიუწოდომელთა ვანგებათა ღმრთისათა, ხოლო მას არა მოიგონებენ, — ხურო, რაეამს აშენებნ, რო- მელისმე შეშესა ვანკვეთინ, და რომელსამე განხერებს, და არა ვინ პრეცის, თუ რად იქმ ამას? არამედ თქვის, ვითარმედ ესრეთ სახედ ჯერ არს. და ეგრეთ სახედ მკურნალნი: რომელსამე ჰკეცეთენ და რომელსამე სწვენ ცეცხლით; და სხვათა ამშევენ, და სხვათა აიძულებენ ჭამალ, და არა ვიტყვით, ვითარმედ ბოროტსა საქმესა იქმს, არამედ ვიტყვით, ეს- რეთ სადამე ჯერ-არს. ეგრეთ მომავალსა თითოსა სნეულებისასა. ხოლო ლეთის საქმეთა ესრეთვე უგულის-ხმოდ ვეძიებთ და ჩვენთა საქმეთა არა გამოვიკვლევთ, რომელთა ვიქმთ ყოვლადვე უდე- ბებით და ვსულდავთ ყოველსა ემსა, მათი გვიხმს გამოძიება და ვანკითხვა, რომელთა ლმერთი მოგვხდის


(მოგვეკითხებს), და არა მათი, რომელთა ყოველადე
არა კაცი ეძიებს. ხოლო უკეთესობითა განამდი-
ლობს და მართალთა რომელთამე აქირვებს,
მისთვის არს ესე, რამეთუ არცა მართალი
იპოვების, თუმცა არა აქვნდა ცოდვა, და კვალად
არცა ცოდვილი, თუმცა არა ექმნა სიმართლე.
ამისთვის იტანჯების კაცი მართალი აქვე სნეულე-
ბითა და ჭირითა, გინა სიგლახაებითა, რათა
ალიხოცოს ყოველივე ცოობა მისი და მუნ არ-
დარა ბოროტი შეემთხვიოს. და კვალად არიან
კაცნი ფრიად ცოდვილნი, და აქვნ რაიმე მცირედ
კეთილიცა, და მისთვის მისცის ღმერთმან აქა
სიმდიდრე, გინა სიმრთელე, გინა შეილნი კეთილნი,
რათა მუნ — საუკუნოდ არა რა სასყიდელი თანა
ედვას მის კეთილისა ნიცვალი, ვითარცა სახელ
ლაპარე გლახები. რამეთუ აქვნდა ცოობაცა რამე,
და მით აქა იტანჯა, და საუკუნოდ წარეიდა
განმართლებული, და ეგრეთვე მღიდარსა აქვნდა
კეთილი საქმეცა, და აქავე მიიღო მისი ნიცვალი
შეება ჸს საუკუნოდ სატანჯველად მიეიღა, რამეთუ
კეთუ გექმნას კეთილი რაიმე, ჸს აქავე ცხოვერე-
ბასა მიიღო ნიცვალი მისი პატივი, ღმერთსა
არღარა თანა-აძს შენი, ყოველი გარდაუხდია
აქა. და ეგრეთვე თუ აქა იტანჯო და შეუჩატე-
იქმნე, ნიცვალი არს ცოდვათა შენთა ჸს საუკუნოდ
გიხართდენ. ამისთვის, შეილო ჩემო, ოდეს
იხილო მართალი ჭირსა შინა სთქვი, ნეტარ
არს იყი, რამეთუ უკეთუ ცოობა რაიმე აქვნდა,

ექვე მიიღებს ნაცელსა შისსა, რათა მუნ წმიდას
წარვიდეს; ხოლო უკეთე უმეტეს აღრე იტანჯოს,
განუმრავლებს სასყიდელსა შისსა ტანჯვა იფი
შისი, ეითარცა სახელ ითბ მართალი წმიდა იყო
და იტანჯა ფრიად, რათა მუნ უმეტესად იღილოს;
და კვალად, — რაეამს უსჯელონი და ბოროტის
მომქემდნი კაცნი ტანჯვასა შინა იხილნე, ეგრეთ
სახელვე გულის-ბმა-ჟყვა, ვითარებედ მიიღებენ აქვე,
უკეთე კეთილი საქმე რამდე უძლოდა, რათა
მუნ უწყალოდ იტანჯნენ. ეგრეთ სახელ სხვისა
ყოვლისა კეთილისა უმჯობესად განავებს ღმერთი,
რომელსა ჩვენ ვერ მიისწეოდებით გულის-ბმის-ყოფად.
და ჩვენ, რომელიცა ეიხილოთ კეთილი, ვინა ბოროტი,
მაღლობით თანა-ვევაძთა შეწყნარებად და არა
გამოძიებად ესე ეითართა საქმეთა, რომელსა ღმერთი
თვისითა სიბრძნითა განავებს. და ესეცა არს
მრავალთა კაცთა შორის უსუსურთა, რაეამს
შეემთხვიოს ვნება, ან ე ჭირი ხორციელი, იწყე-
ბენ დრტვინებად და სულ-მუკლებად. იმის-მიერ
სასყიდელი მათ წარუწყმდენ უომინოებითა მათი-
თა და უფროსად განაფიცხებენ განსაცლელსა
მას მოწევნულსა მათ ზედა, და უკეთე იყოს
კაცი გონიერი, უფროსად ჯერ არს მაღლობა
და ღიღება ღვთისა, რათა ესრეთ განსაცლელიცა
იყი იღეს-უკებელეს და სასყიდელიცა დიპი
მიეცეს ღვთისაგან მოთმინებითა. და უკეთე კაცი
ღმობიერად და გულს-მოდგინედ ღმერთსა
ეველრებოდეს განსაცლელსა შინა, დალათე

კოდვილ იყოს, ღმერთი სახიერებითა თეატრის
ისმენს ველრებასა მისსა და ჭირისა მის-წილ, რომელი
ლი განემზადა მოწევნად მისს ზედა სულიერი, გინ-
ხორციელი, მისგან გამოიხსნის. ყოველივე კაცის
ნებასა და ამორჩილია ღმერთმან: თუ უნდას ცხოვნდე-
ბის და თუ უნდას წარწერების. თვით მფლობელი
პუნება მისცა და ამისთვის სასჯელსა თანამდებ
არს, უკეთუ სკოლას, რამეთუ არა უნებლივი
სკოლავს, არამედ ნებსით. და ეგრეთვე უკეთუ
ქვენეს სიმართლე, მადლი მიიღოს, რამეთუ მან
გულს-მოდგინება აჩვენა. ხოლო ღმერთმან ძა-
ლი მისცა და ყოველივე მადლსა ღვთისასა უ-
კურიეს, და მისითა შეწევნითა განაგებს და ჩვენ
არა გვიღირს გამოწვლილვა რომელსამე გული-
საქმეთა ჩვენთა, გარნა თდენ სულისა ჩვენისა
ზრუნვად.”

ხოლო რაეამს აღასრულეს სიტყვა ესე,
ეველრა ეპიფანე ანდრიას, რათა წარეიღებ
ზოგად ეკლესიასა წმიდისა მოწამისა იყენებსა,
და ეველრნენ მას, რათა შუამდგომელ ექვ-
ნეს წინაშე ღმრთისა, რამეთუ დიდი მთავრობა
აქვს მას და კადნიერება წინაშე ღვთისა. პრქეა
ანდრიამ: „მე სულიოთა ყოველადვე შენთანა ვარ,
ხოლო შენ წარევდ და, რაეამს შეხვიდე, ნუ
მრავლის-მეტყველებ, არამედ ღმობიერად და
შევრდომით ითხოვდი წყალობასა, და ცრემლი-
თა მხურვალითა ევედრებოდე მოწამესა ქრისტე-
სა და არა უგულებელს ჰყოს ველრება შენი.

ხოლო ეპიფანემ იმბორს უყო ფერხთა მისთა
და წარვიდა.



თავი მარაბოდათისამიზი.

ტვალისა დღე იყო დღესასწაული წმი-
დისა ითანე ნათლის-მცემელისა, და წარვიდა
ეპიფანე მკლესიასა მისსა, და აღასრულეს რა
წმიდა ემის წირვად და განუტევეს ერი, წარვიდა
მიერვე ეპიფანე მარხული ეკლესიად წმიდისა
მოწამისა აკაკისსა. და იყო ემი დღისა მის
ვითარ მეშვიდე, და მოვნა კარნი ეკლესიისანი
დაკრძალული და გარეშე პსდევი ეპიფანე
ლოცვად. და იწყო ცრემლითა ვედრებად წმიდი-
სა მოწამისა და იტყოდა: „წმიდაო და ახოებო
მოწამეო ქრისტესო! ნუ განმიტევებ უკურნებე-
ლად,” და დაადგრა მუნვე რეკალმდე. და ვითარუა
განახვნეს კარნი, შევიდა იგი პირველ ყოველთასა და
მოგხვია სამარტინოსა წმიდისა მოწამისა აკაკისსა
და იტყოდა: „ყოვლად მრწყინვალეო მოწამეო
ქრისტესო! რომელია გაქვს ქრისტეს-მიერი
მონიკებული მადლი—სოფლისა და კაცთა განგებად,
შემიწყალე მე, უძლური ესე და შებლალული
ცოდვითა უფროს ყოველთა კაცთასა, და დამიცვე
მე მარჯვენითა მაღლისა ლვითისათა, და განსლევნე
ჩემგან ბძოლია ეშმაკისა-მიერ და ნუ მიტევებ მე
დანთქმად უფსკრულისა ცოდვისათა, რათა ვალიდო
წმიდა სახელი შენი, და ხელმწიფებითა მაგით

შენითა პსლევნერ მბრძოლი ჩემი ეშმაკი, რამეთუ
ძალ-გიძს და ლილებულ ხარ შენ წინაშე დეთისა.
და ვითარეთ ამას ლოცვასა აღასრულებდა ეპი-
ფანე და სამარტინილოთ ნათელი, ვითარეთ ელვა,
გამოყრთა და ესმა ხმა, რომელი ეტყოდა, და ხმას
მას თანა სურნელებითა აღიქსო ეკლესია იგი.
პრეზამემან ეპიფანეს: — ვისმინე ხმა ვეღრებისა
შენისა, რამეთუ უწინარეს მოსელისა შენისა მოვიდა
სწორი მოციქულთა წმიდა ანდრია, და მაუწყა
შენთვის ყოველივე. შენ წარვედ მშეიღობით
და მე ვევედრო უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა,
რამეთუ ისმინოს ვეღრებისა ჩემისა და არა უგუ-
ლებელს-მყოს მონა თვისი. ხოლო ეპიფანე აღიქსო
სიხარულითა და აღიპყრინა ხელნი და იტყოდა:
„მოსწრაფე იქმენ ჩემთვის, წმიდათ ღვთისათ, რამე-
თუ გულის-ხიტყვანი უკეთესანი მაჭირვებენ მე,
რათა ეპიფან ლხინება მათვან.“ და ამბორს უყო
სამარხოსა მოწამისასა და წარვიდა სახიდ თვისსა.

ხოლო იყო ჩვეულება (ჰქონდა) ეპიფანესი, რამე-
თუ მარადის ხმელსა წევნ — ვინა ზინ, რადამსა არნ
სახლსა შინა თვისსა. ლამესა მასვე მიეძინა ეპიფანეს
და იხილა გარემოს ცხელრისა თვისისა ერთ მრავა-
ლი, სპეტაკითა მოსილნი; და შორის მათსა სდე
წმიდა აკაკი და, ვითარეთ მარგალიტი, ბრწყინვიდა.
და ესმა ხმა, რომელი ეტყოდა ეპიფანეს: „ვისმინე
ხმა ვეღრებისა შენისა და მე და წმიდა ანდრია
ვევედრენით შენთვის ღმერთსა, მეუფესა ჩვენსა,
იესო ქრისტესა და მან მოგანიჭა სათხოველი

უნი, და ამიერითგან განთავისუფლდე უნ
ბრძოლისა მიღისვან. და ვითარუა ესე სოქვა,
აღმოილო ფარაკისაგან (ჯიბე) მისისა პურპელი
რამიმე ოქროსა შეენიერი. და იყვნეს გარეშემო
გამოქანდაკებულნი ხატნი: ერთი მაცხოვრისა
და ერთი წმიდისა ლეთის-მშობელისა და სერაბინ-
ქერაბინთა. და გამოილო პურპლისა მისგან სპეტაკი,
ვითარუა თოვლი, ევლოგია, და განზავნა, და
მისცნა, და პრექვა: „შესვი ესე და წარვედ
შშეიდობით,“ და ამბორს უყო და უჩინო იქმ-
ნა.

ხოლო მან განიღება და იყო პირი მისი
დამტკბარ, ვითარუა თაფლითა. და იწყო მაღ-
ლობად ლეთისა და წმიდისა მოწიმისა აკაკისა.
და ვითარუა განთენნა, ალილო საკმეველი და სან-
თელი და წარვიდა ეკლესიად წმიდისა მოწიმისა
აკაკისა და შესწირა მაღლობა. და ვითარუა ილოკ-
ვიდა, იხილა წმიდა მოწიმე საფსალმუნეთა ზედა მდგო-
მარე და მოელოდა ეპიფანეს. და ვითარუა იხი-
ლა იგი, პრექვა მის: „კეთილად მოხვედ, საყვარელო
ჩემო ეპიფანე, რამეთუ სიყვარული მართალთა
ტკბილ არს და საწადელ, და არა შესაწირავთათვის
და ნიკოთათვის აქვსთ მათ სიყვარული, არამედ
შემუსრვილისა ტ მდაბლისა გულისათვის, და ლეთის
მსახურებისა, და სიწმიდისა ხორციასა. ხოლო
მე, საყვარელო ჩემო, არა სხვასა ვეძიებ შენგან,
გარნა მოსელისა შენსა ჩემდა ზედა-ზედას, რათა
გაქვნდეს სიყვარული ჩემი და მარალის სსენება-

და მე ვიუთ შემწედ შენდა ყოველსა ზედა ბრძოლასა მტერისასა. ” და ვითარცა ესმოდეს სიტყვანი, ესე მოწამისანი ეპიფანეს, შეხედვიდა მას წალიერად, ხოლო მუნ მდგომარეოთა ერთა არა ესმოდათ და ვერცა ჰხედვიდენ, არამედ ჰჯონებდეს, ვითარმედ ყრმა ესე ხელი არს და ამისთვის ესრეთ ჰხედავს, ვითარცა რასმე სახესა. ხოლო ნეტარი ეპიფანე ეზიარა ტ წარვიდა სახიდ თვისედ განთავისუფლებული ვნებისა მისგან, შეუამდგომელობითა ნეტარისა ანდრიასითა და ოიდებდა ღმერთსა და მონასა მისსა წმიდასა მოწამესა აკაკისა და მარადის მივალნ ეკლესიასა მისსა და იხილავნ წმიდასა მოწამესა.

თავი მარავოდაცარავით.

(ხილვა, რომელი იხილა ანდრია ვლაქერნასა შინა).

უბანსა, რომელსა პრევიან ვლაქერნა, ჰსდგა მუნ ეკლესია წმიდისა ლვის-შობელისა, დელოფლისა ჩვენისა. და არს წესი, რომელ ყოველთა კვირის-მალთა მივალს მუნ ყოველი კაცი ლიტანითა და ერთითა დიდითა ყოველთავან მყლესიათა კონსტანტინეპოლისათა, და შეუდგიან ერთ ფრიადი სანთლებითა და საკმეველითა და გალობითა. და მიიყვანებდენ ხატთა წინაშე ზატისა წმიდისა ლვის-შობელისა და ყოველსა ვლაქერნისა გარემოვლადიან ლიტანითა. ერთსა ამას ლიტანითა იყო წმიდა ანდრია და

ეპიფანეცა ერსა მას შორის, და ილოცვიდეს. და
ეითარცა იყო გამი მეოთხე ღამისა, იხილა
წმიდამან ანდრია და ეპიფანეცა (ეპიფანემაც) ერსა
გას შინა ლეთის-მშობელი დედოფალი ჩვენი, მდვი-
ვარე ბჟეთა ღიდთა ეკლესიისათა, საღა იგი არიან
კარნი ვეცხლისანი, და მიმართა (ერსა მას) საკურ-
თხეველით კერძო, სიმრავლით ურიცხვთა ანგელოს-
თათა და ერთა ზეცისათა დასებითა და ხელი ერთი
ეპურა დედოფლისა წმიდასა ითანე ნათლის-მცემე-
ლსა და მეორე ითანე მახარებელსა, ძესა ქუხილი-
სასა და ერნი იგი ზეცისა უხორცოთანი გარე
მოადგეს წმიდასა ლეთის-მშობელსა, მოსილნი
სამოსლითა სპეტაკითა. ხოლო ანდრია ხედვიდა
რა ამას და იხარებდა. მიეახლა ეპიფანეს და
რქვა: „შვილო, ხედავა წმიდასა დედოფლისა?“
რქვა მას ეპიფანემ: — ჰე, სულიერო მამაო, ვხედავ
და ვიხარებ სულითა!“ და დავარდეს ორნივე პირთა
ზედა მათთა, და რაეამს აღიხილნეს (იხილეს) პირსა
ზედა დედოფლისასა, ვითარცა ნაკადული წყალთა,
კრემლი თვალთაგან მისთა წმიდათა ვარდამოს-
დიოდა. რამეთუ აღეპყრნა ზეცად ხელნი თვის-
ნი წმიდანი და ეველებინ ძესა თვისსა
ერისა მისთვის, რომელნი შეუდგიან ხატსა მისსა
სარწმუნოებით და ლიტენიასა თანა პყვებოდიან,
რათა შეუნდევს კოდვანი მათნი. და ვითარცა
დაასრულა ლოცვა იგი ძისა მიმართ თვისსა და
ლეთისა, აღიხვნა წმიდანი იგი მანკანი (მომარგა-
ლიტული საბურეველი) თავისა თვისისანი და მიშმურა

ერსა მას ზედა ყოველსა და ზე ეყიდნეს პეტრია, და მერმე დასწერა მათ ყოველთა ზედა ჯვარი, და ეგრეთ სახელვე განვიდა დიდითა დიდებითა. ამას თრია- ვი ივი, წმიდა ონდრია და გვიფანე, ხელვიდეს, და უკვირდათ, და აღიდებდეს ლმერთსა, ვითარ ივი ტირილით ეველრებოდა დედოფალი ძეს თვეისსა სოფლისა ბრალთა შენდობისათვის.

თავი მესამოვი.

(მდიდრისათვის წარჩინებულისა).

ლესა ერთსა ალვიდა ნეტარი ონდრია იპოდ- რომსა და იმღერდა ჩვეულებისაებრ და კაცნი ივი, რომელი ხელვიდეს, სწყალობდეს, და რო- მელნიმე ეცინოდეს, და ზოგნი ჰსცემდეს მას. მოვიდა ვინმე მთავართაგანი ქალაქისათა, რომე- ლი იყო ფრიად მდიდარი. იხილა რა წმიდა ონ- დრია, ვითარ როვეიდა, შენერწყვა პირსა მის- სა. ხოლო წმიდამან ვითარ უწყოდა ყოველი საქმენი მისნი, იწყო მხილებად მისსა და პრევა ერსა მას, „იხილეთ მემრუშე და მოყიცხარი ეკლესიათა, რომელი ლოცვისა და ეკლესიისა მიზე ზითა იარე- ბის სამებაოთა მათ ფარულად!“ რომელი ისმინდ, საწყალობელო, და გულის-ხმა-ჭყაფ! რამეთუ მოწევნულ არს აღსასრული შენი, რათა მიხვიდე მუნ და მიიღო ნაცვალი ბოროტთა საქმეთა შენთა.

უენ ჰგონებ, ვითარმცა დააკიწყდა ლმერთსა? — ნუ ჰგონებ მაგას უოვლადვე! არა რად დაეფარის ლმერთსა, რამეთუ მხედველი არს უჩინოთა — და შენნიკა უოდეანი ცხადად სჩანს მის წინაშე. *

ხოლო ვითარტა ესმა ესე მთავარსა მას, შეუხარნა ცხენსა და წარვიდა. ხოლო ოტყოდეს მუნ მღვომარენი, ვითარმედ „არა დააკლო-რა სიტყვანი ვინებისანი ევხალიტოლარსა, არამედ უოველი წარმოუთხრა სალოსმან!“ და შემდგომად მცირეთა დღეთა დასნეულდა კაცი იგი საწყალობელი და შეიწვნეს უოველი ნაწლევნი მისნი სიცხითა. და მოეხსენა სიტყვა წმიდისა ანდრიასი და ოტყოდა: „ვეშმარიტსა მეტყოდა მე ხელი იგი!“ და იწყო სლვად მკურნალთა თანა და ექლესიას, არამედ არა რად საჩემებელ ეყო. და აღესრულა უნანელი და წარვიდა სატანჯველსა საუკუნოსა.

და ესეც არა დაეფარა ნეტარსა ანდრიას, ვითარმედ იხილა ცისკარსა მას ანგელოზი მომავალი დასივლით კერძო და ეპური ხელთა მისთა ლახეარი ცეცხლისა. და ვითარტა მივიდა მახლობელად ცხედარსა მის საწყალობელისასა, იხილა ანგელოსი იგი კაცმან მან და იწყო ძრწოლად, და ესმა ხმა ზეცით, რომელი ეტყოდა: „უწყალო ექმენ და ჰგვეძე და ეგრეთ გამოიყვანე სული მისი! რამეთუ იმრუშვილა და ისიძვიდა სოდომელთა კვალთა, და, ნაცვლად ეკლესიათა, სამედიოთა აშენებლა!“ მაშინ სუა ანგელოსმან ლახერითა მით ცეცხლისათა გულსა მისსა უწყალოდ და ხმა იგი ცემისა ესმოდა უოველთა, რომელი იყვნეს მახლობელად

მისდა მსხდომარენი. ხოლო ანგელოზსა ვერ ხდე-
ვიდენ იგინი, არამედ წმიდა იგი თდენ ანდრია
ხელვიდა, რამეთუ იყო (ივ) მას ეამსა შენ შისრულ
ხილვად საქმისა მას და სმენისა საზარელისა; და მე გლო-
ხაკა მოძლვარსა თვისსა მითხრა ტირილით. ხოლო მე
ვინებე დაწერიდ იმისიცა სხვათა თანა ყოველთა ხილვა-
თა, რათა ვეკრძალნეთ, გვესმოდეს რად, და ჩვენცა არა
უდებ ვიუვნეთ და დღენი წვენნი წარვლნეთ უშიშრად,
ვითარცა ამან ზემოხსენებულმან საწყალობელმან.
რამეთუ ესე ვითარი აქვნდა მას წვეულება: ვიდრე
მრთელ იყო, შეალამე ალდევის და განვიდის სიძ-
ვალ, ხოლო მეუღლე მისი პკითხავნ: „უფალო,
ვიდრე ხვალ?“ დან პრეცის: —ვითარმედ ეყლესიად
წარვალ! და წარვიდის მეძღვთა თანა, და რაგამ
აღასრულის სიძვა, მაშინ ეყლესიად მივიდის კაცთა
საჩვენებელად. და რომელნიცა ხელვიდეს მას, იტყო-
დეს: „აპა კაცი მლოცველი და მორწმუნე.“ ხოლო
მას რად ესმინ, აღზვავნებინ და პკონებდა, ვითარ-
მედ დაეფარვის ლმერთსა ცოდვა იგი მისი.

თამი მასამოცდაერთი.

კმას ყოველსა საქმეთა და პირთა რა ხელვიდა
ეპიფანე, უკვირდა. დღესა ერთსა ეკველრა წმიდასა
ანდრიას ეპიფანე, რათა წარპკყეს სახლსა მისსა და
განისვენოს მცირედ შრომათვის მისთა, — შვიდეჭულ-
სა ერთსა. ხოლო წმიდა იგი დაემორჩილა და
წარვიდეს და დახსელეს ზოდად ორნივე. იწყო კო-
ხვალ ეპიფანემ ნეტარისა ანდრიასა და პრეცა:

„მითხარ მე, მაშაო სულიერო და მოძღვარო,
ესეცა სხვათავე სულიერთა თხრობათა შენთ თანა,
რათა უწყოდეს შვილმან შენმან და სხვათაცა, რომელ-
ნი ისმენდეს, ირგონ ამის ჩვენისა უჩითერთარს კით-
ხეისა და სიუვარულისაგან, რომელი არს შორის შენსა
და ჩემსა, — კითარ არს ალსასრული ამის სოფლისა, ანუ
რომლითა სახითა გულის-ხმის-ყოფისათა ეუწყების
მის ქამის კაცთა? და მას ქამსა რაც იქნებიან
სოფელნი და ქალაქი, გრია ეკლესიანი და ნაწილ-
ნი წმიდათანი, ანუ წიგნი სალპროტონი? გევეზრები,
რათა მაუწყო ესეცა — კეშმარიტად და ზედ მიწევ-
ნით!“

პრქვა ნეტარმან — ესე უწყოდეს, შვილო ჩემო!
რამეთუ ქალაქი ესე, ხამეუფო, უფროს არს ჭ უმ-
დიდრეს ყოველთა ნათესავთა და ქალაქთა, ჭ ეგუ-
ლვების ნათესავთა უცხოთა მოსლვად და ბრძოლად
მისსა სასტკირთა ბრძოლითა ჭ ერითა ურიცხვითა, —
ხოლო წმიდა ღვთის-მშობელი პფარავს მას და არა
უტევებს აღებად მას.

და ვითარცა ებრძოდენ და დალიონ საქურ-
ველნი მათნი, ყოველი მოაოხრონ და აღილონ
ტყვე და სიმდიდრე ფრიადი. და იტყვიან ზოგნი,
ვითარმედ საჩინოზნი არიან ნათესავნი იგი, რო-
მელნი მოვლენ, — ხოლო მე ვიტყვია, ვითარმედ
ნათესავი მწიოთურთა მოვალს, რომელსა პრქვიან
რუსნი. და გარემოს ქალაქისა იქან სრვათა დიდ-
თა ჭ ძვალები მკვდართა დასცვივეს, ვითარ-
ცა მიწა, სიმრავლითა ცოდვისათვის ერისა მის. ჩამე-

თუ არა შეინანეს, რათამცამოიქცეს ცოდესაგან, რომელსა იქმოდეს. არამედ მტერთა მათ ზედაცა მოვალს ვაებათ ძლიერი და რისხვა ლვთისა ზეკით. რამეთუ ერნი ორპირნი სწ ერია მათ ზედა მომავალნი და ვაგონებ, ვითარმედ ანგელოზთა იტყვის ზეცით მომავალად და აქვს მათ მანვალი ცეცხლის, ვითარცა ელვა, და დასწევს მათ, რომელ მომთხრობიცა ამბავთა არა განერების მათვან, არამედ ყოველი მოისრეიიან!

თავი მისამოცდაოს.

(სოფლისა აღსასრულისათვის).

ტოლო აღსასრულისათვის სოფლისა გაუწყო, შენ, შვილო ჩემო! რამეთუ დღეთა მახლობელთა ალადგენს ღმერთი მეფესა გლოხავს ვისმე, და გამეფედების კონსტანტინებოლებს და იმეფებს ივ სიმართლითა და ლვთის მოყვარებითა, — და იქმნების დღეთა მისთა მშვიდობა ერთა შორის. და არა იყოს მას ეამსა შინა ბრძოლია, არცა დაშარობა, არამედ მშვიდობა და დაწყნარება ყოვლისა ქვეყანისა მეფისა მის-მიერ და ყოველნი გლოხავნი გამდიდრებიან. და არს მშვიდობაცა ესე, ვითარი იყო (მშვიდობა) დღეთა მათ ნოებთა. და იქმნებიან ერთობით მდიდარ და ქონიერნი, და იყოს სიხარული დიდი და განსვენება ფრიადი — და იქმნებდენ და განქორწინებდენ, ვითარცა იტყვის უფალი სიხარებასა შინა, და არა რას ვინ ზრუნვადეს ამის ცხოვრებისათვის, და ფრიადისა მის მეფისა მშვიდობისაგან, რომელი მაშინ იყოს, აბჯარი და ყოველი სიბრძოლველი დალექტონ, და ქმნან მანვალი საშრომელად ქვეყანისა.

ამის ყოველისა შემდგომიდ განილაშვი-

როს შეფეხმან კერძოთი აღმოსავლეთისათა
და წარმოსტყვენოს ყოველი ხარჯინოზთა ქვე-
ყანა. რამეთუ რისხევა ღვთისა გარდამოევლინოს
ყოველსა ზედა თესლისა სარჯინოზთა უსჯულოებისა
მათისათვის და სიბოროტისა. რამეთუ არა რამ იქვეთ
მათ სარწმუნოება ქრისტესი ღვთისა ჩვენისა დაუსა-
ბამოსა და ცოდვისა მისთვის სოლომელთასა, რომელი
მათ შორის მოქმედებს ურიდად. ხოლო
მათ დღეთა ოხრებისა მის სარჯინოზთასა, მრა-
ვალნი მოიქცნენ მათვანი ცოომისა მისგან და
აღიარონ ჰეშმარიტი სარწმუნოება ქრის-
ტეს ღვთისა ჩვენისა, და მიიღონ ნიჭი დიდი
მეფისა მისგან. და დაიპყრას ყოველი ქვე-
ყანა შეფეხმან მან, და განმარტოს ხელი მისი
ერთი აღმოსავლით და ერთი დასავლით. ხოლო
წელნი მეფობისა მისისანი, რომელთა შინა მეფობ-
დეს, არიან ოცდა ათი. და განითავისუფლოს ყო-
ველი ქვეყანა სამეფოთა ხარკოვან ათორმეტ წელ.
და ყოველსა ქვეყანასა, სადაცა იპოვნეს ეკლესია-
ნი დარღვეულნი, აღაშვენოს და დღეთი შინა მისთა
ბეჭ არად სახმირ იყოს, — რამეთუ ერთი-ერთსა
ვერვინ მძღვვრობდენ, გინა თუ ავნებდეს. და
ყოველი ქვეყანა ძრწოდეს სიტყვათავან მისთა-
რამეთუ ღმერთმან დასლეას ზარი მისი ყოველსა
კაცისა ზედა დიდსა, გინა მცირესა, და ყოველსა
ენასა ზედა, რამეთუ ვერვინ წინა აღუღების
ბრძანებასა მისსა, და ყოველნი ძვირის-მომქმედნი
და უკეთურნი კაცნი მოისრნენ. და ყოველნი და-

ფარულნი სიმღიდრენი, რომელნი არიან ქვეყანასა
შინა ეამთა მისთა გამოსწინდნენ საცხალოდ; ოქტო
ბა ვეცხლი. და ყოველი პურჭელი პირეველთა
კაცთა და ფარული, ცხადიდ იმსახურონ მის
ეამის კაცთა-მიერ. და ყოველი სიმღიდრე მეფის
მის—გლახაკთა ზედა წარევოს,—და მთავარნი ყო-
ველნი გამღიდრდენ, ვითარცა თვით მეუე, და
გლახაკნი, ვითარცა მთავარნი, გამღიდრდენ. და
მოუხდეს უოველთა უსჯულოთა რისხვა ღვთისა-
მიერი და განიხადნენ ყოველნი უჩიანი, და სარ-
კინოზნი სამეფოსაგან მისისა,—და ყოველნი მებარ-
ბითენი, და მომღერალნი, და განტერომელ-
ნი კაცნი (დამჟერელნი ბარბითისა), სრულიად
უმკვიდრო პუნქს საბრძანებელით თვისით; და
სიმართლე და ჰეშმარიტება იყოს მის-მიერ
ყოველსა ქვეყანასა, და ძირით ყოველისა ბოროტი-
სა მოიფხვრას ქვეყანით. და მეება და განსვენება
მოეფინოს ყოველთა კაცთა ზედა, სიხარულითური
ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა.

ხოლო რაეამს ღლესრულოს მეფე ივი ღვთის
მსახური და კეთილი, შემდგომად მისისა გამეცვდეს,
პირეველ დაწყებად ბოროტისა, თესლი უკეთური და
შილწი, რომლისა სიხელი არ იყოს¹), და ღამყოფს
მეფობასა შინა სამსა წელსა და ნახევარსა და იქმი
საქმეთა ბოროტთა და უკეთურთა ღვთის განსარი-
ხებელთა. რამეთუ დასდებს წესისა, რათა იქორწინებდეს
მამა ასულსა თვისსათანა, და ეკ დედისა თვისისა, და მა-

¹ მესამეშია „არხილოოს“

ლასათანა ნებსით, გინა უნებლივდ. და რომელმან
არა ინებოს ჰყოფად ბოროტისა მის საქმისა უს-
ჯულოსა, მოპკევთს თვესა. და რომელნი მოიკლნენ
მის-მიერ სარწმუნოებისათვის ქრისტესისა, იწამების
და ითანე ნათლის-მცემლისათანა იხარებდეს სასუ-
ფფელსა ცათასა. და ენკრატისთა აქორწინებდეს
მონაზონთა და მღვდელთა თანა. ხოლო ესე საქმე
განეფინების ყოველსა აღვიდსა და თვით ისიძავს
დედისა და დახა, და ისულისა თვისისისა თანა. და ვითარცა
ჰედვიდენ ყოველნი ერნი ბილწისა მას, ეგრეთ ყოველნი
ივი ერნი იქმოდიან მსგავსად მისხა. და ვითარცა ესე
ვითარი საქმე იქმნებოდეს, ალივსოს ყოველი ქვე-
ყანა ცოდვითა და, ვითარცა ნისლი, აღვიდოდეს
ზეცად. და ვარდამოავლინის ლმერთმან გულის
წყრომითა თვისითა რისხეად ქვეყანასა ზედა: და
იქმნეს მეხის-ტეხენი სასტიკნი და ელვანი ფიტელნი,
რომელ არაოდეს ყოფილიყოს ეგე ვითარი ქვე-
ყანისა ზედა ყოვლადვე: და დაიწვნენ სახლებნი
ფრიალნი და მოქმედნი საქმისა მის საძაგელისანი; და
ერნი ურიცხვნი, რომელნიმე მოკვდენ შიშისაგან და
ზარისა მის საშინელისა.

მათ დღეთი შინა ვად არს ზღვისა და
ვად არს ხმელისა! რამეთუ განრისხნა ლმერ-
თი მკვიდრთა ზედა ქვეყანისათა. და მოიწიოს
სიყმილი საშინელი და მოისრნეს მკვიდრნი მისნი
სიყმილითა. და იქმნეს ძრვანი დილნი და დაეცნეს
სახლები, და მოისრნეს მოქმედნი უსჯულოებისანი
და ურიცხვნი სულნი—ერნი: რამეთუ მზე დაბნელ-

დეს და იქმნეს შავი, ვითორუა მელანი, და მთევარე, ვითარუა სისხლი. და იყოს მნელი ქვეყანას ზედა; და ვარსკვლავნი გარდამოცვივნენ საშინელისა მის და სასტიკისა ქუხილისაგან და ელფისა; მთანი და ბორუენი იძრეოდიან და იცვალებოდიან ოდგილითი აღგილად. ჩამეთუ ღილი იყოს დღე იგი და ზარის სახდელი მოწევნული იგი ჩისხვა ლეთა-სა-მიერ პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისას. ხოლო მღვდელნი, და დიაკონნი, და მორწმუნენი ერნი, რომელნიუა არა შესცვიდენ ვნება-სა მას, წინააღმდეგნ ბილებსა მის მეფეს სიყვარუ-ლისათვის ქრისტესისა. შემდგომად მრავალთა პირ-თა განვლენ უდაბნოთა და მთათა შეცვნენ (შეე-ცენებიან, შეეფარებიან), ნაპრალთა კლდისთა მრავლითა ლეაწლითა და შიმშილითა და წყურე-ლითა აღესრულნეს ეამნი იგი. ხოლო დღეთა მთა შწარეთა მის მეფისთა, ნეტარ არს კაცი, რო-მელი არა იპოვოს მის რომსა, ¹⁾ ანუ ქვეყანასა მას, რომელსა ჰქვიან ისმენოპეტრი (არსენო პეტრი), ანუ სტრობილის თემსა კიბირისა, ანუ თრავისა თემსა, რომელსა ჰრქვიან კარიპოლოსა, რამეთუ რომელნი წარვიდენ მათ აღვილთა, იგინი განერ-

¹⁾ პირველშია — „რომსა შინა, ანუ ქვეყანასა მას, რო-მელსა ჰქვიან ისმენოპეტრი, ანუ სტრობილის თემსა კიბი-ოსასა, ანუ თემსა თრავისასა, რომელსა ჰქვიან კიბიპოლოს.

—შესამეშია — „რომს, ანუ ქვეყანასა მას, რომელსა ჰქვიან არსენოპეტრი, ანუ სტრობილის თემსა კიბაროტისა, ანუ თრავისა თემსა, რომელსა ჰქვიან ქურიომოლისი.”

ნეს ამის ყოვლისა განსაკუდისაგან, სულისა ხედ
ნებელისა და ხორციელისაგან სატანჯველისა, კაც
ამეთუ არიან აღილი იგი ძნელი და ფიტხელნი
კაცთაგან მიუვალნი. ხოლო სხვათა ყოველთა ქალა-
ქთა, გინა ქვეყანათა იქნებოდიან კლეანი და სისხ-
ლთა დათხევანი და ბრძოლანი დიდ-დიდნი. შემდ-
გომ ამისა მოკვდეს მეფე იგი უსჯულო და წარვი-
დეს სატანჯველსა მას საუკუნოსა და ციცხლსა
უშრეტსა.

თავი მასამოცდასაში.

და გამეფდეს ამისა შემდგომად მეფე შევი. და არის
იგი უარის-მყოფელი ქრისტესი და წმიდათა მოწი-
მეთა მისთა: არა მორწმუნე და ბილწი, კერპთ-
მსახური, და განახვამს საეკრპოთა ტაძართა და
მიძქვევს ყოველსა ქვეყანისა თვისსა დეოთისა
ცოლმილებისა მიმართ. და იწყებს ბრძოლად წმი-
დათა მიმართ დეოთისათა, და დასწევს ეკლესიათა და
ცხოველს-მყოფელსა ჯვარსა, რომელსა ზედა
ქრისტე დამსჭვალა. უწესს ძელად, რომელსა აღმარ-
თებენ და ჩამოარჩობენ დამნაშავეთა კაცთა და
იტყვის, ვითარმედ კაცი იყო და პურიათა ძელსა
ჩამოჰკიდეს და მოჰკლებო. " მღვდელი, გინა მოწესე,
სადაცა იპოოს, თავსა მოჰკვეთს! და ყოველსა ქვე-
ყანასა განავლენს ქადაგთა და ზელმწიფებათა მის-
ცემს ბრძოლად—სადა ვინ იპოვოს, რომელი არა
ერჩდეს ბრძანებასა მისსა, რათა მთაკვდინებდენ.

მათ დღეთა შინა ალდგეს ძმა ძმისა უდა, მამა შეიღსა ზედა, შეიღი მამასა ზედა და მოკულვიდენ ურთიერთასა და შეასმენდნენ მთიანეთა წინაშე. ხოლო რომელთა დაითმინონ მას უამსა და არა უარ. პყონ ქრისტე და იწამნენ, იგრი სწორ იყვნენ პირველ მოწამისა სტეფანესა, და გვირგვინი მისთანავე მიიღონ. ხოლო კუნძული დასავალისანი¹⁾ ალათხრნეს ყოველნი და დაეშენოს თემსა მაკედონიისასა, და თრავისისასა. ხოლო ვათარცა ესე ყოველნი განსაკუდელნი იქმნებოდან, მოიწევს ზეცით ხმა, ვითარცა ელვის საშინელისა, რომელი შეაძრწუნებდეს ყოველსა კაცა. და იქმნას სრვად და სიკვდილი ურიცხვი: რამეთუ ალდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და იყვნენ ბრძოლანი სასტიკნი და კლვანი—და იყოს ჭირი, რომელი არა ოდეს პყოფილიყოს ქვეყანასა ზედა, რათე ქვეყანასა ზედა კაცნი დაეშენეს. და გამოვალს ზეცით ცეცხლი ალითა საშინელითა და მოეფინების ქვეყანასა ზედა, ვითარცა სახმილი. და სიცხისა მისგან და ალისა დაიწვენენ ფრინველნი ცისანი პართა ზედა და გარდამოსკვრვდენ ქვეყანად და შესჭამონ ერთმანერთი. და გამოვიდენ გველნი ურიცხვნი და უცუმდენ კაცთა, რომელი იყვნენ უნანელნი და უდვოთონი და მოსრიდენ მათ, რამეთუ ესე არიან დღენი შურის-გებისანი, რომელთა ზედა შური აფოს ღმერთან ყოველთა მოქმედთა უსჯულობისათა. და უბრა-

¹⁾ მესამეშია — „ხოლო კუნძული და ვალისნი.“

ძანებს ღმერთი ანგელოსთა მათ, რომელთა აქვთ
პრძანება და მთავრობა ქართა ზედა, რათა შეიკ-
რიბნეს და არ-ლარა ჰქონდიან ქვეყანისა ზედა წესისა-
ებრ. იქმნის დაუუდება დიდი, რათა უოვლადვე
არა იძრფოდეს ფურცელი ხეთა. და მოიწიოს
სიცხე და ხოშავი (საშინელი, შემწველი სიცხე),
და შეიწოდენ კაცნი,—და ქვეყანა აღულდეს საში-
ნელისა მისგან სიცხისა, და ინატრიდენ უოველნი
კაცნი სიკვდილსა და არა შპოვებდენ¹). ხოლო
რომელთამე ჭირისა მისგან გულის-ჩჩა-პუნ
და მოიქცენ სინანულად. ხოლო ნაენი დაეუფრენ
სლეისაგან უქაროებითა, თა მენავენი იგი გმო-
ბასა იტუოდიან მაღლისათვის. და განხმეს უოვე-
ლი მწვანვილი თვისისა და ხენი და ველნი უოველნი
მოიწვენენ, ვითარება ცეცხლითა, და ნადირნი, და
პირუტყვნი მოსწყდენ, და ფრინველნი შეიტუსნენ,
რამეთუ არცა ცვარი, არცა ნოტით ვინ იხილოს
ზეცით მათ დღეთა შინა. ზღვა გარდაიქცეს სისხ-
ლად და მესამედი ნაწილი თვეშითა მოსწყდეს მას
შინა. და რისხვა ლვთისა-მიერი მოიწიოს უოველ-
თა ზედა მკვიდრთა ქვეყანისათა ცოდვათოვეის
ერისათა,—რამეთუ არა შეინანეს მათ, რათამცა მი-
ეტევა მათ,—რამეთუ მოწყალე არს ღმერთი და პნე-
ბავს ცხოვრება კაცთა. ხოლო მათ არა შეინანეს
და არცა მოიქცეს, არამედ განხმეს სიუვარული
ურთი-ერთ-არს, და სძაგლეს უოველთა თითოეული

1) მესამეშია— „და შპოვებდენ.“

და ყოველნი თავისა თვისისისა ზრუნვისა მოექმენ,
და არღარა აქვნდეს ზრუნვა სხვათი. და ამის ეს
გითარსა ზრუნვისა შინა და ოხრებისა მოჰკვდეს
მეფე იგი უკეთური და წარვიდეს სიტანჯელისა საუ-
კუნესა სხვათა თანა მოყვასთა მისთა.

თავი მისამილდაოთა.

ქ. შინ ალდგეს სხვა მეფე ქვეყანით ეთომით,
რომელ არს სახელი მისი ნობეთი, — არს პირველსა
თანა ასოსა ანბანისისა, რომელ არს ანი, — და მე-
ფობდეს იგი წელიწადსა ათორმეტსა ბერძენთა ზე-
და მეფობითა, და იყოს კაცი კეთილი და მონა-
ლეთისა სარწმუნო. და ჰყანს მან მშეოდება ქვეყა-
ნისა ზედა. და აღიდნეს ქრისტიანენი და პატივ-სცეს
მღვდელთა. და ნაწილნი წმიდათანი შეკრიბნეს და
აღაშენნეს ეკლესიანი, რომელნი დამხენეს და დაარ-
ღვივნეს პირველთა მათ უსჯულოთა. და ერთი იგი
კუნძულთა კვალიად მუნვე აქციოს თვისსა სამკვიდ-
რებელსა და სიკეთისა მისისათვის შეიყვაროს იგი
ყოველმან ქვეყანამან, — და ყოველნი ნითესევნი
მოჩიტებულებუნ და ძლვენსა მიშსცემდენ. და მოი-
წიოს სიხარული და მხიარულება დიდი მკვიდრთა
ზედა ქვეყანისათა დღეთა მისთა. და მოჰკვდეს იგი
კეთილითა სიკვდილითა. და შემდგომად მისისა ალდგეს
სხვა მეფე ჩრდილოს ქვეყანით, რომელსა შეკიან
არავანისა ქვეყანა¹), ერთად დაშეკოტს მეფობასა შინა

¹⁾) შეორეშია — „არავლისა.“ მესამეშია — „არღინისა.“

ბერძნებისა წელიწადსა ერთსა, და საღატა, ანუ რომ
მელსა ქვეყანისა არს ნაწილი ძელი ცხოვრებისა, კუ-
ველი შემოჰკრების, და იქმნების ერთი ძელი, ვი-
თარება პირველ იყო, რაეამს შემსჭვალეს უფალი მას
ზედა. და მოჰკვაროს იგი მეფესა მას, ხოლო მან
აღიღოს და წარიყვანოს იერუსალიმს და მიიყვანოს
აღგიღსა მას თხემისასა, რომელსა პრეციან გოლ-
გოთა,— და მუნ დაასვეროს იგი მას ზედა. და გვირ-
გვინი სამეფო ოლიხადოს თავისაგან თვისისა, და და-
მოჰკიდოს იგი ჯვარს მას და ალიპურნის ხელი
უა თქვას: „უფალო იგსო ქრისტე, ვანსრულდეს
უმნი და წელნი რიცხვისა ჩვენისანი, რომელ-
თა შინა ვანეწესა მეფობად ქრისტიანეთი მეფეთა,
და გვირგვინი, რომელ მოგვენიქა ბერძნთა მეფო-
ბისა ჯვარისა ძლიერებითა, ან მიიღე, ნიკი შენი
სიკვირველი, ჯვარი ვანმაცხოველებელი,— და გვირ-
გვინიცა ესე მეფობისა და ამათთანავე სულიცა ჩემი
შეიკვედრე.“

მას ემსა ვარდაშოვალს ზეცით ანგელოზი
ბრძანებითა ღვთისათა და მიიქვამს ჯვარს პატი-
ოსანსა და გვირგვინსა მას, და სულსაცა მის მეფისას
წარიყვანებს მათთანა. და მიერითგან დასრულდე-
ბის მეფობა ბერძნთა. ჩამეთუ ქრისტეანეთი მეფეთა
პატივი და გვირგვინოსნობა პატიოსნითა ჯვარითა
მიეცა და ჯვარისა-მიურ იმაღლდების კვალად. ხო-
ლო ნეტარებულნი იყენენ დღეთა მათ, რომელნი არა
იპოვნენ კონსტანტინეპოლესა, არამედ წარვიღნენ
და შეეცუდნენ ნაპრალთა კლდისათა, მთათა და

ქეაბთა, და სტიროლენ ცოდვათა მითთათვის, — მე
მეთუ დღენი ბოროტნი მოიწევიან. აჩვედ ჯერ
არს გულის-ხმის-ყოფა და ველრება ლვისა, რო-
მელსა აქენდეს სიბრძნე, რათა არა წარწყმდენ
სხვათა თანა სოფლისა სიყვარულითა.

თავი მესამოცდახუთა.

და ამისა შემდგომ აღდკენ სამნი ძმანი¹⁾ ხორციე-
ლად და დაიპურან მეფობა კონსტანტინოპოლისა.
ხოლო იყვნეს იგინი უწესონი და განმარისხებელნი
ლვისანი. და პყონ ჩეცა მშეიღობა ქალაქსა შინა
დღეთა მცირედთა — ვითარ ას-ორმოც-და-ათ დღე. და
მერმე ეშმაჟისა ბირებითა შექმნან შფოთი და ბრძო-
ლა ურთიერთარს. და უხუცესი ძმა წარვიდეს თვ-
სალონიკისა მთავართა და იყოფოდეს მუნ. და თვ-
სალონიკელთა მთავართა პრეზეს: „კეთილად გვლენ
ერნო ძლევა-შემოსილნო, ვებრძოლნეთ მტერთა
ჩვენთა და უკუნ ვაჭცივნეთ, რამეთუ დიდი შემწე
გვიავს ჩვენ შორის წმიდა მოწამე დიმიტრი!“

და გამოიყვანეს შვილით წლითვან ყრმანი ყო-
ველნი მოლაშქრე, და მღვდელნი, და მონაზონნი
ყოველნი და მოუკაზმოს მათ სიქურეელი. და შექმნან
ნავნი დიდნი და წარემართოს რომელ. და რაგომს მი-
იწოოს რომელ და დადგეს გარეშე ქალაქისა და
პრეზეს, „გიხართდენ ქალაქო, რომისა ზღუდეო!

¹⁾ მესამეშია — „პაბუკნი ძმანი“.

რამეთუ მახვილი შენი ლესულ არს და საკუთრ-
ველი შენი მტკიცეა, რამეთუ სარწმუნოება¹⁾ და
ლაგიმარხავს შეუჩიეველად! იღვაწე აწეა, რათა
არა შეიცვალოს უკუნისამდე შენგან—ვადრემდის
მოიწიოს აღსასრული სოფლისა; და შენ შო-
რისც მკიდრნი ნეტარ არიან, რამეთუ ესე ვი-
თარი ეძმი ეწიფა მათ მეორედ უკუ მოქცევა მე-
ფობისა შენისა შენ შორის. და მოირთოს მან ყო-
ველი ქვეყანა დასავლეთისა სამონოთაროისა და
ბრძოლანი ვიდრე ვირიტანიადმდე²⁾), განემზადოს
ბრძოლად ძმითა თვისთა თანა. ხოლო მეორე ძმა
განილაშქრებს მესოპოტომიას, ხარძენთა³⁾ და ყოველ-
სა მას კერძოთა სპარსეთისასა მოირთავს, და ჩავალს
ვიდრე ალექსანდრიადმდე. და მუნ დაიბანაკებს და
ელის, რათა მოვიდენ ძმანი მისნი და ბრძოლა უკუნ
მას. მესამე ძმა გამოვალს კონსტანტინოპოლით
და დაიბანაკებს აღვილსა თვისსა, რომელსა ჰქვან
კირიოპოლისი და ანახონიხელია⁴⁾ და ტარსონს,

¹⁾ მესამეშია „ჰეშმარიტი.“

²⁾ მეორეშია „და მოირთოს ყოველი ქვეყანა დასავ-
ლეთისა, რამონოთაროისა და ბართალნი, ვიდრე ერიტანი-
ადმდე, და განემზადოს ბრძოლად თვისთა“.

— მესამეშია „...დასავლითის სამონოთაროისი. და ბრი-
ალნი, და ესე ვარტანამდე, და ვანემზადების ბრძოლად ძმათა
თვისთა.“

³⁾ მეორეში არ არის.

— მესამეშია — „ჩამითს.“

⁴⁾ მეორეშია — „ანახოლიყელია, და ტარსონს, დას არმა-
ნეკთა თვემსა.“

— მესამეშია — „და ნტოლიყედათ და ტარსონის და არ-
მენაკთა, თვემსა დალმატიასა და აზაფიასა და მოირთავს.“

და სირმენიკუთა თემისა, გაღლატიასა და არავალის, და მოირთავს ყოველსა აქტეოსა, და წარელის იტალიას ციხესა, რომელსა პრეზიდ სპელენი *), იხილოს იგი და პრეზის, „არავინ არს ბრძოლი შენი და არცა გამომდებელი შენი!“ და არა უკის ბრძოლა ყოველადვე და წარემართოს იგი ლაშერითა და მოვიდეს ძმითა თვისთა ¹⁾ და შემოქრბენ ხემ-ნივე იგი ძმანი მეფენი და ბრძოლა უკონ ურთი-ერთარს. და დასკრან ერთმანერთი და დაპყარონ მძო-რი(კაცთა) მკვდართა, ვითარუა მცელეული (ეკლესია ყანისა) თივისა და თვით ივინივე სამნიკა მოკვლნენ ბრძოლისა შინა. და დაილიოს ლაშერი კლიითა, და მსდიოდეს სისხლი მათი, ვითარუა მდინარე მძაფრი, და შეერთოს ზღვასა, ვითარ ითორმეტ მიღიონადედე, და შეიღებოს ზღვა სისხლითა და არა განერეს ერთიცა მათვანი, და დაქვრივდენ დედანი ყოვლისა ქვეყა-ნისანი.

რამეთუ შეიღნი დედანი ეძიებდენ ერთსა მამაკაცსა და არა პსოებდენ ქმრად. და მოვიდენ სხვით ქვეყანით და იქორწინებოდიან ბერძენთა თა-ნა დედათა და მათვან იშვნენ შეიღნი და იღ-

*) მეორეშია... „გალტიას და არავალს და მოირთავს ყოველთა და წარევალს ახალციხეს, რომელსა პრეზიდ სირ-ლერნი“.

— მესამეშია... უმოირთავს ყოველსა ასურეთსა და წარ-გალს ალალის ციხესა, რომელსა პრეზიდ „ქსირლეონი“

) მეორეშია... } „მოვიდეს ძმათა თვისთა „ბრძოლად“. და — მესამეშია } „

ზარდნენ და იყოს სიმჩავლე დედათა, ვითარებულ
კოლტი დორთი მრავალი. ნერია იყვნენ და ხემ-
გზის სანატრელ, რომელი მას ეაშია იპოვნენ
უდაბნოთი შინა, და მთათა, და ნაპრალთა კლდი-
სათა ლეთის მსახურებისათვის, და არა პეტვილენ
მისაგებელსა მას ცოდნილთასა. და შეძლეობად
მცირედისა, იხილონ მოსლეაცა ანტესი. და ებრ-
ძოლნენ მას და ჰსალონ ქრისტეს-მიერითა შეწევ-
ნითა, და მოიკლნენ იგინი მის-მიერ და შეიწირნენ
მსხვერპლად (ვითარება კრავნი). ხოლო არა იპოვებო-
დეს მამაკაცი ეგე ეითარი, (არცა დედაკაცი), რომელი-
ცა მეფედ იქმნა, არამედ ყოველნი დედანი მეძავნი
(იქმნენ). მაშინ აღდგეს დედაკაცი ეინმე მგრძნე-
ბელი და მოვეი უკეთური თემისავან, რომელსა-
ჰქვიან ავქსინოპონტი (ავქსინოპონდი) და მეფო-
ბდეს იგი, და დაიპყრას პალატი და განამრავლნეს
მწამლეანი და გრძნებანი, და არს იგი ასული ეშმა-
კისა. და დღეთა მისთა იქმნებოდენ კონსტანტინო-
პოლის შინა კლვანი და სისხლთა დათხვევანი, რომელი-
ცა სძლევდეს—მოჟკლვიდეს მოყვასსა და მამა შვილსა
და შვილი მამასა, დედა ასულსა და ასული—დედასა. რა-
მეთუ ეშმაკნი აღძრვენ მათ ბოროტის-ყოფად, რათა
იხარებდეს მცირედ ეამ. რამეთუ იცის, ვითარმედ
მოხსლოვებულ არს მისიცა ეამი, რათა მიეიდეს სა-
ტანჯველსა საუკუნოდ. წმიდა ეკლესიათა შინა იქმო-
დიან სიძეისა და მრავშებასა ნათესავთა თვისთა თა-
ნა, და ასულთა და დათა თანა, და როკვიდენ ბობ-
ლნითა და წინწილითა, და იმლერდენ ბარბითებითა

და სიმღერითი, რომელი არცადა ვის უხილვეს კანკასა, და არცა ისმიერ ქვეყანასა. დედაკაცი იგი მეტყველი არა თუ ზეცით უწოდდეს თავსა თევისსა, „არა და იტყვის, ვითარმედ „დევთაება ვარ“ და სიტყვისა უგებს ღმერთსა და იგინებს, და საკურთხეველთა წმიდათა შეასხმეს სკორებსა. და ვანიბანს ისოთა თევისთა ბაყლსა და აპკურებს ერსა ზედა. და რომელთამე ისმევს, რათა სრულიად განაშოროს ლეთისავან. და იგინებს ყოვლად წმიდასა დედოფალსა წყენსა დეთის-მშობელსა, და ყოვლად პატიოსანსა ჯვარსა, და ხატია წმიდათა და სიხირებასა და წმიდათა მოციქულთა. და შეპკრებს ყოველთა წიგნთა საღმრთოთა, დასწვავს და ეკლესიათა დაარღვევს. და ეძიებს წმიდათა ნაწილთა, რათა დასწვნეს, — ხოლო ვერა ჰპოებს, რამეთუ ანგელოსი უფლისა გარდამოვალს ზეცით და აღიხვამს ყოველთა წმიდათა მარტვირთა ნაწილთა და მისცვალებს, საღაცა ღმერთსა ენებოს, ადგილსა დიდებულსა და არა აუფლებს დაწეად. და სოფია წმიდასა საკურთხეველსა გარდმოაქცევს და შეაგინებს ბილწითა გვამითა მისითა, და ეკლესიასა შეიქმნს ბოსლად ცხენთათვის. და დგების აღმოსავალით კერძო გულისწყრომითა და ეტყვის ღმერთსა აღმართ მხედველი, „იხილეა რაა ვჰყავ შენდა მომართ? საკურთხეველნი შენნი შევაგინენ და მკლესიანი შენნი დავსცენ! აწ უკვე, თუ ღმერთი ხარ და ძალა-ვიძს, აღმიხვენ შენთანა, რათა სასსენებელი შენი ირლარი იყოს ქვეყანასა ზედა. და მე ესენი ვჰყვენ შენდამი! ხოლო შენ ამის

ყოვლისათვის თმისაცა ერთისა თავისა ჩემისა გვის
ძალა-გიძს ვნებად! მაცადე მცირედ, რათა მანდაცა
აღმოვიდე შენდა, დავთარღვიო სიმყარო შენი და საყ-
დარი და ვიხილო, თუ შენ უძლიერესი ხირ, ანუ
მე?!" ჰერწყვავს ცასა და ქსერის ქვათა, ჰე სხვათა
სიტყვათა გმობისათა, რომელთა იტყვის, ეფრ ძალ-
ამიძს თქმად, რამეთუ არა ჯერ არიან. მაშინ, ვითარცა
იხილოს ღმერთმან, ვითარმედ სრულიად აღიხოუ
სარწმუნოება ქალაქისა მისგან და ყოველნი
მკვიდრნი მისნი იქმნეს მორჩილ ეშმაკისა, გარ-
დამოავლენს ზეცით სასწაულისა, ვითარცა ცის-
სარტყელისა. და პრეციან მას შევიღდი ცისა და
დაპირების საშუალ ქალაქისა საშინელებითა დი-
დითა და ხელი ლვოთისა განემარტების ცის-სარ-
ტყელისა შუა ოდენ ქალაქისა სამეფოსა. და მოსდებს
ზეცით და ქვეცით, ვითარცა მანგალისა, და იქმნების
გრგვინვა ჰე ხმა საშინელი. და ზღვასა ზედა, ვითარ-
ცა წისქვილი, იწყებს ბრუნვად ქალაქი, და მერმე
გარდაიქცევის და ზღვა ზედა კერძო იქმნების, და
დაფარავს ზღვად ყოვლითურთ, ვითარცა წისქვი-
ლისა. და ზარი, და ოხრი ისმოდეს სამეოცა მი-
ლიონსა. "

თავი მისამილდამდე.

"მწ გულის-ხმა-ჰყავ, შეიღო ჩემი ეპიფანე, და
უწყოდე, რამეთუ ესრეთ არს დაქცევა ქალაქისა
ამის. არღარა შორს არიან დღენიცა ივი, რომელ-
თა შინა ანტე მოვიდეს და მეფობა ყოველი დაწ-

ტეოს, თვინიერ მეფობისა ურიათასა. რამდეთუ გა-
მეფედეს ურია იქრუსალიმს, რათა ვანსტერლდექ
წელნი იგი ნაკლულნი მერეე ათასისა წლისინი,
რომელთა შინა მოვიდეს თეით ანტი. და იმის სწა-
მებს წინასწარ-მეტყველი ესაია და ოტყვის, ვითარ-
მედ „შემდგომად მათ დღეთა—დასასრულსა ყოველთა
ნათესავთა და მეფობისა, ილმართა ღმერთმან კარივი
იაკობისა დამხობილი, და სხვანი ყოველნი სჯულნი
დამდიბლდენ.“ ხოლო ურიანი ყოვლისა ქვეყანისევინ
განბნეულნი შემოჰკრძენ იქრუსალიმად მეფისა მის
მათისა, და იყოს სიხარული დიდი მათ შორის, დან-
მრავლდეს ურიათა (ერი) დიდ ფრიად, ვითარცა იყო
დღეთა მათ პირველთა, რაეამს ვამოვიდენ ეგვიპტით.
და დაეშენნენ კუალად სამკვიდრებელთა მამათა
მათასა, ვითარცა იტყვის პავლე მოციქული, ვითარ-
მედ „რაეამს იღესჩულნენ ყოველნი ნათესენი,
მაშინ ისრაილი ცხონდეს.“ და იპოლიტე მოწმე-
ცა ეწამების, რამდეთუ „ოდეს ანტე მოვიდეს, პპებს
ნათესევსა ურიათასა და მეფისა სიმტკიცესა, და
უფალმან ჩევნმან, რაეამს იქცეოდა ქვეყანისა ზედა,—
ჰერქვა ურიათა, ვითარმედ „მოველ სიხელითა მიში-
სა ჩემისათა და არა შემიწყნარეთ მე, ხოლო რო-
მელი იგი მოვიდეს უკანისენელ სიხელითა თვისი-
თა, იგი შეიწყნაროთ. ამისთვის მოსწყდეთ მისთა-
ნა ცოდვათა შინა თქვენთა.“

ხოლო ამისთვის იქჩნების შეკრძა იგი
ურიათა იქრუსალიმს და მეფობისა მოცემა,
რათა, ვანკითხვისა მას, ოდეს დასჯდეს მსაჯუ-

ლად ყოველთა ნათესავთა, უფალი ჩექნი იქსო
ქრისტე, არა აქვნდეს ურიათა მათ სიტყვას-გება, „
ვითარმედ „განბნეულ ვიუვენით ყოველთა შორის
თესლთა და არა გვაქვნდა სამკუღრებელი და არ-
ცა წინამძღვარი, რათა გვრწმენა შენდა მო-
მართ. და ესე არს მიზეზი მათისა კვალად შეკ-
რებისა და მეფობისა მათისა, რათა ყოვლადვე
მიულონ მათვან სიტყვა წინაშე საყდარსა მას ქრი-
სტესა! რამეთუ არა ირწმუნონ, არც შაშინ,
ოდეს ესე ყოველი უყოს ლმერომან. არამედ ანტე
ალიართონ ლმერთად და წარპსწყმდეს უმრავლესი
მათვანნი. ხოლო რომელთ მე ჯულის-ხშა-ჟყონ მას
ეამსა და ცხონდენ რჩეულნი ნეშტნი და სხეანი
ყოველნი დაბრმავდენ და ანტესა დაემორჩილნენ
და უძეტეს ადრე—ნათესავნი დანისნი. რამეთუ მათი-
სა ნათესავისაგან აღდგების განდგომილი იყი შეი-
ლი ანტე. ხოლო ათერომეტთა მათ ნათესავთა მე-
თერთმეტედ შეერთვის ნათესავი ეფრემისი, ძისა
იოსებისა. და ყოვლისა ნათესავისა მათისაგან ცხონ-
დების რად ტომისაგან თითოეულისა ათორმეტი
ათასი. რამეთუ ეტყვიან ანტესა, ვითარმედ „შენ
არა ხარ ქრისტე, არამედ ქრისტე მოვიდა პირველ და
იყი არს ჭეშმარიტი მოხალოლებელი. და კვალად
მეორედ მოვალს ზეცით!“ შაშინ მოიკლვიან ყოველნი
იყი მის-მიერ და იწამებიანცა, და იგინი არიან,
რომელთა პირისათვის იტყვის პავლე მოციქული:
„ვითარმედ ნეშტი ოდენ ცხონდეს.“



ჭრევა ეპიფანე: — მითხარ ესეცა, მამთა! უკეთე
ქალაქი ესე დაიტკეს, სოფია წმიდა რაა იქმნების?
იტყვიან, ვითარმედ ჰაერთა დამოუკიდებისთ!

მიუყო ნეტარმან: „რასა იტყვი შეილო? ქალაქი
იგი დაიტკევის, სოფია წმიდა ვისთვისლა დაშე-
ბის? ოდესილა კაცნი არღარი იყვნენ, ეკლესია რადღა
სახმარ არს? სვეტი, რომელი დგას ფორთხი საშუალ,
მისი თავი ოდენ სჩნდნენ ნიშნად, რათ, ოდეს ნენი
წარვლიდენ, ცნან ადგილი კონსტანტინებოლის,
და სტიროლენ მისთვის და იტყოდენ: „ვაა, ვაა,
ქალაქი შვენიერო, დიდო ბაბილონი, განსა-
ვენებელო ჩვენო, რომლისაგან განმდიდრდეს
ყოველნი მენავენი, რაა იქმნა შვენიერება და დი-
დება შენი? და სტიროლის ყოველნი, რომელნი
შედვიდენ დაქცივასა მისსა, ორმეტუ დღე. და მიე-
რთვან მიიცვალოს მეფობა პრომს და თესალო-
ნიკეს¹⁾ და უფლებდენ დასავლისა კერძოთ
ზედა.

სოლო ვითარუ მოეხლენენ დღენი აღსას-
რულისანი, განმრავლდენ ჭირნი ქვეყანისა ზედა
და განეხვნენ კარნი დარანისანი²⁾), და გამოვიდენ
მიერ ნათესავნი ბილწნი წარმართთანი, რომელნი

¹⁾ მესამეშია „სოლონიკს.“

²⁾ მესამეშია „დარანისასკარნი.“

შეაწყვდითნა აღექსანდრე მაკელონელმან მეფენი
გოგ დ მაგოგი — სამეოც დ ათონმეტნი, ლაშერითაკუ,
ურიცხვითა, ვითარცა სიმრავლედ მკალთა, — ნათე-
ხენი საძაგელნი დ პილწისა მჭამელნი, დ სისხლის
მსმელნი, — და სჭამდენ კაცია და ძალუხი, მყვარსა,
(ზიგაუი) და თაგვსა.

და ვახ არს ქვეყანასა მათ დღეთა შინა რამე-
თუ მოეცნენ მკეიდრნი ქვეყანისანი ცწროებასა.
შეე დაბნელდეს და მთოვარებისა მოაკლდეს. ხოლო
ეკლესიანი — იყვნენ სახლ სამწირეულო, და ბარბიმ-
ფეშეუმი შექმნან სამსახურებელად. და ივლტოდინ
მკეიდრნი ქვეყანისანი და შეეცნენ კუნძულთა
შინა და სტიროდიან ის ორმეოცდა თ დღე, ვიდ-
რებდე მოვლონ (ლაშქართა) ქვეყანა და მოსწყვი-
ლნენ. და მივიდნენ იგინი ქვეყანისა ისრაილისას²⁾),
რომელსა ჰრქეიან მაკელონია და მუნ მოისჩნენ
იგინი ზეგარდამომთა რისხევითა, და არა განერეს
ერთიცა მათგანი.

მაშინ აღდგეს ეშმაკი — ანტე. იტყვიან ვინმე,
ვითარმედ ანტესა — ეშმაკი ოდენ აღალგენსო
ანტე არა თუ ეშმაკი არს და კაცისა ხორცია
შეისხამს, არამედ კაცი არს! და ეშმაკი მის შორის
დაემკეიდრების ყოვლით ძალით მისითურთ, და
იქმს მის-მიერ ნებასა თვისსა, — რამეთუ განისხე-
ბის³⁾) მათ დღეთა შინა ეშმაკი ბორკილთაგან


²⁾) — „შას იერუსალიმისასა.“

³⁾) — „განრაისხნების რეინათაგან.“

თვისითა და გამოფილს ბრძოლად კაცთა, რათა თუნენეს იგინი, ვითარება იტყვის ითანე მისაჩემებული გამოცხადებასა შინა თვისისა, და ესითა წინააწარმეტყველი, წიგნსა შინა თვისისა. ხოლო ეკლესიათა იღუდების ბრძოლად, და განასხნეს მორწმუნერი და იქმოდეს ბოროტსა და სტანჯვიდეს ქრისტეს აღმსარებელთა!

მაშინ მოვლენ ენუქ, იღია და ითანე მახარებელი და იქმევიან საცხალოდ ერსა შორის და ჰქალაგებენ ესრეთ, ვითარმედ ანტე აღდგომილი არსა ეკრძალეთ, ნუ უკვე ვინმე შეჭირეთ მისგან, რამეთუ ეშვაკი არს მაკოური.

ხოლო შემდგომიდ მცირედისა ეამისა მოვიდეს ქრისტე, ჰეშმარიტი ლმერთი, განსჯად ცხოველთა და მკვდართა.“ და რომელნი წინააღმდეგი სამთა წმიდათა, მათ მახლობელად ცეცხლი გარდამოვალს ზეცით და დასწვავს მათ, და მივლენ სამნივე იგი (წმიდანნი) და ბრძოლასა უყოფენ ანტესა მას და მტყვიან: „შენ არა ხარ ქრისტელმერთი, არამედ ეშვაკი მაკოური ანტე წყეული!“ ხოლო იგი განრისხნების და შეიპყრობს მათ, შორის იქრუსალიმსა, და მოპკლივს მათ, და დამყრის ხორცია მათთა უბანსა ზედა, და არა უტევებს მათ ქვე დამარხვად. და ყოველთა მოყვარეთა მისთა შემოპკრებს, და ცკიცხვს მათ ტ ჰემობს მაღალსაცა(ლმერთსა). ხოლო დამყოფენ ხორცი მათნი მდებარე სამსა დღესა და ნახევარსა. ტ მეოთხესა დღესა მოვალს ზეცით სული წმიდა, ლმერთი, ვითარება ტრედი, და შთაბერავს სულსა.

გაშინ ოლდგებიან ფერხთა ზედა მათთა და  ლენ ზეცად წინაშე ყოველისა ერისა, და ისმას ხმა ზეცით, „ვითარმედ მოვედით, საუკარელნო ჩემნო!“ და ლრუბელი ნათლისა წირიუვანებს მათ სამოთხესა ჟინა!

მაშინ შიში და ძრტოლა დაეცემის ყოველთა ზედა! არამედ არა დაჭისცრების ბრძოლად ეშმაკი იყი ქრისტიანეთა,— მრავლითა ღონითა დასტანჯვეს მათ უწყისლოდ, ტ რომელთა მტკიცედ დაიცეან სარწმუნოება ქრისტესი ტ დაუთმონ სატანჯველთა მრავალ-ლონეთა და მწირეთა, სანატრელ იყვნენ იყინი!

ყოველნი წმიდანი დიდ არიან წინაშე ლვთისა და დიდებულნი! ხოლო, რომელნი იწამნენ ანტეს-მიერ, უზესთაეს იყვნეს იგინი ყოველთასა, რამეთუ ტანჯვანი მათნი უსასტიკეს არიან სხვათა მათ ტანჯვათა. რამეთუ რომელთამე შეი-ერთა უჩვენებს პურთა ოცნებით და აზრახებს ხა-ტებისა და სცალებს მთათა, და ყოველსავე იქმს მიშვებითა ლვთისათა სამსა წელისა და ნიხევარსა და ვინ არა ივლტოდეს მისგან¹⁾! ხოლო ნეტარ არს, რომელი არა იპოვოს მპრძოლ ლვთისა მათ დღეთა შინა, არამედ დაიმარხოს სარწმუნოება იქსო ქრისტესი, ძისა ლვთისა, რომელი იშვა ქალწულისა მარიამისავან უთესლოდ სულისა-მიერ წმიდისა.

¹⁾ მესამეშია „...ვის არ ეშინოდეს მისგან?“

თავი მისამოცდარი.



(განსლვა კაცისა ქვეყანით).

ჭრევა ეპიფანე: „მიმიო სულიერო, მაუწყე მე
ესეცა, თუ ვითარ სახით დაიღვეს ქვეყანით ყოვე-
ლი კაცი, ანუ ვითარ იქმნების მერძე იღდგომა
მკედართა?

მიუგო ნეტარმან ანდრია და შრევა: „შეი-
ლო ჩემთ! რომელსა ერსა ქვეყანისხა მოს-
რვენ უსჯულონი იგი, რომელი გამოვლენ დრანით,
ზოგნი შეცამსჭამონ მათ, და სხვანი მოსწყ-
ეილნეს ანტემან, და ურთიერთარს კლვიდენ ყო-
ველთა აღგილთა. და რომელთა ირწმუნონ ანტესი,
მოავლენს სული მათ ზედა მხეცთა, და კიათი-
ფრთხოსანთა. და იქვე მათ მახეილნი წამლიანნი ზურ-
გთა მათთა ზედა და კუდთა მათთა. და სცემდენ
კაცთა მათ და ალანთებენ და დაიწვიან წამლისა მის
საშინელისაგან ყოველნი თაყვანის-მცემელნი
ეშმაკისანი. ხოლო მონანი დვათისანი და რომელ-
თა იქნდეს სარწმუნოებად დვათისა, იყვნენ დევნულ-
ნი უდაბნოთა შინა, და მთათა, კირითა დიდითა
და ნაკლულევანებითა.

ესე ყოველი რო იქმნეს, მეყვესეულად უფალ-
შან მოავლინნეს ანგელოზი თვისნი ზეცით და შეკ-
რიბნეს ყოველნი წმიდანი ყოველისა ქვეყანისაგან
იერუსალიმს, სიონსა შინა, და მიიძინონ ერთბაშად,
ვითარუა მილითა ტკბილითა, — და დაეწესნეს საუკუ-

ნითგანთა მიცვალებულთა თანა. მაშინ შეიპყრობნ
ანტესა და ეშმაკვა და მისუმს ცეცხლისა ტბაზა
ცოცხლივ, რათა ოტანჯებოდეს მას შინა
უკუნითი უკუნისამდე და მერმე უბრძანებს
მთავარ-ანგელოზსა, რათა დასცეს საყვირსა. და
აღსდგენ მკვდარნი ხორცითა შემოსილნი. ხო-
ლო, რომელნი იპოვნენ მოსვლასა მას უფლისასა
ცოცხალნი, იხილონ მათცა გემო სიკვდილისა, წის-
სა შინა თვალისასა, ვითარცა იტყვის პივლე მო-
ციქული, და მერმე აღსდგენ მივებებად უფლისა.

და ესე უწყოდენ ყოველმან კაცმან, რაეამს გამო-
ვიდენ ნათესავნი ესე ბილწინი, მაშინ დამტკიცებუ-
ლად აღსასრული სოფლისა მოწევნულ არს, და
მოეალს მსჯული იგი დიდი სჯად და ძიებად
საქმეთა მათთაებრა!

თამი მასამოცდაცხრი.

ჟესხდეს ანდრია და ეპიფანე ლამე ყოველ,
ვილრე განთენებადმდე, და მეცა, საწყალო-
ბელი მოძღვარი მისი, მათთანავე ვიყავ. და
ესე ყოველი წარმოსთქვეს სარგებელი სულისა,
და ვითარცა ჩეკვეს უაში წირვისა, წარეიდა ნეტა-
რი ანდრია ვკლესიად, ხოლო ეპიფანე დაადგრა
სახლსა შინა და მუნ ილოცვიდა. და ვითარ განს-
თენა, კვალად შეკრძეს და ოწყეს უბნობად. და
იყო მუნ წიგნი ვასილის თქმულთა. უბრძანა ანდ-
რიამ ეპიფანეს კითხვად წიგნისა მის. და იყო იგი

თქმული წმიდისა ნათლის-ლებისათვის — სიბრძნისაგან
სოლომონისა თარგმანებელი, და ისმენდა ნეტირი
ანდრია წმიდითა გულითა, ხოლო გპიფანე ცრეს-
ლეოდა, იყითხვიდა რაც.

პრეზა ანდრია: „რასათვის სკრემლები,
არამედ სიხარული და მხიარულება ჯერ არს
უფლისა-მიერ, ვითარეა იტყვის უფალი,—
რამეთუ შენ კეთილი ნაწილი გამოგიტევიგს! ხოლო
ტირიალი მათვის ჯერ არს, რომელნი
იქმან ნებასა ეშმაკისასა. რამეთუ ვიღრე არსდა ნათვ-
ლი ყოველსა ქვეყანასა ზედა, ჯერ არს მათდა სიყ-
ვარული ნათლისა, ვიღრელა რა მნელისა.“

პრეზა მას ეპიფანემ: — ცოდვილი ვარ, მამთ
სულიერო, და მით ვსტირ ცოდვათა ჩემთა.

მიუგო წმიდამან: „უკეთუ შენ ცოდვილი ხარ,
ჩვენ უკვე რაღა ვართ, შეიღო!“

პრეზა ეპიფანე: — ოდეს მესმოდეს სიტყვა წიგ-
ნისა ამის, ვითარ არა ვსტიროდე, მამთ სულიერო
ჰატიოსანო!“

მიუგო მას ანდრია: „წერილი ევე, რომელი გეს-
შის საკითხებსა მაგას შინა, არა ჩვენთვის არს, არა-
მედ უნანელთათვის (უნათლავთათვის).“

კვალად პრეზა ეპიფანემ: — კეშმარიტად ეგრესა
სწერია!

და სიტყვასა თანა მოვიდა სული სუნნელე-
ბისა — შვენიერი, რომლისა ყნოსამან განაკვირვა
გული ჩემი.

ხოლო წმიდა ანდრია ხელვიდა მომლებელსა

ვას საკმეველისასა და ეპიფანეს და მე—სუნნელება
ოდენ მეცნოსებოდა, და ვითარცა ოღასრულად
კითხვა იგი წიგნისა ეპიფანემ, განქარდა სუნნე-
ლებაც იგი.

განუკირდა ეპიფანეს და ჰეითხა ანდრიას:—
მითხარ, მამაო, გევედრები, რად არს სუნნელება
ესე, რომელი მოიწია ჩვენდა?

ჰრევა მას ანდრია: „ანგელოსნი უფლისანი იყვ-
ნეს მრავალნი და ერთი მათგანი დაჯერებულ იქმ-
ნა სმენასა ამის წიგნისასა, და აკმია საკმეველი.“

ჰრევა მას ეპიფანემ:—სადა არიან ანგელოზნი,
ანუ საცეცხლური, რომლითა აკმევდა? ანუ ნაკერ-
ცხალნი, სადა ჰპოვეს, რამეთუ იგინი უხორუო
არიან და ჩვენგან არას მიიღებენ სახმარსა.

მიხედა ანდრია და ჰრევა: „საკვირველსა რასმე
შეუჩნები, ძმოს არა თუ გითხარ, ვითარმედ სა-
ცეცხლური უპყრიან ნივთიერი ანგელოზსა, ვი-
თარ ესე ჩვენ, რომლითა ვაკმევთ, ვინა თუ ჩვენ-
გან ეძიებუნ ნაკერცხალსა, რამეთუ იგინი სული-
ებანი არიან და აქვს სულიერი, ხოლო ჩვენ ხორ-
ციელ ვართ და გვაძეს ხორციელი. ანგელოზთა
უფლისათა, რაემს ენებოს კმევა საკმეველისა წი-
ნაშე წმდათა, არა აკმევენ საკმეველისა, არამედ
სულისა-მიერ სუნნელებასა მიჰტენენ, რომელი
საყდარსა ლვთაებისასა წინაშე იკმევის, რომლისაგან
ყოველნი ძალი კათანი აღიერებიან სუნნელებითა.
ტ ანგელოსნი, რომელნი ჰსცვენ სამოთხესა, მათ-მიერ
მიეფინების (სუნნელება) ყვავილთაგან და ცვართა

სიმოთხისათა კაცთა, რომელნიცა იქმოდიან საჭიროა
ლვთისათა, და რომელმან იყნოსოს სუნნელება იგი,
განეხვიან თვალნი სულისანი და მიერითვიან ხელავნ
იგი ყოველთა შათ შეენიერებათა ზეცის სასუფლა-
ლისასა და იხარებენ მოუკლებელად. რამეთუ სიმი-
სა საქმისათვის მიპფენენ ანგელოსნი სუნნელებასა
ამის: პირველად კიცთა მათ, რომელნი იყოთვილენ
წიგნთა სიღმრთოთა ზედა-ზედ (ხშირად) და აღა-
რულებდენ სიტყვათა მათ წიგნთასა; მეორედ, რო-
მელი ილუციდეს გულითა შემცხარეობითა, მესა-
მედ, რომელი მოითმენდეს მაწევნილთა ვანსაკ-
დელთა მაჟლობით და არა ჰალატურნებდეს.

რამეთუ წერილ არს იცლიანე განდვოში-
ლისა უსჯელოსათვის, რაეამს იკი წარვიტოდა
ბრძოლად სპარსეთად და იყო ანტიოქიას, გამოვიდის
პალატით თვისით და წარვიდის ფარულად სოფლად,
რომელსა პრეზიან დაფნი, სადა სლგა კერპი სპა-
ლენდისა, აპოლონ ეშმაკისა და ევედრებინ მას,
რათა იუწყოს მას, თუ ვითარი ძლევა მოეცე-
მის მას სპარსთა ზედა. და ვითარცა განიმრავლა კმევა
და ვედრება, გამოცეცხადა მას ეშმაკი იკი, რომელი დამ-
კვიდრებულ იყო მის კერპსა შორის და პრეზია,
ვითარმედ „ბაბილოს ძვალთა-მიერ ეკრ ვიცა ურებ
უბნობად ზენდა.“ და სხვა სიტყვა ვერა რამ მიუ-
გო, რამეთუ იყო მახლობელად ეკლესისა შინა
ნიწილნი წმიდისა ბაბილოსნი და სიმთა მათ ყრმათა,
მოწაფეთა მისთანი. უბრძანა უსჯელომან მან, მე-
ფემან იყლიანე, უჩელის-ხმომან, ერსა მას ქრისტი-

ანეთასა, რათა ღლიხვნენ ნაწილი იგი წმიდათა-
ნი და წარილონ, სადაცა ენებონ, რათა მოვრდეს
ლშეჩრთი იგი ჩემი და მეუბნოს. რაეამს ესმა ერსა
მორწმუნეთა და მოქალაქეთა, მოვიდეს კეროვნე-
ბითა და საკმეველითა, და განიყვანეს ნაწილი მო-
წიმეთანი პატივითა დიდითა და ლიტანითა, გალობ-
დეს და იტყოდეს: «წყეულ იყავნ ყოველნი, რომელნი
ესავნ კერპთა და შეახურებდენ მათ, ხოლო იხარებდენ
უფლისე-მიერ ქრისტეს ოღმსარებელნი!» და ეითარცა
ესმა ესე უსჯულოსა მას მეფესა, განრისხნა და
უბრძანი ეპარხოსა (დიდი ვეზირი მმართველი)
ქალაქისასა შეპყრობა ერისა მის და ტანჯვა.

ხოლო შეიძყრა ეპარხოშიან მან და შესხნა
(იგინი) საპურობილესა. და შეიძყრა მათთან ჭაბუკი
ვინმე, მთავრისა შეილი, სახელით თეოდორე, ასა-
კითა ვითარ ათონმეტისა წლისა, შვენიერი ხილ-
ვითა და წარმოადგინა წინაშე სამსჯავროსა, და
პრეზე მას, „რაი არს ესე ყრმოვ? ნუ უკვი შენ კა
ქრისტიანე ხარ?“

პრეზე მას ჭაბუკან: — ექმარიტად ქრისტიანე
ვარ და ალშარებელი ქრისტესი.

პრეზე მას ეპარხოშიან: „შენ უკები (უკიცი)
ხარ და სკოფი, არამედ ისმინდ ჩემი, ვითარცა მამისა
შენისა, და უზორე კერპთა.“ ხოლო ვითარცა
არა ერჩდა (ჭაბუკი იგი) ნებასა მისსა, გან-
რისხნა ეპარხოსი იგი და ბრძანი დამოკიდება
მისი ჲ ხვერტა (ვანგმარვა, ჩხვლეტა) გვერდთა მის-
თა. და დღე ყოველ სტანჯვიდა მას ზეკიდებულისა

და ხერეტილსა უწყოლოდ, და მიშწუხრი გარდამოხსნის და შეაყენებნ საპყრობილება. და იყო მენ, მრავალ-უამ, კიდრემდე მოიკლა მეცე იგი უკეთური,— და ყოველნი პყრობილნი ქრისტიანენი განუტევენს.

მაშინ თეოდორეცა საპყრობილისა მისგან გამოვიდა. ხოლო ჰეითხვიდეს ყრმასა მას თეოდორეს სახლეულნი და მოყვასნი მისნი, ვითარმედ „ოდეს ჩამოვკიდეს ტევრეტიდეს, ვითარ მოითმენ დი?“

ხოლო მას არა ენება თხრობა, და რა-ეამს აიძულეს, უთხრა მათ, ვითარმედ „ოდეს შთამომკიდეს და იწყეს ხერეტად ჩემდა, პირველად მელმოდა და ვგრძნობდი ტკივილთა ფუ-ხელად. და ვსთქუ თავსა შორის ჩემსა: „თე-ოდორე! დაითმინე მწირე ესე სატანჯველი, რა-თა საუკუნოდ გიხაროდენ!“ და ვითარცა ესე ვითარსა სატანჯველსა შინა ვიყავ, ვიხილე თხხნი საჭურისნი სპეტაკითა მოსილნი, და პირნი უბრწყინვიდეს, ვითარცა ვარსკელავნი. და ერთსა მათ-განსა ეპყრა ლანკანი და მეორესა ტკუკი სავსე მიჩონითა სუნნელითა, და ორთა მათ ეპყრა ზე-წარი სპეტაკი, ვითარცა თოვლი. და პრქეო მან, რომელსა ეპყრა ლანკანი, მოყვასსა თვისისა: „მო-ღე მიჩონი ევე და შთამოსსი ლანკანსა ამას!“ და ვითარცა შთასსხა, გამოვიდა მისგან სუნნელება პამო, რომელი არაოდეს მეყნოსა ეჩე ვითარი. და მიჩონი იგი იყო ბრწყინვალე, ვითარცა მზე. და ვითარცა შევიდა საყნოსელთა ჩემთა სუნნელება იგი, განვძლიერდი და არა ვგრძნობდი ტკივილ-

თა მათ ყოვლადეს. ხოლო მათ მაპკურეს ნელსაც
ხებელისა მისგან და გარდამომაბურეს ზეწირის გვა-
ბრწყინვალე. და მიერიდგან ყოვლადეს ასა ვგრ-
ძნობდი ტკივილსა, არამედ ვითარუა სხვისა ხორ-
ცითა ტკივილსა, ეგრეთ შემერაცხა. და ვიდრე
გარდამოსსნალმდე, ჩემთანა ჰსლგეს (იდგნენ), და
ვითარუა გარდამომხსნეს, კვალად გუხეს მირონი
და წარეიდეს.

ხოლო მე გულ-კლებულ ვიქმენ და მინდოდა,
რათამცა ეგრეთ ვიტანჯებოდე და იგიმცა სუნნე-
ლება მეყნოსებოდა. რამეთუ პირველ აქეს ტკივი-
ლი სატანჯველსა, ხოლო რაგამს იხილოს ღმერთმან
გულს-მოდგინება კაცისა, მიუვლენს ანგელოზსა,
განაძლიერებს და შეეწევის ღვაწლთა შინა. ხო-
ლო ესე მისთვის წარმოგითხარ, რათა უწყოდე
ანგელოზთა საკმეველისათვის, რომელ მკითხე!

და ვითარუა ესმა ეპიფანეს, განპკეცილდა და
იტყოდა გულსა შინა თვისსა: „იხილეთლა კაცი,
რომელსა უწოდიან საღოსაძ, ვითარითა სიბრძნითა
სავსე არს და შემკობილი?“ და რომელნი იგი სო-
ფლისა ბრძენნი არიან, იგინი განცოტნეს! ხოლო
ესე ზეცისა სიბრძნესა მიწევნილ არს!“ და ვითარუა
ესე ყოველი წარმოსთქვეს, წარეიდეს ეკლესიად
ეამსა მსხვერპლის შეწირებისასა.

ხოლო ნეტარი ეპიფანე იყო ფრიად სწავლუ-
ლი სიბრძნესა, და იმარხევიდა მარადის, და ყო-
ველთა ეკლესიათა ვალნ და წმიდათა სახსენებელ-
თა ეზიარებინ და ყოველსა კეთილსა საქმესა ისწ-

რაფინ ალსრულებად. არამედ წმიდა ანდრია ფრან-
ად უზესთავს იყო მისსა! რამეთუ სულისა წმი-
დისა-მიერ ყოველთა ენათა იტყოდა, რომელიცა
ენებოს, გინა სხვა კინმე ზრახავნ. წიგნთა საფი-
ლოსოფოსოთა სრულებით მიწევნილ იყო, და
ხორცითა უბიწო იყო, და ქალწული წმიდა
ყოვლად შეუხებელი. ხოლო გულის-სიტყვა მისი
არავინ უწყოდა, თვინიერ ჩემ გლოხავისა. და ეპი-
ფანე იცოდა ყოველი ცხოვრება მისი, ვითარ იქ-
ცეოდა საწუთოსა ამას შინა, ანუ ვინ იყო იგი,
გინა რომლითა სახითა მოქალაქიბდა, —ხოლო სხვა-
მან არა ვინ იცოდა.

თავი მასამოცდაათა.

ქამია ერთსა ვსხედით და მივიღებდით საზრ-
დელსა.

ჰეითხა ეპიფანემ ანდრიას: — მაუწყე, მე, მამაო
სულიერო, რაა ითარგმანების არტოსი?

პრექვა ანდრია: „არისხოსა და არტოსა, ესე
ორნიე სახელნი არიან პურისა, მწიგნობრობითა
და ხელოვნითა სიტყვითა.“

ჰეითხა ეპიფანემ: — მაუწყე, მამაო, კეშარი-
ტად და ზედ მიწევნით, ვითარი სახე არს დევა-
გბისა, ანუ ვითარ ვინ მიიწიოს მისსა გულის-ხის-
ყოფასა?

მიუგო წმიდამან ანდრია და პრექვა: „შეილო,
ალექსეი და ნუ გამოეძიებ ეგე ვითარსა, რომელი

ლეონარბა უხილავი არს და განუცდელი, მიუწოდებული, შეუზღუდავი, უსაზღვრო, უნიკოთო, უზესთავისი ყოველთა, დაუსაბამო, დაუსრულებელი, ყოვლისა მპყრობელი, ყოვლად ძლიერი, ყოველთა არსთა დამბადებელი, მამა უშობელი, და მშობელი, და ძე შობილი, და არა მშობელი, და სული წმიდა მხოლოდ მამისაგან გამოსრული. ამას ზედა გრძენინ წმიდა სამება ჭ თაყვანის-სკემდი. ხოლო ნუ გამოიწვლილებ ძალსა ლვთაებისასა, რამეთუ ვინ ძიებასა შეუდგეს, დაინტერის და ვერლარა გამოვალს. უკეთუ ქვეყანისასა ვერა გამოვიკვლევთ, ვითარ გამოვიკვლევთ ზესკნელისასა? ხოლო ულირსი ესე ვეძიებდი მრავალ გზის ცისა ჭ ქვეყანისა განვებათა,—დასასრულსა, ჭ ვერა მიეხვდი: ვერ-ცა ყურეთა, ვერცა კიდეთა,—და განკრომილი გამოველ ვეღრებისა მისისაგან. ხოლო, ვითარ გამოლა-ვეძიებდი, მივიტაცე გონებითი ჩემითა აღმოსავლით კერძო, და ვპჰოვე დასასრულსა ქვეყანისასა, მდინარესა ზედა საშინელსა, რომელსა ზედა არს კიდე ცისა. და ამიერ კერძო ვიხილე ბრწყინვალება საშინელი ჭ ხმა იყო ჩემდა მომართ, რომელი მეტყოდა: „ანლრია! ჭ ესრეთ, გამოლებისაგან გამოუძიებელთა საქმეთა და რომელი ჯერ არს კაცისა სახმარად, ვინა საგონებელად, მას ნუ პგონებ!“

და ხმა იგი, რომელი ამას მეტყოდა მე, იყო იგი, ვითარცა ხმა ქუხილისა და ალავსო გონება ჩემი სიხარულითა მიუწოდებელითა, და კვალად მარქვა შე, ვითარმედ, „ქმნულთა ლვთისა — კაცი ვერ შეძლე-

ბეჭ არს მითხრობად, შენ ანდრეა, ვიღულე ზეალი—
ამისთვის, შეილო ჩემო, არა ულირს კაცია უფლო—
ლვე მავე ვითართა საქმეთა გონგბა. არაშედ ესე
არს მაღალი და სრული გზა, რათა კაცი მარიდის განა—
გებლეს, თუ რომლითა სახითა ანუ სათნოებითა,
სათნო ეყოს ლშეტისა და პუს ნება მისი! და
სიტანჯველთა მათ საუკუნეთა განრომას (განვლას)
ზრუნვილეს, და ცოდვა მოიძულოს სრულიად, სიკვ—
დილი თვისი მარადის წინაშე თვალთა აქვნდეს, და
რომელი მას უჩნდეს, რომელი თუმცა სხვამან ჰყო
მისა მიმართ, იგი სხვასა ნუ უყოფს. ესე ეითარნი ხაქ—
მენი ეთხოვებიან. ხოლო სალმრთონი განვებანი მას
მხოლოსა მიუტევნეთ და განაგნეს, ვითარცა იცის.
და ეითარცა პნებავს,— და არა ჩენ, მიწანი ესე და
ნაცარნი, ვეძიებლეთ ზეცისა განვებასა ქვეყანისა
შესაქმესა. რამეთუ არცა მოსე წინასწარ-მეტყველმან
პსთქვა სხვა მეტი, რაგამს იწყო აღწერად დაბალებისა,
გარეშე ამისა, ვითარმედ * დასაბამად პქმნა ცა და
ქვეყანა*, და სხვანი სახენი და ეცელებანი დაიდუმნა.
ხოლო წმიდათა მამათა და მოძღვართა— პსთქვეს,
(აღსინეს), რომელი იგი ჯერ იყო. და მოსცა მათ
სულმან წმიდამან შესაქმისათვის ცისა და ქვეყანისა,
და ანგელოზთა ბუნებისათვის— და ესეცა შიშითვე
და წიგნისა წამებითა და წინასწარ-მეტყველთა,—
არა შევიდეს შეუალსა სილრმესა.

პკითხა ეპიფანე:— ეითარ სახედ თქვა დავით
წინასწარ-მეტყველმან ფსალმუნი ესე: „ნუ სდგებინ
შენ წინაშე სიყდარი უსჯულოებისა, რომელნი

იქმან შრომასა ბრძანებულსა ზედა. მოინარიჩონ
სული მართლისა და სისხლსა მას უბრალოსა
პრალეულ ჰყოფდეს?“

მიუვო წმიდამან ანდრია: „ესე ფხალმუნი,
შვილო, ორკეცად გამოითარგმანების:—ერთად,
ვითარ შენცა უწყი, რამეთუ მეფობდა საულ,
და მეფობდა დავითცა. და საულ უმზირდა დავითს,
რათამცა მოუკლა იგი, სადაც ჰპოვას. დავით ეველ-
რებოდა ღმერთსა და ეტყოდა: უფალო, ნუ გთნავს
საულ, რამეთუ არა ლირს არს მეფედ: პირველად
ასწავლის ერსა შენსა ძეირსა ჩემთვის, ხოლო მე,
მონა შენი, არასა ძეირსა ვეძიებ მას ზედა, ხოლო იგი
მიღების (ეძიებს) სიკვდილსა ჩემსა. ამისთვის
მვედრება დავით უფალსა ღმერთსა.

ისმინა ღმერთმან დავითისა და განხადა საულ
მეფობისაგან და ილაშილლა მის-მიერ დევნული
დავით, მდაბალი და მშვიდი გულითა.

ჰყითხა ეპიფანემ:—რად არს ჯოჯოხეთი, ანუ მღვი-
მე იგი ქვესკნელი, ანუ რად არს სილრმე იგი უფსკრუ-
ლისა მის ჯოჯოხეთისა? რად (როგორ) ითარგმანების?

მიუვო წმიდამან ანდრია: „ჯოჯოხეთი მსგავსი
არს საფლავისა. კითარუა საფლავსა შინა განირყვნე-
ბის შეენიერება ხორცია და შეიცვალების, ეგრე-
თვე ჯოჯოხეთს შინა შეიცვალების შეენიერება
სულისა და იქმნების უშვერ და შევ, და იგივე სახე
აქვს მღვიმესა მას.

ჰყითხა ეპიფანემ:—რომელნი ნითესავნი მივლენ
სასჯელსა ლვთისასა, რაუმს ალდგენ მკვდარნი,
ანუ ვითარ განისჯებიან?

მიუგო წმიდამინ ანდრია: „იტყვის პეტრე
მოციქული: „რომელმან კეთებ კოდვა, მონა არა ივი
კოდვისა.“ ყოველნი მიღლენ სასჯელსა, ვინათუ
მართლ-მაღიდებელნი იყვნენ, ვინათუ მწვალებელნი,
ვინა თუ ურიანი. ხოლო ურიათა, რომელთა მოსეს
სჯული წმიდალ დაემარხოთ, იგინი უმოლხინეს
იყვნენ სხვათა მათ, რომელნი გარდამავალ იყვნენ
სჯულისა. და ვიდრე ქრისტეს მოსლვადმდე,
რომელნი იყვნეს კეთილად მშარხველნი სჯულისანი,
კაცნი იგი, სცხონდენ ყოველნი, ხოლო აწინდელნი,
ყოველნი სატანჯველად მივლენ, გარნა კეთილის
მომქმედნი უმოლხინეს იყვნენ. ევრეთვე სარკინონი
მიიღებენ სასჯელსა, გარნა კეთილი ყოფა
არა სადა განელტვის (არ დაიმაღება) და სასჯელსა
უმცირესა მიიღებენ. არამედ, რომელი პირველი-
თვან განწევებულ არს მათთვის, ყოველნი სწორედ
მივლენ. ხოლო ამისთვის მივლენ სამსჯავროდ,
რათა იხილონ დიდება ქრისტესი და იცნან, რამეთუ
პეშმარიტი ლმერთი იყო, რომელი იშვა ქალწული-
სავან. რამეთუ მათ იკოდენ მოსლვა მისი და არა
აწმენა. ამისთვის, იხილონ რად, იგლოვდენ, თუ
ვითარი დიდება დაიჭირვეს (დაპეარგეს). ესე თრ-
ნივე ნათესავნი მარცხენით სდგენ, ვითარცა
იტყვის უფალი, ვითარმედ „ცოდვილნი დაადგინნეს
მარცხენით.“

მაშინ ურიათა წარმოუდგენ წინასწარმეტყველნი
და ეტყვიან მათ პირითა მათთა: „ვითარმედ წინას-
წარვე გაუწყეთ ჩვენ მოსლვა ქრისტესი და რაემს

იხილეთ, რასათვის არა ირწმუნეთ იგი და და
ამათ დაუყოფენ პირთა მათთა, რათა არღვის
აქციებს სიტყვად. ხოლო ქრისტიანეთა წარ-
მოულგენს წმიდათა მოციქულთა და მახარებელთა
და ბლელელ-მთავართა, რომელნი ასწავებდეს
კეშმარიტსა სარწმუნოებასა, და ამით უსიტ-
უველ ჰყოვს ორკერძოვე; რამეთუ არა ირწმუნეს
მათ სწავლა, და არცა მოდრენს შიშად სატანჯვე-
ლისა. ამისთვისკა იტანჯებოდენ უკუნისამდე.
და ესეცა უწყოდე, შეილო ჩემთ საყვარელო,
რამეთუ ყოველნი მოწაფენი მოძღვართა თანა დგენ.
უკეთუ ვინმე ისწავა კეთილი—მოძღვრისა
კეთილისაგან, გინა მართალი სარწმუნოება, გინა
სხვა რაიმე ისწავა, და ზრდის დაიცვა, ჰსლგეს
იგი მსწავლელისა თევისისა თანა სიხარულით მარ-
ჯვენით—საყდარსა ქრისტესა, ხოლო ბოროტის
მასწავლელი მოძღვარი და მოწაფე იგი მის-მიერ
სწავლული, რომლისაცა საქმე უკეთური იყო,
გინა წვალებისა, თავ-თავად დგენ, რათა მისაღე-
ბელი, მსგავსად საქმეთა მათთა, ვითარცა ექმნათ,
მიიღონ.

მართალნი წარვიდენ სასუუეველად მოძღვართა
მათთა თანა, ხოლო ცოდვილნი მიეცნენ ანგე-
ლოზთა უწყალოთა და წარიგზავნეს სიტანჯველთა
საუკუნოდ მოძღვართა მათთა თანა.

ჰეითხა ეპიფანემ:—მითხარ, მამთო, ვითარ
შესაძლებელ არს ესოდენთა მკედართა (გვამთა) აღდ-
გინებად, რამეთუ მრავალნი არიან საუკუნიდგან და-

ძინებულნი, ანუ რაოდენი გუნდნი ანგელოსთვის კი
ეყოს მათ აღმაღვინებელად?

მიუგო წმიდამან ანდრიაშ: „ლეონისა საკეირუელ-
მოქმედებათა ნუ შეხვალ გამოკლევად, გვ-
შინოდენ და სძრწოლე მისგან. ხოლო აღდგომისა-
თვის ესრეთ უწყოდე: უკეთუ ინგბოს ლმერიმან,
მთავრობინნეს ანგელოზნი და ყოველივე შემოურიბ-
ნეს წამსა თვალისასა სულით და ხორცით.

ჰეითხა ეპიფანერმ: — დღესა მას ვანსჯისასა, რა
იქმნების ზღვა, ხმელი, მზე და მთვარე და ვარს-
კვლავნი? გინა არსა (იქმნება) მაშინ ლამე, ანუ
დღე და ჰაერი ესე?

მიუგო წმიდამან ანდრიაშ: „რაეამს მოიწიოს
დღე იგი საშინელი, მოსლვა უფლისა ჩვენისა იგ-
ხო ქრისტესი, წარავლენს იგი ოთხთა მთავარ-ანგე-
ლოსთა დასითა თვისითა ოთხთა ყურეთა ქვეანი-
სითა. და დასლენ მუნ, და მოელიან ბრძანებისა
უფლისასა ზეგარდამოსა. და რაეამს უბრძანოს მათ
უფალმან, „დაპბერეთ საკურისა!“ მაშინ კა და ქვეყა-
ნა წარიგრავნოს, ვითარცა იტყვის დავით წინასწარ-
მეტყველი: „დასაბამსა შენ, უფალო, ქვეყანა
დააფუძნე და ქმნული ხელთა შენთანი ცანი არი-
ან, იგინი წარხდებიან, ხოლო შენ ჰვიე უკუნისამდე;
და ყოველნი, ვითარცა სამოსელნი, დაძელდენ, და
ვითარცა შესამოსელნი სცვალენ იგინი. ხოლო
შენ თავისი იგივე ხარ და წელიწადთა შენთა არა
მთავრდეს.“ რამეთუ, ვითარცა სამოსელი, შეიცვა-
ლების და განაზღლდების, — მაშინ კა და ქვეყანა

და ყოველი სამკაული მათი, და ხორცი ყოველთა კაცთანი განახლდებიან და ოლსდგებიან უბრწენელი. — ხოლო ქვეყანა შეიმოსს უხილესია ძალა და მიუწოდეს! და კანი შეიცვალებიან საკვირველად — და პატივის განაცხადიან და ნათელი ესე — ბევრი ათასთა წილ (ერთი ათასად) უბრწყინვალეს პნოთობდეს.

მაშინ ქვეყანასა ზედა მხეცნი და ფრინველი და ჭიანი არღარა იყვნენ, არამედ ქვეყანა სუნნელთა საკმეველთა გამომდებელი და ყვავილთა შეენიერთა! შესაკრებელი ყოველთა მართალთა იყოს და მე ყოვლად არა არს და არცა იხილების ბნელი. რამეთუ უფალი არს მაშინ ნათელი, დიდება წმიდათა და გვირგვინი, შეენიერება და სიქალული! რამეთუ, ყოვლადვე ხელვა ლვთისა, განუქარვებელ არს ჩათვან და ნეტარ არს, რომელი ლირს იქმნეს მაშინ მას დიდებასა მიმთხვევად! რამეთუ ოლსასრული არღარა აქვს, არცა შეცვალება, არამედ ანგელოსთა თანი დიდების-შეტყველებდენ ლვთისა-მიერ სულიერსა გალობასა!“

თავი მასამოცდათართვით.

 ვითარება ამის უთხრობდა ნეტარი ანდრია, მოვიდა ეშმაკი და დადგა შორის მათსა. ხოლო, ვითარება იხილა იგი, პრექვა მას: „წარვედ, წყეულო, და არა წმიდაო სულო!“

პრექვა მას ეშმაკმან — შენსა უფროს უწირფელესსა ვერღარავის ვპარვებ. უკვეთუ გნებავს, გით-

სრა მე რააგე მართალი. მოელენ ეამნი და გამოვილო (გამოვიჩინო) ჩემი სიხელოვნე და ვძყვნე კაცი უხელოვნეს ჩემსა და უბოროტეს, და ჩვილნი ყრმანი უმანქანეს მოხუცებულთხა იყვნენ. და ჩვენ წელიწადთა მათ ესე ვითარსა სიმანქანესა შინა განვისვენოთ, რამეთუ იგინი იქმოდიან საქმეთა ჩვენთა.

პრეზა წმიდამან ანდრია: „და შენ ვინა უწყის ეგრეთ, რამეთუ წინასწარ ცნობა არა გაქვს?“

პრეზა ეშმაკმან: — მესამეთაგან ეამთა მომავალთა შევატყვებთ, რამეთუ მამა ჩვენი — სამოელი ზის ჯოჯოხეთსა შინა და სხვა არა უძს საქმე, გარნა ყოველსაც ესე ვითარსა სიმანქანესა გვწვრთნის ჩვენ, შვილთა მისთა, და მის-მიერ ეუწყიოთ.

პრეზა წმიდამან: „რომლისა ცოდვისათვის უფრო განიხილებთ, რაეამს ქმნეს კაცმან?“

მიუგო მას ეშმაკმან: — კერპით-მსახურებისათვის და გრძნებისათვის და მწამვლელობისათვის, ძვირის სსენებისათვის და კაცის კვლისა, რამეთუ ყოველი მორიოტი მათ-მიერ იშვების: სიძვა და მრუშება.

პრეზა წმიდამან: „ოდეს უარ-ჰყვნეს და მოიკვეთნეს საქმენი ეგე კაცმან და ინანდეს იგი გულითა მხურვალითა, რაა იყოს მისთანა?“

მიუგო ეშმაკმან — ეგე შენ თვით უწყი, თუ რა არსა მე რალას მკითხავ? ჩვენ მრავლითა ღონითა ეგბრძვით, რათა ვაკუტუნოთ კაცი, და მერმე, ცომისა შემდგომ ვიღვწვით, რათა არალა მოვიდეს სინანულიდ, ხოლო, უკეთუ შეინანოს, კვალადცა ვებრძვითვე და მრავალთა მოვიყვანებთ ნება-

სავე ჩვენსა მრავლითა ღონითა. რამეთუ უოველა
მოსწრაფება ჩვენი ესე არს,—რათა ვაცოუნნებო
ქრისტიანები და მოვიყვანოთ ნებასა ჩვენსა და
მრავალთა მოვიყვანებთ (მოვინადირებთ) და წირე-
სწყმელთ.

რაებამს ესმა ესე უოველი წმიდასა ანდრიას
ეშმაკისაგან, ნერწყვა მას და დასწერა მას ჯვარი
და პრეზე: „წირველ ჩემგან წყვილო, ნურდარა
შრაბავ, არამედ შთახედ ჯოჯოხეთად!“ ჰე მყის უნი-
ნო იქმნა.

თავი მისამოცდათოჩერე.

(საუბარი ფილოსოფოსთა ეპიფანესა და ანდრიასთანა).

მოვინმცვიდეს ორნი ფილოსოფოსნი ეპიფანე-
სა, რათა ეუბნოს საფილოფოსო წიგნთაგან. ხო-
ლო ანდრია პრეზე ერთსა მათგანსა: „გკითხავ შენ,
ბრძენო, რათა მაუწყო, უკეთუ გიპოვნიეს წიგნთა
შენთა შინა, რათამცა სკნა დღე იგი აღსახრულისა
შენისა და განეკრძალო მისთვის?“ ხოლო ვი-
თარცა ესმა კაცსა მას, განკუცირდა ფრიალ, და რქებ
ეპიფანეს: „ვინა უწყის გლოასაკმან ამან ესე ვითა-
რისა სიტყვისა თქმა?“

პრეზე მას ეპიფანე,—რამეთუ სამსჯავროსაგან
ზეცისა მოსრულ არს სული სიბრძნისა მის ზედა და
ალუვსიეს გვამი მისი და მის-მიერ აღმოიტყვის ესე
ვითართა სიტყვათა.

პრეზე ფილოსოფოსმან: — ჰსნინს, რამეთუ სიტყვა-
მისი კეშმარიტსა იტყვის.

მიუგო წმიდამან ანდრია: „მეცნიერ ხაჩ
ჩემდა პირეელ, ანუ აწ მიხილე?“ ხოლო მან განი-
ცინა. და პრექტა მას ანდრია, „რასა იცინი? მართლად
გმირული. აწ ვაკე ქავი ეველრე ღმერთსა; სამ დღე-
მდე მეფე მთავლენს მანდატურსა თვისსა და მთ-
გაყვდინებს. წარედ სახიდ შენდა და განემზადე,
რამეთუ სამისა დღისა შემდგომად წარხვალ!“

პრექტა ფილოსოფოსმან:— და რომელი მეფე გან-
რისხებულ არს ჩემზედა, რამეთუ არა მიცის მე
მეფემან ყოვლადვე, თუ ვინა ვარ და არცა რა
შემიცოდებია. რად პნემავს ჩემვან?

მიუგო წმიდამან: „წარედ მსწრაფლ, ისმინდ
სიტყვა ჩემი, და განემზადე.

განწყრა ფილოსოფოსი იგი და პრექტა, რად
განვემზადო? ვითა ვძყო? არა ვუწყი რასა იტყვი
მაშინ წმიდამან ანდრიამ უთხრა განცხადებულად,
„წარედ და იყიდე დრაპეანისა სანთელი და საკმე-
დელი, და განრეცხე სამოსელი შენი, რათა შეგმო-
სონ საფლავსა შენსა, და განუყავ გლახვეთა ვე-
ცხლი შენი!“

პრექტა ფილოსოფოსმან:— და ვითარ ვუწყოდე,
თუ კეშჩარიტა იტყვი შენ?

და წმიდამან ანდრია მიუთხრო სიზმარი, რო-
მელი ეხილვა ფილოსოფოსსა მას ოდენ ლამესა.
არა ესრეთ იხილვა, ვითარმედ გეპურნეს წიგნი და
იყითხვილი. და ვითარ დაასრულე კითხვა და
დაგიშთა სამი ფურცელი უკითხავად. და გეპურნეს
სამნი იგი ფურცელნი მარცხენესა ხელსა შენსა, ტ

იტყოდი: „სულო ჩემო, ნუ ისწრაფი, სამნი-ლა
ფურუელნი ვისხენ, რომლითა ვანსრულდეს წიგნი
ფი...“ ნახული მის-მიერ (ფილოსოფოსის), რომელი
მიუთხოა წმიდამან ანდრიამ, (კაცი იგი) ვანპკეირ-
და და შეიძყრა შიშმან და ძრწოლამან, და პრქვა
ეპიფანეს:— ცხოველ არს უფალი იქსო ქრისტე, ერ
დვთისა! კეშმარიტად ესრეთ მიხილავს სიზმარი ესე
ამას ღამესა შინა!!!

პრქვა მას ეპიფანემ, „გულ-სავსე იქმენ, მთო,
რამეთუ ყოველი, რომელი ვესმა მავისგან, ზეცით
ვარდამო არს და ღმერთი გეტყვის პირით-ვამო მისით.
წარვედ და ვანემშაჲე, რამეთუ კეშმარიტ არს სიტყვა
მისი.“ ხოლო კაცი იგი წარვიდა და ალუარნა ცოდვანი
თვისნი მოძლევარსა, და მონავები თვისი ვანუკ
ვლახაკთა. და სამი იგი დღე წარვლო კეთილითა
სინანულითა და აღესრულა სათნოდ ღვთისა. ხოლო
რაეამს წარვიდა ფილოსოფოსი იგი და მოიწია ღამე,
შევიდეს სახლსა ეპიფანე და ანდრია, და მიიღეს
საზრდელი.

თავი მასამოცაცავითი.

(ჩვენებისათვის ეპიფანესა).

**წვალისა დღე იყო დღესასწაული შუა ზაღი-
კობისა, და წარვიდეს ორნივე ლამის-თევად ეკლე-
სიად. ხოლო ანდრია პსლე ვარეშე, ფარულსა
დავილსა, თვისაგინ და მუნ ილოცვიდა. ხოლო
ეპიფანე შევიდა ცკლესიად ერსა მასთანა და იწყეს**

ლოცვად. იხილა ეპიფანე ერსა მას შორის საჩნი საჭირო. რისი, სახითა მღვდელთათა მდგომარენი, რომელნი ბრწყინვიდეს, ვითარცა მთიებნი. ხოლო ერთი იგი იყო უმაღლესი ყოველთასა, და ორნი იგი უდგეს იმიერ და ამიერ საჭურისსა მას, ვითარცა მსახურნი. და ეპიფანე, ვითარცა ხელვიდა მათ, წალიერ იქნია, რათამცა მიახლოვებოდა. მივიდა და დადგა მას. ლობელად მათსა, გარნა არა უწყოდა, ვითარმედ ანგელოსნი არიან. და ვითარცა დასხდეს წიგნის კითხვად, მივიდა ეპიფანე მახლობელად მათსა. პრქვა მას საშუალმან: „მოვედ, წმიდაო მეუფეო, და დაჯედ ჩემთანა!“ ხოლო ეპიფანე შეწუხნა; გონებდა, ვითარმედ ესმა სხვათა კაცთა მეუფედ წოდება მისი.

პრქვა მას მღვდელმან:—ნუ პირუნავ, არა ვის ესმინა (ასმია) სხუასა ხმა ჩემი!

და ვითარცა დასხდეს, თქვა ეპიფანემ გულსა შინა თვისსა: „კაცნი ვინმე არიან, ანუ ანგელოზნი, რომელთა მე ვხედავ?“ ხოლო მან იწყო თხრობად ძალთა ზეცისათა და ამცნებდა კეთილად მოღვაწეობასა და წესია პატრიარქობისასა. და პრქვა მას,—ღირსი ხარ პატრიარქად კოსტანტინეპოლისა და უფლისა-მიერ ხელნი დაგესხმიან მღვდელ-მთავრად და სასულეულსა ცათასა დაემკიდრები!

და ვითარცა ამას ასწავებდა, და წიგნსა იკითხვიდეს წმიდისა ბასილისასა, რომელი უკვემს მოწყვალებისათვის.

პრეზა ანგელოსმან: „ისმინე ჩახა იტყვის
წმიდა ბახილი: „მოწყალებისათვის, ხარმცა მამა
ობოლთა, და მსაჯული ქვრივთა, და ნუგები-
ნის-მცემელი მწირთა, შემწე უღონოთა და
ჭირვეულთა და დაწუნებულთა, და მოწყალე გლახა-
კთა, და ყოვლისა საქმისა კეთილისა სრულებით
მომქმედი!“ და ვითარცა აღასრულეს წიგნის კითხვა,
ერთბამად აღდგეს.

მაშინ ანგელოსმან ამბორს უყო ეპიფანეს და
პრეზა: „მიუნობ ვინა ვარ, ინუ ვინა მოვედ?“

პრეზა ეპიფანე: — არა ვიუნობ, უფალო, ვინა
ხარ, ანუ ვინა მოხვედ?

პრეზა ანგელოსმან: „მე ვარ მთავარი
მხედრობათა ზეცისათა და მოვივლინე შენდა
ლვითისა-მიერ, რათა მიერილგან მეცნიერი იყო
ჩემდა,“ და მყის განვიდა ეკლესიით. ხოლო ეპიფანე
შეუდგა უკანი მისსა, თუ რაა იქმნა იგი? და
ვერდარა იხილა, რამეთუ მიეფარა. ხოლო მან
იწყო ტირილად და გულისკლებად, და უკუნ
იქცა ეკლესიად. და ვითარცა განთენდა, წარეიდა
სახიდ თვისად. ხოლო ანდრია პირველვე წარსულ
იყო, და იჯდა ცხელარსა ზედა, და ვითარცა
იხილა მან ეპიფანე, პრეზა მას: „ბრძანე, წმიდაო
მეუფეო, ვითარცა გიბრძანა წმიდამან მთავარ-ანგე-
ლოსმან, მამაო. ობოლთაო და მსაჯულო ქვრივთაო,
რამეთუ ესრეთ გიბრძანა მთავარ-ანგელოსმან, „ვი-
თარმედ მე ვარ მთავარი მხედრობათა მეუფისათა!“

ხოლო ეპიფანე განპკეირდა სულითა ცნობასა

ზედა მისია, რამეთუ, ვითარცა მუნ მდგომარეობას, უფელივე წილმოუთხრა, და ეტყოდა ეპიფანე ეს-რეთ: „საკვირველ არს ლმერთი წმიდათა შორის მის-თა, ლმერთი ისრაილისა!“ პრექა ნეტარმან ანდრია: „არა სამნი იხილნეა ანგელოზი იგი? თავადი იყო მიქელ მთავარ-ანგელოზი, და ორნი იგი იყვნეს მისნი შემდგომნი ანგელოზი, რომელთაგან პირველსა მას ჩვენსა უბნობასა მოეფინა სუნნელება, რაგამს წიგნსა იკითხევდი.

თავი მასამოდათოთხმით.

(ანდრერძი წმ. ანდრიასი ეპიფანეს მიმართ).

ღ ვითარცა ესე სოქვა, იწყო ტირილად წმიდამან ანდრია და აღიხილნა ზეცად თვალნი და აღიპყრნა ხელნი და სულთ-ითქვნა. პრექა ეპიფანემ: „რად არს ესე, მაშოთ პატიოსანო, და მოძლვარო სულიერო? რასა სურემლოდ და პხედა ზეცად მიმართ,—მაუწყე მეცა, შვილსა შენსა!“ პრექა მას წმიდამან ანდრია: — შვილო ჩემო! მიერიდგინ უწყებულ იყავნ შენდა, რამეთუ მოიწია აღსასრული ჩემი და განვემორებით ურთი-ერთარს, მე და შენ, ხორცითა ხოლო რაგამს ესმა ესე ეპიფანეს, შეშეფოთნა და რქვა მას: „ვის დამიტოვებ, მაშოთ, ობოლსა შეიღლსა შენსა?“ პრექა მას ნეტარმან: — ნუ მწუხარე ხარ, შვილო, მიცვალებისა ჩემისათვის! ნეტარ არს ჩემდა, რამეთუ

განვიღო სოფლისა ამისგან! რამეთუ არა რა სარგებ-
ბელ გეუმფის და არცა რას შემძენს, არამედ უფრო როსად
საკრძალოვ არს და მაცოფი, და მანქანებანი
ეჭმაყისანი განვეტნილ არიან ყოველსა იდგილსა.
ხოლო მე ვიღრე (საღაც) მეგულვების წარსლვა
ცხოვრებასა მას, — მუნ ყოფად არს ანგე-
ლოზნი და არს იგი ქვეყანა ნითლისა, ხოლო
ესე (ქვეყანა) ბნელი არს. მუნ სამებასა წმი-
დასა ქებასა შეისხებ ქერაბინნი და სერაბინ-
ნი, ხოლო სოფელსა ამას შინა ისმის ცოდვა
და ტყუილი. მე, შეილო ჩემო, დავასრულე რიცავი
დღეთა ჩემთა და ამიერითვან არღარია მიხილო ცო-
ცხალი, და არცა გესმეს ხმა ჩემი. ხოლო გაუწყო
შენცა, რომელი მოწევნიდ არს შენ ზედა, რათა მის-
მიერ ვახსოვდე და არა დამიიციწყო. რამეთუ შემდგომ
აღსრულებისა მამისა შენისა, იქმნე შენ მონაზონ,
და წესიერებისა შენისათვის დაჯერებულ იქმნას
ქრისტე ღმერთი და სიხელი შენი განაღილოს ქვეყანა-
სა ზედა, და ჩივამს შეიმოსდე სქემასა, სახელი
შეგიცვალონ და ლირს იქმნე ხელ-დასხმასა
წმილისა სოფისა პატრიარქად, და აღსდგენ შრავე-
ლნი შწვალებელნი ბრძოლად შენდა, ხოლო შენ
სხლო მათ ძალითა ქრისტესითა.

ხოლო გაფუტებ შენ სახელსა მამისა და ძისა
და სულისა წმილისასა, და ყოველად წმილისა
ღვთის-მშობელსა, რაევამს პატრიარქ იქმნე, ნუ
განაღილებ სახელსა ჩემსა ქვეყანასა, და ნურცა
მკლესიასა იღმიშენებ, და ნურცა ხატსა ჩემსა

გამოსწერ და ნუმცა ვინ მიუწოდს, და ნუმცა
მადიდებს შენ-მიერ.

გრძელების ჩემი, ძმით, უკეთე არა დაიმიარებო
ანდერძი ჩემი, განსაცდელსა შევარდე, და მე
თვით ვეველრო ქრისტესა ღმერთსა ჩემსა, რათა
ყოვლადე არა ფილილო ქვეყანასა ზედა და არცა
ხორცი ჩემნი გამოაწეს კაცთა ხორის. რამეთუ,
ვითარცა წირწყმდენ და დაიფარნენ ცოლეილნი,
ეგრეთე ხორცი ჩემნი დაიფარნენ ხორცთა თანა
წმიდისა და ყოვლად სანატრიდლისა ნიჩოსთა¹⁾,
რომელიყო პირველ ჩემსა. რამეთუ უფალმან მისთანა
შრძნია, რათა დაისხნენ ხორცი ჩემნი.

ხოლო შენ, შვილო ჩემო, გაქუნდინ პიში
უფლისა და სიყვარული მისი ყოვლითა ცელითა
შენითა, და სახსენებელსა წმიდათასა აღსრულდე
ბა, და მაღლისა მათსა ეზიარებოდი, და ლოცვა
ჰყოფდი ყოველთა ქრისტეანეთათვის. ყოველნი
გიყვარდენ, ტყვეთი ისანიდი, პირველთა ნუგეშა
ნის ცემდი, დაწუნებულთა ხელთა აღუპყრობდი,
უცხოთა შეიწყნარებდი. ხოლო მე, უკეთე ვქვეყნ
მაღლი წინაშე ქრისტესა, მართის სულითა შენთა
ნა ვიყო. რაეამს მოიწოდოს აღსასრული შენი და
განხვიდოდე ხორცთაგან, მე მოვიდე პირველ შენდა
და გაუწყო შენ და ერთობით ვიყვნეთ საუკუნესა
მას, — და სწორად ვიხარებდეთ დიდებასა მის საუკუ
ნესა, და ერთობით ვიყვნეთ და ვხელვიდეთ უხი-

¹⁾ სხენება მისი აღსრულების 20 ნოემბერს.

ლავსა და ოფალთ-შეუტყამისა ხატსა მას ლყობა
ჩვენისასა, ვითარება თვით იტყვის უფალი ჩვენისა
იქსო ქრისტი, „სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახურის
ჩემნიო.“ და მე მრწამს, ვითარებულ არა ხვებულ
ჩვენებს ხილვასა მისსა და სმენასა ხმისა მას
ტკბილისასა.

თამი გისამოცდას უთავთ.

ცისმინე, შვილო! უკეთე ვისმე ხელთა დასხმიდე
მღვდლად, ანუ დიაკონად, ანუ ეპისკოპოსად,
ნუცა ვისგან მოგაქვს ქრთამი, და ნუცა სიტყვი-
ლითა მისითა ჰსწავებ უწესოსა და ულირსა კაცსა და
ნუმცა ვისგან შეიშინები (შეიგინები), არამედ ლირსი და
წესერჩიმუა არს იგი ყოვლითა ხელთ-დასხმული შენი.
და ნუცა შეხახედავსა და პირშვენიერებასა განიცდი
(ხედავ), და ნუცა ფრიად სწავლულებასა შეხარბდები,
არამედ, უკეთე იყოს ვაზებითა მდაბალი და მოშიში
ლვთისა და სულითა წრიფელი, და კეშმარიტი, იგი
გამოიჩინიე და მას დახსენ ხელნი და აკურთხენ,
და ღმერთი გაქვნდეს მარადის წინაშე თვალთა
შენთა და რომელსაცა ალასრულებდე წმიდასა
ემის წირვასა, სიყდარსა შენსა, ნუ დამიკიწყებ მე,
არამედ მომისხენებდე. რამეთუ ვერა რად სიყვა-
რული და კეთილი სიქმე ესწორების წმიდასა
ემის წირვასა და მოხსენებასა სიღდუმლოთა
შინა. რაგამს კრავი იგი უბიწო დაიკვლის
და სისხლი მისი კეშმარიტი დაითხევის, მაშინ
შხოლოდ-შობილი ხე ლვთისა უბილავიდ მუნ

ჰსლების და ისმენს თხოვასა მას და უკარისტი
შემწირველთასა, და შენდობისა მცედებელთასა
მიანიჭებს უფრველად მის-მიერ მოხსენებულთ
სულთა.

„ე, შეილო ჩემი! დაიმარხენ სწავლანი
ჩემი გულსა მინა შენსა: გლოხევთა სწყალობდი,
ობოლთა და ქვრივთა უსჯილი, სნეულთა და პურ-
ბილთა იყითხევდი და იღვწიდი, უცხოთა შეიწყ-
ნარებდი. დაიმარხე მცნება ჩემი და უოველი,
რომელი გამცენ შენ, და წმიდა ლვოს-მშობელი
იყოს მეოხად შენდა უოველსა გამსა და სიყვა-
რული მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა იყენ
შენთანა უოველად განცემორებელად!“

თავი მისამოცდათხამსხილი.

ხოლო ვითარეა ესე უოველი წარმოსოქეა, მერმე
პრეზა ეპიფანეს: „დღვს-დგეთ, შეილო ჩემი, და ვილო-
ცოთ!“ და მოილრიკეს მუხლნი ართავე. მაშინ
იწყო ანდრია ლოცვად და იტყოდა: „მამაო, ძით
და სულით წმიდითურთ განუყოფელო და შეკრე-
ცნელო! გევედრები საწყალობელი ესე, გლოხევი-
უცხო და უძლური, დავრიცომილი და სნეული,
რომელსა არა მაქვს სოფელსა ამას შინა, ხადა თავი
მივიღოკი; უფალო, სახელისა შენისათვის შევიდ-
ნენ მუხლთა ჩემთა წინაშე შენსა, უოველისა-
მპურობელო, მართალო და წმიდათ სამებათ, საში-
ნელო, რომელი მწყალობელ ხარ და შემწყნარე-

ბელ, სულ-გრძელ და დიდი მოწყველე, მაკუთ-
თხენ ჩვენ! წყაროთ ცხოვრებისათ, უზე ნეპი სუ-
ლისა შენისა წმიდისა მოვლინე ჩვენსედა, ტ მოგ-
ვიტოვენ შეცოდებანი ჩვენნი ნებითნი ტ უნებლი-
ოთნი, საქმითნი და მოვონებითნი, და კოველნი
თანანადებნი ჩვენნი! გვევდრები, შენ, გვიფა-
ნებთვის მონისა შენისა, მეუფეო სახიერო და
კაც-მოყვარეო, განანათლენ თვალინი გულის
მისისანი, და დანერგე გულსა შინა მისისა სული
სიბრძნისა და გონიერებისა, სული სიყვარულისა
და შშეიდობისა, სული სიმშვიდისა და შეუღი-
ებისა, და წარუძელვ მას კოველსა ნებასა შენსა
და ღირს ჰყავ აღსრულებად კოვლითა მოსწრავედ
და დაუბრულებელად!"

და ვითარება აღსრულა ლოცვა ესე, მსწრაფლ
ვიმობრწყინდა სახლსა მას შინა ნათელი, ვითარება
ვლევა, და სული სუნნელებისა საშინელი მოიწია.
ხოლო გვიფანე დაეთადა პირსი ზედა შიშითა.
და მოიქცა წმიდა ინდრია, უპყრა ხელი მისა
და აღადგინა. დასწერა ჯვარი პირსა ზედა
მისა ტ იწყო ლოცვად ეპიფანესთვის და იტყო
და: „მადლი უხილავისა მის ნათლისა მოვლი-
ნე ჩვენ ზედა, სახიერო და კაც-მოყვარეო,
ღმერთო ჩვენ! და თქვენ, კოველნო ძალნო
ზესისანო, ქერაბინნო, სერაბინნო, საყდარნო,
უფლებანო, მოვრობანო და ხელმწიფებანო
და კოველნო ძალნო ზესისანო, შეგვიწყალენით
ლოცვათ ბევრისა ბევრულთა ანგელოზთა, ტ ვიდ-

რებათ ათასთა ათასეულთათ, ჩომელნი შეატევები
სამებასა ლმერთსა, ლვანებასა ძლიერსა, შეტრუნით,
მონასა თქვენსა ეპიფანეს!

ლოცვითა მოციქულთა, ქადაგთა, მახარებელთა,
წინასწარ-მეტყველთა, მღელელთ-მოძღვართა, მამთა,
მოწამეთა, და წესიერად ქარწინებულთა კაცთათ,
მეუდაბნოელთა და მართლთა მოღვაწეთა, ისმინდ
სემი, შოთ უფალო ჩემო და ლმერთთა შეიწყალი
შეილი ჩემი, ეპიფანე, და ლირს ჰყავ ესე დოდე-
ბისა და წყალობისა შენსა, რათა კუთილად
მოქალაქობდეს, ვიდრე წოდებალმდე შენ-მიერ!

თავი მისამოცდასილენი.

(წმ. ანდრიას ადამელებისათვის).

ღ. ვითარცა აღასრული მოყითხვა ეპიფანესი,
ამბორს უყო პირსა მისხა, და თვეოლთა და შკერლისა
და ხელთა მისთა, და დაუტყვა მის მშეიღობა
საუკუნო, და ტიროდა მწარედ. გამოეიდა მიერ და
წარევიდა იგი იპოდრომისა მახლობელიდ ფოლოუ-
სა მის ბნელსა დაბურეილსა კაბარითა მზისა
დასავლით კერძო, რომელი კარით შევალს
იპოდრომიდ და სხენან მელომენი და არს იგი საყა-
ფელი დედათა მეძავთა. და ამას აღვილსა მოვიდა და
ლამე ყოველი ეველჩებოდა ლმერთსა ყოვლისა სო-
ფლისა ბრალთა შენდობისათვის. ლოცვისა მას შინა
მოიწიგა ქვეყანესა ზედა, აღვილსა ბაყლიანსა — სავსე-

სა სიმყრალითა, და იხილნა წმიდანი ანგელოსნი, ვითარული მეგობარნი საყვარელნი. მხიარულად მოვიდეს მისსა და წარიყვანეს სული მისი ზეცას, ვითარუა მარგალიტი ბრწყინვალე ღიღებითა ღიღითა. და მეყვსეულად ადვილი იგი, საღა იყო, აღიგსო სუნ-ნელებითა მიუთხრობელითა და ყოველი ქალაქი ფშოდა (სუნთქვიდა, იყნოსდა). ხოლო იყო მახ-დობელად მისსა დედაკაცი გლიხევი სართულსა შინა მცირესა, და, ვითარუა ეყნოს მას სუნი იგი სუნ-ნელებისა, აღიღო სანთელი და მოვიდა აღვილსა მას, საღა იხილნეს პატიოსანნი ხორუნი წმიდისა ანდრეასნი, და სუნნელება ფრიადი გამოვიდოდა მისგან. და განპკეირდა და სოქვა თავით თვისით, წარეიდე და ვუთხრა გარემოსთა ამით, რათა მოვიდენ და იხილოს საკვარელება ესე ღიღი ყოველთა! *

ხოლო რაეამს მოვიდეს კაცნი იგი, სუნნელება ეგო ეგრეთვე აღვილსა მას, ხოლო ხორუნი წმიდისანი დღარა იპოვნნეს, რამეთუ გარდაცვალნა იგინი ლმერ-თმან და დაფარნა წმიდამან, ვითარუა მან პირელენე ცუთხრა ეპიფანეს.

თავი მისამოცდათიჩამირი.

(დასასრული).

ღ. ვითარუა აღესრულა წმიდა ანდრეა უამსა თდენ ცისკრისასა, და დგა ნეტარი ეპიფანე ლოცვად სახლსა შინა თვისსა, იხილა სული წმიდა (უმანქო) მისი აღმავილი ზეცალ, და

პრეზიდენტი იგი მშისა თვალისა უფროს. და ქანკ
ურიცხვი მოსილნი სპეციალითა იმიტო და იმიტო პუბ-
ბოდეს. და ხმა გალობისა საშინელი ქსმოდა ა-
გელოზთა—ტებილი და შეწყობილი, ვითარუა ნებ-
რვისა; ხოლო ეპიფანე შეძრწუნდა ხმისა მისგან
და ხილვისა მისგან საშინელისა. და, ვითარუა მოეგო
გონებასა, ალიპურნა ხელნი ზეცად აღმოსავლით და
იტყოდა: „მომიხსენე მე წმართა ღვთისო, რაგამს
მიხვიდე წინაშე ცათა მეუფისა, ადგილსა მას, რო-
მელისა, (სადაც) განმზადებულ არს შენთვის—შეება!“
და იტყოდა ტირილით:

„შოთ ვითარილა მხე დაიფარა დალეს და სკეტი
ცეცხლისა ქალაქისა ამისა ნეტარი ანდრეა, ღვთი-
სათვის გლაბაჟი და უცხო—დალეს იქნა შეილი
ღვთისა და მოქალაქე ზეცისა მის ქალაქისა, და
მკვიდრ სასუფეველისა ცათასა!“

ხოლო აღესრულა წმიდა და კეთილად მოღვაწე
ანდრეა კეთილითა შრომითა შემუობილი ჭ ცისა რ
სოფლისა დიდი მეოსი და მფარველი თვესა მაისსა კ (U
(ოც-და-რვასა), ჭ იღვაწა სოფელისა ამას შინა ღვაწლი,
მიმსგავსებული ზეცისა უხორცოთა, ხორცისა მის
შიწისეგანთა, წელსა სამეოცად ექვსსა. უცხო იყო
სოფლისეგან, უპოვარი, მშიერი, წყურიელი, ყინელი-
თა და ნეფხვითა გვემული, და კაცთაგან ტანჯული,
და სხვანი ურიცხვი განსაკლელნი ღვთისაგითს
თავს ისხნა!“

და მე ნიკიფორე, ხუცესმან დიდისა ნკლესი-
სიმან, თვალით ვიხილე და რომელი მომითხმა.

ნეტარიშან ეპიფანი უტყუილითა პირითა, (იგი მდვე
წერ), საღილებელად ლვოისა ჩვენისა, იქსო ქრის-
ტისა, რომელსა შევენის პატივი და თაყვანის. ცემა
თანა მამით, და სულით წმიდითურით, ამ და მარადის
და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.”

განსრულდა. დადება ლმერთისა, სამებით სრულ-
მყოფელისა, ამინ.

თვესა კულომბერისა მეორესა დღესა წმიდისა
და ნეტარისა ანდრია ქრისტესთვის სალოსისა.
ესე იყო დიდისა მეფისა ლეონისზე*), წელსა და-
საბამითგან ხუთი ათას ცხრას სამეოცდა ერთისა.

*) ესე ლეონ იყო 886—912 წ. წმ. ანდრია მიუკა-
ლა 986 წელს. მოძღვარი წმ. ანდრიასი და მისის ცხოვრების
აღმწერი ნიკოფორე იყო კონსტანტინეპოლის წმ. სოფიის
(დიდისა ეკლესიისა) მღვდელი, თანამედროვე ანდრიას მოწა-
ფის, წმ. ეპიფანისი, რომელიც პატრიარქ იქმნა, — პოლი-
ვაკოს სახელით, — კონსტანტინოპოლის 956—970 წ.

სალოსობა წარმოადგენს ერთ გვარს სახეს ქრისტიანულ მო-
ლვაწეობისას. თანახმად წმ. მოციქულის პავლეს სიტყვისა,—
„უკათუ კისმე ბრძენ ჰეთიეს თავი თვისი თქვენ შორის ამას
სოფელსა, — სულელ იქმენინ, რათა იყოს იგი ბრძენ” (1 კორ.
3, 18, ნახე იქვე 1, 25). — ზოგიერთი ფრიად ბრძენი მო-
ლვაწენი იჩემდებონენ სულელობას (სალოსობას) ქრისტესთვის
და მოურიდებლად და კალივრად ამხილებდნენ ყოველ გვარ
სიბილწეს და უსჯულოებასა. სალოსობა დაიწყო ეგვიპტეში
მეოთხე საუკუნის გასულს. წმ. ანდრიას გარდა სალოსობა შო-
რის შესანიშნავნი იყვნენ: წმ. ლანიელ († 489 წ.) და წმ. სიო-
მეონ ასური († 560 წ.).

თროპარი აცლებია სალოსისა, ხეა ა.

ხმა მოციქულისა შენისა პავლესი ისმინა მეტ-
რველი, კითარმედ „ჩეენ სულელ ქრისტესთვის“, მა-
ნამან შენმან ანდრეა, და იქმნასულელ ქვეყანისა შე-
და შენთვის, ქრისტე ღმერთო, ამისთვისცა აწ სენე-
ბისა მისისა პატივის-მკემელი გვევლებით,—
აცხოვნენ სულნი ჩეენნი.

კონდაპი მსმ:

ნებსით სულელ-ქმნილმან, სოფლისა იმის შეეპანი
სრულიად მოიძულენ, და ხორცია ზრაბენი მოაკ-
ვდინენ მარხვითა და წყურვილითა და სოცებითა
და საციეკო-მიერ, და ყინულისა და წვიმისა
და თოვლისა და სხვათა ჰაერთა სიმძიმე არად
შეჩაცე და განკვეწმიდე თავი თვისი, კითარკა
ოქრო ბრძმელსა შინა, ანდრეა ნეტართ.

* *

გადაიწერა წიგნი ესე ცხოვრება ანდრეასალო-
სისა ხელითა უდირსის მღვდელ-მონაზონის სერაპიო-
ნისათა*). ღმერთმან აცხოვნოს დამწერი იმისი.
ამინ**).

წელია ჩყა-სა, იანვრის იბ-სა, გაენათის მონას-
ტერსა შინა.

*) (ახვლედიანი), შემთევში არსიმანდრიტი გაენათის
მონასტრისა.

**) ამ წიგნის დაბეჭდვის დროს ვხელმძღვანელობდათ
ა ხელონაწერით, რომელთა შორის განსხვაუება აღნიშნელია
შენიშვნებში.

რედაქტირა ამ გამოცემისა ეკუთვნის მღ. ვ. კარბელაშვილს.

დამიატება. ესე კითხვა-პასუხი ბერძების დროს
გამოგვინდა 228 გვერდზე, შემდგომ სიტუაციისა;
შევიდეს შესაბალეს სიღრმესა, ქვემოდან მეოთხე და
შესამე სტრიქინებ შეა.

ჰყითხა ეპიფენები: — რად არს ძალი ესე მზისა,
ანუ რა ხილვა აქვს? რამეთუ ვიზილე მე ოდესმე
დაწერილი მხატვართა-მიერ, ვითარცა პირი კაცი-
სა. კეშმარიტი არს ანუ ტყუილი? მაუწყე მე ესე,
ჩვევლები!

მიუგო ანდრია და რქვა: „არა მრწამს, თუ
პირი მზისა იყოს, ვითარცა პირი კაცისა! თუ
გნებავს ცნობა ძალისა მზისა, ისმინე: სთქვა
მოსე წინასწარ-მეტყველმან: „ოდეს შექმნა ღმერთ-
მან მნათობნი ესე დიღნი, შექმნა ერთი მფლო-
ბელი დღისა და მეორე მფლობელი დღამისა.“ ხოლო
არს მზესა ზედა ცეცხლი მხურვალე და ნათელი, და
არა ზომისა უმეტეს მხურვალი, რათა არა ქვეყანა დაპ-
სწევს, არამედ ვანატფოს ოდენ (მარტო) ჯეროვნად.
და კვალად უწყოდე, — კეშმარიტად მზესა ზედა ცეც-
ხლი არს, იმისთვისცა გამოვალს მისგან ცეცხლი,
ვითარცა კვესისაგან, და შეიქმნა ცეცხლსა სახმარსა
კაცისასა. რაფამს ჭიქით წყალი მიუპყრან მზისა
მწევრვალსა, — განვლის წყალსა მას ჭიქისასა და
ალანთებს აბედსა. და კვალი, — შენ წინაშე სჩანს
მცირედ სიშორისა მისისათვის ჩვენგან. ხოლო
არს დიდ ფრიად, და ანგელოზი უძღვის მას და
აქცივს ემსა შინა წელიწალისათა, და საღაცა უბრძა-

ნოს ანგელოზმან მან, — შუნცა ჩივესების. როგორ
თუ სამსახურებელად კაცთა მუცელების ღმერთის
თსაცა სხვანი ყოველნი დაბილებულნი: განსუე-
ნება არა აქვს, არამედ ვალს დღე და ლომე. რო-
მელსა ჩივესების, — არს იგი კიდე ციხის, და მლინარე
მოსდგამს გარემოს ციხი ყოველის. კამარა და მხე
ჭოვესების მლინარესა და მოიპოვების კიდესა ქვეყა-
ნისასა ხრდილოთ კერძო მლინარესა მას შინა, და
მოვალს აღმოსავალსა მხისასა. ზამთრისა ლამეთა
გზა დიდი უძა და მოვალს სამხრით ქვეყანასა და
მით ლამენი დიღნი არიან, ხოლო ზაფხულს ხრდი-
ლოთ კერძო საშუალ ცას მოვალს და არიან ლამენი
მცირენი და დღენი დიღნი. ეს არს ძალი მხისა.







๔